და მოკუდა (sic.) რევ: და დაემარ ხა ცოლითურთ: და შემდეგ ომად მისა მეთესა. წელსა ⁸¹⁾ ამან ბაკურ დაიწყო: წილ

სა წელსა“ არა სჩანს. შიომღ. № 170; გვ. 361 მოგვითხრობს: „და მოკცევიტიგან მი რიან მეფისამდე (sic) მეოც-და-ხუთესა წელსა მოკუდაჲ მისი რუე, სიმე თრღატ სომეხთა შეფისა“ (ქ.-ცხ. I, 100). აქ უნდა იგულისხმებოდეს არა დრო მირიანის მოქცევისა, არამედ წელიწადი წა ნინოს ქართლში შემოსულისა 316 წ. (316+25=341 წ.), ჩვენის ქრონიკით რვე ცოცხალი იყო ოც-და-მესამეს წელს აღმართებითგან პატროსნისა ჯვე- რისა, რაჲცა ჩვენის ანგარიშით (შენიშ. № 62) უდრის (325+23)=348 წელს. ამ ანგარი- შით რვეის სიკვდილი მართლა მოხვდება ოც-და-მეხუთეს წელს მირიანის მოქცევიდამ (323+ 25=348 წ.). (№ 170-გვ. 56, ქ. ცხ. გვ. 100). ეს საყურადღებო შენიშნვა ამათთვის ჩვენს ანგარიშებს (შენიშ. № 62) და „ქართლის მოქცევის“ ქრონიკის თქმულებასაც შესაბამე რვეის სიკვდილისა შემდეგ მისის მამისა.

⁷¹⁾ ქ.-ცხ. I, 101 და შიომღ. გვ. 362 უფრო განსაზღვრულად სწერია „ზემოსა ეკლე- სისა“, ხოლო აქ საზოგადოდ. შეიძლება ეს იმის გამო მომხდარიყოს, რომ ჩვენის ქრონიკის პირველი დედანი დაწერილ იყოს იმ ეპოს, როდესაც (ვახტანგ I დრომდე) „ზემო ეკლესია“ (სამთავრო) იყო უმთავრესი, როგორც საჯდომი მთავარეპისკოპოსისა, ხოლო „ქვემო ეკ- ლესია“ (საკათალიკოსო) მაშინ შესანიშნავი არ იყო. უკანასკნელმა პირველობა დაიკირა მხო- ლოდ ვახტანგის დროთა, როდესაც გახდა საჯდომად კათალიკოზთა. ახალ წინოს ცხოვრება მსებერ მხნის ამას (გვ. 70).

⁷²⁾ ესრევე ხელნაწ. №№ 170, 138 და 160. ხოლო ქ.-ცხ. (I, 101.) „სამხრით კერ- ძო“-ს მავიერ სწერს „სამხრითისა ჩრდილოეთ კერძო“-სა; დანარჩენი თითქმის სიტყვა-სიტყვით განმეორებელია. სასირცხვილოდ ჩვენდა, უპირველესთ ჩვენთა ისტორიულთ პირთ საფლავები თითქმის დაიწვეებული გვაქვს.—მირიან +342 წ. (ვახტანგ). ეპისკოპოსად დაჯდომა იოანესი დავით რეკტორის სიით აღნიშნულია 318 წ., ხოლო იაკობისი—364 წ.—361 წ. უნდა აღნიშნავ- დეს წელს იაკობის სიკვდილისას.— პლატ. იოსელიანთ იოანე +350 წ., ხოლო იაკობ+379. წ.

⁷³⁾ ქ.-ცხ. I 101 და შიომღ. გვ. 360 და სხვა წყაროებშიც ბაქარ აღნიშნულია ძედ მირიანისა და არა რევისა. ძველად დასაჯერებელია, რომ ბაქარი იყოს ძე რევისა, რადგან ეს წინააღმდეგია შემდგომა პოლიტიკურთა მოვლენათა (შიომღ. გვ. 362). მარტო სიტყველ ხელნაწერისა საკმაო საბუთი არ არის მასში მოთხოზობილ ამბავთა ქემარტებისა

⁸⁰⁾ ჩვენის ანგარიშიდ 325+23=348 წერს

⁸¹⁾ ე. ი. 348+10=358 წ. შესაძლებელია იგულისხმებოდეს მეთექვსმეტი წელიწადი მეფობისა ბაქარისა=352. წ.

კნისა ეკლესიასა: და განი
 შორა: ოცდა მეათეუთ
 მეტესა წელსა ⁸²⁾: და მოკუდა
 და დაეფლა ქუეშისა ეკლესიასა:
 და დაჯდა მეფედ ძმად მისი
 თრდატ: ⁸³⁾ და მთავარების
 კოპოსი იყო ნერსი: სომე
 ხთა კათალიკოზისა დიაკ

ონი იობ:
 და მეფემან რუხსა
 რუე გამოიღო: და ეკლეს
 იისა საფუძველი დადგა
 და მის ზევე: ნერესს კახე
 თისასა: ეკლესიამ ადიშე
 ნა: განსრულებით: ⁸⁴⁾
 და შემდგომად მისა დადგა

⁸¹⁾ 384 წ. ? ეახუშით ბაქარქ364 წ. შეიქლება აქ ნაანგარიშევი იყოს გამეფებითგან ბაქარისა, რადეა უდრის 377 წელს. — მეოთხე საუკუნის ცნობილი მემკთაიანე რუფინი მოკვითხრობს, რომ ზემან აღწერილი ქართლის მოქცევის ამავე ივერის მეფის ბაკურიუსის სიტყვით აღწერილი; ბაკურიუს მეფე მას უნახავს ირუსალიმში ორმოც-დაათის წლის შემდეგ ქართლის მოქცევიდგან, ე. ი. ჩვენის ანგარიშით (324+50)=374 წლებში. რუფინის მოთხრობა იმდენად ეთანხმება ჩვენს წყაროებს, რომ ვერ დავეთანხმებთ ბროსესს (*Hist. G. I, 132*) რომელმაც ბაკურიუსი არ იცნო მეფედ ივერიისა, არამედ კილაც უცნობ წარჩინებულ პირად-თანახმად ჩვენისა წყაროების ჩვენებისა ბაქარ, რუფინის თქმულებით, ა) ახალგაზდა ყოფილა ნინოს მოსლვის დროს; ბ) თვითონ დასწრებია ნინოს ქადაგებას (ქართლის სიგელებში, მთიულეებში და კახეთში); გ) თეოდოსი მეფესაც (311—364 წ.) უნდა მუშეულებოდეს. უკანასკნელ ბაქარს დაუტყვებია მეფობა (შეიძლება ზემოხსენებულს 377 წელს) და სულაერსაქმეებს შესდგომია პალესტინის მონასტერში; იმპერატორს თეოდოსუს დროს მიშეულებია მეფის საბერძნეთის ჯარით მტარვალის ევენიოსის წინააღმდეგ 394 წ. და ბრძოლაში მომკვდარა. ზემო ნაჩვენები 384 წელიც ძალიან უახლოვდება 374 წელს და მით უფრო მართლდება რუფინის თქმულება: რადგან „ქართლის მოქცევის“ დროდ ბევრს ჩვენს წყაროებში იგულისხმება ნინოს სიკვდილის დრო (338 წ.) ამისგამო შეიძლება რუფინისაც სახეში ჰქოლეს 338+50=388 წელი.

რევის სიკვდილი მოხდა ოც-და-მეხუთესა წელსა-პირიანის მოქცევიდამ“ ე. მეზ. № 160 გვ. 604). აქ ცნობები ქ.-ცხ. და ჩვენის ქრონიკისა ერთი-მეორეს არ ეთანხმება (შენიშნე. № 74). სამაგიეროდ ჩვენი ქრონიკა და ყველა ვარიანტები ნინოს ცხოვრებისა ერთი მეორეთა უახლოვდებიან და გვიჩვენებენ რევის სიკვდილს პირველი 23 წელს ჯვარის აღმართებიდან, ე. ი. ჩვენის ანგარიშით 326+23=349 წ.; ხოლო მეორე 25 წ. მირიანის მოქცევიდამ ე. ი. 323+25=348 წ. თუ მირიანის მოქცევაში იგულისხმება ერის მოქცევა, მაშინ რევის სიკვდილი 324+25=349 წ. ან 325+25=350 წ. რევი მეფედ აღარებულა ნინოს ცხოვრებაში: „რომლისად მიტეა (მირიანს) მეფობაჲ სიციხელსავე მისსა“ (№ 160 გ. 335; № 170 გ. 361).

⁸²⁾ შიომღვე. № 170 „ქე მისი მირდატ“.

⁸³⁾ მირიან—ბაქარ—მირდატის მეფობანი საყურადღებო თანხმობით და სიტყვა-სიტყვარ მითხრობილია ქ.-ცხ. და ეკლ. მეზ. ხელნაწ. №№ 160, 170, 176, 180.

⁸⁴⁾ ამ საქმეებს ქ.-ცხ. (I, 106) მიაწერს ვარაზ-ბაკურის სიმაჰრს თრდატს. ხოლო ჩვენის ქრონიკის თრდატის, ბაქარის ძის, ადგილი ქართლის-ცხოვრებაში უჭირავს მირდატს, ბაქარის ძეს. ის საყურადღებო განსხვავება ახალ და ძველ წყაროებთ შორის შესანიშნავია და გამოსაყენებელი. რადგან ბაქარ ყველა წყაროებით მოკვდა 377 წ. და ან 393 წ. (იხ. ზემო შენიშნეა 82), შესაძლებელია მის შემდეგ შესცილებოდენ ტახტს ძე ბაქარისი მირდატ და ძე რევისი, მირიანის უფროსის შვილისა, თარდატ. თუ ბაქარი+377 წ., მირდატი უნდა მეფედ მჯდარ იყო 377—378 წლამდე, ხოლო შემდეგ—თრდატ, ძე რევისი და შემდეგ ვარაზ-ბაქარ თრდატის ასულის შერთვით.

ვარაზბაკურ მეფედ: და მისაზვეე სპარსთა მეფისა მარზაპარნი შემოვიდეს სივნიეთა: და იგი კილარად (sic)

უგუჯდა: და მთავარ ებ ისკუსი იუთ იგივე იობ: ⁸⁵⁾ და მამინ მოვიდა: ქრამ ხუარ ბორ ზარდ: სპარს

მაგრამ ისიც შესაძლებელია, რომ ჩვენს ქრონიკას მირდატი სრულიად სახეში, რაჟსუცედს მეფედ (ან შეიძლება გადამწერს გამოტრეწოდეს მისი მეფობა); ხოლო აქ მოხსენებულ თრდატი იყვეს თარდატივე ქ.-ქს., რადგან ამათ ყველა წყაროები თანახმად მიაწერენ რუეს გამოყვანას და ნეკრესის აღშენებას. შესანიშნავია აქ, რომ ეკლ. მეზ. ხელნაწ. № 170, გვ. 364 მირდატის დროს არ მოიხსენებს იაკობის სიკვდილს და იობის მთავარ-ეპისკოპოსობას, თუმცა დანარჩენში სიტყვა-სიტყვით ეთანხმება ქ.-ქს.-ბას, სწანს მათი სიკვდილი მოხდა თრდატის დროს, თანახმად ჩვენის ქრონიკისა. ამ მოსაზრებათაგან დასხვა წყაროთაგან გამოდის, რომ თრდატი მეფედ მჯდარა ვარაზ-ბაქარის უწინ თანახმად ჩვენის ქრონიკისა. ვარაზ-ბაქარს, მირდატის ძეს, მეფობა რაგებია მხოლოდ თრდატის ასულის შერთვით. ამ ნაირად გამოდის ბაქარ მეფობდა 342—377 წ. (ვახუშთი 364), მირდატ, ძე ბაქარისი დახლოვებით 376—378; მეფე თრდატ (ან თარდატ=ტირდატ) ძე რუესი; ამას ტახტი წაუერთმევია ბაქარის შთამომავლობათათვის, წინააღმდეგ ხელწერილობითის პირობისა, რომელიც ბაქარ მეფემ ბერძენთა მეფის და სპარსთა მეფის შუამდგომლობით ჩამოართვა რუესი ნათესავეებს; ვიღვრემდის იყოს ნათესავი ბარაქისი, რომელს (სა) ეძღოოს ჰყრობა მეფობისა, მათი იყოს მეფობა (და) არა ძებნონ მეფობა ნათესავთა რუესისთა“ (შოიძლ. № 170, გვ. 362 ქს. I, 99—100). შემდეგი მიმდინარეობა ისტორიისა გვაფიქრებინებს, რომ ბაქარმა ამ ორთა შტოთა შორის ტახტისათვის არ შეწყვეტილა. თრდატის შემდეგ გამეფებულა იცმ ბაქარის შობი, მირდატის ძე ვარაზ-ბაქარ, (390—415) რადგან ამას თრდატის ასული შეუერთავს და რადგან თრდატის ძე ბაკურ, ალბათ, მცირე-წლოვანი ყოფილა.—შემდეგ მეფობდა ჩვენის ქრონიკით ბაკურ, ძე თრდატისი, რუესის ძისა. მეფე ფარსმანი, დისწული თრდატისი და ძე ვარაზ-ბაქარისი (ორნივე შტონი შეერთებულან); შემდეგ მირდატ, ძმა ფარსმანისი „მამულად ბაქარიანი, დედულად რევიანი“ (ქს. I 107). ზემოხსენებულს ბრძოლას ორთა შტოთა შუა მატიაწე ალბათ ჰმალავს, რათა არ დააჩრდილოს სახელი მირიანის ნათესავთა ქრისტიანე მეფეთა და თვით ახლად დამკვიდრებულ ქრისტიანობის ზედ-მოქმედება ერის და სახელმწიფოას ცხოვრებაზე. მემატიაწეები ამცირებენ მხოლოდ სპარსთა ერთგულ მეფეებს და განგებ აძაგებენ წარმართობის დროინდელ მეფეთა, რათა მით უბრწყინვალეს აღმოაჩინონ აღმაშენებელი ვაჟუნა ქრისტეს სარწმუნოებისა.—ამ მიზეზითვე შეიძლება რამდენადმე აიხსნას არეული ცნობები რუესი და ბაქარის მეფობის შესახებ. მირიანს მეფობა მიუტია რუესის თვის სიუცხლობივე (იხ. შენიშ. № 82) და უცხოვრია 349—350 წლამდე. რად-დასტრავებდა რუეი მეფობას? უნდა ვიფიქროთ, რომ უკანასკნელს წლებში მირიანის ცხოვრებისა, როდესაც მოხუცებულმა მეფემ გამგებობა ქვეყნისა უფროსს შვილს დაეთმო, უმცროსმა შვილმა, უმეტესად ღირსეულმა, კონსტანტინე დიდის სასახლეში აღზრდილ-ვანათლებულმან, წინააღმდეგობა გაუწია უფროსს ძმას, რომელსაც „ვერ ეძლო ჰყრობა მეფობისა“ და, ნებით თუ უნებლოთ დაატოვებინა მეფობა:—რუესის ძის (თრდატის?) სასწაულებრი განკურნება იც; № 170, გვ. 366 და ახალი ნინოს ცხ. გვ. 65.

⁸⁵⁾ ამ დროს უნდა გაეყოთ სომხითი ბერძნებს და სპარსთა (390 წ. იხ. ისტორია დ. ბაქარისა. გვ. 155; ქს. I, 106—106). იობი თრდატის დროს მომკვდარა ქს. (I, 107); ხოლო ჩვენის ქრონიკით იგი ცოცხალი სწანს ვარაზ-ბაქარის დროს. თრდატს თავისი სიძისთვის უნდა დაეთმოს,—ეგებ იძულებით,—მეფობა თვისსავე ცხოვრებაში და შემდეგ, მისი

თა მეფისა ჰიტანში: ტფილსად ქლქად: ცხინედ და ქართლი მისსა ხარკსა შედგა: და სომხითი და სივნიითი: და გუასპურგანი:

და მისა წმ ადაშენეს აზნაურთა წმ ივკელესიაჲ მცხეთას და დაიამოთაჲ ლეს (sic) დიდსა მას ეკლესიასა: სოფლებითა და ქარდაგე ბითა ქართლს შინა: ⁸⁶⁾

და მისა შემდგომად მეფობ

და: ბაკურ ძე თრდატი სი: ⁸⁷⁾ და მთავარებისკჳსი იყო ელია ⁸⁸⁾: და ამან ადაშენა ეკლესიაჲ ბოლნის და იმიერ განვიდა და განაახლნა არმაზნი სპარსთა შიშისათს: ⁸⁹⁾

და მისა შემდგომად მეფობდაჲ ფარსმან დისწული თრდატი სი. ტმთავარებსკჳსი იყო სკეონ: ⁹⁰⁾

და მისა შემდგომად მეფობდა

სიკვდილისა ისევ თვითონ დაეპიროს მეფობა და მართლაც ვარაზ-ბაქარის სიკვდილის შემდეგ მომკედარიყოს (ქცბ. I, 106). თრდატს, ბაკურისთვის გარდაუტია მეფობა, სანამ ვარაზ-ბაქარიძენი წამოიზრდებოდნენ.

⁸⁶⁾ ეკლესიის აღშენება მეფეს-კი არ შეეწყობა, არამედ ბზნაურთა და ქ. ცხ. ბის ჰაზრი ვარაზ-ბაქარზე არ ირღვევა ჩვენის ქრონიკით. (ქცბ. I, 105; შუადრ I; 112). — ვარაზ-ბაქარის ძე, მურვანოზ ყოფილი, მაიომის ეპისკოპოსის პეტრე განითქვა აღმოსავლეთში სიბრძნით და ცხოვრებით. პეტრე და მისი განთქმული მოწაფე იოანე, ჩვენის აზრით, რომლის დასაბუთებას ცალკე გამოკვლევა მოუწდება, იყო ერთი მიჩვეულ მთარგმნელთაგანი საღმრთო და საეკლესიო წიგნთა ებრაულ-აღმარულ ენათაგან ქართულ ენაზე. მისი ცხოვრება შემდეგ იელნაწ № 170 შეტანილია, ქცბ. I, 101, თუმცა არა სრულიად. ქცბ. ვარაზბაქარ ცხოვრება და თვალის მცირეს დროს. პეტრე აღესრულა 65 წლისა, 2 დეკემბერს, პარასკევს, ზენონ მეფის დროს. ზენონის მეფობაში პარასკევი ორს დეკემბერს მოხვდებოდა მხოლოდ 477 წ. და 483 წ. (488 წელსაც). მაშასადამე 412 წ. ვარაზ-ბაქარ, წინააღმდეგ ვახუშტისა, ცოცხალი ყოფილა (477—65=112).

⁸⁷⁾ ბაკურ სხვა წყაროებში არ სჩანს: ისევ რვეის ნათესაჲს დაუჭერია ტახტი დროებით (იხ. შენიშ. № 84 და 85). შესაძლებელია ქრისტეანე მემატიანე ამათ არ იხსენიებდეს იმის გამოც, რომ მან „განაახლნა არმაზნი სპარსთა შიშისათეს“ და მცხეთა დაავდო.

⁸⁸⁾ რადგან ჩვენის ქრონიკით ბაკურის დროს ცოცხლად იხსენიება ელია, ხოლო ქცბ. I, 107 ელია მომკედარა. ფარსმანის დროს, უნდა ვთქვათ, რომ თანახმად ჩვენის ქრონიკისა, მეფე ბაკურ ფარსმანის უწინ ყოფილა. დავით რეკტ. და პლატ. იოსელიანის სიგეით ელია დაჯდა 40 წ. (თუ მოკვდა?); ხოლო მოკვდა პ. იოსელიანით 408 წ. და ამავე წელს დაჯდა, ორივე წყაროებით, სიგეონ. მეხითარ არიანელის სიაში ილია წოდებულია „ეგია“ — ეს მეფე ბაკურ უნდა იგულისხმებოდეს მესროპის ცხოვრებაში, სომეხთა მემატიანეთ ცნობით (ვახუშტი ბაქრაძისა გვ. 85).

⁸⁹⁾ ეს ადგილი სრულიად გადუმზინჯებია „სამი ხრონიკის“ გამოძიებულს. „იმიერ განვიდა“ აღნიშნავს იმას, რომ მეფემ მცხეთის მხარე და ქალაქი დაავდო და არმაზის მხარეს გადავიდა, განაახლა ციხე, და არმაზს დადგა „სპარსთა შიშისათს“. ქ. ცხ. ბოლნისის აღშენებას შიშისათს ფარსმანს, მაგრამ შესაძლებელია, რომ ბოლნისის შენება დაწყებულ იყოს ბაკურის დროს და გათავებულ იყოს ფარსმანის მიერ.

⁹⁰⁾ დავით რეკტ. და პ. იოსელიანის სიგეით სიგეონ დაჯდა 408 წ. ხოლო მოკვდა

მირდატ და ესე წარიყვანა.
 პიტასმან ვარამ: ⁹¹⁾ ბა.
 დდადს და მუნ მოკუდა.
 და მისა შემდგომად მეფობ
 და არჩილ: ⁹²⁾ და მთავარ
 ებსეკუსი იყო იონა: და მამ
 ინ: დაეცა ქუემოჲ ეკლე
 სიაჲ: და იონა მოიცვალა (sic)
 გარეუბნისა ეკლესიასა: და სუეტი
 იგი ცხოველი თა

ნა წარმოიღო: ⁹³⁾
 და მისა ზს აზნაურთა სტე
 ფანე წ-ა დაშენეს: არა
 გუსა ზ-ა: ⁹⁴⁾ და მოგუნი მო
 გუეთას მოგობდეს: ცეცხლ
 ისა მსახურებასა ზ-ა:
 და მისვე-არჩილის ზს ოთხნეც
 მთავარ ებსეკუსნი გარდა
 იკვალნეს ⁹⁵⁾

(⁹⁰ : ძიარბ

პლ. იოსელიანით 420 წ. არჩილ-მეფის დროს. ქტ. I, 107 შედ. შენიშვნა № 95. სვიმონ არ სჩანს მესითარ აირიყვნელის სიაში.

⁹¹⁾ ქტ. „უბარაჲ“. ქრონოლოგია ვახუშტისა მირიანის სიკვდილიდან ვანტანგის გამეფებამდე ვკონებთ მკიოდს საფუძველზე არ არის დამყარებული და თხოულობს შემუშავებას. ვარაზ-ბაქარამი ჩვენ რამდენადმე შეცვლით უზუენეთა ჩვენი ნათქვამი მაინც საუკუოდ დავილიო.

⁹²⁾ ქტ. „არჩილ ძე მირდატ მეფისა“ (I, 108). ვახუშტით და ბროსესს ჰახრიჲ ბაქარქმის; მირდატ III†379; ვარაზ ბაქარქმის; თრდატ†405; ფარსმან IV†408; მირდატ IV†410; არჩილ I†434; მირდატ V—†466

⁹³⁾ წინააღმდეგ ბ. თავაიშვილის რწმუნებისა ამ ამბავს ქ.ტ. მოიხსენიებს (გვ. 145); მხოლოდ სვეტი-ცხოველის თან-წამოღებაზე არას იტყვის. „საპი ქრონიკის“ გათმომცემელს ეს შესანიშნავი ადგილი შეცდომით წაუეთხავეს: „და იონა მიიცვალა“... რამსაკამო სრულიად შეიცვალა ჰახრები. აქ ნაამბობია, რომ ქემო ეკლესია სვეტი-ცხოველისა დაეცაო და იონამ „მოიცვალა“ ე. ი. მის მაგიერ სხვა აღიარია, გადმოვიდა გარეთ უბნის ეკლესიასა და სვეტი-ცხოველიც აქ გადმოიტანაო. „ვანტანგ ალაშენა ტფილისი და მცხეთა ქალაქი მუნ მისცვალა“ (№ 170 გვ. 353). ქტ. მოხსენებულა, რომ ქართველთა „განაახლეს ეკლესიანიო“ ხოლო დღი ეკლესია სვეტი ცხოველისა ააშენა ვანტანგმა (შოიძე. № 170, გვ. 363 ქტ. I, 145).

⁹⁴⁾ ამას ქ.-ტ. მეფე არჩილს მიაწერს და არა აზნაურთ (I, 109).

⁹⁵⁾ ქტ. I, 110: იონან (იონა?), გრიგოლ, ბასილი და მობიდან (მობიდან?). ეს მოაშინძა პლ. იოსელიანის ცნობებით ყოფილა ნესტორიანი; დაამხვეს (ქტ. „მოკვა“, გ. 110) და შემდგომ ნესტორიანთა (ქ-ტ. ზინქარ მოკვს) საწინააღმდეგოდ დაიბარეს სწავლული ბერძენი მიქელ, აღმზრდელი ვანტანგისა, მაგრამ კაცო ფიცხი და თვე-მოკვარე (ქ-ტ. I, 110; 112) შემოხსენებულნი ეპისკოპოსნი მესითარ აირიყვნელის სიაშიც სჩანან: იონან (იონან?), გრიგორ, ბარსეგ (ბასილი), მეუილ (მოლიბაზ?), მახელ (მიქელ). Хронографич. исторія Мехитаря Аириванскаго 1869 г. -стр. 347. დავით რეკტორის და პ. იოსელიანის სიგზში წელი არ უხის იონანს, გრიგორის და ბასილს; ხოლო მობიდა დავით რეკტ. დაჯდა 434 წ. პლ. იოსელიანით მობიდან დაჯდა 429 წ. მიქელ დაჯდა (თუ მოკვდა?) დავით რეკტ. სიით 416 წ. პლ. იოსელიანით † 460 წ. ამან გარდაავლო პეტრე მკაწურელი ტახტი და ჩაქოლვინაო (პლ. იოსელიანი).—ამ მიქელის შემდეგ პლ. იოსელიანი მოიხსენიებს მეორეს მიქელს, რადგან მატანე იტყვის: „დასტა სხუა ტეშმარიტი მიხაილ“.

...**შრომისა პიროვნისა**... (გუჯარი წ. კანტონისა) ...
...**ადინი შფოთის და მშობისნი** იქმნებრდეს ეპისკოპოსთა ცილობისაგან და
ლეთიე გვრჯუნოსანმან მეფემან სჩილ არა სათნო იჩინა ამათ შფოთთა ქმნად;
და გვრძანა გაჩენად ვითარნაშანთა შეეტყუებოდა, და ველ-ვყავით მე ვლწო
ხაქმან მიქელ ქართლისა კათალიკოზმან და ვაკურთხეთ წყ. პირონი.

ოდეს მეფე, ათაბაგი, ქართლისა ერისთავი, სპასალარი და ყოველნი ერის-
თავნი და ყოველნი მღვდელთ-მოდღუარნი ა) შემოკრბენ მცხეთას დიდსა ზუთ-
შაბათსა, დიდსა სომხეთისა მიტრაპოლიტსა ჰმართებს. ნიეთთა ზედა დგომად და
ქუაბნი საკურთხეველთაჲთ გამოიხუენენ და მიტრაპოლიტსა და ქადაგსა ეტკრ-
თნენ კეტნი ქუაბთანი. წინათა კეტთა მიტრაპოლიტი შეუდგეს და უკანათა
ქადაგი. სუ მწირველი იყოს, თერთნთა შესამოსლიზა შემოსილ იყოს; სუ
მწირველი არა იყოს, თერთნთა ზტლასისა ჩანი თავსა ებუროს მოყუნტევიზილ ბ);
და მეორეთა ქუაბთა მთავარ-ეპისკოპოზი ქუტსე უდგეს და წინა მივიდოდეს
და უკანათა კეტთა მაწყურველი და უკანა მთავარ-ეპისკოპოსი მიჰყევიდოდეს გ)
და რაჟამს განზავებდენ ტაკუსსა, ტაკუცი მაწყურველსა ეტკროთს, და რაჟამს
განზაონ, ტაკუცი ქადაგისა კელითა დაიბეკვდოდეს და ჰყოველთა ეპისკოპოსთა
თითოჲ კოჟამ მირონისა ეტკროთს და კეროენგი სვეტსა ცხოველსა გარე-
მოადგან დ) და ვათოლიკე ეკლესიისა გალობასა გალობდენ ე).

განგება ჯარბეზობისა.

რაჟამს ვაკურთხოს მეფე და დაჯღეს ტახტსა ზედა, ეთისკოპოსნი ამა წესს
თა დასხდენ.

1) ბრძანოს ქართლისა კათალიკოზმან და დაჯღეს მარჯუენით შეეთისა ნა-
ტითა და ბალიშითა. 2) შემოვიდეს ჭყონდაილად და დაჯღეს მარცხენით მეფე-

- ა) მღვდელთ-მოდღუარი (წ. კ. № 352).
- ბ) მოყუნტუხვილი (წ. კ. № 352).
- გ) მოჰყევიდოდეს (წ. კ. № 352).
- დ) გარემოადგან (უნდა იყოს: „გარე მოადგან“).
- ე) ამის შემდეგ წ. კ. ხელნაწ. № 352 სწერია საკითხავი: „შემზადებჲ მირონისა“ ვი
თარ იგი სრულ იქმნების... წმინდასა სოფისა ზედმიწევნით გამოძიებულად და მწმომწოლოდ
გამოკლუელული თვთ კეთილ-მსაბურთაგან და მოძღუართა ამისისა შეზავებისა დასრულებენკრან
ბოლოს სწერია: „ხოლო მე ერთ გვარიცა კურთხევა. მინახავს იტრუსალიმს; ჯარანა ამინ ეკლესიისა
სოფია-წმიდისა და ანტიოქელთა ეკლესიისა ესთენ; არს წესი წისა მირონისა ცქრთხევისა
და ესთენ ლოცვანიცა, და თქვენ ვინადგან ამის ეკლესიისა შედგომილნი ხართ, ამისთა წესითა
იგი ღირსა ბაძეა და მიმსგავსებაცა ძალისაებრ“ (ხოგან აღგილო გამოშვებულოც, სჩანს ღედანს
ჰკლებია). ანას ზედ მოსდგეს: „წესი და განგება მეფეთ-კურთხევისა ესრეთ არს III და ზედვე
წესი და განგება ეპისკოპოსთა კურთხევისა“ და მერმე: „ან განგებნ და რ ბ ა ხ ღ ბ ი ა ა ზ“

სა ნატითა და ბალიშითა. 3) შემოვიდეს ღიღისნ ზომისნისსიტრიაჲ და დაჯდეს კათალიკოსსა ქუქმით ნატითა და ბალიშითა. 4) შემოვიდეს მისა-
 კარ-ქმისქმისსი და დაჯდესიტრიაჲ და ქუქმით ნატითა უბალიშოდ.
 5) შემოვიდეს მწუწუწად და დაჯდეს მთავარ-ჭვისკაჯგხსა ქუქმით ნატითა უბა-
 ლიშოდ. 6) შემოვიდეს ამა აჯაკრად და დაჯდეს კყურდიდელსა ქუქ-
 მითა ნატითა უბალიშოდ. 7) შემოვიდეს ქისყელი და დაჯდეს ამა ალბწყრ
 დელს ქუქმოდ უნატოდამ) შემოვიდეს ჭუმურდოელი და დაჯდეს ქისყელსა
 ქუქმოდამ) და დაჯდეს მტრისა (იმპერატორსა და დაჯდეს იმპერატორსა და იმპერატორსა
 და დაჯდეს იმპერატორსა და დაჯდეს იმპერატორსა და დაჯდეს იმპერატორსა და დაჯდეს იმპერატორსა

- 9) ნინოწმინდელი აქიმანდრიტი, 10) იშხელი, 11) ანჩელი არქიმან-
 დრიტი, 12) მტბევარი 13) წყარწყაბელი 14) წყაროსთაველი 15) ერუშნელი
 16) მანგლელი 17) წინწყარდელი 18) რუსთველი, 19) წილკნელი 20) კაწა-
 რელი, 21) ურბნელი 22) მრუელი, 23) სამთავნელი, 24) ნიქაბელი
 მერე მამეთავარი:
 25) ვალაშკერტელი 26) ბოლნელი, 27) კარელი, 28) ხარკაშნელი
 29) ტფილელი, 30) წყალციხელი, 31) ბანელი, 32) კერემელი, 33) დებანელი
 34) დადაბნელი 35) ვიშნელი
 შემდეგ იგივე გუჯარი განაგრძობს:

მოდგენ ყოველთა მონასტერთა მოძღუარნი და წინამძღუარნი და მათით
 წესითა წინამოახსენენ *) ეფესკოპოსთა; სეფესა ჯ'ის (ჯუარის) მტკრთველსა
 ათაბაგსა და სპასალარსა შუა მართებს ჯდომამა. — ეინცა ესე ჩუქნ ღიღისა მეფეთ
 მეფისა არჩილის ბრძანებული და განაჩენი და ჩ'ნ გლახაკისა ქართლისა კათა-
 ლიკოსისა მიქელისაგან დამტკიცებულ შემოქმედს ყოს და ამა განაჩენსა ურ
 ექმნას კათოლიკე ეკლესიისაგან და დაჯდეს და ურჩებისა პატივდ მიეკადოს,
 ვითარცა ურჩსა და სჯულისა გარდამავალსა და რომელიცა პატივდ აქუნდეს,
 იგიცა მოეძარცოს. **)

აქვე შევიყვანთ ეფრემ მტრის წერილდამ მირონის კურთხევახედ (ქელ-ნაწერი XIII
 საუკ., ეკლ. მუხ. № 24. ეს ნაწყვეტი გაგრძელება ხეშო დაბეძლილსა; იხ. გვ. 37).

*) წინამოხსენდენ (წ. კ. ხელნაწ. № 352). არაბულ წყაროები ჩვენს დასმულია და
 № 9-დამ № 35-მდე შემოკლებულად დაბეძლილია ერთი ნაწილი ფრაზების განუმტკრებისათვის.

**) გუჯარი ს. კანტ., რომლიდანაც ეს გადმოვიწერე, დაწერილია სკელს ვალსისლ ქალაღ-
 ხუბუტისსი XVI საუკ. ხელთ; ხოლო წ. კ. წიგნთ-საცავის ხელთნაწერი № 252 დაწერილია
 ხუტურადღე XVII საუკ. ხელთ; მაგრამ დედან რამ ძლიან ძველი ჰქონია, ეს ადვილად
 მისახვედრია, რადგან აქვეი ხელნაწერში დაუწერელად ადგილებია დატოვებული, რასაკრველი
 იმისგამო, რომ დედანი სიძველით შეზღალოლი ვიყოლა. — მეფე არჩილ უნდა იყოს პარველი
 (ქ. 434 წ.) და არა მეორე, (ქ. 718 წ.), რადგან უკანასკნელის დროს მიქელ კ'ზი არა სჩანს,
 და არც დასაჯრებელია, რომ მე VII და VIII საუკუნეების არე-დარევის დროს ამისთანა
 კითხვებზეწყოლა. შესაძლებელი ყოფილიყოს, არც დიდი „სომხთის მიტროპოლიტი“ ყოფი-
 ლა მე VIII საუკ. — მართლად მიქელ კ'ც-ით არჩილს ძის მირდატის დროს სცხოვრობდა;
 (იხ. შენიშნ. ძვ. 95), მაგრამ შესაძლებელან ეს გამოწვეულ ყოფილ-ყოფს არჩილს შეფობა-

«აქა დაგვ შთაქმადიებელნი მრავალთაჲ. თუ ვინცხუ მიიღეს მწკრიველთაჲ კურთხევაჲ: მიჰრონისაჲ და ამისდაც ცნობად მრავალთაჲ ხდროვად აღწერად ბრძანებულთა ჩემდა შინ მიყრენ მასასენებელსა ამას: და ესოდენ უპოვ სახონ გადოდ უოველთაჲთჳს კეთარმედ ქალკილონისა კრებესა. ესმა რომელ სიძვრად სათჳს ფასით ჰყიდდეს მიჰრონსა. ამისთჳს ბრძანეს წთა მამათა. რათა არა ხოლო ანტიოქიას. არამედ სხუთაცა ეკლესიათა შინა წმიდა იქნებოდეს მიჰრონი: ხოლო თჳსავან ქართველთაჲ. საგონებელ არს, (sic) ვითარმედ სიშორისათჳს გზისა. და რომელ ფრიად საშიშ არს უცხო თესლთა. შორის კმელით ანტიოქიით ქარლს წაღებაჲ წრისა მიჰრონისაჲ: ამისთჳს თჳთაჲ დგინდა და წებებულქრის მათა კურთხევაჲ მიჰრონისაჲ»

(მართლწერა დაულოა ლდნისა შუად. ქ.-ცხ. I, 171.)

და შერმე შეფობდა მირდატ⁸⁶⁾
და მთავარ ებსკ⁸⁷⁾ სი იყო
გლონოქორ: და ესე მთავარ
ებსკ⁸⁸⁾ სი ერისთვადცა იყო
ბარაზბოდ ჰეტიანისსაგნ

ქართლს: და ჰერეთს: ⁸⁹⁾
და მისა შემდგომად შეფობდა
დიდი ვანტანგ: გოლგასარი:
და მთავარ ებსკ⁹⁰⁾ სი იყო
ბარაზბოდ ჰეტიანისსაგნ

შიც. ვითმე გრძელ სოსენს სომეხს პასუხს უგებს წინაშე ბაგრატ მეფისა (979-1014). და ეტყვის: «შეკურთვა ღმერთმან მაქილ ქართლის კზნი... (და) ქეთა განტონა იგი (მწვალებელი ჰეტროზ)... ნეტარმან მიქილ, და კრებულმან მისმან საღმრთომან უკეთური იგი დაქოლეს» (სამოთხე - გვ. 619—620; 632; იხილ. აგრეთვე ჩემი აღწერა წერა-კ. ხელნაწ. II, 31).

მაგრამ რადგან ათაბაგი არის მოხსენებული «დარბაზობაში» და სხეცა რამდენიმე ადგილად I დროს წინააღმდეგნი წეს-წყობილებანი, ამით საფუძველი გვეძლევა ვიფიქროთ რომ «დარბაზობაში», დროთა მიხედვით სხეცა-და-სხეცა ცვლილება უნდა შემოედოთ.

⁸⁶⁾ ქ.-ცხ. I, 110 მირდატ, ძე არჩილ მეფისა (434—466 წ.).

⁸⁷⁾ შუადარე ქ.-ცხ. I, 111. ბარაზბოდ (ქ.-ცხ. ბარაზბოდ) მამა საგ დ უხტიანსა ვაჟ-ტანგ I-ს ლდისა. გლონოქორ მთავარეპისკოპოს-ურისთავი ქ.-ცხ. არა სჩანს. «საჰი-ქორონიკს» გამოცემეში გადაჭრით სწერს, რომ ამ გვარ ეპისკოპოსნი, მმართველნი სასულიეროთა და საეროთაცა საქმეთა, იწოდებოდნენ ქორ-ეპისკოპოსად, ხოლო ვახუშტიო ქორიკოზბედო. სამწუხაროდ ესრეთის მსხვილის დასკვნისაგან. მწერილი-საფუძველიც კი ვერ შეუდგამს. ვაქვე ახტი დიდიხანა გამოუთქვამს ბროსესს (*Hist.-g.* I, 267, n. 5), მაგრამ შემდეგ მასვე საე-პეოდ დაუღვია (*Collection d' hist. armeniens*, 1874, t. I, 616—619). საბა-სულხან ფრბელიანი და ვახუშტიო ატარებდნენ ქორეპოპების მღვდელთმთავრობას. ვერ-ჯერობით ამ კვლევას გადაჭრული პასუხი არა ვაქვს.

⁸⁸⁾ ეს იოველ არა სჩანს ქ.-ცხ. ბარაზბოდში. რომელშიც მოხსენებულია, რომ მოიყვანეს საბერძნეთით მღვდელი ჰეშმარიტი სხეელიო მიქელს... რამეთუ მოზიდან ეპისკოპოსი გ. და ც. ვ. აღებულ ულ იყო. აქედან-საგოლის-ხმოა, რომ მოზიდანს შემდეგ ზედენ მქელ იქნა მთავარ-ეპისკოპოსად.— შესთანხმებულად ორივე მემბტიანეთა. ცნობათა ისე ქ.-ცხ. უნდა მივმართოთ: «ესე (მოზიდან) იყო სპარსი, აწენებდა იგი მართლ-მადიდებლობას, ხოლო იყო ენმე მოგვი უსჯულთა შემშლელი წესი და: ფარულად სწერდა წაგნებას ყოელისა საკითურებისაჲს. აქედან ნეტროზანობა: ვერ-სჩანს მოზიდანისი, არა»

ვახტანგ სპარსთა: და შემდეგ
დგომად რაოდენისამე ეამისა
მოიქცა: და მთავარების
გოპოსი⁹⁹⁾ იყო მოქაეფლ: ¹⁰⁰⁾

და მან მიათხზა ფერკი
პირსა მეფისასა: ვახტანგს:
მეფემან წარავლინნა მო
ციკელნი საბერძნეთა დო

მედ უფრო მოგვობა, ე. ი. ცეცხლ-მსახურება. შეიძლება ეს მატური განგებ იყო დაეყენებული სპარსთაგან საიდუმლო შემწედ მოგვთა მთავრის ბინჯარისა, როგორც სპარსთაგან იქნა დადგენილი ეპისკოპოსი გლონოქორ (შენიშ. 97). რადგან იმ დროს სპარსეთში გავრცელებული იყო მანიქეველთა მწვალებლობა, ამისთვის შესაძლებელია მოხილდნენ ყოფილიყო მანიქეველობის მოძღვარი და მოციქული. უნდა ვთქვათ, რომ როდესაც მოკვდა მოხილან, მაშინ ცხადად აღმოჩნდა მაცდურება მისი; ეკლესია იყო განსაცდელში; დასამზობელად ბინჯარისა და მოხილანის მატურებათა საგანგებოდ დაიბარეს მეციხური მიქელ, ხოლო მის მოსლვამდ შეიძლება დროებით დაეყენებინათ იოველ.

99) ცხოვრება ვახტანგ-მეფისა დაწერილებით არის მოთხრობილი ქ.-ცხ. I, 108—149. და იწყება ესრე: „ამბავი ვახტანგ გურგასლის მშობელთა და შემდგომად თვთ შისი“. თვთ ვახტანგის ცხოვრება დაყოფილია თორმეტ თავად და იმდენად განირჩევა დანარჩენ მატანი-საგან ენით და მოთხრობის ხასიათით, რომ ეს ნაწილი უნდა ცალკე წყობითსა გასართობ წიგნათ უნდა ყოფილიყოს შეთხუზული და შემდეგ შეტანილი მატანიშორს რამდენიმე ცნობების ამ მეფეზე, ბერძენის ისტორიაში შენახული, ეთანხმება ქ.-ცხ. მოთხრობას.—წა რაველენის ცხოვრებაში დაწერილებით მოთხრობილია ვახტანგ მეფისა და სპარსთა ბრძოლა, მაგრამ მემატანიე მაინც „ქართლის ცხოვრებაზე“ მივითითებებს, როგორც უფრო სრულ წყაროზე: „...და იხილნეს ურთიერთას ორთავე მეფეთა და დიდნი პურობანი გარდაიხილნეს, რომელსა იგი გვაუწყებენ ცხოვრებანი ქართველთანი“ (შოიძლ. № 170, გვ. 155). ჩვენის ქრონიკის ტექსტი, როგორც შედარებითად აღმოჩნდება, უფრო ახლოა იმ ცნობებთან ვახტანგ მეფეზე, რომელნიც შეტანილი არიან წა ნინოს ცხოვრებაში. იძულებით წარყვანა ვახტანგისა სპარსეთს სიყრმის დროს ძნელად დასაჯერებელია; ეს ამბავი მემატანიეთაგან მოთხრობილი უნდა იყოს იმ მიზნით, რომ არ დამდაბლდეს სახელი მეფისა, თვის ნებით აღმხედრებულისა შესაწყენელად უჩაჯულო სპარსთა, მით უმეტეს, რომ ვახტანგის შემწეობით სპარსნი მართლა განძლიერდნენ და დიდი განსაცდელი მიყენეს ბერძენებს და ქართველებსაც.

100) ქ.-ცხ-ბით (I, 144) საქციელი მიქელისა რყო შედეგი მოციქულების წარვლინებით: სა დაწესებისათს კათალიკოზობისა, რომლის შემდეგ უნდა დამციხრებულიყო მთავარ-ეპისკოპოსთა უფლებბა. ჩვენ მაინც არა ვხედავთ აქ დიდს სხვაობას ორივე წყარობისას, რადგან ჩვენი ქრონიკა გადაკრით არ ამბობს, რომ მოციქულების გაგზავნა შედეგი ყოფილიყოს მიქელის საქციელისა. შესაძლებელია და მისაღებიც, რომ მოციქულები წინეთაც გაეგზავნენ მეფეს, ხოლო ამ შემთხვევის გამო მეორედაც წარველინოს მოციქულები და ეთხროვოს გასამართლანება მიქელისა და დაუყოვნებლივ გამოგზავნა თხოვილის კათალიკოზისა. პლ. იოსელიანი შინ გვითხრობს (კრებ. გვ. 130), რომ სამუილმა (?) კრებით დაამხრო მიქელ და წარგზავნა იოსტანტინეოლოლ პატრიარქსა სრულ-ყოფად სასჯელისა; ხოლო პატრიარქმან ეპისკოპოსებითურთ წარსცეოა იგი მონასტერსა მღვდარეთასა („въ обители Невышайшихъ“ — *Acepetes*), რომელიც იმ დროებში დაფუძნდა პონტოს ზღვის პირზე აბბა ალექსანდრეს მიერ; ეს იყობა 472 წ.—ამ 1892 წ. მოსკოვში დაისტამბა წიგნი: „Иерархія восточной церкви Н. II“, რომელშიც იპოვება რამდენიმე ცნობებზე ჩვენის ეკლესიის იერარქიაზე. სწავთ შორის 18 წ გვერდზე ნაამბობია: „458 წლის ახლო დროებში კონსტანტინეოპოლის პატრიარქმა ანატოლიმ, იმპერატორის ლეონ დიდის ნებუფრთხობით და ვახტანგ მეფისათვის ეცხრათაში

ითხოვა მეფისაგან და ჰა
ტრეპისაგან კათალიკოზნი ¹⁰⁰)

II მან მოსცა ჰეტრს კათა
ლიკოზნი: და თანა ჰყვანდა
მას სამოველ მონაზონნი წ^ა და
ღირსნი და ადაშენა
ქუეზოჲ ეკლესიაჲ ვახტანგ
მეფემან. და დასუა ჰეტრს

კათალიკოზნი: და ესე იყო
ქართლის მოქცევითგან
:რო: წელსა: ¹⁰¹) მეფენი გარდა
ცვალებულ იყვნეს ათნი ¹⁰²)
და მთავარ ებისეჲ სსნი ათ
ცამეტნი ¹⁰³) ხოლო ჰირველი კათა
ლიკოზნი იყო ჰეტრს: ¹⁰⁴)

ამაზედ სინოდ. კანტ. გუჯარი № 286 მოგვითხრობს:

«ხოლო შემდგომად ეამთა რაოდენთაჲ იქმნა დიდი იგი და ყოველთა
მეფეთა უმეტეს სახელ-განთქმული ვახტანგ გორგასალი. ამან, აღმატებულმან
ყოველთა მეფეთა ზედა, აღაშენა ცათა მობაძევი დიდი ისე საყდარი კათო-
ლიკე ეკლესიაჲ და დაადგინა კათალიკოზნი მთავრად ყოვლისა ქრისტიანობი-
სა და მთავრად აუფლა ყოველთა ეპისკოპოსთა და ჰგის დასასრულამდე
ეამთა».

დააყენაო დამოუკიდებელი მთავარ-ეპისკოპოსი ნეტარი პეტრე, კათალიკოზობის ხარისხით,
რომელიცა 488 წ. ახლო ხანებში იცნო (ამ ხარისხით) ანტრიოქელ პატრიარქმან პალაღიმ.
მცხეთელ კათალიკოზნი 542 წლამდე დამიტკიცებოდენ ინტრიოქელ პატრიარქთაგან, ხოლო შე-
მდეგ ამისა ივერის ეკლესია ცნობილ იქმნა „აუტოკეფალურად“ ანუ დამოუკიდებლად მეფის
იუსტინიანეს ქარტით და პატრიარქის მინაჲს ნება-დართვთ და ყველა აღმოსავლეთის პატრი-
არქთა თანხმობით. განაჩენი ესე დაამტკიცა მეექვსე მსოფლიო კრებამაო.—545 წლამდე
მცხეთელ კათალიკოზნი იყვნენ ტომით ბერძენნიო“, ხოლო შემდეგ ქართველნი.

¹⁰⁰) ჩვენის ანგარიშითა (325+170)= 495 წ.; ვახუშტით (317+170)=487 წ. პლ.
ოსელიანით ეს მოხდა 472 წ.; ხოლო დავით რეკტორის სიით 473 წ. პეტრე † 500 წ.
პლატ. იოსელიანით, ხოლო დავით რეკტორის სიით—499 წ.

¹⁰¹) ა) მირიან, ბ) ბაქარ, გ) მირდატ, დ) თრდატ, ე) ვარაზ-ბაქარ, ვ) ბაქარ, ზ)
ფარსმან, ც) მირდატ, თ) არჩილ, ი) მირდატ. აქედამაც საგონებელია, რომ თარდატ და ქ.-ცხ.
თრდატ (ტირდატ) ერთი და იგივე პირი უნდა იყოს (შენიშ. № 81). საყურადღებოა, რომ
რევი, ძე მირიანისა, მეფედ მოხსენებულა. შოთბ., გვ. 361: „და ზოცდა ძე მისი რევი, სიძე
თრდატ სომეხთა მეფისა, რო მლისადა მიეცა (მირიანს) მეფობა სიციოცხლესა-
ვე მისსა“. შეიძლება ჩვენს ქრონიკას მირდატის მაგიერ (რომელიც არ არის მოხსენებუ-
ლი) რევი ჰყავდეს სახეში.

¹⁰²) ა) იოანე, ბ) იაკობ, გ) იობ, დ) ელია, ე) სვიმონ, ვ) იონა, ზ) იოანე?, ც)
გრიგოლ, თ) ბასილი, ი) მობიდან, ია) გლანოქორ, იბ) იოველ, ივ) მიქაელ.—შეად. ქ.-ცხ.
I, 145—146.

¹⁰³) პეტროს Хронол. М. Айриванскаго, стр. 347; პ. იოსელიანით 472—500 წ.
ხოლო დავით რეკტ. სიით 473—499 წ.

ამაზე საეკლესიო შუბ. ხელნაწ. მოგვითხრობს:

«ხოლო შემდგომად მირიანისა მეათე მეფე იქმნა ვახტანგ გორგასალი; და ვიღრელა ყრმა იყო, იძულებით სპარსეთად წარიღდა და ქრისტეს სარწმუნოებაჲ კეთილად დაიცვა, და შემდგომად რაოდენისამე ჟამისა მოიქცა და მან შინ ჟამსა მას იყო მიქელ მთავარ-ეპისკოპოსად და დააჯერეს, ვითარმედ ვახტანგ ქრისტიანობა დაუტევავო. ხოლო მან ირწმუნა, და მირაჲვიღოდა რა ვახტანგ მოკითხვად მისა, ფერკი შეჰხარა და კბილნი შელეწნა. ხოლო მეფემან ვახტანგ სიმშვიდით ღთისათჳს დაითმინა იგი და არა რაჲ ბოროტი შეამთხვა. გარნა გაგზავნა მოციქულნი საბერძნეთს და ითხოვა მეფისაგან და პატრიარქისა კათალიკოზი და მათ წარმოავლინეს პეტრე კათალიკოზად. ხოლო ვახტანგ აღაშენა ქუტმოჲ ესე დიდი ეკლესია და დასუა მას შინა პირველად კათალიკოზად პეტრე ღირსი და მდაბალი და დაამდაბლა პატივი სამთავროსა.

ამან ვახტანგ აღაშენა ტფილისი, და მცხეთა ქალაქი მუნ მისცეალა. ამანვე დაიმორჩილნა ოგსნი და ყიფჩაყნი და შექმნა კარნი ოგსეთისანი და აღაშენა მას ზედა გოდოლი და დააყენა მას ზედა მცველნი მახლობელნი მის ადგილისანი და უწოდა მას კარად ღაღაღაღას, და აწ თჳნიერ ბრძანებვისა მეფისა ვერ კელეწიფების გამოსლვად ოგსთა და ყიფჩაყთა. ამანვე ვახტანგ სძლო სპარსთა და დაიმორჩილნა, რამეთუ იყო საზარელ და გოლიათ და განთქმულ ყოველსა ქუტყანასა. რამეთუ იყო სიგრძე მისი თორმეტი მტკაველი და აწცა საცნაურ არს იგი სამოსღისა და ახურისა მისგან. ხოლო იყო ფრიად შემეკულ ღვთის მსახურებითა დიდი ვახტანგ.

ხოლო მიიკლა იგი სპარსთა ბრძოლასა შინა მონა-ყოფილისაგან მისისა, რამეთუ იცოდა განახევი ჯაჳჯსაჲ ღლიასა ქუტშე; და აღიპყრა რა კრძალი თჳსი, რათა სცეს კაცსა სპარსთაგანსა, მონამან მან ბოროტმან ჰკრა ისარი ღლიასა ქუტშე და მით მიიკლა და ქრისტესთჳს იწამა ქრისტეს მოყუარე იგი მეფე და არს საფლავი მისი წინაშე სუტისაჲ ცხოველისა. — ხოლო შემდგომად მისა მოიწივნეს სპარსთაგან ქართველთა ზედა დიდნი ქირნი... »

№ 160, გვ. 341—344; № 170, გვ. 363. (შოთ-მღვ. ხელნაწ.)

ქ.ს.ა: 466: დასაბამითაჲ; ხვლთ: ვახტანგ გორგასალი: მიიცივალა
(აფხაზთა მეფეთ ქრონიკიდაჲ).

„ქართლის მოქცევის“ ჩვენებით ვახტანგ ცოცხალი იყო 170 წ. წ. შემდგომად ქართლის მოქცევისა, როდესაც მან დააარსა კათალიკოზობა, ე. ი. 325+170=195 წ. მატანებისაგან სჩანს, რომ ვახტანგს ამას შემდეგ დიდი ხანი არ უცხოვრია. ვახუშტი გვიჩვენებს 499 წ. არეული ჩვენება უნდა წარმომდგარ იყოს ან იმისგან, რომ „ქრონიკონი“ დაწერილა მე XIII მოქცევაში, დასაბამიდან 669 წ., რომლისაგან გამოვირცხავთ რა 508 წ. და კიდევ ერთს სრულს მოქცევას, ე. ი. 532 წ. (რადგან სიკვდილი ვახტანგისა წარსულს მო-

ქვეას ეკთონის), დაგვრჩება 499 წ.;—ან-არა-და შესაძლებელია გადამწერს არეოდეს ანგარიში ასის წლით, და მაშინ გამოგვივა 403+100=503 წ. *). იხ. *Hist. g. I, p. 160, 176; 193.*

და ამისა შემდგომად მეფობდა
დაჩი უქარმელი: ¹⁰⁵) და კათა
ლაკოზი იყო სამოველ. ¹⁰⁶) და
მისა-ზე ტფილისს კაცნი დას
ნდებოდაეს და (მათ) წმიდაჲ ეკლესი
აჲ აღაშენეს ¹⁰⁷) და კათალი
კოზი იყო პეტრს ¹⁰⁸)
და ამისა შემდგომად მეფობ

და ბაკურ ძს დაჩისი: და
კათალიკოზი იყო სამოველ ¹⁰⁹)
და მისა შემდგომად მეფობდა
ფარსმან და კათალიკოზი
იყო: თავუფანაგ: ¹¹⁰) და მისა
ზევე ჩიმაგა: ვ: ¹¹¹) და მისა-ზევე
სპარსთა მეფობაჲ მცხე
თად მოვიდა და შეაშეო.

¹⁰⁵) დაჩიზე ქ.-ცხ. I, 146. დაჩი ვახუშტით 199—514 წ.

¹⁰⁶) სამუელ Хрониог. М. Айриванскаго. დავით რეკ. სიით დაჯდა 499 წ., ხოლო შემდეგი კათალიკოზი თავუფანაგ დაჯდა 541 წ. პ. იოსელიანით სამოელ ჰმაზთიდა 500—526 წ.

*) ჩვენი ფიქრები ამ წელთ-აღრევის ასახსნელად შემდეგ ციფრებში გამოიხატება: ა) 6539—5601=938; აქედამ რომ გამოვიტხოთ XII მოქცევა, ე. ი. 780 წ., დგვარება 155, ე. ი. ნაჩვენები ქრწნი. ბ) 6539—5508 (ბერძული ანგარიში)=1031; 1031—780=251; 251+24 8(XI მოქცევა)=199 წ. გ) 780—135=625; 625—248=377; 377+155=532 (სრული მოქცევა); დ) 155+780=935; 935—532=403; 403+96 (ამ რიცხვით სხვაობს ჩვენი თვლა ბერძულისაგან)=199 წ. ე) 6539—(532+5508)=199 წ.; ვ) (155+248)=403; 403+96=199 წ.—ჩვენს ანგარიშებში ეტვი შემოაქვს მხოლოდ იმ გარემოებას, რომ ქრონიკაში ხმარებულია ქართული ანგარიში (დასაბამითგან 5604 წ.) და არა ბერძული (5508 წ.) თუმცა ესეც რამდენადმე აიხსნება მით, რომ ქრონიკა გადაწერილია მე-XIII მოქცევის დღიდან (როდესაც ქართული ანგარიში იხმარებოდა) მე-XIV მოქცევაში, როდესაც შემოღებული იყო ბერძული ანგარიში.

¹⁰⁷) ამაზე ქ.-ცხ. (გვ. 150) არას ამბობს.

¹⁰⁸) ძნელი სათქმელია, ეს იგივე პეტრეა, თუ სხვა. ამ პეტრეს შემდეგ ისევ სამოელია მოხსენებული. ნუ თუ ეს გარემოება მომასწავებელია ამ პირთა შორის ამბობებისა? სხვა არტერთს წყაროებში არ არიან მოხსენებულნი ორ-ორი საშუილო-პეტრეები ზედი-ზედ, ერთი მეორეს შემდეგ. მიქელის განდევნის შემდეგ სამოელ იქმნა მთავარეპისკოპოსად, ხოლო პეტრე—კათალიკოზად, და შესაძლებელია მთავარეპისკოპოსობას წინანდელი უფლება უბრძოლველად არ დაეთმოს კათალიკოზისათვის.

¹⁰⁹) იხ. შენიშ. № 95. ქ.-ცხ. I, 150. ბაკურ ვახუშტით 514—528 წ.

¹¹⁰) მეხითარ არევენელისა „ტაქეჯან“; დავით რეკტორის სიით თავუფანაგ დაჯდა 541 წ. (511—542 წ.), ხოლო პ. იოსელიანით 524—545 წ. მეფე ფარსმან ვახუშტით 528—542 წ.

¹¹¹) სიტყვა „მისა-ზევე“ აღნიშნავს მისს (ფარსმანის) მეფობაზევე. ასო :ვ: აღნიშნავს, რომ ჩიმაგა არის მეექვსე კათალიკოზი ჩვენის ქრონიკისა, ხოლო ქ.-ცხ. მეოთხე (I, 150). დავით რეკ. სიით „ჩიგირმან“ დაჯდა 542 წ. და მოკვდა 555 წ. პ. იოსელიანით „ჩიგირმან“ 545—550 წ. მეხითარ პირივანელით „ჩიგირმან“.

თა: ქართლი და ქალაქნი და წარვიდა: ¹¹²⁾.

და მისა შემდგომად მეფობდა ფარსმან: სხვა: ¹¹³⁾ და კათალიკოზნი იყო დასაბია: ¹¹⁴⁾ მკვდრი მცხეთელი: და აქამთგან

ორთა სახლთა ადიდეს კათალიკოზობამ მცხეთელთა მკვდრთა: ¹¹⁵⁾ და მისვე მეფისა ზს: კათალიკოზი იყო ევლალს ¹¹⁶⁾

¹¹²⁾ ვახუშტით 536 წ. სპარსეთში მეფობდა ხოსრო ნუშირვან დიდი 531—579 წ. და საბერძნეთში იუსტინიანე დიდი 527—565 წ. ქ.-ცხ. I, 150. ვახუშტი ბაქრ. გვ. 103.

¹¹³⁾ ვახუშტით 542—557. გამეფება ამ ფარსმანისა ქ.-ცხ. I, 159; ეს მოხდა 200 წ. შემდეგ მირიანის სიკვდილისა (200+312=512 წ.).—ზოიძე. № 170, გვ. 66: „ოროსიოდენ წყლნი გარდასულიყვნენ მოქცევით მათითგან“ (ქართველთა) ასურელ მამათა შემოსლვამდი.

¹¹⁴⁾ დასაბია უნდა იყოს საბა ქ.-ცხ. I, 151. მეხითარ აირივანელით „აბბას“ „მკვდრი მცხეთელი“ და არა ბერძენი, როგორც აქამდინ იყო: „აქედგან არღარა მოიყვანდიან კათალიკოზსა საბერძნეთით, არამედ ქართველნი დასდებოდეს, წარჩინებულთა ნათესაენი“. ქ.-ცხ. საყურადღებო ვარიანტით ეს უფლება მონიჭა ჩვენს ეკლესიას მეფე იუსტინიანემ (I, 151). საბა 555—560 წ. დაეთ რეკტ. სიით, და 550—545 წ. (?) პ. იოსელიანით. იუსტინიანესგან ქართველთაგან კათალიკოზის აღრჩევის ნება-რთვა მოხდა 549 წ., საბას დროს (*Hist. G. I, 202, n. 6*). საბას შემწეობა აღმოუჩენია იუსტინიანე მეფისთვის ტასკუნთა წინააღმდეგ (აბზახთა მოსახლერენი?): „იუსტინიანოს მეფე ბერძენთა ჰბრძოდა კერძოთა ოცხეთისათა საზღვარსა ავაზიგ იასსა; ნათესაესა ტასკუნთასა, რამეთუ ექმნა მათ განდგომილება. მაშინ მოუძღვნა ნიჭი დიდი იუსტინიანოს ფარსმან ქართველთა მეფესა და ევედრა, რათა შეეწიოს მხედრობასა მისა ყოვლითა ძალითა თვისითა და ბრძოლა უყოს ტასკუნთა. ისმინა უკუტ ფარსმან ევდრება ბერძენთა მეფისა და დაუტრევა ევავრ მკველსამეუფოსა თვისსა... და დაიმორჩილა ნათესავი იგი ტასკუნთა და მთავარი მათნი ყოველნი შეპყრობილნი წარაულინა წინაშე იუსტინიანესა“. აქ მოხსენებული ევავრე მხენე და გამარჯვებული სპასეტი“ იქმნა მოწაფედ წაა ზოისი (ეკლ. მუხ. № 170, გ. 78 497—188 იხ. ისტორია ბაქრად გ. 182.—546 წ. ალექსანდრიელთ დააწესეს ზუთასეული ინდიკტონი, რომელიც ქართველთა მივიდეთ. **АСОГИКЪ, стр. 333.**

¹¹⁵⁾ ნუ თუ პეტრე და სამოელ კათალიკოზების შთამომავალთა? (იხ. შენიშ. № 95) იმ დროინდელ წესის მიხედვით და სომეხთა კათალიკოზების მიხედვით შესაძლებელია ზოგი ჩვენი კათალიკოზებიც ცოლსაწინა ყოფილ-იყვნენ.

¹¹⁶⁾ ევლალს ანუ ევლავიოს ქ.-ცხ.-ით და ასურელ მამათა ცხოვრებით (№ 170, 66—69. 496—497). მეხითარ აირივანელით „ელტა“. თუმცა ჩვენს ქრონიკის მე-X საუკ. ეტრატში სწორია ევთათს, მაგრამ ჩვენ მინც დავსვით ევლალე, რადგან ასინი „ლ“ და „თ“ იმ ეტრატში ძალიან ჰგანან ერთი მეორეს. „ევლავიოს“ უნდა წარმომდგარიყოს „ევლალე“-საგან ბერძელის დაბოლოების „იოსის“ მიმატებით (იხ. „აღვადგინე“ მ. ჯ. გვ. 64).

ევლავი დ. რეკტ. 550—572 წ. და პ. იოსელიანით 545 (თუ 555)—565 წ.

ევლავიოსამდე ქ.-ცხ.-ით (I, 159) გადაცვლილან ექვსნი კათალიკოზნი, ხოლო მარიამ დედოფლის ქ.-ცხ.-ით კათალიკოზნი გარდაიცვალნენ (ვახტანგისითგან) რვანი. უკანასკნელის თანხმობა ჩვენს ქრონიკასთან საყურადღებოა.

ხოლო აზხაზთათჳს. ევაგრა ეაიფანენი. საეკლესიოსა მოთხრობასა შინათჳსსა აღწჳრს ოცდაეგორებას თჳსა. შინა და იტჳს მსკმთ *): —

მათვე ეამთა შინა ისტჳნიანეს (sic) მეფობისათა აფხაზნიცა შეიკვალნეს უმჯობესად. და ქრისტიანობისაჲ შეიწყნარეს ქადაგებაჲ: რამეთუ პალატსა შინა იუსტინიანე მეფისასა. იყო ვინმე საჭურისი. აფხაზი ნათესავით. და ეფერატა სახელის დებით. რომელი წარივლინა მეფისა მიერ ქადაგებად მათდა და აღ-
თქუმად: ვითარმედ ამიერივან. არცა ერთილა ვინ ნათესავისა მათისაგანი გან-
კუტსულ იქმნეს მამაკაცობისაგან. რკინისა მიერ იძულებითა ბუნებისადაჲ: რა-
მეთუ მრავალნი იყვნეს მათგანნი. მსახურ სამეფოფოასა საწოლისა. რომელთაჲ
საჭურის იცის წოდებაჲ ჩუსულებამან: ვინამცა იუსტინიანე ტაძარი წმიდისა
ლუთისმშობლისაჲ აღაშენა აფხაზეთსა შინა. და მღღელნი დაადგინნა მას ში-
ნა. რათა უგანცხადებულესად ასწავებდენ შჯულსა ქრისტიანობისასა: —

ესე მცირედნი სიტყუანი ვითარცა თესლის მკრებლმან. მიმოგანთესულნი წმიდათა წერილთაგან ერთად შემოვკრიბენ. გერჩინებითა შენითა კაცო ღუთისაო: რომელმან ეგე უწყი ვითარ მრავალნი მრავალგზის ამთ პირთა-
თჳს გუჯითხვიდეს: და დაპბრკოლდებოდეს ჩუსნთჳს უმეტრებით: ვითარცა თჳთ განდგომილთა საყდრისაგან დიდისა პეტრე მოციქულთა თავისა: რომელნი კუალად გულსავეს ეყნა და აღაშენნა ესე ვითართა თხრობათა ზოგნი-
თა. ზოგად საფარველმან და თავსაკიდურმან ყოველთა აღშენებისა და დაშენები-
სამან ქრისტემან: რომლისა მიერ არსმცა და ჰვიეს მარადის. საფარველსა ზე-
და მართლ-მადიდებლობისა მისისასა. ვიდრე მოაქამდე უცვალვებულად და-
ცვული ნათესავი ჩუსნი: რომელთა წილ კეთილ ხუდეს რჩეულთა შორის. საწამებულად მართლ-მადიდებლობასა შინა განთქუმულებისა. წმიდანი ტაძარნი წმიდათა შინა ადგილთა: ადგილი თხემისაჲ. და ქუაბი ბუთლეჲსაჲ: ქუაბითურო სხაწმიდისაჲთ. და თორნი თჳმონ წმიდისაჲთ. იყვნედ ესენი მათდა კბე და წინდ. საუკუნოასა ზეცისა სავანეთა მკვდრობისა. მეოხებითა ყოვლად წმიდისა ღთის მშობლისაჲთა. და ლოცვითა და ვედრებითა უცხოთ შემწყნარებელისა მაგის. და მგავსად ღუთისა უძლორებათა ჩუსნთა მტკრთველისა. წმიდისა სჳმონ საკირველთა-მოქმედისა. და ღირსისა დედისა მისისა მართამსითა: რომელთა ოხაჲ და ფარვაჲ შენ და ყოველთა რომელნი ჰმსახურებენ და უმსახურებია წმიდისა მაგის ეკლესიისადა. და სიტყუთ გინა საქმით მოღუაწე ექმნეს მოგუ-
ბისაჲს ამის წმიდისა (ად)გ(ილი)სისა **): ხოლო მე ლოცვითა თქუსნითა მოტევე-
ბაჲ და კსნაჲ პატრიისაგან ურიცხუთა ბრალთა ჩემთაჲსა: დიდებაჲ და პატივე:

*) შეადარე *Dubois, Voyage autur de Caucase, I 229—230.* ქ-ცხ. I, 159.

**) აქ მოხსენებული წა ადგილები ქართველთაგან მოპოვნილ და აღშენებულ უნდა ყოფილიყვნენ მე-V—VII საუკ. და შეიძლება უმეტეს აღშენებულებიყვნენ შემდეგს საუკუნეებში. სვიმონ-წმიდის თორნიეში (ზიო-მღვ. № 170, გვ. 61) დამკვდრებულ იყვნენ ქართველნი,

ნაწყუნის ცემა და მინდობი: დასაბამსა და სრულყოფილსა ცოცხლისა კეხილით
სასა. მამასა და ძესა და წაახულსა. დაუსრულებელითა დასრულებითა უკეთესად
(წერილი ეფრემისი; გაგრძელება მე 37 გვერდისა).

«სრულ იქმნა ესეცა ქართველთა ოდეს მოქცევისა მოსახსენებელი თვით
ლიონისა ეფრემის ნუსხისაგან»:—(ეს წარწერა ამ საკითხავს ზედვე მოსდევს ზღაწაწერის
მე. XII—XIII საუკუნისას. იხ. საველ მეზ. № 24).

გაშინ: მოვიდა: ნებარი იოვანე

ზა ზადენელი: მუვა
მდინარით ასურეთისადა.

იგი და ათორმეტნი მოწა
ფენი მისთანა მოვიდეს.

ქვეს აქეთ 534 წ. კრება ღვინს იყო ქრისტესით: ფლთ: ა. ქვეს აქეთ
წ 42 წ. «მეორე (კრება) ღვინსავე ქრისტესით: ფმბ: განიყენეს ქართველთაგან
სომეხნი სარწმუნოებითა და იქმნა ცილობა მათ შორის».

ეს ორადეე ცნობები წარწერილია წ. გ. სასოგადოების სელ-ნაწერის № 184
არქივში; ცნობები ეგუთუნის ისტორიკოსის კახუშტის. — დადგან ეს ცნობები მკვლად

და შესაძლებელია იქიდან მოსრულნი წმიდა მამანი ასურელი, თუ არ ყველა, რამდენიმე მაინც
ქართველი ყოფილიყვნენ, ან ქართულის ენისა მოღვინნი (№ 170, გვ. 67). — პიპინტის ტა-
ძარხი იხ. ბაქრაძეს ისტორია, გვ. 181. — იქვე პროკოპის თქმულება აბაზეთზე გვ. 180—181.

117) მსხვილ ასოებით დაბეჭდილი წითელ მელნით არის დედანში დაწერილი. შიომღვი-
მის ზღაწაწ. № 170 გვ. 67: „ათორმეტთა ძამათა სახელები (რომელნი შთაუღდა წა იონე ზედაზნულს
ქარტასა ზედა დაწერილი ანგელოზმან)... 1) შიო (მღვიმელი), 2) დავით (გარეჯელი), 3)
იოსებ (ალავერდელი), 4) ანტონი (მარტყოფელი), 5) თეოდოსიოს, 6) თათა (მამებელი?) 7)
პიროს (ბრეთელი), 8) ელია (დიაკონი), 9) პიმენ, 10) ნათან, 11) აბიბოს (ნეკრესელი), 12)
იოანე“ (ხოლო მეცამეტე თვით ზედაზნელი). მეორე ადგილას ამით გარდა ჩამოთვლილი,
(გვ. 23): სტეფანე ქისიყელი, ზენონ იყალთოელი, ისე წილენელი, თათა სტეფან-წმინ-
დელი (თუ მამებელი? დავით რეკტ. სიით „თადე“), ისიო დორე სამთავნელი, მიქაილ
ულუმბელი. სიანს აქ უმეტესია ჩამოთვლილი. არსენ კათალიკოზი გვანებ ამას გვიხსნის, რო-
დესაც იტყვის: „წაასა მამას იოანეს თორმეტნი მოწაფენი შუამდინარით მოყუნეს და სხვანი
აქა (საქართველოში) დაემოწადეს“ (№ 170, გვ. 23). დ. ბაქრაძეს ისტორიაში სრულად
და სწორედ არ არის ჩამოთვლილი (გვ. 182). ვახუშტი გვ. 104.

წა იოანე ზედაზნელის მოწაფითურთ წარმოსლვა და დამკვდრება საქართველოში მოხ-
და № 41—57 წლებში, როდესაც საქართველოში მჭინვარებდენ სომეხის მონოფიზიტი. ევ-
ლესია ქართველთა საშვის მღვდობარობაში იყო და ამ გარემოებაში, ჩემის ფიქრით, გამოიწ-
ვია ასურელთ მამათა თავანწირობა და წამოსლვა დასაცველად ჩვენის სჯულისა მწვალებელ-
თაგან. ჰერეთში არც ერთი ასურელთაგანი არ დაემკვდრა; ამ გარემოებაში ჩვენ საფუძველს
ეკოულობთ დავესკვნათ, რომ მოსლვა წმიდათა მამათა მოხდა 550—557 წლებ შუა, შემდგენ
ჰერეთის კათალიკოზის (აბაზის?) განდგომისა და პირველის ღვინის კრებისა 549 წ.

კანსმება სიამუნთა და ქართულ წყაროებს; ამისგანმო ჩვენ ვიგეობით, რომ აქან იგეგ
ათ-წლოვანა მეტროს უნდა იყოს, რომელიც წარმოსდგა 1189, 1201, 1237 წწ.
ქვეს ნაწიკებს განუმოებათაგან, და სემოსსენებული ქართლიკონები უნდა გვიგეგებდეს
(539+10)=549 წ. და (542+10)=552 წ. შესილბედათა გაიგეგობით, რომ
განსუტი ამ ცნობას აიგეგებდეს ასისენ კათალიკოსის ცნობას, რომელიც მეორე
დგინის ვრებას გვიგეგებს მეათათსმეტე წელს იესიტინანე მეფისის (527+14), ე. ი.
551 წ. და მეორე წელს სვასრო მეფისის.

და მისა შემდგომად მეფობად
ბაკურ¹¹⁸⁾ და კათალიკოზი იყო.
მაკარი:¹¹⁹⁾ და მისა ზევე ვარ

სქენ შიტიანში იყო: და
შუმანიკ იწამა ცურტავს¹²⁰⁾.
და მისა შემდგომად კათალი

¹¹⁸⁾ 557—570 წ.

¹¹⁹⁾ მაკარი ვახუშტ. 105; ქ. ცხ. გ. 160—161, შიო-მღ. № 170, გვ. 79.,
დავით რეტკ. სიით მაკარი სცხოვრობდა 572—581 წლ. ხოლო პლატ. იოსელიანით 565—580.
არკურთის ის ცნობები არ ეთანხმება ქ. ცხ., რომელიც მოწმობს, რომ მაკარი მოკვდაო ბა-
კურის დროს.—მეხითარ აირივანელი მაკარი იყო შემდეგ „შეჩვენებულის“ კურთხონისა
(სვიმონ პეტრე?). საყურადღებოა, რომ მაკარი უკნ სჩანს შიოს სცხოვრებაში ცოცხლად: „მი-
ნიკა უკუტ (მეფემან ფარმან შიოს მონასტერს) ოთხნი რჩეულინი სამეფოთა და ბათა-
განი, დაწერა კელითა თვისითა თვისუფლება მათი და მისცა ვეგარის ოც-დაათი ლიტრა
ოქრო ეკლესიათა მათათჳს საკრად, ბარძიმი ოქროსა და ფეშუმი და სხვა ყოველი სამსა-
ხურებელი ვეცხლისა, ჯუარი დიდი ოქროსა და სახარება ფრიალ შუტნიერად შემ-
კობილი სანატრელისა მეფისა ვახტანგის მიერ... და კათალიკოზსა მა-
კარისა აუწყა ყოველი, რაჲცა ეხილვა და ეუწყა შიოსაგან“ (№ 170, გვ. 79).

¹²⁰⁾ ვახუშტის ისტორიის ერთს ხელნაწერზე (წ. კთხ. № 186) წარწერილია არშაიზე
ვახუშტის შინიშნა: „დედლოფალი შუშანიკი შუნიწირა ვახტანგისაგან, აღარნა-
ცეს მამის მეფის ბაკურ ხოსროიანისა, წელსა 542“. (თუ 552 წ.?).

შუშანიკზე ცნობები იხ. ბაქრაძის ისტ. გვ. 175—176. სომეხთ მემბრანე ჰარბეცი შუ-
შანიკის წამებას დასდებს 458 წ. ვახტანგ მეფის დროს. იხ. „სამოთხე“ საბინინსა გვ. 192 სადაც
განმეორებულია მეტაფრასის მწერლისაგან იგივე აზრი. ხოლო ქ. ცხ. გვ. 160 და ჩვენი ქრო-
ნიკა თანხმად მიაწერენ ბაკურის დროს. ბაქრაძეც ვახტანგის დროს მიაწერს. მაგრამ ცხადია,
რომ განსვენებული არქეოლოგი შეტდომში შეუგვანია ანუ ანტონ კათალიკოზის მარტირიკას,
ან საბინინის „სამოთხეს“ (გვ. 192), სადაც მოთხრობილია დ. ბაქრაძეს მიერ განმეორებული
(გვ. 175) ვახტანგ მეფისაგან ვარსკენისადმი შურისძების ამბავი (არა სჩანს საიღამ ამოღე-
ბული), რომელსაც ქ. ცხ. ბაკურის მიაწერს, ამისთვის რომ, წინააღმდეგ მისის ჰაზრისა, შუშა-
ნიკის მარტირიკაში სრულიად არ მოიკოვება ხეობსენებული ამბავი ვახტანგისაგან
შურისძიებაზედ (იხ. შიო-მღ. № 170, გვ. 130, აგრეთვე № № 175, 134). ანტონ კათალი-
კოზი სომხურ წყაროებიდან ამოიღებდა ამ ცნობას. აქიდან უნდა წარმომდგარ იყოს შეტდო-
მა.—რომ ვახუშტის ქრონიკა შუშანიკის წამებაზე 552 წ. სარწმუნოა, ეს იქილამაც სჩანს, რომ
არსენი კათალიკოზი (X საუკ.) მოგვითხრობს, რომ „მოსე ვისკოპოზი ცურტავისა (განდე-
ნილი 552—558 წლებში) დაეღინაო (ეპისკოპოსად) წმინდასა შუშანიკს“.—ვერც აღვილად

კოზი იყო სამოკველ: ¹²¹) და | შერმე სი(მ)ონპეტრე ¹²²) და მის

შესათანხმებელი ვახტანგის ძლიერ მეფობასთან მაგ მეტაფრასში აღწერილი ამბები, ხტკი ბაკურ მეფის დრო საეცა სპარსთაგან დევნულების ამბებით. მის დროს სპარსთა გააუქმეს მეფობა საქართველოში, გასრისეს სომხები და მძლავრობდენ ერეკლე მეფის შემოსლვამდე. ამ დროებშივე ეწანენ წა აბიბოს ნეკრესელი და ეესტაე მესეთელი. ყველა სამთა წამება მომხდარა სამოელ კათალიკოზის დროს, რომელიც შუშანიკის წამებაში წოდებულა „თავად ეპისკოპოსთა“ (№ 170, გვ. 128), ხოლო „სამოთხეში“ (შუშანიკისავე ცხოვრებაში) „სამოელ პირველი კათალიკოზი“. საყურადღებოა ისიც, რომ სამსაე მეტაფრასში მეფეები არ იხსენებინან, არამედ „პატიახშები“, მარხაპანები და მამასახლისები. ეესტათეს ცხოვრების არშუშა ქართლისა პატიახში“ ქრისტიანია, ხოლო ვარსკენ წოდებულა „მედ არშუშასა“ (გვ. 122). ეესტათეს წამება მოხდა 589 წ. („სამოთხე“ გვ. 112), ხოლო ბაქრაძეს ისტორიით 600 წ. უკანასკნელი აზრი დაფუძნებულია ეესტატის მეტაფრასის ჩვენებაზე მისის წამებისა „წელსა მეათესა ხუაროს მეფისასა“ (590+10=600 წ.). მაგრამ ხუარო 590 წლმდისაე იყო მპყრობელი რან-მოვკან-საქართველომასა; ამის ოსტატობით გაუქმდა ქართლის მეფობა (ქ.-ცხოვ. I, 152), და განძლიერდენ სპარსნი საქართველოში მისის გამეფებამდევე. ამისთვის ჩენ საეკვოდ მიგვანჩია 600 წ. და ვგონებთ, რომ მეტაფრასი გვიჩვენებს მეათე წელს ხუაროს რან-მოვკან-ქართლის გამეგობისას, როდესაე „ეყრა უფლება ქართლისა აზნაურთა“ და „სპარსნი უფლებდეს ქართლს, კახეთს, ჰერეთს, სომხოსს, სივნიეთს, ასპორაგანს“ (ქ.-ცხოვ. I, 142; გახუშტ. გვ. 106).

სპარსთა განძლიერება მოხდა 570—575 წლებ შუა, ან ცოტა ადრე (იუსტინიანე I-ის სიკვდილიდამ, —+ 565 წ.). ამ წლებ შუა (570—575) უნდა წამებულყოფს წა აბიბოს ნეკრესელი, ამისთვის რომ მის მეტაფრასში მოთხრობილია: „ღლდაკაცსა მას უწინასწარმეტყველა შემდგომად მისსა (აბიბოსის სიკვდილისა) მოსლვა ბერძენთა და დაპყრობა ქვეყნისა ამის ჩენისა, რომელიცა ძგი იქმნა მსწრაფლ: მისავე დედაკაცისაზე მოვიდეს ბერძენნი და განასნეს უსჯულონი იგი სპარსნი და დაიპყრეს ქტყანა ესე ჩქში, მიერთვან ერისთავნი იქმნეს მპყრობელ ქართლისა“ (შოო-მღვიმელი № 170, გვ. 96). ეს საყურადღებო ცნობა აესებს ქართლის-ცხოვრების ცნობებს და შუქსა ჰელენ ბელს ამბებს აღმოსავლეთის ისტორიისას. აქ მოხსენებული ბერძნის მეფე იყო იუსტინე მეორე (565—578 წ.), რომელიც მართლა ებრძოდა სპარსელებს (იხ. გახუშტ. გვ. 107 და შენიშევა ეახუშტისა და ბაქრაძისა). ამ დროებშივე უნდა ეყთონდეს წა ეესტატეს წამება, რადგან გვარამის გამეფებდამ საქართველოში სპარსნი ისე ეერ მძლავრობდენ, როგორც აღწერილია მის მეტაფრასში, ხოლო იმპერატორი მეორე (582—602 წ.) და ხუარო მეგობრები იყენენ 602 წლამდე. რომ ზემოხსენებულთა მოწამეთა სიკვდილი ამ უბედურს დროს ეკეთენის, ამას ჰმოწმობს თვთ მატინე ნინოს ცხოვრებისა № 170, გვ. 363—364 (შეადარე № № 130, 160 და „სამოთხე“ საბინისა) რომელშიაც მოხსენებულია: „ხოლო შემდგომად მისა (ვახტანგ გორგასანისა) მოიწიენეს სპარსთაგან ქართველთა ზედა დიდნი პირნი, და ფრიადნი სულნი მოსწყმინდეს და მრავალნი იწამეს ქრისტეს სახელისათვის; რომელთა ანამე წიგნი აღიწერეს და რომელთანიმე დაშთეს აღწერილად“...

¹²¹) სამოველ სვიმონის წინ სხვა წყაროებში არა ხსანს.

¹²²) ანუ კვირიონ. დავით რეკტორის სიით სვიმონ 581—587 წ.; იოსელიანი 580—578! (580—588?) მეხითარ აირივანელისა „სიმიონ“ შემდგომ მაკარისა. ამის დროს უწეოა ქართლს მრავალი უბედურება: გადაგდება მეფობისა, (ბაკურს დარჩა მტირე-წლხვანი შვილები), ერისთავების და აზნაურების თავწასულობა, სპარსთა გაძლიერება და უკანასკნელ სომხე-

ბაკურის ზვევე დაუსრულდა მეფობაა ქართლისა¹²³⁾.

მაშინ მცხეთაა ათხელდებოდა და ტფილისი ემეწებოდა არმაზნი შემკირდებოდეს და კალაა განდიდნებოდა.

სპარსნი უფლებდეს ქართლს: და ს. შხითს და სივრიეთს და გუასპურაგანს¹²⁴⁾

და კათალიკოზი იყო სამოველ¹²⁵⁾ და ნელადრც შვერბა ქართლი: და განაჩინეს ერისთავად

გუარამ და მე(რ)მე კურაპალატადცა.

ამან და(დ)ვა საფუძველი პატიოსნისა ჯ^ა და ამას

ზვევე ჩუო კათ(ალიკოზი) (სა) მოელვე სხ^ა¹²⁶⁾ და ტფილ(ისს)

მკვდრთა დიდსა ეკლესიასა დაიწუეს: ნახევარსა იქ

მოდა ყი ერი: და ნახევარსა ერისთავნი¹²⁷⁾ და კათალიკოზი

იყო ბართლომე¹²⁸⁾

ბის განდგომა საქართველოს ეკლესიისაგან. ეს ვრცლად აწერილია ქუბანის ისტორიაში, ცალკე წიგნად გამოცემულში (*Oukhtanés d'ourha, X S., p. 277—351*) და ბროსისეგან განმართულში. იქვე შეტანილია მიწერ-მოწერა სომეხთ-კათალიკოზის და სვიმეონისა, ქართლის-ცხოვრება ფრიად ნაკლე ცნობებს გვაძლევს იმ დროინდელ ამბებზე, რომელიც აწერილია არსენ კათალიკოზისაგან („განყოფნა სომეხთა მართლისა სარწმუნოებისაგან“), ბიზანტიელ მემკვიდრეთაგან: მენანდრესგან (*Pinê tchert de legat p. 139*), თოფლატე სიმოკატისგან გვ. 178, თოფანესაგან გვ. 266, ანასტასისგან, გვ. 931 პროკოპესგან (*De bello Goth et Pers*), ალთესგან და სხ. რომელიც აღწესებენ ჩვენს ისტორიას იმ დროისას (ჩემი საისტორიო კრებული გვ. 133; — ქარ. ცხ. I, 261—162). არსენი კ'ზის ზემოხსენებულს მიხულებას, რომელიც 1890 წ. შემოქმედის მომხატრიდამ მოეჭაბა და საყ. მუზეუმში ინახება (№ 202), ჩვენ ცალკე წიგნად ვაპრობებთ გამოცემას დოქმის გამო აქ'ვრ შემოგვაქვს.

ქართლ-ცხოვრება. 161.

ქ. ცხოვ. 152, შენიშ. 4 და სუმბატ. ისტორიაშიც გვ. 44 თითქმის სიტყვა-სიტყვით. ტფილისის განდიდება, ხოლო მტრეთა-არაზნის დამკირება იყო შედეგი სპარსთა განძლიერებისა რადგან-სპარსნიც გამაგრდნენ თფილისში, რომელიც ვახადეს „კარად მცხეთისა“. ამ დროს შავად იწედა ორმეტყვე ხელის მისი შვილი ხვასრო განაგებდა რანს, მოვაცანს და ქართლ-ცხოვრება ორგანიზდინ-სიკვილიც შემდეგ სპარსეთში მოხდა არეულობა, ხვასრო ლტოლვილი მემამოხეთაგან, გაიქცა საბერძნეთის მისი სიამართან, მავრიც იმპერატორთან. ხვასროს თან-ახლად, მგონებთ, მეფე ტყვედნობ: ეს ამბები ვრცლად მოხსენებულია ეტრატის ხელნაწერში (ეკლ. მუხ. № 95, გვ. 698, გურანდუბტის ცხოვრებაში, იხილეთ კვეთა შენიშ. 130), სადაც სწერია, რომ მავრიც იმ-მრავალი უძღნაო ხვასროს „სტეფანეს მიერ სენაკად მისა საუფლო მასა კაკისა დიდებულისა და პატიოსნისა, რომელითურთ სტუმარ იქმნა“.

¹²³⁾ სამეფო-ქარ. ცხოვ. I, 164—165, დავით რექტ. სიით 587—600 წ., პლ. იოსელიანი 578 (?)—597 წ. მეხითარ აირივანელისა „სამუელ“.

¹²⁴⁾ „სამუელ სხვა“ იხ. ქარ.-ცხოვ. I, 165; პლ. იოსელიანი 597—601 წ. მაგტამ დავით რექტ. სიაში არა სნას.

¹²⁵⁾ ქარ.-ცხოვ. I, 164, სუმბატ. ისტ. გვ. 45—46. — ჩვენი ქრონიკა სიონის აღშენებაში ერთს წილს მიაწერს ერთით, ხოლო ქარ.-ცხოვრება და სუმბ. ქრონიკა „ერთს ვისმე დედაკაცს“. ალბათ მისგანაა, რომ უკანასკნელი რომლისავე ერისთვის ქრონიკა იქნება; ტაძრის აღშენება ერისთავისთვის მიუწერიათ.

¹²⁶⁾ ბართლომე მებთ. აირივ. სიით „ბართლომეს“ და ვით რექტ. სიით 603—620 წ.

და მისა შემდგომად ერისთავო
ბაჟა სტეფანოზ: ძს მისი. ძმაჲ დე-

მეტრესი: და იქმოდა კადრ
სიასა ჯ წრისასა.

ხოლო შემდგომად მისა (ვახტანგ გორგასანლისა) ზოიწივნეს სპარსთაჲთა
ქართველთა ზედა დიდნი ქირნი, და ფრიადნი სულნი მოსწყვიდნეს და ქუსკა-
ნანი დაიპყრნეს და მრავალნი იწამნეს ქრისტეს სახელისათვის, რომელთანიმე
წიგნისი აღიწერეს და რომელთანიმე დაშთეს აღუწერელად, გარნა ყოველნი
აღწერილ არიან წიგნსა ცხოველთასა.—ამისა შემდგომად გამოვიდა ჰერკლე
მეფე და შეერთნეს ქართველნიცა და შევიდა სპარსეთს და შეწევნითა ლეთის
სათა შემუსრა სპარსეთი და ტაძარი და ბომონნი მათნი და ხუასარე, მეფე
და ძელი ცხოვრებისა, რომელი წარეტყუნა სპარსთა, წარმოიყვანა და ძლი-
ვა-შემოსილი შემოვიდა სამეფოდვე (იხ. ეკლ. მუხ. სვეტნაწ. № 170, გვ. 564,
აგრეთვე № № 160, 130).

შესანიშნავი, რომ ბართლომე და სამოელს შუა დავით რექტორის სიით და პლ. იოსელია-
ნით ნაჩვენებია, კათალიკოზი სვიმეონ, —დავით რექტორით 600—603 წლებშუა. სვი-
მეონი მოხსენებულია აგრეთვე ა) ჩამიანის ისტორიაში, ტ. III, თავი 47; ბ) *Bulletin scien-
tifique publie par l'Acad. imp. des sciences de S. Petersbourg T. V. № 8, გ* რომის
პაპის წა გრიგორის ერთი ეპისტოლე „ეკირონ ქართლის კათალიკოზისადმი“, მიწერილი 603
წ. დატულია, პ. იოსელიანის თქმით, *Epist lib II, 67. (Исторія церкви груз. П. Иосе-
კერძო ტადმანი მეფისანი, რუსნი, და არა განერა ერთიცა პირველ მისრულ-
თა მათ, თვნიერ მცირეთასა, რამეთუ თვთ მეფე გიორგი და უძლიერესი ლა-

⁶²⁾ მარ. დედ. ქ.-ცხ. (გვ. 248): „ცნა რა“; დაბეკლ. ქ.-ცხ. 216, ბ: „სცნა რა ესე“...

⁶³⁾ მარ. დედ. ქ.-ცხ. უმატებეს: „ურისთავი“. — ⁶⁴⁾ მარ. დედ. ქ.-ცხ. „სპითა მისითა“
და ორივე ქ.-ცხ. უმატებენ: „და უბრძანა, რათა ზავისა მიპყრობითა მცირედ ხან დამპირვად
ადგილსა“.

⁶⁵⁾ მარ. დედ.: „და“. — ⁶⁶⁾ ორივე ქ.-ცხ. უმატებენ: „წარუდგა“.

⁶⁷⁾ ორივე ქ.-ცხ. უმატებენ: „და განაზრახვიდა ესრეთ: უკეთუ ინებოს ზავი ბასილი
მეფემან, იქმნას ესრეთ, და უკეთუ ინებოს ომი, განვეშაღდეთ მისთვის. ხოლო რომელთა არა
უნდა ყოფად მშვიდობისა, იწყეს განმზადებად ბრძოლად“.

⁶⁸⁾ აქ ორივე ქ.-ცხ. უმატებენ: „და მივიდეს ბასილი მეფესა ზედა დაბანაკებულსა,
რომელსა უწოდოან სკნდაქარ (დაბეკლ. ქ.-ცხ. „სკნდაქსად“).

⁶⁹⁾ მარ. დედ. ქ.-ცხ. „დაუტევეს“ (?).

⁷⁰⁾ მარიამ დედ. ქ.-ცხ. უმატებენ: „მისისა“.

⁷¹⁾ ორივე ქ.-ცხ. უმატებენ: „განუწყრა ბასილი მეფე, უბრძანა მოყვანებად ძელი ცხო-
ვრებისა“ ქ.-ცხ. I, 216, იღ.

⁷²⁾ მარ. დედ. ქ.-ცხ. გვ. 248: „და მანდილი წმინდა დადგა“ (?).

⁷³⁾ მარ. დედ. ქ.-ცხ. „მიმეც“.

⁷⁴⁾ ორივე ქ.-ცხ. „არღარა ვიყო თაყუანის მცემელ თქვენდა მე [უაწვე]“.

⁷⁵⁾ ორივე ქ.-ცხ. უმატებენ: „განგრძელდა მათ შორის ბრძოლა“.

⁷⁶⁾ ორივე ქ.-ცხ. უმატებენ: „კულადცა“.

⁷⁷⁾ ორივე ქ.-ცხ. უმატებენ: „საქართველოსანი“, და ამის იქით მარ. დედ. ქ.-ცხ. უმა-
ტებს: „და წარვიდეს მეოტად“.

უკარი მისი აღარა მოსრულ იყო ჯერეთ ყოვლადვე. და მოიკლნეს მათგანი მას დღესა შინა, რომელთაცა იგი მშვიდობის ყოფა არა ენებათ და მეოტ იქნნეს ყოველნი] და მოისრნეს ურიცხენი პირითა მახვილისათა, და რომელნი მეოტ იქმნეს⁷⁸). წარიღეს [ბერძენთა] ავარი დიდი ძალი და განძი სამეფო [ყოველი სრულიად] რომელი აქუნდა⁷⁹) და [წარმოიძრა მცირედ⁸⁰] ბასილი მეფე, და [მოუდგა უკანა და] კულად იწყო ზავად⁸¹) [და მშვიდობად პირველსაებრვე], რამეთუ შიში აქუნდა საბერძნეთით [კულადცა] განდგომილებითა⁸²) და ყუეს [მაშინ] მშვიდობა, და დაიზავნეს გიორგი მეფემან მძევლად მისცა ძე თვისი ბაგრატ, სამისა წლისა, [ყრმა ჩვილი] და მისცა ციხე ათორმეტი⁸³), და ქუეყანანი დავით კურატპალატისანი, ნაქონები ტაოს, [ბასიანს]⁸⁴) და ჯავახეთს, [შეუმეტს]⁸⁵) [და ესრეთ] წარივდა ბერძენთა მეფე ბასილი⁸⁶) და თანა წარიტანა ბაგრატ, ყრმა მცირე⁸⁷).

1025 წ. — და შემდგომად სამისა წლისა შინავე წარმოგზავნეს; აღუთქვა გიორგის ბაგრატიისი [წარმოგზავნა],⁸⁸) გარდაედეს რა სამნი წელნი, მაშინ წარმოგზავნა ბასილი მეფემან [ქალაქით კოსტანტინეპოლით ბაგრატ, ძე გიორგისნი], ვითარცა იგი აღუთქუა. და მოიწია ბაგრატ [ტაოს, და შემოვიდა თქსსა] მამულსა [ბანასთანა], მოყოლითა მისად კატაბანისა აღმოსავლისათა ზღუარამდე ბაგრატის მამულისა⁸⁹).

⁷⁸) ორივე ქ.-ცხ.: „რომელნიმე ტყვე იქმნეს და რომელნიმე მეოტ“.

⁷⁹) მარ. დედ. ქ.-ცხ. უმატებს: „თანა“.

⁸⁰) ამის მაგიერ მარ. დედ. ქ.-ცხ. „წარმოუდგა უკანა“.

⁸¹) მარ. დედ. ქ.-ცხ. გვ. 249: „ხოლო კულადცა იწყეს ზავად, ვითარცა პირველ“.

⁸²) მარ. დედ. ქ.-ცხ. „შიში დიდი აქუნდა საბერძნეთით განდგომისა“.

⁸³) ამის მაგიერ ორივე ქ.-ცხ.: „და ციხენი რომელნიმე (რომელნი?) პირველ გაცუნეს აზნაურთა, დაულოცნა [და მისცნა] სხვანიცა ციხენი პირველ მიცემული და უკანის თხუთმეტნი“ (დაბეჭდ. ქ.-ცხ. უმატებს: „ვითარ ათოთხმეტნი“. ამას იქით ფხიზღებში ჩავსვამთ იმ ფრასებს, რომელნიც არ იპოვებიან ერთსა მოხსენებულ ქ.-ცხოვრებაში (დ ბეჭდილში, ანუ მარიამ დედოფლისაში).

⁸⁴) აქ დაბეჭდ. ქ.-ცხ. უმატებს: „ბასიანს კოლა არტანთა“.

⁸⁵) აქ ორივე ქ.-ცხ. უმატებენ: „ხოლო რომელნი[მე] ამათ ქტყანათავან ეკლესიანი, სოფელნი და ადგილნი დაულოცნა გიორგი მეფესა“.

⁸⁶) ეს სამი სიტყვა არ არის ორივე ქ.-ცხ.-ში.

⁸⁷) ეს ორი სიტყვა არ არის ორივე ქ.-ცხოვრებაში. ამის მაგიერ ვკითხულობთ: „უფლისწული, მძევლად [წინაშე?] ძე გიორგი მეფისა ჩვენისა. აღუთქვა ფიცითა აღთქმა, ვითარმედ წელსა მესამესა გამოგზავნა ძე შენი“ და იყო სამ წელ ქალაქსა სამეფოსა კოსტანტინეპოლისა“.

⁸⁸) ცხადია აქ ხუმბატის ისტორიის ტექსტი გაფუჭებულია და ესრე უნდა იკითხებოდეს: „და შემდგომად სამისა წლისა შინავე წარმოგზავნა აღუთქვა გიორგის ბაგრატისი. — გარდაედეს რა სამნი წელნი, წარმოგზავნა ბასილი მეფემან ქალაქით“ და სხ.

⁸⁹) ამ 17 წინა სიტყვების მაგიერ მარ. დედ. ქ.-ცხ. ში ვკითხულობთ: „რავემს მოიწიენეს მამულსა და სამეფოსა თქსსა, მოჰყვა თანა კატაბანი აღმოსავლისა ვიდრე საზღუარა თადმდე მამულისა თქსისა“.

ბოლო შერაქცა კატაბანი იგი, მოემთხვენეს მას მანდატურნა წიგნითა [ესრეთ წერილითა], ⁹⁰⁾ ვითარმედ ⁹¹⁾ „მიიკვალა ბასილი მეფე ძმა ჩემი და ვიქნა ⁹²⁾ მე მეფე ყოვლისა საბერძნეთისა. და აწ სადაცაღა მიწვეულ იყოს სახელმწიფოსა შენსა ⁹³⁾ ძე გიორგისი ⁹⁴⁾ ბაგრაუტ, გარევე-აქციე იგი სწრაფით და წინაშე ჩუენსა მოგზაენეა. და ვითარცა აღმოიკითხა კატაბანმან ⁹⁵⁾, მსწრაფლ მოიქცა და დენა იყო [ბაგრაუტს] ⁹⁶⁾, [გარნა ვერ ეწია მას, რამეთუ თჳსსა მამულსა შემოსრულ იყო იგი და განძლიერებულ ლაშქრითა, რომლისა ბრძოლად ვერდარა ეძლო კატაბანსა მას] ⁹⁷⁾, არამედ გარე-უკუნ იქცა და წარვიდა. ⁹⁸⁾ ემა დიდი საკრველი მოწყალება ღეთისა, ვითარღა ⁹⁹⁾ განერა მართალი კვლთაგან [შემპყრობელთა და მტერთა]. მისთასა ¹⁰⁰⁾ ქორონიკონსაჲ: სმე: ¹⁰¹⁾.

და მოვიდა ბაგრაუტ წინაშე მამისა თჳსისა, გიორგი მეფისა, ¹⁰²⁾ და ღედისა თჳსისა, მარიამ ღედოფლისა, ¹⁰³⁾ [ქალაქსა მათსა ქუთათის, და ეს-

⁹⁰⁾ ორივე ქ.-ცხ. უმატებენ: „კოსტანტინე მეფისა, რომელსა წერილ იყო ესრედ სახელ“.

⁹¹⁾ ორივე ქ.-ცხ. უმატებენ: „განგებითა ღეთისათა“.

⁹²⁾ ორივე ქ.-ცხ. უმატებენ: „და ნაცულად მისა“.

⁹³⁾ მარ. ღედ. ქ.-ცხ. ოვ. „განსაგებელსა ჩუენსა“.

⁹⁴⁾ ორივე ქ.-ცხ. უმატებენ: „აფხაზთა კვლმწიფისა“.

⁹⁵⁾ ორივე ქ.-ცხ. უმატებენ: „ბრძანება [მეფისა, ენება] რაზამცა შეაკციეს ვარე, ბრძანებისებრ მეფისა“. ქ.-ცხ. I, 217, კ.

⁹⁶⁾ ორივე ქ.-ცხ. უმატებენ: „უკანა“.

⁹⁷⁾ აქ ორივე ქ.-ცხ. უმატებენ: „[და] რაუმს მიიწია (დაბეჭდ. ქ.-ცხ. „მიეხლა“) იხილა [რა], რომელ სიმრავლე ღიდძალი მიგებებულნი წინა, ღიდებულნი ერნი (დაბეჭდ. ქ.-ცხ. „იერისთანი“) და აზნაურნი ტაოელნი, მე ხნი (დაბეჭდ. ქ.-ცხ. „მესხნი“) და ქართულნი, რომელთა არა იყო რიცხვი სიმრავლისა მათისა, შეიქცა გარე და უთხრა მას მანდატურსა, რომელ მიწეულიყო [დასტიდარითა]: უკეთუ ძალ-გიძს აქციე (დაბეჭდ. ქ.-ცხ. „ში უზნ აქციე“), ჩემგან კულა არა ეგებისა. აქ მოხსენებულნი მე ხნი უნდა იყვნენ სო მე ხნი და არა მესხნი (იხ. ზემო გვ. 119).

⁹⁸⁾ ორივე ქ.-ცხ. ში ეს ხუთი წინა სიტყვა აწ არის:

⁹⁹⁾ მარ. ღედ. უმატებს; „მყის“.

¹⁰⁰⁾ ორივე ქ.-ცხ. ში: „მათთა“ და ზედვე უმატებენ: „რომელთა ენება ზაკით შექცევა მისი და [თუ ვისმე გენებოს განცდად ესე, ვითარითა] შეწეებითა ღეთისამიერთა იხილეთ და განიცადენით ურიცხუნი კვლის აღპყრობანი ღეთისა მიერ (ეს ორი სიტყვა არ არის დაბეჭდ. ქ.-ცხ. ში) ამს ღიდსა ბაგრაუტს (მარ. ღედ. ქ.-ცხ. „უკანანგს“?), აფხაზთა მეფისა, რომელნი არა ვისზედა შემოწვეულ იყვნეს სხუასა მეფისა, რომელი სა თჳს ეამსა-და ეამსა გაუწყულს წინა მდებარე მან სიტყვა მან“.

¹⁰¹⁾ ეს ქნი იპოვება ორივე ქ.-ცხ. ში, მაგრამ ამ მოთხრობის ბოლოს, იქ, სადაც უზის სხოლო № 105.

¹⁰²⁾ ამ რვა სიტყვის მაგიერ ორივე ქ.-ცხ. ში ვკითხულობთ: „[ხოლო] ვითარ უკუე მოიწია წინაშე მამისა თჳსისა, გიორგი მეფისა, სახლად მათდაჲ“.

¹⁰³⁾ ეს ხუთი სიტყვა ორსავე ქ.-ცხ. ში არ იპოვება.

რეთ შეკრბეს იგინი მშვიდობით, და შისცეს დიდება და მადლობა ღმერთსა¹⁰⁴⁾ მომადლებსათვს მათდა ესე ვითარისა მის კეთილისა¹⁰⁵⁾.

1027 წ.— „და შემდგომად ამისსა რა გარდაჰედეს წელნი ორნი, გარდაი-
ცვალა გიორგი, ¹⁰⁶⁾ მამა ამის ბაგრატიანი, ¹⁰⁷⁾ თრიალეთს, ადგილსა მას,
რომელსა ეწოდების მყინვარნი, ¹⁰⁸⁾ ქორონიკონსა : სმზ: თვესა აგვისტო-
სა: ივ: ¹⁰⁹⁾ და დამარხეს იგი ქუთათის. ¹¹⁰⁾ და დაჯდა შემდგომად მისსა მე-
ფე ძე მისი ბაგრატ, ცხრისა წლისა. ¹¹¹⁾ ხოლო ¹¹²⁾ აზნაურნი ტაოელნი წარ-
ვიდეს საბერძნეთს; ვარე კარტვის ძე და ბან(ა)ელი ეპისკოპოსი იოანე, და
ამათთანა უმრავლესნი აზნაურნი ტაოსა [რომელნიმე ციხოვანი და რომელ-
ნიმე უციხონი განუდგეს ბაგრატს, და მიერთნეს კასპეტანტინეს, ძმისა ბასი-
ლი ბერძენთა მეფისასა, რომელ შემდგომად მისსა მეფედ იყო] და წელსა მე-
ორისა ¹¹²⁾ გამოგზავნა კასპეტანტი მეფემან პარკიპანოსი თვისი მიუწოდებელი-
თა ძალითა, ლაშქრითა თვისისათა და განძითა ურიცხვითა. [ყოვლად უძლიე-
რესად ბასილი მეფისასა ¹¹⁴⁾ მოვლო და მოაოკრა ქვეყანანი იგი, რომელნი

¹⁰⁴⁾ აქ ორივე ქ.-ცხ. უმატებენ: „იხილეს მშობელთა მისთა შვილი [მათი], მსგავსი
განუტყდლისა და მიუთხოვბელისა სიკეთისა; მისისათვის შეუძლებელ არს კაცთაგან მითხო-
ბაჲ. იხილეს რაჲ, განიხარეს სიხარულითა მიუთხოვბელითა, შესწირეს მადლობაჲ ღვთისა
მიმართ. იყო ქვნი მას ეჟსა: სმე:“.

¹⁰⁶⁾ ეს ექვსი სიტყვა არ იპოვება ორსვე ქ.-ცხ.-ში.—ამას იქით დაბეჭდ. ქ.-ცხ. ჩაყ-
რებულია თეიმურაზ ბატონიშვილის მიერ ათი სტრიქონი, მცხეთის გუჯარის ნაწყვეტი (იხ.
1040 წ. ქვეშე).

¹⁰⁶⁾ ორივე ქ.-ცხ.-ში: „შემდგომად [ბაგრატის მოსლითვან] ორისა წლისა“, და შემ-
დგ ზედვე უმატებენ: „გარდაიცვალა გიორგი მეფე, სასვე ყოვლითა სიკეთითა, ეჟსა ოდენ
სიყრმისასა; რომელი არავინ გამოიჩინებულ იყო მსგავსი მისი მამათა შორის მისთა ახოვნე-
ბითა, ქაბუჯობითა და სიქველითა. ტანითა და სახითა, ცნობითა და ყოვლითურთ სრული
განებითა საკლმწიფოთა ქკსა: სმზ: (მარ. დედ. ქ.-ცხ. „სლმ“?) , თთუქსა აგვისტოს: ივ:“...
(ქ.-ცხ. 218).

¹⁰⁷⁾ ეს სამი სიტყვა არც ერთს ქ.-ცხ.-ში არ არის.

¹⁰⁸⁾ ორივე ქ.-ცხ. უმატებენ: „გინა იწრონი“.

¹⁰⁹⁾ აქ ორივე ქ.-ცხ. უმატებენ: „და დაუტევე გლოვა და მწუხარება ყოველთა მკვილ-
რთა მამულსა. და სამეფოსა მისისათა. იგლოვდეს ყოველნი სიკეთისა და სიჭაბუკისა და
ახოვანებისა მისისათვის, წარიყვანეს“...

¹¹⁰⁾ აქ ორივე ქ.-ცხ. უმატებენ: „ძენი ბაგრატ და დემეტრე და ასულნი გურანდუბრ
და კატაჲ (მარ. დედ. ქ. ცხ. „კახაჲ“?) მებთუე შილი მათი მართა მიცვალბულ იყო.“

¹¹¹⁾ ამ ფრაზების მაგიერ ორსვე ქ.-ცხ. ვკითხულობთ: „შემდგომად მიცვალბებისა დი-
დისა მის მეფისა; მასვე ეჟსა მეფე იქმნა ბაგრატ ყოველსა მამულსა და სამეფოსა მისსა ზედა,
ზემოსა და ქვემოსა. წელიწადსა ათსა“. (დაბეჭდ. ქ.-ცხ.-ში: „წელიწადისა: თ:“, ე. ი. ცხრისა).

¹¹²⁾ მარ. დედ. ქ. ცხ. „მასვე ეჟსა“, ხოლო დაბეჭდ. ქ.-ცხ. უმატებს: „რაჟამს და-
ჯდა მეფე ბაგრატ წლისა ცხრისა“.

¹¹³⁾ ეს სამი სიტყვა არ იპოვება მარ. დედ. ქ.-ცხ. და არც მუხ. ქ.-ცხ.-ში № 131.

¹¹⁴⁾ ამ ფრაზების მაგიერ ყველა ქ.-ცხ.-ში ვკითხულობთ: „ხოლო კონსტანტინე მეფე-
მან მოქცევასა ოდენ წელიწადისასა [აქ დაბეჭდ. ქ.-ცხ. უმატებს ზემოხსენებულს სიტყვებს]

პირველ მოყოვნეს ქუეყანანი ბასილი მეფესა,¹¹⁵) და უმეტესცა, რამეთუ მიიწია ესე თრიალეთს, ციხესა ქუეშე კლდე გართასა,¹¹⁶) [სადა იგი იყუნეს მაშინ აზნაურნი ბაგრატიანნი, და ბრძოლა ყუეს, გარნა არა ღირდად. და განდგეს კულად აზნაურნი და მისცნეს ციხენი. ჩანჩახმან ერისთავმან შავშეთისამან, მისცა ციხე ცუფთისა] და თვთ წარვიდეს იგინი საბერძნეთს¹¹⁷).

ხოლო აღაშენა სიმაგრე საბა მტებევარ ებისკოპოსმან მახლობელად ტბეთის ეკკლესიასა¹¹⁸) [და სახელ სდვა მას სვეტი¹¹⁹] [და შეკრიბა მაშინ მან ერი თვისი, და შევიდეს მას შინა თვთ საბა მტებევარ ებისკოპოსი, და ეზრა; იწინეღ ებისკოპოსი და შავშეთის აზნაურნი, და განძლიერდა მას შინა. ხოლო მოავლინა მუნ ჰარკიმანოსმან იოვანე ხალტივირადლი (ქ.-ცხ. ხალტიულარი) სახელით ვაღანგ, ლაშქრითა დიდ ძალითა და თანა მოსცა მას ძე გუგენ კლარჯისა დეკეტრე,¹²⁰) რეცა შესატყუენელად ქუეყანისა მკვდრთა,

„და წელსა მესამესა“ გამოგზავნა პარკიმანოზი [თვისი] ლაშქრითა ურიცხვითა“, და ამას იქით ზედვე ქ.-ცხ. უმატებს შემდეგ სიტყვებს, რომელნიც მარ. დედ. და ევ. მუხ. ქ.-ცხ.-ში არ იპოვება: „განძითა და მიუწოდომელთა ლაშქრითა თვისითა“.

¹¹⁴) ეს ოთხი წინა სიტყვა შეტანილია დაბეჭდ. ქ.-ცხ. I, 219 და არ იპოვება მარ. დედ. და ევ. მუხ. ქ.-ცხ.-ში № 131.

¹¹⁵) ამ თერთმეტ წინა-სიტყვების მაგიერ მარ. დედ. ქ.-ცხ.-ში ვპოულობთ: „მოვიდა და ჩამოდგა და აოტნა იგივე ქვეყანა იგი, რომელნი მოვიბრუნეს ბასილი მეფესა“. დაბეჭდილს ქ.-ცხ.-ში განმეორებულია ეს სიტყვები მარ. დედ.-ქ.-ცხ.-ძისა, მაგრამ შიგ-და-შიგ მერმე ჩუტანებათ სუმბატის ისტორიიდან სიტყვები: „მოვლო“, „აღაოხრა“ „ქვეყანანი“.

¹¹⁶) ამ ცხრა სიტყვის მაგიერ ორივე ქ.-ცხ.-ში ვკითხულობთ: „[და აღაოტრა და უმეტესცა, რამეთუ მიიწია და მოვიდა ესე], მოვიდა თრიალეთს, ციხესა ქუეშე კლდეთა“ (ფხილგეში ჩასმული იპოვება მხოლოდ დაბეჭდ. ქ.-ცხ., რომელშიაც „კლდეთას“ მაგიერ სწერს „კლდე-კართას“).

ამის შემდეგ ორივე ქ.-ცხ. ზედვე ახალს ცნობებს უმატებს: „მას ყამსა ჰქონდეს ლიპარიტ ერისთავთ ერისთავსა, ძესა ლიპარიტისასა. შემოკრიბნა სხუანიცა აზნაურნი, დაუდგეს განძათა და შეებნეს ციხესა ქვეშე. რაყამს იხილა პარკიმანოზმან (მარ. დედ. ქ.-ცხ.: „პატრიაკან ოსმან“?), რომელ ვერას აენებდა (აქ მარ. დედ. ქ.-ცხ. უმატებს: «შეებდა»?), შეიქცა გარე“ (ქ.-ცხ. 219, მარ. დედ. ქ.-ცხ. ფ. 250).

¹¹⁷) ამ ხუთის წინა სიტყვის მაგიერ ორივე ქ.-ცხ. სწერს: „[მასვე] ეამსა წარვიდა ჩანჩუხი (მარ. დედ. ქ.-ცხ. „სანჩი“?) ფალელი საბერძნეთს, მისცა ციხე გარყლობისა (მარ. დედ. ქ.-ცხ. «ცუფთისა»), მიერთო ბერძენთა“, — და ზედვე დასძენენ: „და არჯევან ჭლოლის (მარ. დედ. ქ.-ცხ. „პოპოლას“) შემან განსცა ბერძენთავე ციხე წუფთისა (მარ. დედ. „წურეთისა““).

¹¹⁸) ამ ცხრა წინა სიტყვის მაგიერ ორსვე ქ.-ცხ.-ში ვკითხულობთ: „[ხოლო] რაყამს იხილა საბა, მტებრმან ებისკოპოსმან, რომელ შავშეთს არღარა იყო სხუდ ღონე, აღაგო ციხე თაქსა ზედა [მახლობლად] ტბეთისასა [და ეკლესიასა სიმაგრე]“.

¹¹⁹) აქ ორივე ქ.-ცხ. უმატებენ: „დაიმჭირა ქვეყანაა შავშეთისა, ქმნა დიდი ერთგულთა ბაგრატ აფხაზთა მეფისათვის, პატისცა დემრმან და ვერ წარვიდეს ქვეყანა მტერთა“.

¹²⁰) აქ დეკეტრე წოდებულია ძედ გურგენ კლარჯისა, ხოლო მარ. დედ. ქ.-ცხ. და დაბეჭდილს ქ.-ცხ. (I, 220) იგი წოდებულია ძედ სუმბატისა. ბაგრატის ძის გურგენის შვი

რომელი ესე იქმნა ესრეთ, რამეთუ შიქცეს ერნი, სოფელნი უფურო უსუსურნი ცნობითა და გონებითა და გამოადგინეს ლაშქარნი სუეტსა-მას ტბეთისასა და ჰბრძოდეს ძლიერად მრავალ ღონედ, და ღმერთმან განაძლიერნა მყოფნი იგი სუეტსა-მას შინა მადლითა და მეოხებითა წმიდათა მოციქულთათა და ლოცვითა წმიდათა ამათ მღუღელთ მოძღუართათა, და ვითარცა ერთგულნი და ჭეშმარიტნი მარტივნი საღმთონი თავთა თჳსთა სიკუდილად განსწირვიდეს და კორციელთა უფალთათჳს თავთა თჳსთა განსწირვიდეს და სისხლთა დასთხვედეს სიტყუსაებრ მოცქეულთასა და განძლიერდებოდეს. ყოველთავე ეტყოდეს, ვითარმედ „ნუმცა შეგვიტყუებინ ჩუენ ლიქნანი ესე და საფასენი მსწრაფლ წარმავალნი, არამედ მოვიგოთ მადლი ერთგულებისა და გვირგვინი ახოვნებისა“, რამეთუ მბრძოლნი იგი გარე მოდგომილნი მათდა ლიქნიდეს აღთქმითა და ქაღებითა კეთილთა და სანთესთათა,¹²¹⁾ [ხოლო ესე ვითარად რა დეღვად აღტებილად იგუემებოდა აღმოსავლეთი მსწრაფლ] ეწია [რისხუა]¹²²⁾ [უმსჯავროსა-მას] მეფესა კოსტანტინეს, [მსგავსადვე ივლიანეს უსჯულოსა, უწყალოებისათჳს ბაგრატ მეფისა ჩუენისა, მოკრებისათჳს მამულისა მისისა; და მოსწრაფედ] მოუწერა ჰარკიმანოსსა ჰროედროსსა თჳსსა,¹²³⁾ [რათა მსწრაფლ შეიქცეს იგი ლაშქრითურთ თჳსით და მოვიდეს კოსტანტინეპოლედ] და წარვიდა იგი,¹²⁴⁾ ესმა რა ესე.

და ვითარცა გარდაიცვალა ესე კოსტანტი მეფე, დაუტევა შემდგომად

დემეტრე შეიძლება იმის გამო იწოდებოდეს ქედ სუმბატისა, რომ უკანასკნელი იყო ძის მეანუ შვილის-შვილი მისი. სუმბატის ქე ბაგრატი და გურგენის ქე დემეტრე რომ სტამბოლში გაიქცენ, ეს სჩანს ქ.-ცხ. I, 212 და სუმბატის ქრონიკიდან 1012 წლის ქვეშე.

¹²¹⁾ მთელი ეს მოთხრობა, დაწყებული სიტყვიდან „და შეკრიბა მაშინ ერი თჳსი“ აქამდე არ იბრუნება არც მარიამის და არც ეკლ. მუხ. ქ.-ცხ.-ში, № 131, ხოლო დაბეჭდილს ქ.-ცხ.-ში შეტანილია შენიშვნაში № 2 თეითმურაზ ბატონიშვილის და არა ვახტანგ-მეფის მიერ. ამ მოთხრობის მაგიერ მარ. დედ. და დაბეჭდილ ქ.-ცხოვრების ტექსტში შეტანილია შემდეგი მოკლე, მაგრამ ახალი ცნობები იმავე საგნის შესახებ: „რამეთუ მას უამსა გაგზავნა ჰარკიმანოზ ჰროედროზი ერისთავმან (მარიამ დედ. ქ.-ცხ.-ში: „პატრიკონმან და ჰროედროსმან“) [იოანე] ბანელი ხალტულარი (მარ. დედ. ქ.-ცხ. „ხალტულარი“), წარუყვანა თანა ვითინგი (მარ. დედ. ქ.-ცხ. „ვალანგი“) ლაშქრითა ილიითა და მისცა თანა დემეტრე კლარჯი, ქე სუმბატი ი, რეცა შესატყვენელად ქუეყანისა კაცთათჳს და ამით მიზებითა მიიქცეს მრავალნი კაცნი მის ქუეყანისანი, წერილისა ერისაგან. შემოვიდა მასვე ციხესა ეზრა ანჩელი და რომელნი აზნაურნი გამოჩნდეს ერთგულად შეუდგეს მასვე ციხესა შინა და გამაგრდეს. ხოლო ციხე არტანუჯისა ჰქონდა იოანეს ერისთავსა აბუსერსა და მას უამსა (დ. ქ.-ცხ. „მათ ვამთა“) ქუეყანათა ამათ შინა იქმნეს ბრძოლანი, შულნი და მიდამონი მრავალნი და ვითარ დიდად იღუღვებდა ქუეყანა ესე, კულადაცა პატიეცსა ღმერთმან ბაგრატს, აბხაზთა და ქართველთა მეფესა“.

¹²²⁾ მარ. დედ. და დაბეჭდ. ქ.-ცხ.-ში „სენი სასიკვინი“.

¹²³⁾ ეს სიტყვა არ არის ორსავე ქ.-ცხ. (I, 220, ია; მარ. დედ. ფ. 251).

¹²⁴⁾ ამის მაგიერ ორსავე ქ.-ცხ.-ში: „ხოლო იგი წარბოემართა [და წარვიდა] მსწრაფლ

მისა მეფობა რომანოზის ნათესავსა, მიმდგომსავე თჳსსა¹²⁵). ამისა შემდგომად წელსა მესამესა [სანატრელმან] დედოფალმან მარიამ, დედამან [ბაგრატ] მეფისამან [შეიმოსა სიმეწე და ახოვნება, რამეთუ ნაშობი იყო ბრწყინვალეთა მათ ძლიერთა და ღიღთა მეფეთა არშაკთა (არშაკუნიანთა) და წარვიდა კოსტანტინეპოლედ წინაშე რომანოზ მეფისა ვედრებად მისსა, რათა მშვიდობა ყოს აღმოსავლეთისათჳს და რათა არღარა იყოს ბრძოლა ბერძენთს და ქართველთა, და გლახანი დაწყნარებულ და მყუდრო იყუნენ] და რათა მიუთხრეს პატივი ძესა თჳსსა ბაგრატს მეფესა წესისაებრ სახლისა“¹²⁶).

(აქ თავდება სუმბატის ქრონიკა).

1028 (უნდა 1027 წ.). — ექვსე: სმს: (248+780=1028) დასაბამით. გან: ხქლბ: (6632—5604=1028); აქა: გი (გიორგი) მეფე გარდაიცვალა“ (ავსახთა ქრონიკა).

გიორგი მეფე ქ.-ცხოვრებით (I, 118) და სუმბატის ქრონიკით გარდაიცვალა 1027 წ. 16 აგვისტოს. ესეთი თანხმობა ორთავე წყაროთა გუაფიქუბიანებს, რომ ჩვენი ქრონიკა ერთის წლით სცდება, რადგა ცხრილგანს ქრონიკებში, როგორც ზემო ვეითქვას, ხშირად ჰსდება სოღმე. მაგრამ ქ.-ცხოვრებაც (I, 217—218) და სუმიბატე გააწმუნებს, რომ 1025 წელს ბაგრატ იყო ექვსის წლის (სამის წლისა წაიყვანეს სბებრსეთს, სამს წელს შეიღგა გამოგზავნეს უკან), სოღმე გამეფაო ცხრავლი (მარიამ დედ. ქ.-ცხ.-ბათათის წლისა), აქედამ გამოდის, რომ ბაგრატ გაიყუბულა 1028 წელს და რადგან გიორგი მეფის სიკვდილის შემდეგ „მასვე ჟამსა მეფე იქნა ბაგრატ“ (ქ.-ცხ. I, 219), ამით იბადება ჰსზრო, რომ გიორგიც იმაჳ 1028 წელს უნდა მოიკვდა: იყო. ჩვენ მინტე შემტანეს უფრო კენდობით, რადგან ის უფრო ეთანხმება ჰუმანიტის ცნობას კეისრის კოსტანტინეს სიკვდილისა 1028 წელს, 11 ნოემბერს. — რადგან ქ.-ცხ.-ით (I, 234) ბაგრატ IV მოკვდა (1072 წ.) 56-ის წლისა, ის დაბადებულა 1016 წ. და 1027 წ. გაიყუბულა 11 წლისა და არა ცხრისა და ცოლის შერთვის ჟამს 1032—1033 წ. იქნებოდან 16—17 წლისა და არა 14—15-სა (ქ.-ცხ. I, 222).

¹²⁵) ამ თერთმეტ წინა სიტყვის მაგიერ ორსავე ქ.-ცხ.-ში ვკითხულობთ: „და ვიდრე მოვიდოდა, მიიცვალა კოსტანტინე მეფე და რაჟამს მიიცვალებოდა, დასვა სხუა მეფედ, სახელით რომანოზ [მიმდგომელი თჳსი] და შერთო ცოლად ასული თჳსი ზოია“. ამას იქით დაბეჭდ. ქ.-ცხ შტანილია (თეიმურაზ ბატონიშვილისგან) სამი სტრიქონი მცხეთის გუჯარიდამ ამოღებული (ქ.-ცხ. 220. იმ 221).

¹²⁶) მთელი ეს მოთხრობა, დაწყებული სიტყვებიდამ: „ამისა შემდგომად“ აქამდის მარიამ დედ. ქ.-ცხ.-ში ფ. 251 მოკლედ არის გამოთქმული: „შემდგომად, წელსა მესამესა, წარვიდა დედოფალი მარიამ, დედა აფხაზთა მეფისა საბერძენთად, ძიებად მშვიდობისა და კუალად ძებნად პატივისა კურატპალატობისა ძისა თჳსისათჳს, ვითარცა არს ჩვეულებად და წესი სახლისა მათისა და მოყვანებისათჳს ცოლისა.“ ეს ამბავი ეკუთნის 1032 წლის ახლო დროებს.

1028 წ. — ევთრიმი ქართველი-მთარგმნელი მიიცვალა 1028 წელსა, მე-
ათობასა ბაგრატისსა, მეფის გიორგის შვილისასა (ეს წაწერა კიდეცა სიადგა-
ნაც გამოაუწერია და ჩემს საისტორიო კრებულში იბოჰება, გვ. 474).

ამაზე ათონის ტყევის წიგნი 1074 წ. დაწერილი (გვ. 115) მოკვითსრობს
ასე:

„აღესრულა სამ გზის სანატრელი მამა ჩუენი ევთვიმი თუესა მისსა,
ათამეტსა: დღესა ორშაბათსა: ინლიკტიონსა ათერთმეტსა: წელთა დასაბა-
მითგან სოფლისათ: ექუს ათას ხუთას ოც და მეთექუსმეტესა წელსა:“
(1028 წ. 13 მისი მართლა ორშაბათს მოდიოდა). ამავე სელ-საწერიდამ (გ. 109)
სწინს, რომ წა ეთიმეს მიმის მამის სიკვდილის შემდეგ (998 წ.) წინამძღურო-
ბაში დაუყვია 14 წ. (998+14=1012 წ.) და შემდეგ გიორგისთვის გადაუცია
წინამძღურობა და წიგნების თარგმნისთვის შეუწირავს მთელი დასასრუნი დრო.

ათონის აღაპებიდამ ჩვენ არამცირდის გულდაღებულის შრომით აღვადგინეთ შემდეგი
სა წინამძღვრების ივერიის მთაწმიდის მონასტრისა: 1) მოსე (971 წლამდე);—2) დიდი
ათანასე (971—981 წლებში);—3) არსენი?; 4) წაიოანე (998 წლამდე №№: 16,
77, 121);—5) წა ევთვიმი (1012 წლამდე: №№: 66, 81).—6) გიორგი (1012—1030 წ.
№№ ამ წლებში არეუ-დარევა ყოფილა და ბერი წინამძღვარნი ცვალბულან;—7) გიორგი-
ვე (1031 წ.), 8) იოანე (1035—1036 წ. №№: 129, 40; 121); 9) არსენი (1036—
1039 წ. №№: 45, 46; 70); 10) ნიკოლა (1040 წ. №№: 27, 20, 93, 27; 15, 62;
52, 68; 80); 11) თეოდორე (1050—1058 წ. №№: 10, 11; 31). 11) წა გიორგი
მთაწმიდელი (1059—1066 წ. №: 81); 12) გიორგი ოლთისარი (1074 წლ.
№: 57, 81); 13) ვასილი (დავით აღმაშენებლის დროს: №№ 21,42); 15) გრი-
გოლი (იმის შემდეგი №№ 130, 113);—15) ნიკოლა პეტრიწონელი (№№: 9, 140).
16) იოანე (გიორგი III დროს, 1168 წ. №№: 29; 72, 162; 40; 8); 17) პავლე
(1185 წ. №№: 85, 89; 150, 153; 30; 37; 155; 36; 145; 95); 17) გიორგი (თა-
ბარ მეფის დროს. № 99); 18) მიქელ (№№ 6, 22); 19) ევენი? (№ 78).—წლები და-
სმულია დაახლოებით; ხოლო №№-ში გვიჩვენებენ ათონის აღაპების ჩვენგან დასმულს
№№-სა.—ჩვენ ამ აღაპების გამოცემას ცალკე წიგნაკად ვაპირობთ და მაშინ უფრო დაწერი-
ლებით გავარჩევთ ამ სიას და იქ მოსვენებულ ისტორიულ პირთა ენობას.

შესაკებლად ჩვენსა მოყვანილის ცნობებისა (ის. ზეითა გვ. 139—142) წა
კეთიმის მოღვაწეობაზე საჭიროდ ვრცხთ აქ ჩაუერთად დ. ბაქრაძის მიერ ათონის
მონასტრის ერთ ტყევის სელ-საწერიდამ ამოწერილი ცნობები კეთიმეზე და იმის თა-
სამოღვაწეებზე (ისტ. ბაქ. გვ. 253—256).

ამ წიგნში მოქცეული ყოფილა შემდეგი საკითხავები:

- 1) ცხოვრება გრიგოლი რომთა პაპისა; 2) პირველი სიტყვა წიგნისა, რომ
მელსა ჰქვიან ანდალალონი (დილალონი?); 3) მეორე მისივე; 4) მესამებრივე(?);
- 5) ცხოვრებისათვის წა მამისა ჩვენასა ბასილიის; 6) ცხოვრებისათვის გრიგო-
ლი ღვთის-მეტყველისა; 7) საკვირველებათათვის წმინდათა მთავარანგელოზთა;
- 8) ცხოვრებისა წმ. ნიკოლოზისა; 9) ანდრია მოკიქულის მიმოსვლათათვის;
- 10) წამება წმ. თეოდორე სტრატილატისა; 11) წამება წმ. პროკოპისი; 12) წა-
მება წმ. თეოდორესი“.

თავს მინაწერი: „ეინ აღდგომილ არს ესოდენ მარგი და ნუგეშინის-მცემელი და სიძალელი ქართველობისაჲ და ყოველთა განმანათლებელი ამით წიგნებითა და სხვათა ყოველთა საქმითა სულიერითა და ხორციელითა, და ნაწილი ამათი პირველთა წმინდათა თანა არს მოღვაწებისა მათისათვის, ეგრეთვე სახსენებელი ჯერ არს. ხოლო საკვირველი შრომა თავს-იღვა წმ. მამამან ევთიმე და ოკუ და ათი წიგნი დათარგმნა ბერძნულისაგან ქართულად, და მერმედა მათეს თავი სახარება დათარგმნა ა); სამად წიგნად ქირითა შემოსეთ. უფროასი შრომაჲ ესე სულ-კურთხეულისა მამისა იოვანეს ცხოვრებასავე და წერილად სხვანიცა თარგმანეს. ხოლო შემდგომად ღმერთ-შემოსილისა იოანეს მიცვალებისაჲ) ესე წმინდისა გრიგოლ შაპისაჲ და სხვანი ესე გეთარგმანეს სანატრელმან მამამან ევთიმე, რომლისათვის მიავენ ღმერთმან დიდებისამან ორსავე ცხოვრებასა ქართველთა განათლებისათვის. ქრისტე, შვიწყალე და აკურთხე მამა მიქელ გ) და მამა გიორგი“ დ) „... ლოცვა ჰყავთ ევთიმესათვის. ესე მამის ევთიმეს დაწერილია. ლოცვა ჰყავთ და აკურთხეთ რომელნი ესე სულთა განმანათლებელი გეთარგმნა, დიდისა და წმ. მამის ევთიმესათვის“.

გრიგოლის ცხოვრების ბოლოს: „ლოცვა ჰყავთ გლახაკისა ევთიმესათვის მთარგმნელისა და შემინდვეთ, მრავალთა ზრუნვათაგან დიდითა შრომითა და ქირითა დამიწერია. წმ. გრიგოლ, მეოხ მეყავ წინაშე ღვთისა. ესე

ა) ის. სემო ეს წიგნი გვ. 139—142.—ბ) იოანე 1998 წ., მამის სიკვდილის შემდეგ წა კეთიქს წინამძღვრობაში გაუტარებია 14 წელი, (998+14=) ე. ი. 1012 წლამდე (ის. ათონის 1074 წ. სელ-ნაწ. გვ. 47).—გ) მიქელ სურესი (ის. ათონის აღაპი № 30 და კვლ. მუს. № 92); ზაქარია მარდატის ძის და არსენის თანამედროვე.—დ) გიორგი, მთაწმიდის ბერი, სთესაჲი წის კეთიქსი, თანამად წა იოკასესი სნდერძის წინამძღვრად დაიდგინა 1012 წელს, როდესაც წა კეთიქსი „ვედრებითა... არსენი ებისკოპოსისაჲთა (სინოქსიდალისა) და იოანე გრძელი-საჲთა იგმნა წინამძღვრობისაგან (რათა მსოფლად წიგნების თარგმნვას მოახმაროს დასასრულები ცხოვრება)... და წინამძღვრობა ძმაჲთა შეპვედრა გიორგის, რომლისათვის ემცნო მამისა იოვანეს, თვისსავე ნათესაჲსა“ (ის. ათონის სელ-ნაწ. 1074 წ. გვ. 109; 15). ამ არსენიზე იგივე სელსწერი გვ. 47 მოგვითხრობს: „რომელმან (არსენიმ) ღთისათეს დაუტევს ეპისკოპოსობაჲ და დავით კურსულა-ტის წინაშე მოვიდა, სოლო მან... ოთხთა ეკლესიათა წარგზავნა და ესრეთ იგიცა დაუუკებით ცხოვრებულად თვისისა მოძღურისა თანა“.

დ) გიორგი ჩორჩანელი, ძმა ფარმასმანისი; უკანასკნელ ბერად შედგა, არსენად ეწოდა და 1040 წლის ასლო სანუბში წინამძღვრად გასდა; „არსენი ფარმან ყოფილია ის. აღაპები ათონისა № № 47, 34; 110. ამ არსენის ძმა იყო მოსეს-სებუღი გიორგი (აღაპ. № 47; 170, გვ. 264); ძმანი ჩორჩანელი და ფარმან და „დაჲ ფარმანისი ღ ჩორჩანელისი“ ის. „ათონის სელ-ნაწ. გვ. 125, 408; № 170,

თვით მამასა ვეტიმეს დაუწერია. ხოლო მე გლახაკი იოანე გრძელისძე) ამას დაესწერ, ვითარმედ არა გლახაკი, არამედ მდიდარი და სულითა დიდებული წინა-შე ღვთისა და ფრიად მრავალნი წიგნნი გვითარგმანნეს ქართველთა ენასა დიდად სულითა მაცხოვარნი და დიდი სახსენებელი დაუც ქართველთა თანა წმ. მამასა იოვანეს ტ^წ ა მამასა ვეტიმეს. აწ ვინცა იკითხვიდეთ განმანათლებელსა ამას წიგნსა, ლოცვა ჰყავთ სულ-კურთხეულისა მამისა იოვანესთვის, ყოვლისა მიზეზი იგია; და მერმე განმანათლებელი დიდი ვეტიმე აკურთხეთ, რომელმან გვითარგმნა ესე წიგნი და მრავალი სხვა, რომლისა თანა გადაიხადენ ღმერთმან დიდებისა-მან შრომისათვის, რამეთუ პირველთაჲცა მთარგმნელთა გარდაჰმატეს კ); და კვალად ლოცვა ჰყავთ წმ. მამად-მთაწერისა არსენისათვის (ს), ფრიად უშრო-მა და უკეთესი მათი დაწერილია. და კვალად ლოცვა ჰყავთ წმ. მამათა: მა-მისა მიქაელისთვის და მამისა გიორგისათვის მწყემსთა და მოღვაწეთა ჩვენთა (ს) და ჩვენ ცოდვილთა და არა ღირსთა უფროს ყოველთა ქრისტიანეთა; შვილი-სა ჩემის ოქროპირისა; საბასი და ჩემ. საწყალობელისა იოვანე გრძელის-ძისათვის: ზოგი ჩვენ დაგვიწერია და შეგვიწმენდეთ ღვთისათვის რომელ და-გვეკლოს და ღმერთმან თქვენცა გაკურთხენ. ხოლო ოდეს ესე ითარგმნა ქა-რთული ქორანიკონი იყო: სლა: (1011), ბერძულად დასაბამითგანნი წელნი ხვით (6519=1011) და ქრისტეს ჯვარცმოდან შვე (986?), ინდიკტიონი თ^წ. შემდეგ ამოკრიფია და მასუკან „-- ჩემი ოქროპირი და ზაქარია მმოსელი, არ-სენი, იოვანე, ნიკოლა, ენი(?)“; იაკობ, საბა და შეუნდვენ ყოველნი ბრალნი მათნი.

ქიდევეც: ლოცვა ჰყავთ ღმერთ-შემოსილისა სულით და ხორცით წმ. მამისა ევთიმესთვის, რომლისა ზეობასა *) ვწერთ და წმ. ბერთათვის არსენი

გვ. 262, «სამოთხე» საბინისის. გვ. 430. ფარსმან თმოგველი ბერატ IV-ს დროს ის. ათონის აღაპები № №: 82, 93, 83. —) იოანე გრძელიძე და არსენი ნი-ნოწმიდელი თანამედროვენი. არსენი მოკვდა 1013—1028 წლებში. (ის. ათონის სულ-ნაწ. გვ. 109) —) აქედამდე ცხადია, რომ ძველათგ ქართველებს ბევრი გუჭიხია სათარგმნი წიგნები (შეადრე ზემო გვ. 140, უნისმ.: ა: —ათონის 1074 წ. სელს-წერში გვ. 39 ჩამოთვალაია ძველად სათარგმნი წიგნები: ოქროპირი, „მარგალიტი“, ეფერქისი, კვირიელისი, ყოველნი ძველნი წიგნნი, ე. ი. ძველი აღთქმა, მკახელნი, სადღესასწაულო და ზსჯ.—ზ) არსენი ნინოწმიდელი. —ტ) ივინივე, რომელნიც აღ-ნიშნულია ზემო № № გ, დ. —თ) იოანე გრძელი და იოანე მარტყოფი ის. ათონ. სულ-ნაწ. გვ. 107. —ი) ზაქარია მირდატის ძე, (ის. ეკ. მუს. № 92; ათონის აღ-აპება № ათონის სულ-ნაწ. გვ. 127). —ი) ინდიკტიონი იყო 980 წელს 8, 992 წელს—5; 996 წელს—9.

*) ეს სიტყვა იხმარება ძველს ჩვენს მწერლობაში და ჰნიშნავს „სადიდებელად“ „სა-მალღებელად“. შენიშნავ დ. ბაქრაძესი.

ჩვენის აზრით „რომლისა ზეობასა“ აღნიშნავს, რომლისა ცოცხლად ყოფასა“. ამ აზრით იხმარება ეს ფრასი ყოველს ძველს ნაწერებში. „ზეობა“ ანუ ზედ-ყოფნა, აღნიშნავს ცოცხლად ყოფნას. —ეტყობა, შევდომით გადმოწერილია ბაქრაძეს მიერ ეს წარწერები.

ეპისკოპოზისა და თანავე კეთილად მწერალისა ამის წიგნისა და მოხუცებულისა იოვანე გრძელისძისთვის, რომელმან დიდითა წადიერებითა იხარკა ამის წიგნისა შემზადებაჲ და უფროს ხოლო წმ. მამისა ევთიმის თარგმანებულთათვის... თუ რაჲ დამეკლოს, გინა დავაკლო წადმართ სიყრმითგან არა მესწავა წერაჲ, შემინდევით შრომისათვის; კვლა ლოცვა ჰყავთ ცოდვილისა ოქროზერისათვის“.

წმ. ნიკოლოზის ცხოვრების ბოლოს: „ლოცვა ჰყავთ წმინდანო ღვთისანო გლახაკისა ევთიმისთვის, რომელმან ესე ბერძულისაგან გამოვთარგმნე. ესე სიტყვანი თვით წმ. მამისა ჩვენისა ევთიმისენია; ვითა ნუსხა(სა) ეწერა, მეცა ეგრეთ აღვწერე. აჲ ვინ აღმოიკთხვიდეთ წმ. ამას წიგნსა გულს-მოდგინდ ლოცვა ჰყავთ უსხეულოთა მიმსგავსებულისა ნეტარისა მამისა ჩვენისა ევთიმისათვის და ღმერთ-შემოსილთა მშობელთა მათათვის, რომელთა ესე ვითართა კეთილთა განანათლეს ქართველთა გონებანი... ქრისტე, შეიწყალე ბერი იოვანე გრძელისძე და სულიერი შეილი მათი იოვანე ოქროზირი თ), რომელთა მიერ აღიწერა წმინდა ესე წიგნი. მოიხსენეთ სულიერი ძმაჲ ჩემი იოვანე გარერჩელი წმ. ლოცვასა თქვენსა“.

იუაკ მისაწყრი წმ. ანდრეას ცხოვრების ბოლოს,

წმ. თეოდორეს ცხოვრების ბოლოს: „სახელითა ქრისტესითა აღვსრულა წამებაჲ წა და დიდებულისა მოწამისა თეოდორესი... ხელითა გლახაკისა და ცოდვილისა ევთიმისათა... ითარგმნა წამებაჲ წმ. თეოდორესი დასაბამითგანთა წელთა ხუკა (6521=1013) მთასა ათონას... ესე ზემოწერილნი სიტყვანი სიმდაბლითა სავსენი თვით ნეტარისა მამისა ევთიმეს თავისა ნუსხასა ეწერა... ეგრეთვე აღვწერე სიმდაბლე მათი... მოიხსენეთ წმ. ლოცვასა თქვენსა ბერი იოვანე გრძელისძე და იოვანე ოქროზირი და საბა და ივანე გარერჩელი“... „ქრისტე, სრულ ჰყავ წყალობაჲ შენი იაკობს და ივანე გარერჩელსა ზედა“.

სულ ბოლოში: „...და ვინცა იკითხვიდეთ, ლოცვა... და ჩვენ გლახაკისათვის არსენი მამათ-მთავრისა უმეტეს დაშვრა და ჩემ გლახაკისა ბერისა და(?) ოქროზირისათვის და კეთილისა ძმისა ზაქარიასთანა. ი)... დაიწერა მთაწმინდას ათონას, მონასტერსა წმ. მამათა აწმენებულსა იოანე და ევთიმესა, საყოფელსა წმინდისა დედოფლისა ჩვენისა ღვთის მშობელისასა, ბერძულად დასაბამითგანნი წელნი იყვენს ხუ (6500=992), ინდიკტიონ? ია), —ჯვარცმოდგან შპ. (990?); ქართულად დასაბამიდგანნი წელნი ხქ (996); ქორონიკონი იყო მეცამეტედ მოქცეული ს (980), ჯვარცმოდგან... მეფობასა ბერძენთა ზედა ვსილისსა და ძმისა მათისა კოსტანტინესა ძეთა, კოსტანტინეპოლეს პატრიარხოზასა... (არ არის). ქე, აღიდეთ დიდი ესე მოღვაწე მამა ევთიმე და ახალი მამად-მთავარი საბა კურთხეული“.

აქ საჭიროდ ვრაცხთ ვუწვენთ, რომ ათონის მანუსკრიპტში გვ. 41, გამოცხადებულია: „შემდგომად თორნიკეს სიკუდილისა: ინდიკტიონსა :ვი: მისცეს მთასა

გასაყოფად ლიტრა ოც-ღარვა და ვ რ ი ს ო ნ ს მისცნეს სახლნი შვიდ ლიტრად სყიდულნი ზღუდითურთ, ვენახი რჩეული ხუთ ლიტრად ფასებულნი.— რადგან წყალობის გაცემს მონასტრებზე იმ დროს ჩვეულებად ჭქონდათ ახალ განსვენებულების სულის მოსასვენებლად, ამისთვის ჩვენ გვგონია, რომ აქაც იმაზეა ღვაწადაც, რომ თორნიკეს სიკვდილის გამო, რომელიც მომხდარა მეთუთსმეტე ინდიკტიონის, გაუციათ უსვი წყალობა მონასტრებზე. მეთუთსმეტე ინდიკტიონი მოსკდებოდა 972 წელს, როდესაც თორნიკე, როგორც ვიცით, გოცხალი იყო, 987 წელს და 1002 წელს; ამ უკანასკნელს წელს თორნიკე კარგა ხნის მკვდარი იყო, რადგან ის მოკვდა იოანეზე უწინ (†998). ამის გამო თორნიკეს საკვდილი უნდა მომხდარიყო 987 წელს.— აგრეთვე, რადგან მეთურთმეტე ინდიკტიონისაც გაუციათ განძი (ibid), ამით სავარაუდოა, რომ ამ ინდიკტიონის, ე. ი. 998 წ., მოკვდარა წა იოანე, და სხვა წყაროებიც ამას უთანხმებთან.

ერთი უძველესთა უზარმაზარ ტყავის ხელ-ნაწერთაგანა (iufolio, გვ. 84b) გრიგოლ ღვთის მტყუეელის ცხოვრებისა და მისის თხზულებათა კეთილეს თარგმანისა, თუთ კეთილეს ცხოვრებაში დაწერილი, დატულია საკვლ. მუსეუმში № 92.

ამ ხელნაწერს აქვს შემდეგი ასო-მოთვრული წარწერები ტექსტის ხელით:

- 1) გვ. 210 და 286: „ქე აღიდე: მამა: ევთვიმე: ამისი გამომთარგმანებელი ორთავე შინა ცხოვრებათა საუკუნოდ. ან... დაიწერა კელითა: უღირსისა ზაქარია ხსითა: შენდობა ყავთ: ოკუბად წერისათჳს წნო მნო.“
- 2)-სხვა მქლნით, მკრამ იმაჳ დროჳს ხელით: „მიქელ ხუტე სსა შეუნდენ ღნ“;
- 3) გვ. 361, 388 და 402: „ამის წიგნის მომგებელი მიქელ ხუტესი“. „ლოკვა ყავთ: გლახაკისა და ცოდვილისა ზაქარია მირდატის ძისათჳს: რომელმან დაწერე: ესე წა წიგნი...“
- 4) გვ. 496: „დაიწერა კელითა... ზაქარია მირდატის ძისათჳს...“
- 5) გვ. 555: „ესე საკითხავი: დაიწერა კელითა არსენისითა: ლოკვასა მოიკსენეთ... დაიწერა... მთაწმინდის: საყოფელსა წისა ღთის მშობლისა: მონასტერსა ქართველსა (sic) ბრძანებითა ზაქარია მამადმთავრისათჳს... ახლად თარგმნა წამან ეფთჳმე... მრავალთა შრომათა მისთა ზედა ესეცა სრულ ჰყო: და ქართველთა ენაჳ: გამოუცხადა: ნაწილი და სამკვდრებელი მისი იყოფინ წსა გრიგოლ ღთის-მეტყუელისთანა ან“. შეიშოსა კელითა გრიგოლისითა... ამის წიგნის მომგებელი მიქაელ... დაიწერა კელითა ზაქარია ხსითა: არსენისითა და ბასილისითა... კსენებულ გვეყვინთ...“
- 6) გვ. 706: „განსრულდა ესე საკითხავი კელითა... ბასილისითა... ისრა... აღიდე... ზაქარია მამადმთავარი და დაასაყდრე წთა შენთათანა“.

რომ ეს ხელნაწერი დაწერილია კეთილეს საცოცხლეში, 1028 წლამდე, ეს ცნობა და იქიდან რომ: ა) კეთილეს ცოცხლებშია მოსვენებული (რორთაჳე შინა ცხოვრებათა) ბ) ზაქარია მირდატის ძე (იგივე ზაქარია მამადმთავარი სუნჯელოში) მიქელ, არსენი და მიწარალი ბასილი ცოცხალნი იყვნენ 1011—1013 წლებში (იხ. ზემო გვ. 164—165); გ) არსენი მოკვდა კეთილეს უწინ 1013—1028 წლებ შუა;

დ) მოსხენებული გადასწერი ბასილი იგივე უნდა იყოს, რომელსაც გადასწერის მოსხენებული სჯულის კანონი ზაქარია კალასკერტელისა 1022 წლას ახლო ხანებში და რომელსაც შესავლით 1030 და 1031 წლებს ჭკეპე ერთად ზაქარია ბასაელთა:ს ჰქრომასს.

1029 წ. — „ჩქს : სმთ: დასაბამოთან: ხქლგ: აქა ბგრტ (ბაგრატ) კულა-პალატი სულტანსა დაესხა“ (ფსაზთ ქრ.).

ეს საყურადღებო ცნობა არცერთს ჩვენს ისტორიულ წყაროებში და არც ქრისტიანულ წყაროებში არ მოიხსენიება. ეს იმით იხსენიება, რომ გიორგი I-ის ცხოვრება და ზირაკის ნაწილი ბაგრატ IV მეფობისა აღწერილია „ქრისტიანობაში“ მხოლოდ სუმბატის ქრონიკისაგან, ხოლო სუმბატს, როგორც შემოგანგებულს (გვ. 149, შენიშვნა № 9), თითქმის მხოლოდ იმაზე მიუძღვნია ყურადღება, რაშიც გამოიხატებოდა ქართველთა და ბერძენთა ურთიერთობა ანუ ის შინაური სრულდარება, რომელშიც ერთგულ ბერძენებს მომხრე გერმანი (ბაღვაშნი და ტაოელ აზნაურნი).

მართალია, თურქი-სალსუქიანნი ანუ თურქი-სელჯუქნი აღმოსავლეთში გამოდგინდნენ 1048 წლიდან, როდესაც მათ დაიმორჩილეს უმეტესი ნაწილი ბიზანტიის იმპერიის სამფლობელოსა აზიაში, სპარსეთი ინდოეთამდე, კასპიის ზღვისპირები, მაგრამ სელჯუქნი რომ ამას წინადაც მძლავრობდნენ, ეს ხანის იქიდან, რომ 1020 წელს უკანასკნელის კახურაგნელის სომხის მეფის სენაქირიმის დროს (რომელიც იყო მამა ბაგრატ IV დედის მარამისი) სელსუქნი შევიდნენ სომხეთში, და ამის შედეგად, რასაკვირველია, საქართველოსაც არ დაეყენებდნენ მოსვენებით, თუმცა კი სენი შემოტანეს შემოსხენებულის მიზეზის გამო, ამაზე სჯულის ფსაზთა ქრონიკა“ კი, ცხადია, ვერც ამ ნაკლს ჩვენის მატანისას და გვიჩვენებს, რომ თურქნი 1029 წელს იმდენად გაძლიერებულან საქართველოს სამფლობელებზე, რომ ბაგრატ ერმა“ (მამის ბაგრატ იქნებოდა 11—12 წლის) თავს დასხმია სელსუქთ სულთანსა ანუ სენაქირიმს (იხ. Hist. G. I, 134, n. I).

1030 წ. — საეკლესიო მუხუგში დაცულია მცხეთიდან მოტანილი დიდი ტუგის წიგნი № 1; in folio (ბოლო არა აქვს), რომელიც შეიცავს ევთიმეს მიერ თარგმნილს წაგრიგოლ დკთისმეტყველის ქმნილებას, გადაწერილს შემოსხენებულის კასილის მიერ 1030 წ., როგორც გვაწმუგებს მისი წარწერანი: 1) „ლოცვა ჰყავთ ნეტარისა მამისა ჩუენისა ეფთჳმ მთაწმიდელისათჳს, რომელმან ესე საკითხავი ბერძულისაგან ქართულსა ენასა თარგმნა“; 2) „ჩქე, აღიდგე ორთავე შინა ცხოვრებათა ზაქარია მამადმთავარი ბანაელ სვხელოზი... ლოცვა ჰყავთ უტად მხრკეკელისა (ე. ი. გადამწერისა) ბასილისათჳს“; 3) წაგზირანეს თარგმანს აქვს მიწერილი: „ესე საკითხავი წისა კპრიანტ მღვდელმოწამისა და ვით ტბელი სისათარგმნილი არს“ (გვ. 456. დავით ტბელიც არ არის დავით მტკვარი, რადგან ტბელიც გვარია, ხოლო მტკვარც ტბეთის ეპარქიის ეპისკოპოსია. დავით ტბელიც ხშირად იხსენიება მთარგმნელად იგი უნდა იყოს ერთი ძველთა მთარგმნელთაგან V—VIII სუჳე იხ. ამაზე სჯულის გვ. 114 და 85

თემცა ამ ეტრატის წიგნს ბოლო აქლია და არა სისხსი, სედ და როდის ზა-
 დაწერილია; მაგრამ იმავე მუსკეუმის წიგნებში ჩვენ ვიპოვეთ ნამდვილი მისა შირა
 № 16, 1739 წელს გადაწერილია (ის. გვ. 278—279), სედარ დაწერილია იმ წიგ-
 ნის წარწერის შირიცა: „დაიწერა წმინდა ესე წიგნი... სულთა და კორცთა განა
 მანათლებელი ღუთივ დატულსა ქალაქსა შინა კოსტანტინეპოლეს დანაბამით-
 ვან წელთა ბერძენთა სათუალავითა: ხელს: (6538—5508=1030) ინდიკ-
 ტიონსა: იგ: (1030 წ.) ქართველთა ქორონიკონსა: სნა: (1031 წ.?) საბერ-
 ძნეთს მეფობასა რომანოზისასა ღმერთმან განამრკულენ წელნი (და)
 ღღენი მეფობისა მათისანი ყოველთა ქრისტიანეთათს... ქართლსა შთაგრო-
 ბასა ბაგრატიონისასა, ჰრომსა პაპობასა იოვანესსა (1024—1033 წ.)
 კოსტანტინე(პოლეს) პატრიარქობასა ალექსისსა და იპრუსალიმსა ნიკიფო-
 რესსა და ალექსანდრეს (ე. ი. ალექსანდრიას) — გიორგისსა, ანტიოქიას ნი-
 კოლოზისსა, ქართლსა კათალიკოზობასა მელქიედეკისსა, ყოვლად
 ყოველთა ზედა მეუფებასა უფლისა ჩუენისა ისო ქრისტესსა. აწა. და
 იქვე იმავე სქლით სიწყურად: „ესე სიტყუანი დედამნა (sic) ეწერა; ამისი
 ღედანი სუტატისცხოველისა იყო კოსტანტინეპოლეს დაწერილი, ეტრატსა ზედა
 ეწერა და დატტლებულ იყო, ვიდრეა ძლითა ესკნობდით, ეგრეთ გარდა-
 სულიყო“.

რადგან ინდიკტიონსი იგ: და დანაბამითგან 6538 წელს თანხმად უდრიან
 1030 წელს, ამის გამო ზემო აღნიშნული ქორონიკონიც უნდა იყოს სნ: და არა
 სნა: ბაგრატ IV აქ წოდებულია „ეომად“, რადგან 1027 წელს იგი გაიფედა 9—11
 წლისა და 1030 წელს იგი იქნებოდა არა უმეტეს 12—14 წლისა (ის. ზემო
 გვ. 162). იმპერატორი რომანოზ †1034 წ.—აქ მოხსენებულია ზაქარია მამ-
 მთავარა (ბანაკელი) და მწერალი ბასილა იგივე შირნი უნდა იყოს (საქარია გა-
 დაშვრტელი და ბასილი), რომელიც ზემო (გვ. 155) მოვიხსენიეთ, და რომლი-
 სისე შემთხვევით გაღაშვრტელი ზაქარია გამსდარყოფს ბასილ სუნგელოსად ვისე
 ტანტინოზლას. — 1028 წლის ხსენებში ბანაკელად აკვდა ქართველ ეპისკოპოს-
 სი იოანე (ქ. ცხ. I, 219; და სუმბატის ქრონიკა, ის. ზემო გვ. 159).

1030 წლის ხსენ დაწერილია ერთი შესანიშნავი უთავ ბოლო ტყუვის
 წიგნი, ნუსხურ-სუფურად სწერა *in folio*, რომელიც ჩვენ ვიპოვეთ მარტვილის სო-
 ბოროას საღაროში და რომელშიაც მოხსენებულია არიან ზემო აღნიშნულნივე შირ-
 ნი. ეს წიგნი შეიცავს: 1) „ცხოვრება წა მამისა ჩუენისა მაქსიმესი“ (აღმს-
 რებელისა), წარწერით: „ლოცვა ყათ წისა მამისა ეფთვ მესთვს შთარგმნ-
 ლისა და ისაკისთვს გლახაკისა მხრეველისა“. „ღიდება ღა; დაესრულა
 ცხოვრება წისა... მაქსიმესი. ქრისტმან სასყიდელი შრომათა მისთა მიეცინ
 მამსა ეფთვმეს, რა თარგმნა წიგნი ესე სულთა განმანათლებელი: აწ იყავნ:
 ლოცვა ყათ“; 2) სიტყვის გება მისივე მაქსიმესი პიროსის შიმართ (კითხვა-
 მაგებთ). ამ გრცელს თსხულებას ბოლოსა წარწერა აქვს იმავე სქლით: „ღიდება
 ღა! დაესრულა კითხვა-მიგება წისა მამისა ჩუენისა აღმსარებელისა მაქსიმესი“

ვინცა შეემთხვივნეთ... ამო სწავლათა ლოცვასა მომიხსენეთ გლახაკი ესე და ცოდვილი ეფთვიე, რომელმან ესე შუენიერი წიგნი ბერძულისაგან ქართულსა ენასა ვთარგმნე სალოცველად მამისა ჩემისა იოვანესსა და საესენებელად უღირსებისა ჩემისა.— გვედრები ყოველთა მწერალთა, მკითხველთა და მსმენელთა, კსენებულმცა ვართ ლოცვითა შინა თქუენტა, რაბა თქუენტა სასყიდელი სიყუარულისა მითოთ უფლისაგან უხუად მომნიჭებელისა მის მეუფისა ისო ქრისტისა, რომლისა არს დიდება... იყავნ.— ცხადია, მთელი ეს წარწერა კეუთისან თვთ წა კეთიმეს, და მწერალს ისევის მხოლოდ სიტყვა სიტყვით გადაუწერია იგი: ამ წარწერას ზედვე მისდევს შემდეგი უფრო სიყუარულებო: „და იწერა ბრძანებითა და ნებითა ზაქარია ებისკოპოსისა ბანაელი. სი და სენგელოზისა მათა კელითა უღირსისა და უცბად მხრაკალისა (sic) ისაკისითა: ქალაქსა კოსტანტინეპოლის: მონასტერსა მისვე ბანაელისა ებისკოპოსისა (ქაქისის) სენგელოზისასა ყოველთა წმიდათასა აგიაპანტს: მეთოპასა რომანოზისას: რამ წიგნსა შინა ვპოე (sic) რომლისაგან გადავწერე არა გამომიცივალეზბა სიტყუად არცა მიკაზმავს: ლთი (დმერთი) არს მოწამს და არცა რამ დამიკოია და თუ რამე დამრჩომოდა შევაწამე წიგნსა და ჩაურთე: რამეთუ მთარგმნელი სულისა წინა მადლითა საესე იყო და ბრძენ ფრიად: მეცნიერ ბერძულ“ — — — (ამას იქით დედანს ბოლო აკლავ). 3) სიტყვის-გება ვნებათათვს თალისეს მიძრათ“ (ამ სიკეთესავ: თავი და ბოლო აკლავ).

ქიდა მსახსნი, რომ წაქარია ეოფილა ბასიელი კნისკოპოზო და მით უფრო შვილებსა იგი იყო წაქარია კლავიკერტელი (ის. ზემო გვ. 169).

1030 წ.— ზემოსიკნებულის (გვ. 169) მწერალის ისავისავსე ადწერლია, როგორც სხასნი, თონის სელსაწერი, ცხოვრება წას მკარისი და მოციქულთა სწორის ბატონისი (ამ ბატონ ჰონტოკლესის. 1066 წლის ქვეშე) წარწერით: „და იწერა მთასა წმ. ოლიმპოს საბერძნეთისასა, ქვაბსა, საყოფელსა ქართულისათსა, ეკლესიასა წმ. ლს შობლისა, ბრძანებითა მამისა გრიგოლისათა, კელითა გლახაკისა... ისაკისითა მანერით (?), მეთოპასა რომანოზისა მათა (რომ... ს. ასა), ოდეს სარკინოზედ წავიდა, წარმოტყვევნა იგინი, ქკი იყო სნა.— ბოლო სწერია, რომ ცხოვრება ბატონისი თარგმნა წა კეთავემ, მამან გრიგოლიმ დაწერისა. ზემოსიკნებული წარწერა სიტყვა-სიტყვით გადაწერილია ბ. ა. კავარდის თხზულებადამ: Свѣдѣнія о памятниках“ და სსკ. გვ. 84, მგრამ ცხადდ ეტობა, რომ ძველებური მართლ-წერა არ არის დაცული.— აქ დანთა ლა მითავსი ცნობა ოლამპოსის ქართველთა მონასტერზე, რომელიც მათე სწავრესი იხსენიება. იქ დავეს რამდენიმე წელი წა თონსელთა იოსავ და კეთიმეს ის. ამისე 978 წ. ქვეშე, გვ. 123.— თონის 1074 წლის სელსაწერი წა კეთიმეს ცხოვრებაში სწერს (გვ. 18—19): „და ესრეთ მთასა ულუმბო მსასა მიწია (წა იოანე) და მონასტერსა ერთსა შინა ეამთა არა მცირედთა ჯორთა მსახურებისა ლუაწლი ახოვანდ თავს იღვა“ (ეს იყო 971 წლ. სსლო სხ.

რებში). ამაზე ადრე, 860 წლის ახლო ხანებში, უღუშობაში სცხოვრობდა „ილა-როის ქართველი“ (ეკ. მუზ. № 170, გვ. 281; „სამოთხე“, გვ. 391).

უღუშობის მონასტერზე რამდენსამე ასაღს ცნობებს გვაძლევს იმავე ა. ცაგარის მკერდ აღწერილი ათონის სამოციქილო X საუკ. («СВѢДѢНІЯ» და სხვ. გვ. 76, № 11) წარწერითა: „მე მიქაელ გლახამან... მოვივე წმ. ესე პავლე განზრახვითა მოძღურისა ჩემისა გიორგისითა და შეწეგნითა იოვანე კახასათა. დიწერა წმ. მთასა ოლინპოასასა საყოფელსა წინსა კოზმან და დამიანეთასა, პატრიარქობასა კოსტანტიპოლეს პოლიოვკოასა, მეფობასა ნიკოფორეისა, მე მიქელ მღვდელმან, ზეკევე (ზებედე?) ბერმან, ქუაბის შეიღობან (ე. ი. ქართველთა „ქუაბის“ ღვთისმშობლის მონასტრის ბერმანს?) ბერთას აღზრდილმან, ესე წა პავლე მოვივე“.

რომ აქ მოხსენებული სამოციქულო დაწერილია 965—973 წლებში, ეს ცნადა იქიდან, რომ ნიკეიურე იმპერატორი ჰიმართავა 965—973 წლ., 2) ზოლიკეტოს პატრიარქად იმის დროს პატრიარქობდა, თეოფილაქტის და ასტონის შუა; ხოლო ასტონის სხანს 979 წელს (იხ. ზემო გვ. 123). —ასტონის შუადეკ 983 წელს სხანს პატრიარქად ნიკოლასი სრუსოვერგი, ათონის კელესქის წარწერაში: „ქე აღიდე სულთა მამა და მოძღვარი ჩვენი იოანე და მიეც მადლი წინამძღურობისა... ქე აღიდე... ფთვემე ამისი თარგმანი... და განძლიერე თარგმანებლ წიგნთა... ესე წიგნი მე იოვანე სვინკელმან (იგულისხმება იოვანე თორნიკ ყოფილი † 987 წ.) დავსწერე... ქყანასა „საბერძნეთისასა, უღანბონსა მთაწმიდისასა, მეფობასა ბასილისსა და კოსტანტონსა, პატრიარქობასა ნიკოლოას ბრუსოვერგისასა, დასაბამიოვან წელსა: ხუვე: ქენი იყო სე:“ გადამწერი საბა: (Параели, свѣдѣнія... გვ. 89). —ბურთას მონასტერი იყო ოფიზის მონასტერზე, აქამდე სდგას ეკლესია ბურთას. —ამ ნაირად სიმა მონასტერი სხანს ოლიმპოში, სდაც ქართველნი ცხოვრებულან: კრანა, ქვა და კოზმან-ღამიანესი.

1030 წ. ქესა. სწ. დასაბ: ხქლდ: „ - ლტ ხხრ - - ყყჩ ჩჩქქქქ
ყყჩ - - ყყჩ || ჩჩჩჩჩ: ლ ყყზ: ზოტახჩხ: ხ (ჩ):“ ეს ასო-ითავრული წარწერა ცალკე ქვაზე, რომელიც ჩვენ ვიპოვეთ სამთავისის ეზოში (ბაროსისკე ვერ შეუნიშნავს). ორიოდ სტრიქონი წაბლალულია, მაგრამ უმთავრესი დარჩენილად დეკოსება: „(ილ)არ(იონ) სამთავან (ელმან აღ)აშენა ტაძარი ესე - - ენე(?) წელთა: ხქლდ: (6634). ქრჯხა ს(6). —ტაძარი აუშენება 1030 წ., მარანი და სანახელი — 1050 წ., (იხ. ეს თხზულება 1050 წ. ქვეშ); ხოლო ჯვარი ბრუსესასაგან აღწერილი (Rap. V, 4), 1056 წელს (იხ. ქვეშ). —ამავე სამთავსელ დღაიონს, ვაჩე ყანხელის ძეს აღუშენება აშურანის ეკლესიაც წის იოანე ნათლის-მცემლისა ბრძანებითა ფასისა მოღებითა სულკურთხეულისა მამისა ჩემისა ქორონიკონს სნბ“ ბაგრატ კურატპალატისაზე (ე. ი. 1032 წ.). — აღმოსავლეთის კედელზე სამთავისის ტაძრის ასო-ითავრულად წერია: „ქ ხატო ღვთაებისაო, შვე სულდ. ილიარიონისი, ძისა ვაჩე ყანხაელისა“ — ამ წარწერის ზემო არის

სხვა წარწერა, რომლისაგან 1851 წ. წაუბლავთ ის, რაც ქვემო ფრანსიკლებში ჩაგვიყვანა და ბროსისკეს Voyage-ში მოიპოვა: „ქ. ღმერთი მის შორის და იგი არა (შეიძრეს უკუნისამდე)“. ესვე წარწერა ქქისია სოფელ-წმიდასაც. — აგრეთვე სრულიად არ იპოვა წარწერა, რომელიც ბროსისკეს უნახავს 1056 წლის (Rap. IV, 6), აგრეთვე არა სხვის მეორე წარწერაც, რომელიც ბროსისკეს რიგაანად ვერ წაუკითხავს (Rap. IV, 124).

1031 წ. — სჯეკლ. მუხ. ტყეგის ხელ-ნაწერი, № 96, რომელიც შეიტანეს მე-VI და VII მსოფლიო კრებოთა კანონებს, წაუკეთიეს თარგმნილებს, აქვს წარწერა (გვ. 196): 1) „ლოცვას მომიხსენეთ გლასაკი ევთვიმე, რწ ვთარგმნე ესე ბერძული-საგან ქართულად აწ“ 2) ლოცვა ყავთ მამისა გრიგოლ მთაწმიდელისა, რომელმან ინება აღწერა ამის რჩულის კანონისაჲ სალოცავად სულისა მათისა და სულდიდებულთა ბედნიერთა მშობელთა მისთა“. 3) გვ. 197: „ქვე აღიდე მამა გრგლ“; 4) ბაღოს სო-მთავრულად: „დაიწერა რჩოვლის კანონი ესე ქალაქსა... კოსტანტინეპოლეს... ახალსა ჰრომსა, ბრძანებითა გრიგოლ მთაწმიდელისაჲთა, კელითა გლახაკისა ბასილი ეტრტი (ეტრატე?) მალუმისძისათა... დაიწერა მონასტერსა ხორას, მეფობასა რომანოზისასა (1028—1034) და ქანი იყო :სნა:“. ამავე ხელ-ნაწერის აქვს მერმინდელის ხელით მინაწერა ბერძენთა მეფეთ სია, რომელიც სემო ჩაუერთეთ (გვ. 147). ხელა წარწერისა იგავა, როგორც იმავე მუხ. ხელ-ნაწერისა № 1. (ეს გრგოლი ის. ზემო 1030 წ. ქვეშე, გვ. 170).

აქ მოსსენებელი გრიგოლ არის ივერიის მონასტრის წინამძღვარი, შეიძლება კეთილესი და გიორგისი. ის ცოცხალი ყოფილა 1036 წლის ახლო სანებში. გრიგოლის წინამძღვრულზე გიორგიზე ათონის ხელ-ნაწერი (გვ. 116) სწავს, რომ მან ბერძენნი ფრ რამე შეიყუარნა და განამრავლნა (ქართულთ ივერიის მონასტრში) და სრულიად მათდა მიმართ მიდრკა, ხოლო ქართველნი, ვითარცა ნახსურნი რამე და უნდონი უგულვებელს ყვნა და შეამცირნა, რამეთუ ვითარცა უწყით ყოველთა ადრე შევირყევით და მიმოსულასა მოსწრაფედ შეუდგებით... ბერძენთა მიეჭკა და იგინი განამრავლნა... ამისა შემდგომად ჟამთა რომანოზ მეფისათა დიდად წარჩინებულ იქმნა გიორგი წინაშე რომანოზ მეფისა და დიდად საკუთარ და პატივსცემულ. და მერმე თუ ვითარ იქმნა, ღმერთმან უწყის, ვანდგომილებამ და ორგულეზამ დასწამეს დიოგენისა ვის-თვსმე, რომლისათვის თქუეს, თუ მისი უნდაო მეფობამ გიორგის და ამის მიზნისათვის ექსორია იქმნა გიორგი მონაგატს და მუნ აღესრულა ექსორიოზ ბასა შინა და მონასტერი და ჩუენ ყოველნი, რომელნი დაშთომილ ვიყვენით, მას ჟამსა დიდსა დელვასა და მიმოტაცებასა შთავცვენით. რამეთუ სამგზის დაიტყუნა მონასტერი და რამცა დრისტი ტურთა იყო მამათა ჩუენთა მოგებული, ყოველი იავარ იქმნა და ვერეთვე განძი და კუმაში... ამისთვის ზოგადიჲა განზრახვითა ყოველნი ძმანი ერთად შევეკრბით (sic) და ერთითა განზრახვითა ესე ქუემო-წერილი მოსაკსენებელი დაწვერეთ ამით პი-

რითა და სახითა ეამთა ს ჳ მ ე ო ნ მამისათა“. მერე თვით თსოვნა ანუ შოხისსკუნუგელი სწერია და მამის გრაგოლის (მთაწმინდელის) ღვაწლი. „შემდგომად დიდთა ბჭობათა ღირსი მამა ჩუენი გრიგოლი წყალობით მოიკითხა (ბრძანთ მეფემ მისჯელ) და ნებითა ღმრთა კდ დაგვეკვდრა აღგილი ჩუენი და საყოფელი წინაძღომითა და მოღუაწებითა გრიგოლისითა... და გარდაედეს რაოდენნიმე ეამნი და მიხაელ მეფს თესალონიკეს ჩამოვიდა. კდ აღეტყინნეს ჩუენ ზა ბერძენნი და მთაჲ ყოველი აღძრეს და დიდებულნი ყოველნი განდრიკნეს და ენება, რათამკა პირველი იგი ბჭობაჲ და ღმრთისა მიერ ჩუენზედა წყალობაჲ ცუდმცა ყვეს და ამაო. არამელ განაცრუენა ღნ ზრახვაჲ მათი... დაჯდა კდ ქრისტეს მოყუარს მიხაელ მეფს და თრიაღითა გამოძიებითა განბჭო და ეკლესიაჲ და მონასტერი ყოველითურთ მონაგებით და სიმდიდრით ჩუენ გვიბოძა... მამაჲ გრიგოლ პირველ ამის მეორისა ბჭობისა მიცვალებულ იყო. ხოლო არსენი შდ ამის მეორისა ბჭობისა მიიკვალა“.

ვგოსებ ეს გრაგოლ (დრედიქ?) იწოდებოდა „ახალ აბრაამად“ და „მავგრიგოლად“ (?). ამაზე უსიდე აღაზი № 130 ათონისა: „თა ნოემბერსა იზ: აღაზი არს წა მ. ჩნსა გრიგოლ ოსი და ვითარცა სვგელოზისათვის სწერია, ყოველივე დაუტლებელად აღესრლებოდინ... და მსვე დღესა მოიქცნებოდინ ზაქარია (მირტაღისძე) და არსენი“ (მირტაღისძე, ფარსმან ყოფილი?). — შემოთქმულთა გარემოებათაგან სჩანს, რომ გიორგის ექსოართოზის მონასტარ 1029—1030 წლებშე; ბჭობა პირველი—1035 ანუ 1036 წლებში; გრაგოლ მომკვდარს 1036 წლის ახლო სანს; ბჭობა მეორე უნდა ყოფილიყო 1037 წლის ახლო სანსში. (შავი გრაგოლ, ზაქარია მირდატის მედა არსენი აი. კელ. მუხ. № 170; გე. 203—206. იმპერატორ რომანზე შეთქმულთა მოხდა 1030 წ. და ეს შეთქმულთა აუწეს მას ქართველმან აბუკაზმან (Addit. p. 219—220).

რომანოზ კეისარის წინაღმდეგს შეთქმულთაში, ბერძენთა წყაროებით, ქრევა გიორგი და ვარაზ-გაჩე, თეკედასის მისწულნი, რომელთაც ბიზანტიის სამსახურში მღაღი ადგილი სჭერათ. ამ წინაღმდეგობისთვის გამეფებულმან რომანოზმან დასჯა ივანი. ეს გიორგი უნდა იყოს ათონის აღაზიში (№№ 52, 90, 68) მოხსენებულნი „გიორგი მავსიტრისი“, რომელსაც 150 დრაკნი მიუტრა სხაურაჯად“ ივერიის მონასტრისა და „დიდი ქველმოქმედება“ უსწავნება ამ მონასტრისთვის: „მე მამამან ნიკოლა პროტოსვგელოზმან (ნიკოლო წინამძღვრად სჩანს 1037—1040 წელს)... დაუფასეთ საკმარი მისი რაჲცა მოელო ამის ეკლესიასა სიციოცხლესა. მისსა და რომელი შემდგომად სიკუდილისა მისისა დაუტევა განძი, სტაფრანი და ჭურჭელი ვეცხლისა და საკედარნი ყოველნივე ჯუმლად :მ: ლიტრისა განძისა საკმარი... განვაწესეთ აღაზი... აღესრულებოდეს... ვითარცა მამენებელთათვის სწერია... ვგრეთვე დღემცივლებისა (მისესა) მისსა :კ: აღაზი გარდაიკადონ... ვგრეთვე ივლისსა :კზ: ოდეს დაუმარხენით ძულნი მისნი მის მიერ განწესებულსა საფლავსა გარდაიკადონ აღაზი“...

აღბათ რომანოზის სიკვდილის შემდეგ გიორგის ისევე მიუღია თუნი ჰატოვი და ერთი უმთავრესთა მოქმედებთაგანი უოფილა ივერიის მონასტრის უკან დაბრუნებაში, მოსწენებულს 1035 და 1036 წლების ბჭობის უამს. რომანოზის სიკვდილის შემდეგ გიორგის მძასაც ვარსკვლავს დაუბრუნდა წინადავლი ჰატოვი და იქმნა „ზნონსოვთური და გომეკ ეკლესია“, რომელმან ამ ქალაქს 1038 წელს ააწილა უბედურება არაბების დასხმაში“ (Addif. p. 219—220, ვახუშტი დ. ბაქრაძის, გვ. 170). გიორგი მაგისტროსის სიკვდილი 1038—1040 წლებში იქნებოდა. სიკვლას შემდეგ, 1043 წელს წინამძღვრად ივერიისა იყდა სტეფანე სახელელი (ის. 1043 წ. ქვეშე). სიკვლას წინამძღვარი იყო, ერობაში ივანე'ნი, ამისი მის გაბრძოლ (აღაპები ათონისა № № 45, 46), თანამედროვე სუფასძ, ქონქოზისა, გ ი ო რ გ ი ხ ო რ - ნ ა ს ე ლ ი ს ა, ფარსმანის მძისა. ეს ფარსმანი ბერობაში „არსენი ფარსმან-უოფილი“ წინამძღვრად დაჟდა ზორტიტში 1045 წ. ასლო სანებში (ის. ზემო გვ. 164). ფარსმან თმოგველი ის. აღაზ. № 82; „დაჟ ფარსმანისი დ ხორასნელისი“ ის. კვ. მუხ. № 170 გვ. 262; მძისი ხორასნელი და ფარსმან ის. „სამოთხე“ გვ. 430. იმავე დროს „ისაბა მონომას-ყოფილი“ (აღაზ. № № 52, 45, 46). „ერისთავთ-ერისთავის გიორგის ხორასნელის სურათი ერთად ბაგრატ III სურათთან გამოქანდაკებულია ზნონსმის კველზე, ასლცისას მარჯვში (ვახუშტი ბაქრ. გვ. 146).

1030—1035 წლის ასლო სანებისა ასო-მთავრული წარწერა დეთის-მშობლის ხატზე, რომელიც მარტვილიდამი სპანდუსს გაუტანია, მისაწერები მოეწვლია და შეუკეთებია, რისგანომც წარწერაც შებღაღულა: « - - - მამისა ღთისა სულით წმიდ - - - არსებით არს ქმნილსა(?) - - - მცირედთა ნივთთა მომძღუანე აღსამკობად უ ლ ე უ და ლ ე ლ ა და შევრდომით მო[ი]სქენე მათთვის რომელი ღმინ ჰყუნენ ჩემთვის შვილითურთ ზ ვ ი ა დ ი და გ ი ო რ გ ი ი ოხენ დედოფალთა.

რომ ეს წარწერა უნდა კეთებოდეს 1030 წლის ასლო სანებს, ანუ; რამდენადმე უფრო ადრე დროს, ამას ჩვენ ვასაბუთებთ: 1) უ ლ ე უ და ლ ე ლ ა შემდეგს დროებში არ სჩანან, 2) ზვიადი დადიანი (უდუსი შვილი?) გიორგი I დროს მხედართ-მთავარა იყო ბასილ კეისრის მოწინააღმდეგე მხედრობისა (ის. ზემო გვ. 156) 3) შემდეგი წარწერა მოიხსენიებს მე-XIII საუკ. მცხოვრებს ბედიან დადიანს მანდატურთ უხუცესს და მისს ცოლს ცნობილს სუამაქს, ქართლის ერისთვის ასულს და მათს შვილს გ ი ო რ გ ი ს, რომელიც †1323 წ. 4) უმთავრესთა დადიანთ სსს სელები XI—XIII საუკ. ცნობილია ხეკის წყაროებში, ბაგრამ ამაში უდრე და ლეულა არა სჩანს; გიორგი I დროს—ლეიადი, ბაგრატ-IV—ივანე დადიანი; გიორგი III დროს ბედიან და შანშე დადიანი, აგრეთვე კოსტანტინე; თამარ მეფის დროს კოსტანტინეს ძე კარდან და ცოლი მისი მარამ და ძე მათი გიორგი; გიორგი დაშას და დავითის დროს—სურტილ და ცოლი მისი ნათელა, შვილნი მათნი: ცოტნე კარდანი და ბ ე ვ ი ა ნ, და ძენი ამისნი: გიორგი †1323 და ივანე.

ამავე დროებს უნდა კეთებოდეს ასო-მთავრული წარწერა დიდს მარტვილიანს კეცხლის ჭკარზე: «სახელითა ღთისათა მე გლახაქიმან არსენი, ძემან ვარე მარტოყელი სა მ ა ნ შეეკმენ [X]უარი ესე. საღიდებელად და სალოცვე»

ლად აღიდენ ონ, ძრიელსა (sic) ბაგრატი მეფისა და კურაპალატო-
სა და შვილთა მათთა ერთობით აღიდენ ონ - - - - ასულითა ივანე დია-
კონისთა ქე [შე?]“. — ფარსიანებში ჩასმულებს და გამოშვებულს წარწერებს აფა-
რას რკინის ნაჭრები, რომლითაც ჟვარი შემდეგ შეუკეობათ. არსენი და ვანე მარ-
ტოქელძე ცნობილი არ არიან. — ფარსიან „არსენ-უოაილი“ და არსენი ნინოწმიდე-
ლი ის. კვლ. მუხ. № 205; 230; 206 და ეს თარგმანება გვ. 164 არსენი ბის-
კოპოსი ბოცო მარსაზანის ვაჟელის მე ის. 1053 წლის ჭკუეუ.

✓1031 წ. — ამ წლის ასლო ხანებში აღმუშავებია მცხეთის ტაძარი კონსტანტინე-
პოლისის, როგორც გავსწავლებს მისნი წარწერანი: ა) აღმოსავლეთის მხრით გამო-
ქანდაკებულია კაზი თორმეტ შტოანის (სახე მანსოკრისა და 12 მოწაფეა: „მე
ვარ ვაზი, ხოლო თქვენ შტონი“). თითოეული შტო თავდება რვაკვად მოქან-
დაკებულია სახითა (მტკვანი?), რომელზედაც ასო-მთავრულ სულ-ნართულად სულ-
წერად წარწერილია: 1) ჳჳჳ, 2) ირ ყჳჳ, 3) ჳჳჳ ჳჳჳ, 4) ჳჳჳჳ,
5) ჳჳჳჳ ჳჳჳ 6) ჳჳჳჳჳ ჳჳჳჳ ჳჳჳჳ ჳჳჳჳ, 7) ჳჳჳჳჳ ჳჳჳჳჳჳჳ
8) ჳჳჳჳჳ ჳჳჳჳ, 9) - - ჳჳჳ - - ჳჳჳ; 10) ირ ჳჳჳ; 11) ჳჳჳჳჳ“. — კრ-
თი სახე წარწერილია (იუდა განმცემელისა?). ამ წარწერათაგან რამდენადაც დაწო-
ნებულია: № 7, თუქცა ვი ბინოკლის საშუალებით ცხადად იკითხება მწიკ: „ველი-
თა ბესიკისა“ (და არა „ბილიასა“, როგორც სავარაუდოელი უნდა იყოს, რადგან
მცხეთის აღმუშავში კეისარი ბასილი მონაწილეობას იღებდა: ის. 1040 წ. ჭკუეუ);
№ 9-სა ორი ასო მოკარდნილი აქვს („შეწიერ კურთხევითა“?); № 10 სწორედ
მიგანხია წაკითხული („ლუწა ესე“), თუქცა ვი ოდნავ გამოიწინებება. ამ წარწე-
რას ჩვენ ესრე ვკითხვლობთ: „აღიდენ ღმერთმან ქრისტეს მიერ მელქიზედე
ქართლისა კათალიკოზი ამინ. აღმუშა ესე წმიდა ეკლესია კელათა ბესიკისა.
მონასა მათსა (შეწიერ კურთხევითა?) ღუწა ესე სულსა“. შეიძლება ბოლო ზღ-
მოკითხოს ესრეთაგ: „...ველითა ბესიკისა მონისა მათისა“... სახელი ბესიკიონ
ესე შვილ იქმნა მშობელთა ძირ რტოებათა შესატყვისათა და შეზავებულთა, ვითარ საცნაურ არს ხე ნაყოფისაგან და ნაყოფი ხისაგან და ვითანთაგან (დაკითიანთაგან?) და ხუასროთანგანთა და პანკრატონიანთა სახელი უფროს მზისა იცნობებოდა და ყოვლისა ქვიშისა და მის მინადებისა, რომელმან ნებროთისა პასაკითა მოიგო პარს ძეთა სამთუარები, რომელთა შემსხმელად კამს ომიროს მეორაბამე იგ იდიდა სიტყუა აღექანდრისადმი პალოტარახოს ზემო მალღელი ისტორიოთა მწერლობასა შინა კელმწიფეთა შემასხმელობისასა, ვითარ ეამთა-და-ეამთა გარდმოზენებითა აღმონათლდებიან ქუეყანის მფლობელნი და მიიღებს თათული საქმისა შესატყვისებასა აღმკულებასა სიტყუათა და საქმითა და ვინა მე საგმობნი აღძველნა (აღძვეს?) ბოროტთა საქმეთა შინა. აწ მე რომელი გინა თუ მიხილავს, გინა თუ ბრძენთა და გონიერთა კაცთაგან მასმინ, გარდავსცე ისტორიასად ვასალო ლარაფსა ძალ არს მითხრობა მეფეთა, ვინათგან ლაკუა აღმავლობასა სიტყუა სეთისა აღამისა და ღთისა მეცა ისრეთ ვიწყო ამის თამარისა სამგზის სანატრელისა და სამებისაგან ოთხად თანა აღზავებისა, რომელი ეთეროან იქმნა კელმწიფეთა შორის, რომელისა სახე და სახელი თვისსა ადგრლისა მამა აქმნა (გ?ი) მეფე მეფეთა, ძე დიმიტრი მეფისა, რომელსა და ვითაცა ესვა ძედ ძესა დავითიანისასა და აღმოსავლეთისა და კერძო ჩრდილოეთისა მეცხოვნისა და ზღუართა დამდებლისა და ზღუათა ზღუამდინისა, რომლისა ღიდებითა, სიძენითა და გუა-

რითა ცხორებისათა აღმოაჩენს იოვანე ფილასოფოსისა კიმქიმელი-
სა შესხმა მითხრობა დიმიტრისა მკენსა კდომათა შინა და მძლესა
ბრძოლასა შინა ორძეობადესა, რათა დავით და გიორგი მარჩვეელი
ძისა უმცროსისა მლარწველი მკიცხველი იქმნა, ვითარ ისაკი იაკობისადმი, და
ვედრებისა შემასმენელმან ღმერთმან დავითის დღეთა შემეცირებითა
სრულყო პირველ მამებისა და მამამან ძითურთ ძე ტყბილი შემგუარი ზამის
აღამალა თავისა თანა და ძისა სწორად მოსაყდრედ გამოაჩინა მზე მნათობთა
შორის, აღექსანდრე და ქაიხოსრო მპყრობელთა შორის, აქილევ, საბსონ და
ნებროთ გმირთა შორის, სპანდიართა(?) ამათა და სიამო გოლიათთა შორის, სო-
ლომონ, სოკრატ და პლატონ ბრძენთა შორის. ამისთვის მეფობასა შინა
მოგუარა ცოლი მამამან ასული მეფისა ხუდნანისი, სახელით ბურ-
დუხან. ესე თვთ ვითარი შესატყვისი ქრმისა პირმშისა, ტან-ლომისა, თვთ
მზე მზეთა შუენებით და მომფენაობითაცა, ვითარ ლიქომისა ცოდვილთა და
მართალთა ზედა, რომელი ყუარობდა მართალთა და სწყალობდა ბრალეულთა
რომლისათვის თუ ვთქუა სახები გარეშეთა, გინა თუ ვიეთიმე სატრფიალოთა,
თვთ მისავე ქრისტე შემოსილობისაგან მაქუ შიში და კდემა, რომელი ეკა-
ტერინესა და ჰელენო ქმნილისა და თვთ მარიამ განმანათლებელისა ცისა და
ქუეყანისა ესახების თვნიერ ქმრისა მყოფლობისა მადლითა სიბრძნით შეწყენი-
თა და მეოხებითა ნუ უკუე ზეშთა განზიდვითა და მრუდეს თუალი გონებისა
და ვითხრებლე ნეშთობად სწყენა სახეობითა, რომელი უმარჯულო და უმარ-
ცხულო მავალი გზებისა გზისასა მაბრალეებდეს გარდაქცეულეებასა
ესე თათისა (?)

აწ ვიწყო ძალგებრ და უღონო მიწდომისა ესე შვილისა ნათელ შემოსი-
ლისა მამა იგი გორგასლიანი, აღმასრულებელი ვახტანგისა ნეტარებითა, რო-
მელი დავითს მამადობითა(?) შინა ლუთისა ქენებად აღთქმისა აღდგინებად ტომ-
თაგან მისთა მისებრ მპყრობელი აღმოსავლეთისა და ვითარ ამისთვისცა ესე
ვლარად (კითარად?) დაღექსავს მღექსავი ვინმე და იტყვს:

შენ ვახტანგი სანატრელი ხარ, შენთვის ღთისა მაქებრისა | ცნამცა შენი
მტერთა ძღვევა თვთ მზეებრ მშუენებარისა | მუსულმანთ აწყუედელისა ქრის-
ტიანეთა მაშენებარისა | და ვინ დაგბადა ნებავს დაბადება ბუნებისა (?) |

ამან რა იპყრნა შარვეანდენნი მეფობისა უკდ სამეფოდ განწყესებული
აღმკულომან ზენათა პორფირითა და გვრგვნითა აღტურნა მკლავნიცა მუსრვად
და მოწყუედად წინააღმდგომთა ქრისტეს სჯულისათა, აგარიანთა, ისმაიტელ-
თა და მომადიანთა.

პირველად წყალობისა მიმფენმან იმერთა და ამიერთა, ზემოთა და ქუე-
მოთა, დიდებულთა და აზნაურთა, სპასალართა და სპასპეტთა, შინაურთა და
გარეთა კელყო შეყრად და გამართებად ქალაქსა ზედა კალზევანსა და წარმო-
ტყუენა ყოველი-კვენები კლდოვინი და ქალაქები აშორნისა, სომეხთა მეფედ

წოდებულისა, შაჰრმენისა და შემდგომად ამისსა კულად შემყრელმან სპათა მისთამან მიმართა დიდად ქალაქად და სახელოვანთქმულ დაწრო... (ქ.ცხ. 265).

რადგან გიორგის ცხოვრებას თამარის მემკვიდრე სწერს 1195 წელს, (ამას დაუმატო-
ცემთ ამ წიგნის შესავალში), ამისგამო ამ სახელოვან მეფის ცხოვრება მოკლედ არის აღწე-
რადი და მრავალი ღირს-სახსოვარი ფაქტები, უცხო ერთა მწერალთაგან აღნუსხული, გამო-
შვებულია, გინა მოკლედ ან უსახოვადო ფრასებით მოთხრობილი: მაგალითებრ კალ ზევეანის
ლაშქრობა (მარ. დედოფ. ქ.ცხ. ფურტ. 309). დაბეჭდილს ქცხბაში (I, 265) შეცდომით
დასახელებული „კათორეფანი“, —რომელიც უნდა მომხდარ იყო 1157—1158 წლებში, არაბ-
ტის მხრის აღება 1159 წლის ახლო ხანებში (ibid.), სანად სახელოვანი ბრძოლა გაღუბლით
და იმდენად გამდიდრებულან ლაშქარნი, რომ თითო ტყვეს თითო ღრამად (ე. ი. ექვს შაჰ-
ჩად) ჰყიდდნენ; ანისის აღება 1161 წელს (Et. Siounie, p. 217, Add. 253—4); მისი და-
კარგვა და მეორედ აღება 13 ივნისს, და იმავე 1163 წელს 1-ს ავივისტოს დიდად სახელოვანი
დამარცხება თურქთა, სომხის მემკვიდრეგან საშეილ ანელის თვთ-მხილველისაგან, ვრცლად
მოთხრობილი (Brosset, Collect., n. 465; ვახუშტი გ. 190); —სრულიად გამოშვებულია დო-
ვინის სახელოვანი ბრძოლა, რომელშიც მეფემ მოსპო თათრების ჯარი და 60,000 ტყვე წა-
მოასხა, თუმცა ეს ბრძოლა აღწერილია სომეხთა და მუსულმანთ მწერალთაგან და თვთ მი-
ქელ სირიელისაგან (Addit., 225, Chronique de Michel le Grand, 319, ვახუშტი ბაქ.
191). სხვა ამბებისგან უმეტესი ნაწილი იმავე მიზეზისაგამო, მოთხრობილიან მრავალ შემკულ-
ფრასებით, რომელნიც საქმის გარემოებას ნაკლებ გვიხატავენ, ხოლო ზოგიერთი ფაქტები გა-
დარეულია, მაგალითებრ, დემეტრეს პირველი აჯანყება 1167 და მეორედ შისვანე ატებლი
ამბობება, რომელსაც შეუდგა ორჯელანთ ამოწყვეტა 1178 წელს, ერთმანეთში გადარეულია
და ერთად მოთხრობილი (ქ.ცხ. 272—3), როგორც ქვემო აღმოვაჩინეთ (იხ. 1167 და 1178
წლის ქვეშე). —მართალია, თუმცა მემკვიდრე თანამედროვე ყოფილა გიორგის მეფობის:ცა,
როგორც სჩანს ქ.ცხბის (გ. 271) ფრასისგან: „რომელი იქმნა დღეთა ამათ ჩვენთა“,
მაგრამ რადგან ეს ნაწილი მატანესი დაწერილია 1195 წელს, ე. ი. 26—28 წელს შემდეგ
აღწერილის ამბებისა, ამის გამო ცნობები მოკლეა და არეული.

1158 წ. — მეფე დიმიტრი მოკვდა (Et. Orbelian, p. 216). — ქ.ცხოვრებით
დიმიტრი † 1155 წ. კასუშტით — 1150 წ. მაგრამ რადგან გიორგის გაქვების
დროს დიმიტრი ცოცხალი სჩანს, ამისგამო სტეფ. ორბელიანის ცნობა უფრო მისაღებია,
მით უმეტეს, რომ იგი კოასსიება ზემო ამოწერიდას (გვ. 257—8) ცნობას თამარის
მემატანესას. სოლო ქ.ცხბის ცნობები, გ. 263—4, შეტანილი სსკა წყაროდან,
როგორც უწინაშე, მართალი აჩ არის. შეიძლება 1155 წელი გვიჩვენებდეს დი-
მიტრის ბერად შედგომის დროს და უცნობ აკტორისაგან (შეიძლება იმავე კასტანკ
შეფისაგან) სსკა წყაროდან იყოს ჩაკვრებული ქ.ცხბში. არც დიმიტრის ბერო-
ბის სახელი დაწინილა ცნობილია მარ. დედ. ქ.ცხბით და არც სსკა წყაროდან.
დიმიტრის „დაწიელობა“ ჩვენ წყაივითეთ ეკ. მუს. № 186 გელათურს სელ-
ნაწერში: „დავით მეფისა, აღმაშენებელისა დიდისა მის (გელათის) ეკლეს-
სისა და ძისა მისისა მეფისა დანიილ მონაზონისა საუკ. არს საქმე-
ნებელია. აქ დასიელ დავით აღმაშენებელთას ერთად აღბათ იმისაგამო მოხსენ-
ბული, რომ მასაც მონაწილეობა მიუღია გელათის აღშენებაში (იხ. გვ. 144).

1167 წ. — „ქკს: ტკპზ: დასაბამითან: | ხლთა: | აქ[ა] გ'ის დ'ტე | გრა[ნ]დგა: | ლლა[რ]ეს შედგა: შეიპერეს და თ'ლნი | დასწუნეს“ (აფსაზთა ქრონიკა); ე. ი. „აქა (1167 წელს) გიორგის დემეტრე გადგა; ლორეს შედგა; შეიპერეს (დემეტრე) და თვალნი დასწუნეს“.

ეს ძვირფასი წარწერა სრულიად ახალ ქრონოლოგიურს ცნობას იძლევა და შექმს ჭეშმარიტად და უცხო ტომთა მესტიანეების თქმულებას შესახებ ორბელიანთა და დემეტრეს განდგომილებისა. დემეტრე, გიორგის მძისწული, დაკითხის ძე, ამ დროს „შიაწითა“, ე. ი. სრულ-წლოვანი შეიქნა. მამან ივანე ორბელიანმა „მოსთხოვა გიორგის: რადგან დამან სრულ-წლოვანი შეიქნა და მემკვიდრეობა მას კეკელიანსა მეფობა დამანს გარდაეცო თვთ დავით მეფის ანდრონიანებრ“ (წიგ. Orbelian p. 216—7). ამის გამო ასტუდა გიორგისა და დემეტრეს შორის ბრძოლა, რომლის აღწერა მასთან დედოფლის ქცნებით ქვემო მოკვეყნეს (1178 წლის ქვეშე). თუმცა ქცნბა დროს არ გვიჩვენებს, მაგრამ სტეფანოს ორბელიანის თქმით ს მოხდა 1177 წელს და ეს წელი ყველა მესტიარეთაც მიუღიათ (Hist. G. I, 380); ვახუშტი—ბაქარ. 195).—რომ ჩვენი ქრონიკა სარწმუნოა, ეს იქიდანვე ხსანს, რომ ქცნბაში (გ. 272) ეს ამავე მოხსენებულა ისე კომენიას შვალის და იმპერატორის მანუელის (1143—1180) მძისწულის ანდრონიანეს საქართველოში შემოსვლის ამავეის ქვემოთ; და რადგან ანდრონიკე შემოვიდა საქართველოში 1167 წელს, ამისგან ქცნბაც დამანს შირველს ამოხსნას იგულისხმებს 1167—1168 წლებში, თუმცა იმავე მოთხრობაში არეულია ფაქტები შირველის და მეორე შეთქმულობისა.—

1168 წ. — „ხატო: ლ'თაებისაო: აღიდე: შენ მიერ: | დამყარებული: და: უძლეველი: ღვთივ: გვირგვინისანი: ყოვლისა: აღმოსავლეთისა: მეფეთ მეფე: გიორგი: | მე იოვანე (ი'ნე): სამ[თავნელმა]ნ: მეფობისა: მათისა: (აქ ერთი სიტყვა წაბღალულია) აღეაშენე: | კარბჳე: ესე: სალოცველად: მეფობისა: მათისა: | ინდიტიონსა: მეფობისა: მათისას: იბ: ქორონიკონი იყო: ტპპ:“

ეს ასო-მთავრული წარწერა ამოჭრილად სამთავისის ტაძრის ქვაზე, რომელიც უწინ კარი-ბჭეში ეოფილა ჩატანებული და შემდეგ დასაყლეთის კედელში ჩატანებულია. ბრასისეს, ჩვეულებრივ, დიად დამახინჯებულად შეუტანა ეს წარწერა თავისს Voyage-ში: სახელი მეფისა „გ'ი“ გამოშვებულია და თვთ ინდიტიონინგ მისის მეფობისა „იბ“, ხოლო ქცნბაც დაუსვამს: „სეთ:“. ამისგან ბრასისესა განმარტებზე: ამ წარწერისა არეულია (Rap. V, 123).

საგულისხმოა, რომ გიორგის ეს კარბჳე აუშენებია. სამადლობლოდ ღვთისა იმ ძლევისათვის, რომელიც მიენიჭა მას 1167 წ. ორბელიანთა და დამანს მკამბო-სე ლაშქრობასე (იხ: 1178 წ. ქვეშე და იქვე გუჯარო გიორგისი).

1172 წ. — იკორთის ტაძრის ასო-მთავრულ წარწერებს ჩვენ ესრე ვკითხულობთ: 1) „ძელიო ცხოველო: შეიწყალნ (შ'ნ) სულითა ერისთავთ-ერისთავნი (შ'ე) ვრდა (ვარდა?): აისენი: ქ: ბ: (ჭაბერი): ბასილი და თალაგა“ (დურბინ-დგს უქონლობისაგამა შეიძლება შეცდომით აღმოგვეკითხოს სიტყვა „ბასალი“); —

2) „ქ. სამებაო: ერთარსებაო: აღიდევ: ორთავე: შა: ცხოვრებათა: ევ (ერის-
ხაეთ-ერისთავნი): სულა- - - და ბეშქენ - - - ბქესა: ვრდ: - - ლეიარსა(?);
ევს (ერისთავთ-ერისთავს) მზლ (მისაილ?) - - თ: და: ლოცვა ყავთ: ქ- : ტბე:“.

რუასანსეულა წარწერა ფრად დასიანსებულა. ჩუნი წავითსული განსრქეა ბრო-
სისისს (Rap. VI, 66). ამ წარწერაში მოსსესუბულ ჰირთავან ცნობილია ქი-
ბერი, გაზრდილა მეფის გიორგისი და თანამოღვაწე მისი და თამარ მეფის:
(ქ-ცხ, I, 273, 276, 282). ჰაბერიისუან სეკლესიოდ. განსეულ ეინკანის მამულსე
გუგარო ის. ქვემო 1198 წ.—სულა, რატან მე სურამელი ის. ქვემო გიორგი
III-ის გუგარი 1184 წ. ვარდან მეტურსლეო-რესტესი ქ-ცხ. 276. ვარდან კო-
ლონკელიძე, ერისთავი (ქ-ცხ. I, 269). ვარდან დადანი (ქ-ცხ. 295).

1178 წ. — ქეს: ტყე: დასაბამითვან :ხდპ: აქა დტე (დექეტრე) ვან-
დვა და ორბელინი დავოცნეს* (ავსართა ქრონიკა).

ეს მეორე ამბობსა დექეტრეს მეფის წინააღმდეგ; პირველი ამბობსა იყო
1167 წელს (გვ. 258—9). ორივე ცნობა დაიდ ძვირფასა და გამოსაყენებულა შეს-
მომქმებულად და გასაწირებულად ჩუენის მატისის და უცხო მესიტორიეთა თქმულა-
ნისა. ქცხბა ორბელიანთ ამოწვევტსე გიორგი მეფის ცხოვრებაში არს ამბობს
და გვარწმუნებს, რომ დემისიას ატვილ ამბობსის დამშვიდების შემდეგ მეფე-
მან მემბროსენი „წუალობით ქსწავთის (ე. ი. მცირედ დასჯა) და რომელნიმე ქსო-
რია ეენა უცხოთა ქვეანს“, და არც დემისს თვალის დაწკასი ისსენიებს; მაგრამ
სარის დავითის ცხოვრებაში იგივე ქცხბა (გვ. 383) გვალეკს ამის წინააღმდეგის
ცნობას და ისსენიებს: „მოწვეკდას ორბელიანთას“. სომქსთა მესიტორიენი სტე-
ფანოს ორბელიანს და ვარდან დიდი სსვა-და სსვა გვარ მოკვითსრობენ იმავე ამ-
ბავს. სტეფანოზი სწესს: „1177 წელს საქართველოში ატყდა ამბობება და
ორბელიანთ გვარეულობა ამოწვივტიეს. მეფემან გიორგი იმეთა 21 წელი და
დემნა სრულ-წლოვანი ვახდა“; მისან იქანე ორბელიანსა, რომელსაც კხარა დემნა,
მოინდომა დემისს გამეფება, დიდებულნი და აზნაურნი ოკითოსსე გადავიდენ დემისს
მხარეს და როდესაც მეფე ავარას ბრძანებოდა მცირე ხალხით, ერთს დემს და-
სკენეს თუხას წადილის აღსრულება. შეთქმულთა, როგორც თვთ ორბელიანის სი-
ტუკებისაგან სჩხის, მეფის მოკლა განიზრასეს, მაგრამ ივანე ვათომ დაჯვარა ევ-
ლა, რომ სავამთა დემნა გავამეთოთ და გიორგის ხელ-წერილობითი სსბუთი ჩამო-
ვართათ, რომ ტანტსე ხელს იღებსო. ეს დაჯარავა ერთს ბავშვს გაუტონიოთ და
მეფისთვის შეუტუბობსებო. მეფე იმ წამს აყარა და თოვლისის ცისში გამაგრდა;
დემნა ღორეს ციკში იდგოთ თავისის მომსრეებით, სსანამ ივანე ჯარს შეკრებდა
მეფის წინააღმდეგ, ზოგაერთნი დიდებულნი მეფას მხარეს გადავიდენ; რადგან მე-
ფე შექვიდა, ორბელიანთ ადგილ-მამიელს გიბოკებოთ; მისინ მეფე თვთ გამოვიდა
და ღორეს მოადგა. სოლო ივანე თუხი მძაღვანოტი და ამისი ორი შვილები
(ქადვიუ და ივანე) თბბავ კლკუტთან (სულჩუვი) გავსას და შექვიდა ითხოვა. მე-
ფე 25 დღეს სიზარის ცისე აიღო, სოლო 20 ივლისიდა: 12 თებერვლამდე ღო-
რეს გარშემო შექოდა. დამით ბქესნი იზარბოდენ ცისადამ და მეფესთან მიდიოდენ;

მეცნიერები მხოლოდ იყვნენ, მაგრამ ივანე მანინც არ ნებდებოდა მეფეს. მისი შეშა-
 ნებულა დეიშის ღამით ჩამოეშვა ცინაღამ თოკათ, თუთ მივიდა მეფესთან და შენდო-
 ხა ითხოვა, ნუ მოშვდება. მეფე მეფემ თუთ ივანეც გამოიტყუაო ცინაღამ ფიცის
 ჭეშ, მაგრამ მეფე დაიჭირა და ივანეს თვალი დასთხარაო, სოლო დემსა, რომელიც
 სიძე იყო ივანესი, გამოასაჭურვასაო, რომ შემკვიდრე არ გასხენოდაო.
 ივანეს ძმა ქეთარ, ამასი შვილა სუმბატ და შმისწულა ზინა დასოცნო და მეფე
 მოსრეს ეველა მისი სათესაობა, ჭალი თუ გაუიო. გადაიხნენ მსოფლოდ თათრებთან
 დესპანად გაგსაწინდინო. თუთ სასული ორბელიანთა აღმოსოცნის წიგნებდამ და
 დაწერინსაო გასდაქვეული მოთსრობა ორბელიანთა მუსხანთობაზე (Et. Orbel.
 p. 216—221).—

ვარდანი ამავე საგანზე ამბობს: „ამ დროს ივანე (ორბელიანის) აღმოჩინა
 თვისი სიბოროტე: მან მიიზნო მხისწული მეფისა დემნა და მრავალნი კეთილ-
 შობილნი და განიზრახა სიკვდილი მეფისა“ და ელდგიუხსაც შექუება სისოკაო;
 მეფემ სძლია შეთქმულთა და დაბრძალების დეშა, ივანე და მომხრენი მისნი. შეილ-
 დი ივანესი ქეთარ და ღიზარითისი შვილი ივანე შოაკველიანო.

ამ ნაირად სამი სსვა-და-სსვა გაკარი თქმულება გაქქეს დემსას განდგომი-
 ლებაზე. დ. ბაქრაძის მოჭყას რა ეს თქმულებანი, დასძენს: „ამ თქმულებათაგან რი-
 მელს კეთუნის ისტორიული სიმართლე, ეს შემდეგის გამოკვლევისათს მიგვინ-
 დვა“.

ჩვენი ქრონიკის ცნობა დიდ ასწორებს, არკვეს და ერთმანეთში ათხსნებს ამ
 ცნობებს და ცხადს სურათს წარმოგვიდგენს ამ საშაშ შეთქმულობისა, რომელმაც
 კინაღამ არ დაღუპა მეფე და კეთილ-დღეობა საქართველომას.

მაგრამ უფრო სთლად წარმოსადგენად ამ შეთქმულობის საჭიროდ ვრაცხთ
 აქ ჩაუერთოთ მარ. დედოფ. ქ ცხბის თქმულება იმავე საგანზე. ეს თქმულება, რა-
 გორც ვნასკეთ, შემდეგ შეუკეთებათ ენას მხრით, მაგრამ შეკეთებულს რიგანად
 კერ ვაუგია ასრი და ძირიანად გადაუმხინჯები მატანე. შედარეთ დაბეჭდილს
 ქცხბას გვ. 273, სტრიქონი მეორე და შედეგი.

„ამისაჲ მისცა გიორგისა ძლეუა მძლეუა მძლესა და შემყრთმან ლაშქართამან თფი-
 ლისით ქალაქით შიპართა, სომხითის მთასა მყოფობასა ზინა იორტა, გააქციუნა (ე. ი. დიმი-
 ტრი და მიმდგომნი მისნი) და შეიხვეწა (დიმიტრი? ციხესა ლორისასა და მიუხუნა ყოველნი
 სიზავრენი და ციხენი, ვინცა (უნდა: „ვიინაჲ“, ე. ი. საითგანაც) წარმოუვიდა დემეტრეს სარგის
 მკარ-გრძელი შვილითა და შმისწულითა მისითა, ძმა და საყვარელი ორგულთა (ორბელ-
 თა?). ესე შეიყვარა და შეიტკბო მფეუმან და მისცა მისანდობლობა გვარისა შელოობისა-
 (ებარ?) მისისა; მომრბეველმან ტაშორისა და ლორის კართამან, დაბანაკა ავართა და გავზა-
 ნა ლაშქარნი!), რომელნი დარჩომილიყენეს ერთგულად მისად და სხუა თემისა-და-თემისა მე-
 ხნნი, თორელნი, ქრთლელნი, სომხითარნი და თუთ გაზრდილი მისი მეჯღიბეთ-უხუცესი
 ჭიბებრი და მივიდეს ქვეყანასა ჭერეთისასა და მუნით მოვიდეს¹⁾ ჭერეთის ერთი (ერისთავი?)

¹⁾ დაბეჭდ. ქ-ცხბა დიმიტრის მიაწერს ამას, ხოლო აქ გიორგი მეფეს მიეწერება ჯარის
 გაგზავნა ჭერეთში და იქ ბრძოლას დემეტრეს მომხრე ჭერ-ლე-კავკასიონებთან.—²⁾ ქ-ცხბა:
 „მოიკეს“. ეს სრულიად სხვა აზრს აძლევს მოთხრობას:

და ყოველნი ერნი (ჰერნი?) სრულითა ლეკითა და კაცაისითა. შეიქმნეს ომნი ფიცხელნი და კვეთარ-კვეთებანი, რამეთუ იყვნესცა (ორკერძოვე?) გამოცდილნი და ლომნი კაბუენი. ამას შინ ჰსძლო მსჯავრისა და სიმართლისა მკონებელმან და გააკვივენს ერნი (ჰერნი?), დიდებულნი, აზნაურნი და ლეკნი შეიპყრეს და (sic) გრიგოლ ასათისძე ფიცხლა დაიკარგა ომსა შინა(?) თვთ კრმლის დაკოდილობითა და გამოკელითა ცხენისათა. შეიპყრეს ივანე ვარდანის ძე, რომელი ითქმობდა პირველითგან მთხრებლად მთხრებლისად და თანა შოთა ცა, ძე ართა ვარის ძესა (ძისა?). ესენი ვითარცა შენთა მოცემულნი (უნდა: „შინათ გამოცემულნი“) განზრახ განგებითა კვლთ იპყრნეს, წარმოსრულთა მოასხეს წინაშე მეფისა მარჯუება აღმატებულისა და განიხარეს სიხარულითა დიდითა და ფრიად, ვინათგან ზედვიდა მარჯუებისა მოცემასა ლუთისა აღარას მყოფელი, აღვიდა და მოადგა ლორესა.

და მუნით წარსულ იყვნეს სპარსეთს ქართლის ერისთავი სუმბატის ძე ლიპარიტ და მეჯინიბეთ უზუტესი ქეთარ ივანეს ძე, რომელნი ესე გიორგისგანვე იყვნეს კელისუფალნი დანანია და ვანელი (დინელი?), ზოგნი შერმანისა, ზოგნი ელდაგაზის ძეთასა აღცა-თუ უშვე. ლეს და მოჰყვეს, ვგრეთვე უქმადვე უკუნ აქციეს მართლ-მსაჯულობამან ქრისტესმან. ამასხნდა დაუღონოვდეს ლორეს შინა მდგომნი დემეტრე. გარდამომბმელნი საბლისა ციხისგან (?) და მოჰპარათა (დემეტრემ) თქსავე ბიძასა და ამირ-სპასალარი (ივანე?) და სხუანი, რომელნი დარჩეს, გამოასნეს მგავსად სხვისა და ეტლისა (?). აილო ლორე, დაიშვირა თავისა თვისისათს. ხოლო მას ეჰმსა თავით მორკმული (?) და ზე ამაღლებული წარმოვიდა ურთთა და მტერთა მისთა და შემსგავსებელი საქმეთა მათთა მიჯო მისაგებელი. თვთ მოვიდა ნაქარმაგს (sic), იშვებდა და იხარებდა შემირისხველი მტერთა მისთა“.

ეს მოთხრობა დიდად შეეკვლიდა დაბეჭდილს ქ-ცსოკრებაში: ამ მოთხრობიდან სისას, რომ შეამბოხეთა მოჰმსრიათ წერნი და კაკასიონისი და იქიდან ჯარს კლოდენ. რაკი იქეთმ კუგო შეთქმულობა, იმ წამსვე ლორეს შეამწყვდია დემნა და ორბელანის და რაკი შეიტყო, რომ შეამბოხეთა ჯარი წერეთ-კაკასიონიდან მოსაშველად მოდიოდენ, იქეთმ თჳსი აღზრდილი ჭიბერი ერთგულის ჯარით გაგზავნა მთ წინააღმდეგ, რომ შეამბოხეთა შორის კაკასიონი მოქსნო და სწრაფ თავს-დასწმით ამბოხება იმ თავითვე მოჰშალა. აღმოხდა, რომ დიდი ჯარი შეკრებიდა ლეკ-წერ-კაკასიონისთა, მაგრამ ჭიბერიას მისინ დაამარცხა იგი (აღბათ კასეთ-ჭერეთში) და შეთაურნი შეიპყრეს; ამბოხება ისე მოულოდნელად და სწრაფად მოჰშალა შეიქმ, რომ შაქრმანის და ელდაგაზის საშველად შეიოს-ული ჯარი აღბათ თვთვე გაბრუნდა. დაბეჭდილი ქ-ცსბა კი მეჯინიბეთ უსრუქისის გაგზავნას დიმიტრის მიწერს, ვითომ წერ-ლეკ კაკასიონისთა გამოსწვევად და ამით მიერეულად სცვლის მოთხრობას. — სადა ჭქონდა შეიქს იმდენი დრო, რომ ლეკეთში და კაკასიონისში კაცები ეგზავნა და ჯარის მოსლვისთვის ეცანდა? ან კაკასიაში რად გაგზავნიდა კაცებს, როდესაც იქერეთი უფრო ხსლო იყო და ერთგულებასი ყვანდა? იმერეთის ჯარი უფრო სწრაფად არ გადმოვიდოდა, ვინემ ლეკეთისა? მაგრამ იქეთს იმერთა ჯარის შეიქსის დროც არ ჭქონდა და მხოლოდ ქართლ-მესხეთის ერთგულნი ჯარნი შეიკრება და ამათის ძალით გამოვიდა შეამბოხეთა წინააღმდეგ. გაადა ამის კაკასიონ-ლეკ-წერ და სომეს-თათარნი მუდამი ორბელანისთა ძალა იყენს და სურტი მათი, ამათი მეზობელი, და რასაკვირველია აქც ორბელანისთა მოწვევით გამოდინ ისინი. ისიც უნდა გვანსოვდეს, რომ ჭიბერი შეამბოხებულა რომ ჭრუელ იყოს, შეიქს არ მისცემდა მას ისეთს გამო-

ჩენილს ადგილს, რომელიც ამის შემდეგ და წინეთაც მას ეწირა. მევე სასტავად ეწირობოდა მეამბოხეთ და მათს ადგილ მამულებს თუქს ერთგულებს ურიგებოდა.

თვთ სასჯელსევედაც დაბეჭდილი ქცხის იტყვის, რომ მეამბოხენი მევემ „შენ-დობით და წუალდობით სწკართნაო“, სოლო მარ. დედოფ. ქცხის იტყვის წინ-ადიდეკ, სხ: „შემსტავსებული საჭმეთა მათთა მიაგო მისაგებელი“, ე. ი. ფიცილად და-საყარა. — ეს ცნობა სხვა ცნობებს უფრო ეთანსმება, გიორგის სასათისცე შეეფერე-ბა, და მარ. დედოფ. ქცხის სიმართლეს ამოწმებს.

ახლა ძნელი დასადახი არ არის, რომ ეველა წყაროები (კარდან, სტეფანოს და ქცხის) ორივე შეთქმულობას ერთხანის ურკვენ და ზოგი ზირველ შეთქმულების 1167 წლის ამბავს უფრო დაწკარილებით მოკეთისრობის, ზოგი მეორისას: — 1178 წ. ამ ორივე სხვა-და-სხვა დროდას ამბების გადაწკარის მიხეზი უსათუოდ ის უნდა იყოს, რომ სამნივე მეამბოხენი სწკრენ გაგონილს და ანა ხაუფის: კარდან მო-კვედა 1271 წელს, სტეფანოზი 1304 წელს და მასდადევე ადეილად არევეენ ხის წლის გაგონილს ამბებს; სოლო ქცხის მეამბოხენს, ოკოგარც კასხათ, ეს ამ-ამბავი დაუწკარია 1195 წელს და გიორგის ცსოკრებოდეამ რამდენიმე საწილი გაგო-ნილის და გამოკეთსულის ცნობსბითა დაუწკარია (ახ. ზემო გე. 256) და ამათსა კიდევე — მოკვედა. მინარე ქცხის მეამბოხენ თითქმის თანამედროვე: გიორგის და მისი საამბობი უფრო ახლოა ჭკამირიტებსათს.

სკენი ქრონიკების ცნობები სხვა ცნობებს რომ შევეუსწორ-შევეერთოთ, მო-სსკენებულ განდგომილებათა ისტორია კსრე უნდა წარმოკვიდეკ: დავით გნუდეკ თავისის მამის დემეტრეს 1150 წ. და თუქცა მეორე განდგომილების შემდეგ 1155 წელს გამევედა, მეგრამ მისმა მამა გიორგომ მალე ხამოკველო მამის მოღალატე მამ და თვთ გამევედა 1156 წ. შემოხანსოხებულმინ დავით სიკვედილის უამს მოუწოდა გიორგის, ორბელიანს იანსეს და სხვათა და ანდერძი დაუდო ეველას, რომ ორ-დეკსაც დემნა სრულ წლოკანი გახილებოდა, იგი გაემევეებინათ. 7—8 წლის ეამწილი დემნა 1156 წელს მამამ იანსეს ხადაბირ ადსსრდედა. დიდების მოვეკრემ იანსემ მოინდომს დემნას გამევეება, რათა მეტი გავლენა მოქბოკა საქართველოში და 1167 წელს; ორდეკსაც დემნა „მიაწიფა“, გადაბირა თაკსკენ დიდებულ-ახნაურსი, შე-თქმულობა მოამზადა, და დემნამ მოსთხოვა გიორგის: რადგან სრულ-წლოკანი შე-კიქეს და მეშკვიდრება შე მეკუთხის, მეფობა შე გადომოქცეოთ თვთ დავით მეფის ანდერძისამებრ. ასტყდა სასტავი ბრძოლა, რომელმაც ორად გაჭყო მთელი მამინ-დელი საქართველო. მევემ სიღია დემეტრეს, შეიზურა ლარეს ციხეში და თვლ-ეხი დასწვა. თვთ იანსე კი, აღბათ, იმ ზირობით დასებდა მევეს, რომ არ დაესაყარა და მამულები არ წკართო მისთვს. მევემ ზირობა აღურთულა და არ დასაყარა ამის შემდეგ კვიდა 10—11 წელი, მეგრამ იანსემ თავისი არ დაიშლა: შერთო დემნეს თვის ქალი და მისი გამევეება მოინდომა. საიდუმლოდ მოიძისრო რამდენიმე დიდე-ბულენი, ცკერთის, კახეთის ერისთავნი, გამოიწვია ლეკის და კავკასიონის ჭარი და ოვთ დაუძინებელი მტერი გიორგისი, ხონთქარი შავ-კომანი და ათაბაგი ილდეგუზი, მოიწვია, რათა დანისხულს დროს შემოსეოდენ საქართველოში. უკანსტულ ნიშნად

შეოსსევის უნდა ეოფილიყო გიორგის დალატით მოკვლა თუთ იოანესაგან, როდესაც გიორგი მტირე მსლუბლებით წაფსულს აგარას იდგა (აგნისასხე ევლისის). სადულო ლაპარაკს ვილაც ბაჰშმა მოჭკრს ეური და მეუეს ანობა. მეუე იმ წამს აიურს და თოფლისის ცისეში შეკადა და აქ მოაგროვა ჯარი, კინტ ერთგულნი დარწამადენ ქართლ-მესს-სომხთში, სოლო იმერეთის ჯარს სომ ვერ დაუფრიდა, რადგან სწრაფი მოქმედება იყო სავტრო. თვისი ჯარი ორად გაჯყო მეუემ: ერთს წილს უთავა ჭიაბური და ტერეთში ტატყასა, რადგან ჩამოსულე-ჟინენ ტერ-ლეკ-კაგასიონთა მესხოსე ჯარი, სოლო მეორე ნაწილი თუთ წაიყვანა, ღორე და სომხთი მოარბია, ივანე და დემეტრე ღორეს შეამწყვიდა მესხოსე ჯართურთ. ღორე ვერ აიღო დიდხასი, მაგრამ შიშლით შეაწყნა, შეწყნებულნი ჩუმი-ჩუმიდ ღორეჟამ მეუესთან მოდიოდენ; მეუემ აღუთქვა თვისი მომსრუებს ორბელანთ მამულები და მათი სელობა. თან-და-თან სუსტდებოდა ძალი დემნასი. ბოლოს ჭიაბურმა სრულადა დაამარცხა ტერ-ლეკ-კაგასიონთი. შაჰ-ერმანის და ილდგუხის ჯარი გაბრუნდა, რაკი გაიგო ეს ამბები. უგანასხელ დონემდი მისრულმა დემნემ ისევე შეარება ირწია და რადგან ივანე ამჟე არ სთანხმდებოდა, ნამსჯად ჩამოეშა თოკით ღორის ცისიდაჟ და თაკ-უელმობმული ბიძასთან მიკადა და სთხოვა სიფიცსლე არ წაერთიათ. ამის შემდეგ ღორე აიღეს (თებერვალს 1178 წლისას) და გამოიყანეს ორბელანთი. მეუემ დენა გამოსაჭერიობისა, რომ შეიღები არ გასჩენოდა, ივანეს თვლები დასწვა და ორბელანთი ამოსევიტა, რომელნიმე შეიქმულთაგან გარდაესკეწეს სხაწეთოს. გადარჩენ მხოლოდ ისინი, რომელთაც მოჭყვადთ თათრის ჯარი საქართველოში. ეს ბრძოლა დაიწყო ივანის 1177 წ. და გათავდა თებერვალს 1178 წლისას: ზირველს წელს უჩეკებს სტეფანოსი, სოლო მეორეს—ჩეკნი ქორსიკა.

ამ ამბავს ამოწმებს თუთ გიორგი მეფის გუჯარი, რომელიც აქვე მოტყუავს.

1178 წ.—ამ წელს უნდა იყოს დაწერილი დაიღ მქირთასი უთავბლო ტყვის გუჯარი გიორგი მეფისა, რომელიც დაცულია სის. კანტ. გუჯარებში № 412 ერთი მხარე გუჯარისა დაწერილია მხედრულად, სოლო მეორე სუფურად მე-XIV საუკ. ხელთ, სადაც ჩამოთვლია ის, თუ რომელ სოფლებს სამთავისას სამწესოსას რა ქმართება სამთავუნდას სისარტებლად. სოფლები ჩამოთვლილია ამ რაიკე: რაშვინი, ულლისი, ბოლვი, თინვანი, კილარი, წობენი, გუგუღს ჯუარი, შეყენებულის-ჯუარი, იკორდნი, ახალ დაბა, ნოკორნა, ძაგუ, ანები, დაოთი, შიგანაძის ქელი, ჩორდმანი, ნოდოკრა, ახალ-დაბა (sic), ამტანი, შეხუსტლა, თრნი(?), ვაგრანეთი, ხაჯლიოსძისა, ღართა; უნქალა, ხინკები, ყუღრო, ზედი ქურნო, ორკევი, ბუშატი, ივლას, წიაბეთი, ალი, ზედუბანი, ივან-წმიდა, ახალ-კალო, თოღევი, გორანა და პიტლოვანი. —სამთავნელებს განკერძოვებული უფლება ჰქონდათ ეპარქიების დავლისა და სჯულის კანონით გასამართლებისა. თითოეულს სოფელს ქმართება: „ვეცხლი დრამა“ უმეტესად სამ-სამი—19-ს სოფელს, ოთხ-ოთხი—ნ-ს სოფ.; ხუთ-ხუთი—3-ს სოფელს, ექვსი დრამა სოფელს ალს, შვიდი—ვაგრანეთს და „ორმოც-და-ათი ქალაური დრამა“—პიტ

ლოვანს. პური კაბიწობით—უმეტესად თითო კაბიწი, ზოგს ხუთამდი. ხოლო პიტლოვანს ექვსი კაბიწი; აგრეთვე ჰმართებიანთ ქალმანი შოლტით (თითო), ზოგან ცხვრის ტყავი და „შედგომა“ (ე. ი. სტუმრად დასრქვას) თითო ლამე (ქინკანს სამი დღე და მკუქის ორი დღე).

როდესაც ეს სურვირი ნუსხა დაუწერიათ, გუჯარის ბოლო არ ჰქონია, ანუ მამის მოუჭრიათ ბოლო; ცხადად ეტუობა, რომ განკუბ წაჭრილია. თავი კი სურვირ ნუსხასაც აკლავ; აქიდან სჩანს, რომ ნუსხის დამწერიათ მთელი გუჯარი ჰქონიათ ერთის მხრით მსედრულად დაწერილი, ხოლო მეორე მხარე დაუწერელა. ეს გუჯარი სწორად არ ყოფილა მონასტრისთვის და ორად გაუჭრიათ: ერთს ნისკურის დაუწერელ მხარეზე მოსხუებული ნუსხა დაუწერიათ, ხოლო დანახიხია ალბათ სხვა გუჯარისთვის მოუქმებრებათ.

მსედრულად დაწერილი მხარე მე-XII საუკ. წარმისებული სედა და თუთ გიორგის გუჯარის ნაწილია. მედანი იმდენად მჭრალია და სოკან გადასული, რომ თუმა ეს გუჯარი სედში ჰქონიათ ზ. იოსელიანის, დ. ფურცელაძის და ბაქრაძის, მერამ გიორგის გუჯარი მეუნიშნავთ მსედრულად დაწერილი და მხოლოდ სურვირ წარწერა ამოუწერიათ. დანახილი ნაწილი კვადრატის ასლის საისტორიო ცნობებს და ამოწმებს დემანს განდგომილების ამაკს. აი თუთ ტექსტი, რომელიც დიად სწორედ აღდგინილი მიგვანია, ვარდა ფხვილებში ჩანმულთა, რომელიც სრულიად გადასულია:

ოდეს ბირებთა | და განძრახვით ეშმაკურითა შეითქუნეს
ვიეთნიმე მეფოქისა ჩუენისა დიდებულნი და აზნაურნი ორგულიობასა ჩუენსა |
და მისწული ჩუენი გაგუიყენეს და მრავალი ქირი და | განსაცდელი აღგუიდი-
ნეს. განა მრავალმოწყალებამან | არ დავიწყებულვებამან (sic) ქმნულებსა მისისამან
კულ ქნა ამათა | განძრახვაი (sic) და შეთქმულვება მათი და დალენსა [ყოველნი
ლონენი მათნი და განაზნიენა ყოველნივე: ზოგნი სპარსეთს შინა. სიკული-
ლით და გარდახუეწითა] და რომელნიმე ჩუენსა | სამეფოსა შინა ფერკთა
ქუეშე ჩუენთა დასცნა ჩუენგან. ამისათვის | მსგავსი სამადლობელი რაიმე მი-
ემადლებოდა ლთებასა (დუთაქაშა) | მისსა განსადიდებელად ლთებისა მი-
სისად და კეთილად დაგები|სათუის მეფობისა ჩუენისა და სულიერად
ქნისათუის - - | გლთასა (აღლთას?) მოვიგონეთ ეკლესიათა სამეფოსა
ჩუნისათა | ყოვლისა ბეგრისა უსამართლოისა და დაქირებულ|საგან ქნანი
და განთავისუფლებანი და ამის მიზეზისათუის | შეერბეს ვოველნი სამეფოსა
ჩუენისა მონაზონნი და ებისკოპოსნი იმერნი და ამერნი, კუნი (კათალიკოსი)
მოძღუარი და ყოველნი მეოდაბნოენი და მათე გუიბრძანეს და მოგუთასენეს
დაქირებულობაი ეკლესიათაი და განრყონაი (განრყუნაი) სასჯოლოთა (სასჯუ-
ლოთა) საქმეთაი. ამისთუის განვაჩინეთ კაცნი ყოველგან და განვაგეთ გულ-
სმოდგინედ შეკანზი და განთავისუფლებანი წათა ლთისა ეკლესიათაი და გლუ-
კათაი თუით დაწერ - - (ამას იქით ეტრიატი მოჭრილია).

არშინაჲ წერია იმაჲ სკლით: - - სენთა(?) საქმე ესრე გაგუიწესებია, ვი-

თა აქა სწერია და ვითა მონასტრისა წესსა ჰმართებს. ვგრე დაგუიკირავს და ყოელი უსამართლოი ბეგარი აგუიკ[ლია] - - - (ამის იქათ წაჭრილას).

თითოეული სიტყვა ორ-წერტილითაა გაყოფილი და მხედრული დიდის ხელოვნებით გადაბმით დაწერილას.

დემასს განდგომილება და მკამბოხეთა გახსენება ისეა აღწერილი, როგორც ქცხბაში, სოლო კელასიის ბეგარისაგან განთავისუფლება და საკელასიო კრება ამის შესახებ არსად არის მოხსენებული. საყურადღებოა ისიც, რომ თუმიცა მთელი იმერ-ამერი სამეფალოება შეუკრება მეფეს, მაგრამ კათალიკოზი ერთი მოხსენებული, რაიცა არღვეს. ზოგიერთთა აზრს, ვითამ ახხსოთა კათალიკოზობა მე-IX საუკუნიდამ არ შეწყვეტილიყოს. ცხადია, რომ ერთ-მეფობის დროს კათალიკოზიც ერთა ყოფილა და ქცხბაში შეკრდომით უნდა იყოს ნასმარი „კათალიკოსნი“ „კათალიკოსნი“ (ქცხ. 274, 342, 349).

1178 წ. — ამ წლის ახლო დროებში უნდა იყოს დაწერილი ერთი ნაწიკეტი ტყავის გუჯარისა, ძველის XII საუკ. სელით ფორად ხელდასურად დაწერილი, რომელსაც ბოლო აქლია. გუჯარს აძღვეს მეფე გიორგი სურამელის რატიის ძეს სულას. ძველი სელი გუჯარისა, მეფის გიორგის სახელი და აგრეთვე სახელი სურამელის რატიისა, რომელიც სცნოურბდა გიორგი III და თამარ მეფის დროს (ქცხბა გვ. 282—282) ნებას გადასცეს დაჯანჯვანთ, რომ ეს გუჯარიც გიორგი მესამეს უნდა ეკუთვნოდეს. გიორგი, ლაშას დროს რატი და სულა სურამელნი არ სჩანან. გუჯარს ბოლო აქლია:

„ქ. სახელითა: ღთისათა: გრსგან (გიორგისაგან) | [ნებითა] ღთისათა: აუხანთა: ქართველთა: რანთა: კახთა და სუუებთა (sic) | მეფისა: შარვანშა: და შაჰანშა: და ყოვლისა: აღმოსავლეთისა: და | დასავლეთისა: | ფლოზით მპყრობელისა: — აწც მოვიდა; ჩუენ - - - - სულა] - - :ქს: (ქართლის); ევი: (ერისთავი); ძე ევისა: (ერისთავთ-ერისთავისა) ქს: ევისა (ქართლის ერისთავისა) რატი: სურამელისა? | გუეშაჯა და მოგუქაკენა რაითამცა: შუთ და ქართლის სოფელი სუელეთი რომელი? | პაპისა: ჩუენისაგან: პაპასა და მამასა მისსა: ჰქონებუდა - - - ნ: მე - - (და რადგან მერმე?) | ჰქუნდა: საქართლის (sic) ერისთვისაგანაც: გ - - - - მონასტერსა: | მისსა: ქვათავევს: შეესწორეთ (შეკწირეთ?): დ-გუაჯერა: ლთნ (დემოთმან); ვისმინეთ შაჯაი და მოკსენებაი ევის (ერისთავთ-ერისთავის): სულა: ქს (ქართლის): ევისაი (ერისთავისა) და სულეთი გამო | გუილია: საქართლის (sic): ერსაგან (ერისთავისაგან): და შეგუიწირავს | - მთავარ [წმიდა]სა: ჩუენსა: ყოვლად: წმიდისა: ღთისმშობელისა: და მონასტრსა | მისსა: ქვათავევს: სალოცველად: და წარსამართებელად მეფუბისა ჩუენისად: ჰქუნდეს: ქვათავევს მონასტერსა სუელეთ - - ლითა გ - - რითა: ტყითა: ველითა: წყლითა: წისქუ - - [და ყოველითა | - - (მეტე არ არის).

1179 წ. — ამ წელს გიორგიმ „შემყრელმან შვიდთა სამეფოთა მისთა... განრჩევითა და გამორჩევითა განგებითა და გაგონებითა ზენაჲსა მის ხვედრისა შარავანდღეთა მნებებითა მეფე ჰყო. (თ ა მ ა რ)“ (მარ. დედ. ქცხბითა ფ. 318).

რომ თამარის მეფედ კურთხევა 1179 წელს იყო, ეს სჩანს ქ-ცხბის ფრასი-
ლში: „შემდგომად ამისა (ე. ი. ორბელიანთ ამოწვევტისა, რომელიც ჩუქისა ქრო-
ნიკით და ახგარიშით იყო 1178 წლის დამწეებს, თებერვალს) მეორესა წელ-
სა მეფედ აკურთხაო თამარ (ქ-ცხ. 274). მიზეზი ამისი ის იქნაოდა, რომ
ორბელიანთ გაწვევტის შემდეგც დემეტრეს მომისრე კოლეგოდა და რადგან გიორ-
გის ვაჟი არ ჰქვანდა, უსათუოდ არეულობა მოხდებოდა ტახტის შემკვიდრობისა-
გამო, მით უმეტეს, რომ ქალის მეფობას უჩვეულობისაგამო იმ დროინდელი ქართვე-
ლებს აითვალწუნებდა. ამისათვის მეფემ მთელი თვისი სამეფო შეჭურა და დიდის ამ-
ბით სამეფო ტახტი თავისს ქალს თამარს დაუდოდა და ალბათ ეველა დაფიცა მასს
ერთგულობაში: „და თვთ მეფემან მფიცებელმან ერთგულობისა და ერთ-
სულობისა მისისათვის და ცრემლით მლტოლოვარემან შეპვედრა იგი.ღმერთსა“.
ამ წინადაქედულობით მეფემ თამარს მეფობა გაუადვილა.

აქ საჭიროდ ვრანტო მოვიყვანოთ სათაური თამარის მეფობისა: „დაჯდა ნე-
ბითა ღეთისათა მეფე თამარ დასაბამითგანთა წელთა ხქვე (6686), ქ-ეს აქეთ
:ჩრცხ:“ (1156). ეს სათაური იშოკება ეველა კასტანე მეფის ქ-ცხბის კარიანტაში
(ქ-ცხ. 277 და 11;—კვ. მუხ. № 131, გვ. 295), მაგრამ მარ. დედოფლის
ქ-ცხბაში არ იშოკება. აქედამ სკულისსმოა, რომ კასტანე მეფეს ეს ქრონოლოგიუ-
რი ცნობა სსკა წყაროებში უშოკნია და აქ ჩაუკერებია (როგორც ესახეთ დავით აღ-
მაშენებელის ცხოვრებაშიც), მაგრამ უადგილოდ, რადგან 1156 წელი გიორგის გა-
მეფების წელია (იხ. გვ. 254—1) და არა თამარისი, ხოლო 6686—5508—1178
წელი გიორგის მეფობის უკანასკნელი წელია. ცხადია, შემტანს გიორგის მეფობა
თამარისად მიუღია.—(იხ. ამავე კასუშტის აზრი ქ-ცხ. I, 11). თუმცა თამარ 1179
წელს გამეფდა, მაგრამ სსხელმწიფოს, ალბათ, გიორგივე ჰმართვიდა 1184 წლამდე
(იხ. 1184 წ. ქვეშე).

1181—2 წ.—ამ წლებში მოკვდა ბორდღოსან დედოფალი, თამარ მეფის დე-
და. მარამ დედოფ. ქ-ცხბა (ფ. 319) ესრე აკვიწეს ამ შემთხვევას: „შემდგომად
ამისა დღე-კეთილობასა და სვე სრულობასა შინა მოიწია თანანადებნი სო-
ფელსა ამას შინა არამედ მოსრულთა(?), გარნა უყამო და შეუსწორებელი
შემცირებით განწესებულთა მოქცევათა და მიიცვალა დედა თამარისი სწორი
ძისა ლთისა დედისა და თუ ვითარ ვამთა და ვაებთა სიმრავლენი იქმნეს შე-
სატრევისი მოსაწვეარისა, რომელმანცა ენამან გამოთქუა ჰატვიად და სიმტკი-
ცედ მოსაწვეართა. მეფესა გეგუთს მყოფსა უთხრეს ესოდენ ზარის განკდილო-
ბა, თმათა და წვერთა მებველი მგზავრთა მით აბესალომ ოქროს მოსნისათა(?)
და ცრემლთა ნაკადენტა ათასეულთა და ბევრეულთა, მცემელმან მკერდსა
მკულელი (?) ულონო ქმნილი, მან აღიკვეცა თმანიცა თავისა მისისანი სოფ-
ლისანი (?) და ესე ვითარითა შემუსრვილითა შეყრა საყვარელისა და ტკბი-
ლისა დედისაგან უსამშობლო ქმნილსა, რომელსა ნათელციკროვანება ჰაერისა
მისისა სიმრუდედ გადაქცეოდა და ნაკადულნი ცრემლთა ოთხთავე თვალთა-
გან (ე. ი. გიორგისთა და თამარისთა) ურთიერთას ხვევნასა შინა“ (მერე რა-

გორც ქ-ცხსა, გ. 275, სტრიქ. აბ—იკ)... „უმეტეს ზომისა იმედისმდებელ ექმნა ორკერძოვე სიყვარულისა მინიკებათასა(?) და ჟამის უქმელობითა და- გდო ქართლი და მიმართა ჩაღმართ, ვითარცა წესი იყო რა(!) გარდაედა ჟამი ამისი ჟამისა(?) და მოსწურისა მოქცევისა კულადა იშვებდა და ნადირობდა*. ამის აქით როგორც დაბეჭდილში, რომელშიაც ბეკერი ჩამატებულია (სხვათა შორის ჩამატებულია: „და მოქცევისა წელიწადთასა“) და ბეკერიც გამოკლებულია.—

ხობის მონასტრში (სამეგრელოში) ჩვენ განსეთ მომცრო ღეთისმობლის სტი, რომელიც, როგორც აღმოჩნდა, იღებს და შუაში, ოქროს არშებეშორის ჩატანებუ- ლია წმიდა ნაწილები მღვდელთ-მთავართ-მოწამეთა. ოქროს არშებეზე იპოვება შე- დეგი სელაქური ასომთავრული წარწერა: „ელვა ნიავებრ მსწრაფელ [შეწევნად მვედრთა თქუნ მოწამენო მღვდელთმთავარნო მამანო, უმწვერვალესნო თანვო დთისმეტყუელ თანო იოხეთ დაცვად მტერისა საბრკეთავან მოს- ვი თქუნნი ბორდოხან დედოფალი“.— ნიკოლაი ვუხი თვის წერილში მოასსენებს: დედოფალს ბურდუხანს და იტყვის: „ხოლო საყდრისა მის (რუხისა) ზრუნვა და საურავი ხელ ეყო დედოფალსა ბურდუხანს... თვთ თავისა საყდრ- სა შინა (რუხის) ვაკურთხე (ტიმოთე შროკელი) დედოფლისადა ხუაშნით.“ (გვ. მუხ. № 170, გვ. 425).

1184 წ.—ქს: ულ: აქა გიორგი მეფე მიიცივალა (გვ. მუხ. № 85).

1184 წ.—ქსა: ულ: დასაბამითან :ხლპ: | ა[მა]ს წელსა | ჩ - - ნსა [გრი] | მწვე მიიცივალა | მსვე ეა მისი | ძე თამარ მე]ფედ დაჯ[და]“ (აფსის- თა ქრონიკა). ე. ი. „ამას წელსა ჩალიანსა (?) გიორგი მეფე მიიცივალა. მსვე ჟამსა მისი ძე თამარ მეფედ დაჯდა“. ამ ფრად დაზიანებულის წარწერის ეგვლა სიტყვები სწორედ წავითხულია, გარდა „ჩ - - ნსა“, რომლის ზიარული ასო „ჩ“ სვეტიცხოვე: შეიძლება იგი იყოს კ, ნ, ს შუაში ორი ასოს ადგილი ამოკლებულია, ჩვენ ვავითხულობთ „ჩადასა“.—

ქ-ცხსაში (გ. 276) გიორგის სიკვდილი აღნიშნულია ქ-ცხით :ტუდ:—1174. ამისგანთა ვასუპტიც ამ 1174 დასადებს (გ. 196). ორი ჩვენი ქრონიკა და სომხისა მესიტორიენს ვარდან და სტეფანოს, აგრეთვე სსსრის მონასტრის წარწერა თან- სმად გვიჩვენებს 1184 წელს (Introd. p. LXVI; Addit., 246). ქ-ცხსაში ქ-ცხ :ტუდ: მუარა შეტანილი, აღბათ ვასტანგ მეფისგან, სხვა წყაროდამ, რადგან იგი არ იპოვება მარამ დედოფ. ქ-ცხში (ფ. 341—2). ვსტანგის წყაროში ეწერებოდა :ტუდ: და აქადამ უსდა წარმომდგარიყოს შედრომ, როგორც სმირად სდებს სოლოქ.

ჩვენი ქრონიკა აგრეთვე გვაუწყებს ამ 1184 წელს თამარის გამეფებას, თუმცა 1179 წელს იგი მეფედ ექმნა აღიარებულ (ახ. გვ. 267).—სამეგრელოში, სოფის მონასტრში (ახალ-სენაკიდან 15 კერსზე) აქამომდე დაცულია ძვირფასი გულზე სა- კიდი ჟვარა თამარ-მეფისა გოგონასკვარი სივრდით ძვირფასის თვლებით შემკული. წიურთისკენ ჟვარა ჩატანებული აქვს მწკრილი ნაჭერი „ძელი ტეშმარატი“ ჟვარადი- სად შეკრული და ჩინებულად დაცული. ჟვარა ჩასმულთა მომცრო მაცხოვრის ხა-

ტის გულში, რომელიც ოქრო-ვერცხლით და თვალ-მარგალიტით შეკრულია და არ-
შებზე აწერია ასომთავრულად: „ზ ხატო არსებისაო, მეობ და მფარველ ექმნით
აქ და საუკუნესა ერისთავთ-ერისთავ[სა] დადიან[ს] შეგრილს და(?) შეუღლით
ჩემით დედოფალთ დედოფალი
თურთ“ (გაერსეკელად). შერგილი
კვონებ იქნებოდა გიორგი ლა-
კარდნია ეს ჯვარი თამარის სი-
დიანთ სისლში უოფილა დაცული.
ლთი და მათის ჰატარა შეიღლით
ტან-საცმელში და მდიდარ ქედუ-
სასწრეთ-
კუთხესთან,
მთავრულ
თითაკუ-

ქიწი
გყყ
ხტრ
ო ხ
ხი პი

ნათელ --- თ --- ყ(?) და ტომი-
ესლოკებდა რუხუდასის დროს და
მას დროსაც. აღბათ შერგილის სი-
კვდილის შემდეგ და მას-გან და-
თუთ შერგიარ მისის ცოლით ნათე-
ცოტნეთი სიუცსოკო ჭკლ
ბით დახატულხა არის სიუცის

ქატონი: ყიჩინი: ჩხ: კიიი: ხ რხ ყფ
ქი ყიჩინი ყფ ხფქიქიქი ყიჩინი ხფყი

დასიუღლით
დადა, სიო-
წარწერითა
ღისი თაქსე:

ერისთავთ-ერისთავი შერგილ
ლი ნათელა] ძე ამათი ცოტ-
სია და ზურგზე სისებულად გამო-
ნა იმ რიგზე, როგორც აქ გა-
მოაკითხვის ესრე: „ძმლო ზამ-
შენითა წინაწარძლომითა
ველ ეამენ ემუხსა და დე-
რი ვერ არ ვისვან არ არის: აღ-
რამ სიტის გულში თამარის ვა-
კერ უმარნათ სიტისა (აღბათ ვერ-
ნის (Rap. VII, 47). ვერც შერგილ-ნათელა აღმოუგოთხაჯს, სოლო მათი მსტრობა
ვერც შეუსმინავს; ვერც ბორდოხან დედოფლის სემოსსიუცებელი წარწერა უხასავს
შენიერს არქეოლოგს (Rap. VII, 40—48).

ს: ფ
ქ გუ
ფ(ფ
ქ'სხ
(ჩქტტს

დადიანი. დედოფალთ-დედოფა-
ნე“. თუთ ჯვარი თამარისი ოქ-
ვესილია ასომთავრული წარწე-
სისულს ჯვარზეა. წარწერა აღ-
მარბომ, ძალმ. ჯზარისაო,
ხომვალდე ვამენ და მვარ-
დომვალსა თამარს“. ეს ჯვარ-
წერილი. ბროსისესთეს უთქვამთ,
რთაო დაცული, მარამ გასადები
უნდავათ) და აღწერელი დარსე-

1184—1185 წ.—ამ წლებში თამარმა მოიწვია სიკელესიო ვერცხა: „პირვე-
ლად აღმოუწოდა წმიდით ქალაქით იერუსალიმით ნიკოლოზ გულბარის-
ძესა, რომელსა სიმდაბლისა ძალით ეჯმნა ქარაღისა კათალიკოზობისაგან.
ესე რა მოიყვანა, შემოკრიბნა ყოველნი სამეფოსა თვისისა მღვდელთმთავარნი“,
(ქტს. 279—280). კრებამ „განმარტონა საეკლესიონი წესნი“, „განაყენა“ ანუ
გადაადგინა კ'ზი ანტონი, „რამეთუ წინა-უკმო იყო წესთაგან საეკლესიოთა“,
და მის შვიერ დასვეს კათალიკოზად ნიკოლოზ გულბარისძე.

ეს სიკელოზ ცნობილია შვედობაში. სხვათა შორის მას ეკეთის ისტო-
რიული წერილი სკეტი-ცხოველის სისწაულებზე, რომელშიც მოხსენებულნი არიან
მამინდელი ისტორიულნი ზიძნი: მუჟე დაკით აღმსენებელი, ბორდოხან დედო-
ფალი, სემოსსიუცებელი და სხვა. ამისგანა სპირით ვარცხთ აქ საურთოჲ

ნიკოლოზზე რამდენიმე ცნობები, რომელიც ჩვენ აღმოვაკითხეთ ათონის ძველსა დახუბებში (ეს წიგნი დროებით დაცულია საეკ. მუზეუმში).

№ 143 „თა სეკდემბერსა :ა: დაწყება ინდიკონისაჲ. განუწყესეთ პანაშეთი ნიკოლოზს სვიმეონ ქყონდიდლისა გაზრდილსა მამამან პავლე და ყოველთა ძმათა. ვინაჲთგან მოიწია წას ამას უდაბნოსა, დიდი ერთგულობა და გულსმოდგინება აჩუქნა ამას ადგილსა ზედა, რამეთუ ეკლესიამ მთავარანგელოზთაჲ აღაშენა ყოველითურთ მოხატვით, გამოჰქიქვით და ქრელებით და მერმე გარეთსა ლაკუასა დამართებით იგი კუთხი, ბურღოდ აღამალლა, რამეთუ ღია მდაბალი იყო და სხუაჲ შემოსწირა ეკლესიასა პაჲ (პერპერა) :კლ:“. — № 144: „ამანვე ძმამან ჩუენმან ნიკოლოზ... მოსცნა ეკლესიასა - - - მურუკი ნასყიდი პერპერად :იე: და უღლნი კარნი, ნასყიდნი პერპერად :ზ:“. — № 105: „სეკდ. :ა: აღაპი არს ქყონდიდლისა გაზრდილის ნიკოლოზის“... — № 150: თა დეკემბერსა :კთ: ...აღაპი აბულასან ქუთათელისაჲ ამისთვის, რამეთუ შემოსწირა პერპერა :მ:... რამეთუ მოგუცა კელითა ნიკოლოზ გულაბერისძისაჲთა და განუწყესეთ მე მამამან პავლე და ყოველთა ძმათა“. — იმავე სელით № 151: „თა ივლისსა :ბ: დადება სამოსლისა ყდ წისა ვრაქერნას. ამას დღესა განუწყესეთ აღაპი ვარდანს კოსტანტის ძესა და მეუღლესა მისსა მარიამს და შვილსა მათსა გიორგის (ესენი უნდა იყვნენ დადანი, ის. ქცხ. I, 269, 276, 283 287). მოსცეს ეკლესიასა პაჲ :ოა: სტავრაჲ :ა: და საში ზოლო ორხაოჲ“... — № 153: „თა ივლისსა :კ: მიცვალებასა წა ანაჲსა განგვიწყესებია თამარ-დედოფალისა და აღაპი; რამეთუ ოდეს კელინნი (კელინნი) დაგუსწუნეს და მოწაზონნი აღმოსავლეთს გავგზავნენით (ის. აღაპი № № 36, 37, 85) თამარს მოეცა ევლოგად :კ: ლუკატი და ორნი დიდნი სტავრანი, რომელნი ოც-ოცსა დრაჰკანსა სჯობდეს; და კულად ნიკოლოზ გულაბერისძემან მოგუცა მისივე :კ: პერპერა რუჲსა წაკლამილისა შესაკაზმავად და წისქვილისა და ბოსტნისა შესაქმნელად და ამისთვის განუწყესეთ, რათა გარდაიდებოდეს ყოველითა გულმოდგინებითა, ლოცვითა და მწუხრი სასამითა კრასეულითა და დილასა წირვითა და ძალისაებრითა ტრავებითა“... იქვე არშაჲზე იმავე სელით, სსჲ მელნით: „მას (ე. ი. თამარ მეფეს) სხუაჲცა უფროჲსი განეწესა ამის მონასტრისათვის, უკეთუმცა პავთა ღორთა კაცთა არ დაეკლო“. — № 89: თა ივლისსა :კე: აღაპი არს თამარ დედოფლისა; განგებამ ზოლოსა ძებნე“.

ამ დახუბებდამ სიხანს, რომ კწი ნიკოლოზ ყოფილა გეარით გულაბერისა, როგორც ქცხბაჯა გამოწობს (I, 280), სვიმონ ჭყონდიდლის, დავით აღმაშენებელის მიწინააღმდეგარს (ქცხ. I, 250), გაზდილი, აერუსალიმს წასული, ათონში დიდს სანს დაჩქინილი; ამას ბეერი შენობა და ფული შეუქმნა ქართველთა მონასტრისთვის; თამარ მეფის დროს საქართველოში ყოფილა, როგორც ქცხბაჯა გამოწობს. ნიკოლოზს კათალიკოზობისთვის თავა დაუწებებია გიორგის მეფობაში და ათონის ივერიის მონასტრში ჰაკლეს წინამძღვრობაში (აღაპ. № № 143—4). რო-

გორც იმავე აღაპებდამ სხანს, ზაკლე წინამძღვრად დამკვარა მარტს, ინდიკტიონს :გ: (აღაპ. № 155), ხოლო წინამძღვრობა დაუტყვებია 29 აპრილს ინდიკტიონს :ბ: (აღაპ. № 153). გიორგის მეფობაში (1156—1184) მესამე ინდიკტიონი მოდიოდა მხოლოდ 1170 წელს. ამ წელს ზაკლე წინამძღვრად დამკვარა, ხოლო თამარის მეფობაში მეორე ინდიკტიონი მოდიოდა 1184 და 1199 წ., ამ წინადა ზაკლეს წინამძღვრობა 1179—1199 წ., ასე 1170—1184. მასადამე კონი ნიკოლოზი იერუსალიმის წასულა 1170—1181 წლებში, (ქ.ცხ. 280); სვიმონ ჭყონა დიდელისგან (იგი სხანს 1125 წლის ასლო ხანში, ქ.ცხ. I, 252) აღზრდილი ნიკოლოზ დიად მოხუცი იქნებოდა 1184 წელს და დიდხანს კერ იტოვრებდა. ამის შემდეგ, კონობა, როგორც სხანს, თეოდორეს მიუღია (ქ.ცხ. I, 294; 321 ის. ზემო გვ. 80).

რადგან თამარ მეფისგან ივერიის ათონის მონასტრზე მოწყვლების გაცემის აღნიშნულია ნიკოლოზის კონობის დროს, აქედამ ცხადი ხდება ისიც, რომ ეს ყოფილა თამარის გამეფების პირველს წლებში და ამისგანა აღაპში № 153 მოსხესებული ფერასა „ჰქათა ღორთა კანთა დაკლება“ თამარის შემოწირულებისა, არ იტყვისსებებს ბერძენთა იმპერატორის აღაქსი ანტონისგან თამარისგან მომხსტრებზე გაცემულის შემოწირულების მითხესებას; რომლისგანა 1203 წელს ასტუფა ომა ქანთუქლთ და ბერძენთა შორის (ქ.ცხბა I, 325), არამედ სხვა უბრალო შემთხესებას.

იმავე აღაპებში მოსხესებულნი არიან გიორგის და თამარის თანამედროვენი:

ა) № 85 სკვდ. 26: „...ნათესავსა შორის ჩუენსა თავისა თვისისა ბრწყინვალედ საცნაურმყოფელმან იოანე მწიგნობართ უხუცესმან ყოველთა უკუტ კეთილმოქმედებათა მისთათანა აღმოსავლურთა და დასავლურთა და პალესტინისა ქუეყანისათა, უმეტესადლა უკუტ ჩუენ შორის საცნაურყო კეთილმოქმედება თჳსი და არა დაიწყებულ ვიქმენით სიშორისათჳს, არამედ სიშორესა გზისასა და სივრცესა ზღვასასა აღვრასხნა გულსმოდგინებაჲმან შიშისა და სიყუარულისა ღთისამან... არამედ უკუტ სიყუარულითა საღთოჲთა, რომელი იგი დაუყენებელ არს და განმკუთთელ ზღვსა და კმელისა და ვთერისა ჩუენ შორიელთა უმახლობელეს გუტქმნა მახლობელთა ვერაჲს დამახრწყებლობით. რამეთუ მას ჟამსა, ოდეს მანქანებითა ბოროტ-დასაბამისა ეშმაკისათა კელინნი მონასტრისა ჩუენისანი ვადამწუარ იქმნეს (ამაჲე ის. კიდევ აღაპ. № № 30, 153, 89), მაშინ უკუტ ვა უღონობისა ფრიადისაგან მოცუულთა სამნი ძმანი აღმოსავლეთს გავგზავნენით (ის. აღაპ. № 37), რომლისათჳსცა უკუტ არა სიორცხლეულ იქმნა სასოებაჲ ჩუენი და გამოგვჩნდა შემწე... საყუარელი მონაჲ ქესი და ყდ წსა დედისა მისისაჲ იოანე მწ: უხუც: (ე. ი. მწიგნობართ უხუცესი) და მოუძღუნა ყდ წსა ევლოგიაჲ პერპერაჲ ლიტრაჲ :დ: შდ კდ მისსა ფარჩი :ა: ოქროსაჲ და მისგან განსრულდა ხუთად ნუგემინისაცემულად უღონობისა ჩუენისა... ამისთვის უკუტ... განუჩინეთ მე მამამან პაეღე (1170—1199)... და ყოველმან კრებულმან შინა მყოფთა და გარეთ დაყუღებულთა უღაბნოჲსათა... (შათა) ხუცესი შაბათსა წარვიდოდის ცოტასა ეკ-

ღესიასა, რომელი განგვწესებია იოანე მწიგნობართ უხუცესისადა და მას შინა იოანესთვის სწირვიდეს და მასვე შაბათსა დიდსა ეკლესიასა სხუაჲ მემსგვესე და ცაიწყებდეს და წირვიდესცა და ესრეთ აღესრულებოდეს ყთა შვდელთა... და კდ მეორედ განგვწესებია, რათა წელიწადსა შინა ერთგზის გარდაიხდებოდეს პარაკლისი იოანესთვის... მწუხრი ვალობითა, ფსალმუნებითა და ღიდებობის მეტყველებითა და შდ გამოლოცვისა მიერთმოდის ძმათა ხილი... და ეწდოდის ღწნოჲ ოთხ-ოთხი (კრასეული) და ეგრეთვე თავადსა მეორესა დღესა... ტრავეზი განუშხადონ და ეწდოდის ღწნოჲ ხუთ-ხუთი. — ეგრეთვე კდცა განვაწესეთ, რა ყთა დღეთა ცისკრისა ლოცვისა და ჟამისწირვისა და მწუხრისა ლოცვისა მისთვის კუპრეკსი ითქუმოდის „შეგვწყალებინსაჲ“, ვითარცა სხუათა შემომწირველთა და მაშენებელთათვის ითქუმის“...

ეს იოანე, მწიგნობართ უხუცესი გიორგისი, მოსიქსებუღია ქ-ცხ. I, 266—7 იგი უნდა იყოს გკრით ქობულისძე, ძმა გრაგოლისი, რომელნიც ერთად მოსიქსებულნი არიან იმავე ლაზ. № № 36 და 145. — ბ) № 36: „იანვარსა :კე: აღაპი დაუწესეთ ქობულისძეთა გრიგოლ და იოანეს დიდთათვის ქველის-მოქმედებათა მათთა, რომელნი ჰქმნენ ჟამსა ქირისასა წასა ამას ზედა მონასტერსა რამეთუ მოსცეს პერპერაჲ ცხრაასი, ხოლო ვითარ წარეგო ბოლოს ჰპოო“ (№ 145). —

გ) № 145: „თა იანვარს :კე: დღესასწაულსა წრის გრგლი ღწმეტაწუღისასა აღაპი არს ქობულისძეთა გრიგოლ და ივანესი... დიდი ნუგე-შინისცემაჲ იქმნას ძმათაჲ მას დღესა შინა... დაღცა თუ ყოველთა დღეთა წელიწადისათა სალოცავი მათი განგვწესებია, არამედ ესე უბრწყინვალეს გარდაიკებოდის. ხოლო მათ მიერ შემოწირული ოქროჲ ესრეთ წარეგო: პირველად მიეცა ძმათა მისგან ევლოგიაჲ და გაიროქნეს (ე ი. ჟამაგირი დაჟინი-ნათ) მუშანი მონასტრისანი სამსა ჯერსა, რომელთა დავასხმევიეთ ვენაჲი :კი: სს მოღისაჲ (30-ის მოღის) და მის ვენაკისაგან დაეაწესეთ, რათა ძმათა ეწდოდის ყთა დღეთა, რლთაცა პანაშვიდი არა იყოს, თვთო კრასეული სალოცველად მათდა. ხოლო რათა უწყოდეთ რიცხვ დრაჰნისა მათგან მოსრულიჲ საჲ პირველ და შემდგომად რომელ მოსრულ არს ყოველი :ჩყ: და უფრო... დაეაწესეთ, რათა აღმოიკეთებოდეს ყთა დღეთა თვთო სეფე და ჟამისწირვათა ყოველთა, ვა მაშენებელთა მოიკსენებდეს მღვდელი ყთა სასმენლად და ეგრეთვე ცისკრისა და სამწუხაროჲსა ლოცვათა და ყოველნი ძმანი იტყოღიან კირიელეისონსა სამსა, ხოლო ვინათგან, რავდენსამე კე-ძსა მონასტრისასა სჯგრძითა ჟამთაჲთა დაძულებული კელინები დაცემად მიხსლებული მათითავე საჟმრითა აღეშენა რიცხვთ :კდ: და კდ ნიკოლ-წჲ მეტოქი და სოფელი ყურსალთა (ყურსალისა?) შრ (ყურსალთა მიერ) კუღლად აოკრებელი მათითავე საჟმრითაჲ აღეშენა ბურღოჲსა დაღმრითა, რათა უშიშ იყვნენ მბრძოლთათგან. ამით ყოველთა ქველისმოქმედებათათვის ესე ყი განუწესეთ... და დაუწესეთ კანდელი წრისა იოანე მახარებლისა ხატსა წინა, რათა დაუნთებდენ

ველთა ქენებითა და მუდარობითა მიშობებთ და მითა მიქნია ყოველი, ვითარცა ყოველთა ძმათა უწყიან. — ამის ყოვლისათვის განუწყესეთ... დადი ღღესასწაული ამაღლებდა პანაშვილად გარდაიკლებოდის, მწუხრი კერასითა სამსამითა და ხილითა, რააცა მას ჟამსა დახუდეს და სამკრად... ეწდიოს ხუთ-ხუთი... დაგვწყესებია პორტისა კართ ყთა ღღესასწაულთა... გასლაჲ (გასლვა) ყდ წისა წინაშე, დასდებელისა თქუმაჲ და შეგვწყაღენისა... და მამისა პავლეს მოხსენება...

ამჟჳ დროს ეკუთნის ლაშა № 134: „თა ნოვებერსა :კ: ...განუწყესეთ პანაშვილი ძმასა ჩუენსა გიორგის ციხისჯუარელსა, ამისათვის რომელი იყიდა აღროჲ, აწიანური და პური, აღროჲ აოკრებული, და აშენებული მოუთუალა მონასტერსა. აღროჲ და პური და ჯური :ა: (ჯორა?) და ესე ყოველი შეიქნა :ნ: პერპეტუალად, და უფროჲსლა, რამეთუ დადვა სული და თავი მონასტერისა სამსახურად ვერდრე ცოცხალიყოს და ამისთვის განუწყესეთ პანაშვილი...“ № 138: „გიორგი ციხიჯუარელისა წიგნნი პარაკლიტონი, მარხვანი და საღღესასწაულოჲ აიანს. დაესხენით სალოცველად სულისა მათისათვის“.

ამჟჳ დროს ცხოვრებდა ივანე კობჯისძე. ლაშ. № 142: „თა დეკემბ :კ: კრებაჲ ყდ წის ღთისმშობლისაჲ განუწყესეთ აღაპი იოანეს კობჯისძესა... ვა მამულებელთა სწერია. მოსცა ეკლესიასა ევლოგიაჲ კელითა დიდისა ბერისა და მოძღურისა ონოფრი გარესჯელითათა ღრაჰკანი ას ოცი და ჯორი ერთი... რამეთუ ჩუენ შეუძლებელთა დიდად ნუგეშინის გუცა. მე მამასა ვასილის და ყთა ძმათა დაგვწერია ეკლესიასა შა, არი შიანის ძმაჲ და თვისი იყო და აწ ვინცა არი შიანისთანა ესენება ივანე კობჯისძისაჲ დააკლოს იგიმცა დააკლდების საუკუნოთა კეთილთა. საკმარად... (არაშინა ის. ქცხბა I, 242).

ზემოსხენებულს: ლაშა № 155 მოხსენებულა „კარ ლექსი კომნიასი“, რომელიც ათონის წინამძღვარმან „მოიგნა მეგობრად“, უნდა იყოს ის ზირი, რომელიც ლექსი ქცხბა (გვ. 285) იტყუის: „ხოლო სხვანი ვიეთნიმე უღონოებით აწვევდეს ალექსის მოყვანად ქმრად (თამარ მეფასა), რომელი ახლოს თვისობდა და მამულად მამის ძმისწული იყო ბერძენთა მეფისა. ესე მას ჟამსა აქა (ე. ი. საქართველოს) მყოფი იყო“. ეს ლექსი, რომელიც „ასღოს თვისობდა“ თამარს, იქნებოდა შეიღო ანდრონიკე კომნიასისა. ანდრონიკე 1167 წელს (ანუ, როგორც საქმის გარემოებიდან სჩანს, 1166 წ.) შემოვიდა საქართველოში „კოლითა სახე-შენიერთთა და ბრწყინვალითა, თანა შვილებითა და დისწულითა... შეიწყნარა (გიორგი მეფემ) ... და მისცნა ქალაქნი და ციხენი კმასაყოფელნი მისნი და დაუდგნა საჯღამისი სიხლესა საყდრისა თვისისა“. (ქცხ. I, 271; ის. ზემო გ. 259). აქედამ ცხადია, რომ ანდრონიკე თავის ოჯახობითურთ დიდს ხანს დაინქილა საქართველოში და თუქა თუბ ანდრონიკე იმპერატორობდა საბერძნეთში 1183—1185 წლებში, მაგრამ, როგორც სჩანს, რამდენიმე წყვერი მისის ოჯახობისა, სამეფამად საქართველოში დაინქილა,

და მართალი უნდა იყოს თქმულება ანდრონიკანთ გუბარისა ან ანდრონიკე მეფისაგან შთამომავლობაზე (Hist. G. I, 396, n. 4; კასუშტი გვ. 192). მართლდება ბრძანების შენიშვნა: ანდრონიკეს უნდა საქართველოში დაეტყვებინოს თვისი შვილი ალექსი, რომელიც მას ჰყვანდა იერუსალიმის მეფის ბალდუინის ქვრივის თეოდორასაგან. იყო კიდე სხვა ალექსი, მანუელის შვილი, იმავე ანდრონიკეს შვილის-შვილი, მაგრამ ამ დროს, რომელსაც აქ შევხვებით (ე. ი. 1185—1186 წ.), ეს ალექსი ძალიან ყმაწვილი იქნებოდა. თამარი თვს-ტომი და ნათესავი იყო ანდრონიკეს შვილისა, რადგან დავით აღმაშენებლის ქალი კატა, თამარის პაპის და, ცოლად ჰყვანდა ალექსის, უფროსსა შვილს ნიკიფორე IV ბრიენისსა და მისის ცოლის ანნა კომნენისსა (Hist. G. I, 413, 360. კასუშტი, გვ. 198, 178, 192).— რადგან აღაშნი მოხსენებულა ალექსი მისის ცოლით მარამით, აქიამ ცხადია, რომ ეს აღაშნი დაწერილია 1187 წლის შემდეგ, 1187—1199 წლებ შუა (შავლე † 1199 წ.). საქართველოში გაწირილი ალექსის იუერიის მონასტრის წინამძღვარი შავლე ადვილად მოიგებდ მეგობრად, როგორც აღაშნი გუაწუქებს. ალექსი IV იმპერატორობდა 1193—1203 წ., ალექსი V—1203—1205.

1187 წ. — ქკს :უზ: აქა დიდი თოვლი მოვიდა“ (დადასთა ქრ.)

1187 წ. -- ქკს :უზ: - - - კდა :გ: (გა?) დიდი თოვლი მოვიდა“ (ქკ. მუზ. № 85. ეს მერმენდელის XV საუკ. სვლით არის მიწერილი).

ორაკე ქრონიკები ვიხსენებენ 1187 წ. დიდ-თოვლისობას, ხოლო უკანასკნელი ქრონიკა გარდა ამის შეიძებს რაღაც ამას. სამუხსაროდ ნაწერი გადასულია და მხოლოდ საეჭვოდ აღმოკითხულია გერსება: „- - - კდა :გ:“ (გა?) ე. ი. „[მო]კვდა გიორგი?“ შეიძლება ქრონიკა გაუგებნობდეს: აქა (ე. ი. 1187 წლის) მოკვდა (თუ მოვიდა?) გიორგი“, შირველი ქმარი თამარისი, რუსთ-იუფის ანდრია ბოლოლოუ-ბოვის შვილი, ესეკოლოდის მიერ განდევნილი ყაიხაუთში ანუ პოლოკების ქვე: უსაში (ის. ამაზე არტად Addit. 288—296). როგორც ქვემო განკარტავთ (ის. 1189 წლის ქკშუ) გიორგის თამარზე დაქორწინება მოხდებოდა 1184 წლის დამდეგს, ანუ 1185 წლის დამწეგის და მამასადამე აქ, 1187 წლის ქკშუ, უნდა იყოს მოთხრობა გიორგის სიკვდილზე, ანუ განდევნაზე. მართლაც განდევნა მოხდებოდა 1187 წლის დამდეგს ანუ 1188 წ., რადგან თამარ 2/3 წელს ითმინდარუსს (ქკს. 288). თამარის შირველის ქმრის განდევნა სიკვდილად მიღებულ იქნეს თვთ სტეფანოსს, რომელიც სწერს: „როდესაც თამარ ტახტზე ავიდა, მას ქმრად მოჰგვარეს ერთი რუსთ-ხელმწიფის შვილი, სახელით გიორგი. ამ უკანასკნელმა აიღო ქალაქი დვინი და მტრე ხნის ცხოვრების შემდეგ მოკვდა. მაშინ თამარმა შვირთო სხვა ქმარი, სახელით. სოსლანი“ (Hist. Sio-unie, p. 222; Варданъ. Всеобщ. Ист., 162).

1189 წ. — ქკს :უთ: დასაბამითგან: ხდეგ: აქა მეფედ დაჯდა დავით ოსი“.

ეს ძვირფასი ცნობა: „დასაბამითა ქრონიკისა“ შქკსა ჭყენს. თამარის მკვლევარს

და არღვეს ვახუშტი-ბროსის-ბაქრაძის ქრონოლოგიას თამარის მეფობისას 1184 წლიდან 1192 წლამდე. ვახუშტის გამოანგარიშებით რუსის შეუღლება თამარ მეფესთან უნდა მომხდარიყოს 1177 წ., ხოლო განდევნა—1180 წ. აქედმივი ბროსის და მისი მიმდევარი დ. ბაქრაძე რუსის შერთვის გვიჩვენებენ „სამის წლის შემდეგ თამარის გამეფებისა“. ე. ი. 1187 წ., ხოლო განდევნას—1192 წ. (Hist. G. 413, 417; ვახუშტი გვ. 193) და ამ ქრონოლოგიის მიხედვით ივანი აწყობენ თამარის მატანსეში 1184—1192 წლებ შუა მოთხრობილთა სხვა ამბავთა ქრონოლოგიასაც. ქ-ცხბით თამარი ორ წელს და ნახევარს ითმენდა ორუსს (1189—2¹/₂ = 1186¹/₂), ხოლო რუსის განდევნის შემდეგ გრძელად მოთხრობილია ამბავი თამარის მიჯნურთა: იმპერატორის მანუელის შვილის ჰელიკატორისა, ანტიოქელ მეფის შვილისა, მუტათფადუნისა, რომელიცა დიდ ხანს დაწახ, მთელი ზამთარი გაატარა სომხითს და თფილისს (ქ-ცხ. 290) და მერე ანადირეს კასეთს და უჩქეს ქეჟიო ქეჟესა და რახი, უკანასკნელ თამარის მკვირ ხარჭის საშობი შერთეს, „რეცა სასელ-დებული შეილად მეფისა“ (გიორგი III-ის უკანონო შვილი?) და სასელკუანი ქორწილი გადახდაეს და მზითვით გაისტუმრეს. უკავლესვე ამას მოუწდებოდა ერთ წლამდე. ამას შემდეგ „დარბაზობად“ მოვიდა აღსართან და ჭსურდა თამარის შერთვა. ამ დარბაზობაშიც დრო გამოვიდოდა, და ამის შემდეგ „დავით ოსის“ შერთვაჲმდინაც ხანი გავიდოდა. ამის გამო ჩვენ გვერისა, რომ რუსის შერთვა უნდა ყოფილიყო 1184 წლის დამდეკს, ანუ გაზაფხულს 1185 წლისას, 2¹/₂ წლის შემდეგ, ე. ი. 1187 წლის დამდეკს (როგორც ვახუშტის რედაქტორი ნახევრები ბნელი წარწერა), ანუ 1188 წლის დამწყებს რუსი განიდეკნა, და ორის წლის ანუ წელ-ნახევრის შემდეგ თამარმა შერთო „დავით ოსი“, რომელიც იზრდებოდა მეფის მამადის რუსუდანის სასახლეში და მეექვსე შტო იყო ბაგრატიონთა, ბაგრატ IV-ს მის დიმიტრისგან (იხ. იქვე გვ. 145; 189.—Hist. G. I, 421).

კაცო ღუთის მოყუარენო, რომელნი შევბით¹⁾ ემბაზისაგან ცხოველისა შეილად წმიდისა და დიდებულისა კათოლიკე ეკლესიისა სარწმუნოებასა ზედა წმიდისა სამებისასა, რომელი დადევს წმიდათა მოციქულთა შეურყეველად და ძირ უბნე²⁾ დათესულსა მათსა ყოველად. ქებულთა წმიდათა მღვდელთ-მოდღუართა ქეშმარიტითა და მართლითა სარწმუნოებითა და წამეს ვითარცა ერთითა პირითა ექუსთა მათ შინა კრებათა³⁾, რომელთა მიერ პირველ ზრახვდა თუთ თავილი ღმერთი და განაწესეს ესრეთ და გუასწავეს ჩუენ:

მამა ყოველისა მპყრობელი, დამბადებელი ყოველთა არსთა, ხილულთა და უხილავთაჲ; ძე მხოლოდ მამისაგან შობილი და არა ქმნილი, სწორი მამისა და თანამოქმედად მამისა ყოველსავე, რომელმან აღსასრულსა გამოთსა შეიმოსა სიმდაბლით უძლური კაცებამ ჩუენი საშოსა შინა წმიდისა ქალწულისასა, ჯუარს ეცუა და მოკუდა ქეშმარიტად და არა სარცრად⁴⁾ ბუნებითა კორცთათა

1) „შეება“ აღნიშნავს გარდამატებულს სიხარულს. ძველს დედანში იკნებოდა: „რომელნი იშვებით“...—²⁾ უნდა: „ძირ უბეს“.

3) ღირს-შესანიშნავია, რომ ძველ ხელ-ნაწერებში მეშვიდე კრებას არ იხსენიებენ (აბაზე იხ. ჩემი აღწ. ეკ. მუხ. № 86 ხელ-ნაწერისა). —⁴⁾ „საოცრად“, ე. ი. მოჩვენებით. მო-

და ლუთაებისა ძალითა აღდგა და თანა აღადგინა დაცემა ჩუენი პირველი, ამდღა მუნვე მამისა და მოვიდეს განსჯად ცხოველთა და მკუდართა დიდებითა, კორცითა მით, რომელი ჩუენგან მიიხუნა.—და სული წმიდა უფალი, ცხოველს მყოფელი, მამისაგან გამომავალი და ძისა თანა თაყუანისცემული, თანასწორი მამისა და ძისა თანამოქმედად საუკუნეთა, რომელი იტყოდა პირითა წინასწარმეტყუელთაათა ყოველსავე მომავალსა.

და ერთი წმიდა და დიდებული კათოლიკე ეკლესიაჲ, რომლისაგან განიდევნეს ყოველნი მწვალებელნი სიბრძითა უკეთურებისათა, რომელსა შინა იდიდების წმიდა სამება მარადის მართლითა აღსარებითა⁵).

ხოლო ვითარ განდგეს სომეხნი მართლისა სარწმუნოებისაგან ესე არს მიზეზი. ვითარ ყოველთა კრებათა იზოვის ვინმე თითოჲ წინააღმდეგომი საქმითა საეშმაკოათა და აზნის ახალ-სახეობითა ლუარძლი წვალებისა, ეგრეთვე წმიდასა კრებასა ქალკილონისსა გამოჩნდეს ორნი მგელნი მძვინვარენი, განჩემებულნი ეშმაკისნი—ევტჳკი და დიოსკოროს, ვითარ არიოზ, მაკედონიოს და ნისტორიოს სამთა მათგან კრებათა დაიწყევნეს შეჩუენებულნი და წარწყმდეს, ეგრეთვე ესე ორნი საწყალობელნი :ქლ:—თა⁶) წინააღმდეგს⁷) საღმრთოათა შურითა აღგზებულთა, რომელთა შორის მკვდრ იყო ქრისტე და მათ მიერ შეჩუენებულნი წარწყმდეს და მიზეზ ბოროტისა ექმნეს ურიცხეთა სულთა უბრალოთა.—ხოლო ვითარ ზედა მიიწივენით, გულისკმა ყავთ, განყოფაჲ სომეხთა ქართლისაგან უკუელად აღწერ⁸) წიგნსა ამას შინა.

ჟამთა არკადი მეფისათა ბერძენთა ზედა⁹) და სომხითს მეფობასა არშაკისსა¹⁰) იყვნეს სომეხნი ნაწილად ბერძენთა სჯულსა ზედა მათსა მტკიცედ, ვითარცა ასწავა მათ წმიდაჲან გრიგოლი პართელმან¹¹), და სიმენით ეპყრა ქუეყანაჲ მათი ფრიადითა ლუაწლითა მოახლოებისაგან სპარსთასა და მეფენიცა ბერძენნი შეეწეოდეს ლაშქრითა და ოდესვე მკველად უდგიან ძალითა დიდითა მახლობელად და ესრეთ იყო საქმე მათი¹²). ხოლო მეფემან არკადი¹³), ძემან თეოდოსისმან დაცონა¹⁴) საქმე მათი და მოერიდეს სპარსნი სომეხთა და იოტნეს ქუეყანით მათით და ლტოლვილნი მრავალ-ჟამ მწირობდეს ელექციით¹⁵) კერძობა ქუეყანათა და ევედრებოდეს არკადის, რათამცა მოუვლინა

ლანდებით (призрачно), როგორც ერთ-ბუნებიაანი“ (МОНОФИЗИТЫ) ჰიქრობენ.—⁵) ეს წინასიტყვაობაჲ, ანუ შესავალი, რომელშიაც არსენი მოკლედ და სიმართლით აღწერს მართლმადიდებელ სარწმუნოების აღსარებასა და შემდეგ გვიჩვენებს, თუ რომელ მიზეზით განდგენ სომეხნი ამ აღსარებისაგან.—⁶) ე. ი. ექვსას ოც-და-ათთა ქალკილონის კთების მამათა.—⁷) ე. ი. 630 მამათა წინააღმდეგეთა ევტჳკი და დიოსკოროს. Kiracos de Gantzac, p. 17, n. 10. რასაკვირველია, ქალკილონის კრების მოწინააღმდეგენი მოფინებოდენ საქართველოსაც, როგორც მოფინენ მთელს აღმოსავლეთს და სომხითს (Oukht. 277).—⁸) ე. ი. უმეველ საისტორიო წყაროებიდამ და სიმართლით.—⁹) 395—408 წ.—¹⁰) 392—396 წ.—¹¹) რომელმან მოაქცია სომხითი; მოქცევა სომეხთა ანუ ცხოვრება წა გრიგოლ პართელისა ჩვენ ვიპოვნეთ მე-XI საუკ. ხელ-ნაწერში ქართულად და ნაწყვეტი იმისგან ზემო ჩაუვრთეთ (იხ. გვ. 19—27).—¹²) იხ. ერთლად Мойсей Хоренский изд. Мина рн. V, гл. 4—XII. Асогнъ; стр. 12—50;—Варданъ; стр. 69 და შედ. Kiracos; p. 16—18.—¹³) 395—408 წ.—¹⁴) მტონარბეზარმაცობა; „დაცონა“—ყური არ უგდო.—¹⁵) კვლავი ზემო სომ-

ძალი, რომლითა შეუძლონ დაპყრობა ქვეყანა მისი და არა ისმინა უფალმან ვედრება მათი. — მაშინ იძიეს ღონე სომეხთა და მოხარკე ექმნეს სპარსთა და არწმუნეს მეფესა სპარსთასა ფიცისა მიერ და თავსდებოთ მოწყობდა ბერძენთაგან და შეერთებდა მათა, და განიხარა მეფემან ფრიად ესე და მრავლითა სიხარულითა და ბოძითა უკუნცა ქუეყანა მათი¹⁶). დაყვეს სომეხთა რაოდენი იყამი მშვიდობით მართლითა სარწმუნოებითა.

ხოლო ეშმაკი, რომელი მარადის ჰბრძავს სიკუდილად კაცთა ნათესავსა, აღძრა ნათესავი უღმთო ნისტორის წვალებისა და დიდძალითა ქრთამითა ოქროსათა ითხოვს მეფისაგან კეთილად მიქცევად¹⁷) (სომხითი) სჯულსა მათსა და განდრიკეს გული მეფისა და არწმუნეს ესრეთ, ვითარმედ რაჟამს პოონ ეგმი სომეხთა მიქცევად კულად ბრძენთავე, არა ერიდნენ ყოვლადვე ფიცსა არცა თავსდებოთ სიყვარულისათს და სიმტკიცისა სჯულისა და მოციქულისა საქმე შენი მათ მიერ, არამედ უცვალე სჯული და დაჰსენ შორის მათსა სიყვარული უკუნისამდე, რომელიცა იქმნა მახითა ეშმაკისათა. და აიძულნა მეფემან პეროზ¹⁸) სომეხნი მსახურებად სჯულსა ნისტორის უღთოსასა; ხოლო სომეხთა ყოვლადვე არა თავს-იდევს ესე, არამედ ჰრქუეს მეფესა მოციქულითა ესრეთ, ვითარმედ ნუ იყოფინ ყოვლად ესე ჩუენდა არა ხოლო ქუეყნისათს, არამედ თავთა და შვილთა ჩუენთა ტყუპობისა და სიკუდილისა¹⁹). ხოლო მეფე იქცა კულად სხუად მანქანებად და განუცხადა საქმე თვის განყოფისათს ბერძენთაგან და ესრეთ მიუვლინნა მოციქულნი, ვითარმედ ერთიერთაგანი ყავთ; ანუ გამოირჩიერთ ყოველთა ასურთაგან სჯული თვნიერ მელქთაჲსა, რომელნი არიან სჯულითა ბერძენ, ანუ დაუტყვევთ ქუეყანა

ბეთში, იხ, Brosset Hist. G. I, 218, 9 n. 3. ქცხა, I, 162.—¹⁶) ამაზე ვრცლად М. Хоренский, გვ. 197—232, Асогикъ, 51—57.—¹⁷) აქ დედანს ერთი სიტყვა აკლია, ვგონებ „სომეხთა“. — საყურადღებოა, რომ მემატიანე სრულიად ჰსდუმს ქალიკდონის 451 წლის კრებაზე. რომელიც გახდა უმთავრეს დოღმატიკურ საფუძველად სომეხთა და ქართველთა შორის სარწმუნოებრივის განხეთქილებისა, მემატიანესი აზრი აქ ცხადია: იგი ამით და სხვა ფაქტებითაც ცხადად გვიმტკიცებს, რომ ერთად-ერთი მიზეზი ამ ორ ერთა შორის მომხდარის განხეთქილებისა იყო მხოლოდ პოლიტიკური მდგომარეობა სომხთისა სპარსთა და ბერძენთა ერთმანერთ შორის ქიშპობაში იმაზე, თუ რომელს მათგანს უნდა დასთმობოდა პირველობა აღმოსავლეთში და კერძოდ ქართლ-სომხეთში. ქალიკდონის კრება იყო მხოლოდ საბაბი და არა მიზეზი განხეთქილებისა. მთელი ისტორია სომხეთის ისტორიისა ამას ცხადად გვიჩვენებს. სომეხთა „შეჩვენებანი“ ამასვე გვიჩვენებენ მიზეზად განყოფისა: „რომელ განადგინეს ყოველი სომხითი ბერძენთა მთავრობისაგან და თანაშემწე ექმნეს სპარსთა და მომადლებისა მათისათს მოიხუნეს ხალიფასაგან წესნი და სჯულნი... შეიჩვენებანი“ („სამოთხე“ 635: ჩემი ხელ-ნაწ. გვ. 103).—¹⁸) 457—484 წ.— Hist. G. I, 189, 196. Асогикъ, стр. 56.— Kiracos, p. 18—20.— ამ ნაირად, ქალიკდონის კრების უმკაცროდ პირთა აღუძრავთ სპარსთა მეფე და შეუგანებიათ, თუ რა დიდად სასარგებლოა სომეხთა მოწყვეტა მსოფლიო ეკლესიისაგან.

¹⁹) იხ. Асогикъ, გვ. 52 და М. Хоренен, к. III, гл. LXIV—LXVII და Епифан.

თქუნი და ივლტოდეთ ჩუქნგან. მაშინ სომეხნი შეწუხნეს ზრიად ოასავე ამას სახესა ზედა და შეიპყრნა ურვამან და იქმნა ანჯმანობაჲ²⁰⁾ შორის მათსა მრავალთა დღეთა და მიუგდეს საქმე ესე ნერსე კათალიკოზსა²¹⁾, რომელსა ეწოდა მეჯინ. და რქუა მეფემან სომხითისამან და ყოველმან ერმან, ვითარმედ უმჯობესი ჩვენი შენ უწყი, რათა ჰბრძანო უმჯობესი ჩუენითა (ჩქესნა?)²²⁾ დაუყოვნებელად დავემორჩილნეთ ბრძანებათა შენთა.

ხოლო მან საწყალობელმან დაამონა სულნი კორცთა და არა მიხედა ყოვლადვე საუკუნეთა გულმათა და შუბმათა და არა ისმინა კმა უფლისაჲ სახარებასაგანი, ვითარმედ უკეთუ ყოველი სოფელი შეიძინო და სული შენი მოიკლა, რაჲ მისცე მისი ნაცვალიო. არამედ აზრახა მსგავსი თვის პირუტყუტბრ და ესრეთ ჰრქუა: უმჯობეს არს ჩუქნდა სიკუდილი, ვიდრეღა ეამსა ამას კულად მოქცევაჲ კულად ბერძენთა და მეორედ დაგდებაჲ ქუეყანისა და მოწყუტაჲ ჩუქნი მწირობით, და ყოველი ზრახებაჲ მისი იყო საწყუთრო და ამპარტანად²³⁾. და მიუვლინეს მეფესა მწუხარებით და ითხოვეს სჯული იაკობთა, რამეთუ სხუანი ყოველნი უძვრეს²⁴⁾ შეჰრაცხნეს. ხოლო ცოდვაჲ მცირე აღორძინდის უვროჲს დიდისა უდებობასა შინა, ვითარცა წერილ არს.

ხოლო მეფე დაჯერებულ იქმნა და მოუვლინა მოძღუარნი იაკობნი ბოროტნი ცხრანი, ვითარცა ძელნია [მცბ]იერნი, ვითარცა თქუა სიბრძენმანღუთისამან სოლომონის მიერ, და მათ განრყუნეს სომხითისა შრომილი წმიდისა გრიგოლისი, მრავლითა ღუაწლითა და ცრემლითა მისითა მორწყული, რომელთა სახელები ესე არს: აბდიბოჲ²⁵⁾, პეტროზ მკაწრველი, სვმონ ბოროტი, იაკობ და თანა ჰქონდეს წიგნი ფილაქსოსისნი: ივლიანესნი: ალიკარნელისნი: ტიმოთე კუქრნი და სევეროს ნაშიკელი²⁶⁾. და ყვეს კრებაჲ ქალაქსა შინა დვინს და შესძინეს ხაჩეცარი, ესე არს სამწმიდა-არსსა შორის

²⁰⁾ ანჯმანობა=ჩრევა, თათბირი.—²¹⁾ 524—533?: АСОГИЪ, გვ. 58. ასოლიკი ამ ნერსეს მიაწერს დვინის კრებას 551 წ. (გვ. 58).—²²⁾ ეს ორი სიტყვა მეტი უნდა იყოს.—²³⁾ ე. ი. კნი ნერსე ამ ქვეყნის წუთიერს ანგარიშებს მისდევდაო და არა საღმრთო საქმეებსა.—²⁴⁾ ე. ი. უარესად.—²⁵⁾ აბდიშო? АСОГИЪ გვ. 52, Хоренский III, гл. 44. ვკანებ აქ იგულისხმება არა თვთ აბდიბო, რომელიც ამ დროს ცოცხალი არ იქნებოდა, არამედ მისნი თხზულებანი, როგორც პეტრე მკაწრველზე და იაკობზედაც იგულისხმება. მაგრამ ქვემო აბდიბო ასური მოხსენებულია თანახიარად დვინის კრებისა.

²⁶⁾ ყველა ზემოხსენებული პირნი იყვნენ მონოთეისტნი—მწვალებელნი; ამათში პეტრე მკაწრელი. ჩვენ ხელში გვაქვს ხელნაწერი „უწყება პეტროს მკაწრველისათვის და ალაჯირინათვის“, რომელიც დაბეჭდილია საბინინის „სამოთხეში“ გვ. 629. ამ „უწყებით“ პეტრე ყოფილა კოსტანტინეპოლის პატრიარქი, განდევნილი მწვალებლობისთვის, რომელმან განაყენა მართალ სარწმუნოებისაგან „უმაჲკო იგი ერი სომეხთა“. ეს უწყება პეტროსსზე და ალაჯოზე ისტორიულს სიმართლეს მოკლებულია და გადამახინჯებული უნდა იყოს უეიკ მწერალთაგან ანუ ზეპირ-მთქმელთაგან. პეტრე არ სჩანს კოსტანტინეპოლის პატრიარქთა სიაში V საუკ. ხოლო პეტროს ანტიოქიის პატრიარქი მოხსენებულია ჩემს სიაში № 41 ამ გვარად: „მა: პეტროს კანაფელი :ბ: წელს (იპატრიარქა) და გაიძო (ე. ი. განიდგენა), რომელმან აცთუნა

შეჰმატეს ჯუარი²⁷) და აჩემეს ვნებაჲ ლუთაებისა ძალსა. უენებელსა და უკუ-
დავისა სიკუდილი და განდგეს მართლისაგან და ჰეშმარიტისა სარწმუნოებისა
და უცხო იქნნეს და განისხნეს წმიდისაგან და დიდებულისა სამოციქულო კა-
თოლიკე ეკლესიისა, რომელ არს თავი სარწმუნოებისა და დედა ყოველთა
მორწმუნეთაჲ სიტყვსაგან უფლისა, რომელი უბრძანა წმიდასა მოციქულსა
პეტრეს, ვითარმედ შენზედა ეგოს მტკიცედ სარწმუნოებაჲ ჩემო. ჰეშმარიტად
უცხო იქნნეს ცოდვითა მათითა დედისაგან ლუთისა და განაწესეს არაჯო-

სომხითი წყეულმან“ (იხ. წ. კ. ხელნაწერი X საუკუნისა № 1143 და ევ. მუხ. XII საუკ. № 97) პეტრე გნაფი ანუ ფელონ მართლა იჯდა ანტიოქიის პატრიარქად 471, 475—478 და 485—488 წელს (Brosst, Addit. p. 192, Oukhtanes d' ourna X S. p. 331, n. 1); იგი იყო წინააღმდეგი ზალციდონის კრებისა, და პირველმა დასთესა სომხითში მონოფიზიტობის ღვარძლი. საეკლესიო მწერლები ჰმოწმობენ, რომ პეტროს „აღვიდო და საყდარსა ანტი-ოქელთასა“ (ე. ი. რამდენ-ჯერმე) და ბუროტთა მათ მწვალებლობათა მისთათჳს წთა მამათა მიერ შეიჩუქნა და განიკუტა და საყდრისა თვისისაგან განიდევნა და მიერ პოიწია სომხითად და აღმოსავალად (ე. ი. საქართველოს და სერეთს: ეს ქვეყნები იმდროს „აღმოსავლეთად“ იწოდებოდა: იხ. № 170, გვ. 202—9)... ხოლო მოვიდა რა ქუტაყანასა ამას ჩუქანსა საოცრებითა, რამეთუ ზინ იგი ზემო კრძო მალალსა რასმე საყდრად შენებულსა (საყდარი ტახტი, საჯდომი) სამოსლითა პატრიონითა და ბრწყინავლითა... და შეუდგა ერი ურიცხვი მოძღვრებათა წვალებისა მისთას დაბნელებული ნათესავი სომხთა. მაშინ მოვიდა ზევი იგი კანგარასა (აგარასა? Oukhtanes, p. 331—კანგარკ) და მოუწოდა ნეტარსა მიქელს კზსა ქართლისასა, რათა ანუ საჯულსა მისსა ეზიარნენ, ანუ თუ უარ ექნას, საყდრისაგან განიყუანოს.“ მიქელ კზი ეახლა პეტროსს თავისის ამალით და უბრძანა ყველა მის მხლებელთაგანს, რომ თითო ქვა ჩაედვით ქუდებში და ასწავა, „ვითარმედ ვითარ იხილოთ ჩემგან, თქვენსა ეგრე ჰყავთ ყოველთა. მაშინ მოვიდა მიქელ კზი და თავყანისა წინაშე საყდრისა მის პეტროსს მკაწვრედლისასა, ხოლო მან შთაუდგა სახელი შესამოღლისა მის, რათა ემთხვოს იგიცა ჩუქელუბრისაებრ მისისა.

ხოლო ლუთიე განბრძნობილმან მიქელ უპყრა სახელსა მისსა და შთამოხიდა ძლიერად და შთამოითრია, ქუტაყანად დააკუტა და დასცა ქვით მით, რომელი აქუნდა ქელსა შინა მისსა და განტუნა უღთო იგი და ზევი (ე. ი. აშარტავანი) და დასდვა წყლულბა სასიკუდინე. მაშინ ყოველთა მისთანა მყოფთა ეპისკოპოსთა და მოყუანთა მისთა დაკრიბეს მასზედა ქვა და ესრე დაზიენეს ქვითა და მოკლეს მგელი იგი და შეერაცხა მათ სიმაართლედ კაცის კტლა იგი. მაშინ ზარი და შიში დაეცა მათ ყოველთა მიმდგომთა პეტროსისთა“...

ეს უწყება, ამოღებული სუბსარქისის ცხოვრებიდან (ჩემი ხელნაწ., გვ. 119) და საბინინის „სამოთხე“-დან გვ. 631, ეთანხმება სხვა წყაროებს და ისტორიის მიმდინარეობას: 1) პეტროს მართლა ვახტანგ გორგასალის დროს ცხოვრობდა და მასსადამე მიქელიც მისი თანამედროვე იყო; 2) მიქელის ხასიათს სრულიად ეთანხმება ესრეთი ქვევა: ფიცხელმა ხასიათითა მიქელმა თვით ვახტანგ მეფესაც კი არ დაუთმო და ერთი კბილი მოსტეხა (იხ. ზემო გვ. 48);—3) თვით მე-X საუკ. მწერალი უხთანესიკ ამოწმებს ამას, როდესაც იტყვის: აზრაამ კათალიკოზმა (580—603) ეპისკოპოსი პეტროს გაუგზავნაო ქართლის კზს კირიონს; ქართველნი სიკვდილს დაემუქრნენო პეტროსს სარწმუნოებრივის განხეთქილებისთვის: „ამ გამოზობით გაამაყებულთა ქართველთა ჩვენს დრომდელ შეინახეს მოთხრობა, რომელიც მამათაგან შეიღებს გადაეცემა, რომ თქვენი მგელი პეტროს ჩვენთა დიდებულთაგან (par nos principes) მოკლულ იქნაო კანგარის მთაზე“. უხთანესი მაინც, როგორც სხანს, გვაგულის-

რი²⁸) მუნვე დვინს, რამეთუ თქუს: ესე არს დღე პირველი სარწმუნოებისა ჩუანისაო²⁹) და შესძინეს კუალად ბოროტი ბოროტსა და შეგრუნებით დაიწყევნეს თავნი, რათა არა ეზიარნენ კრებასა ქალკიდონისსა და გან[ისხნენ].

რამეთუ პლ[პირველ] - - - თ³⁰) შინა და რომელთა ენუქისზე ებრისა გინა ნაქ - - თა³¹) კაცნი შეპყრობილნი ფრიადითა საცთურითა ეშ[მაქისათა] შეკრულ იყვნეს მსახურებითა კერპთათა და ვა (კითარცა?) ბნ- - სა (ზანან-სა?) შინა ფეშუსებითა და ფილოსოფობისა რაჲსამე მიდევნით³²) მიდრკეს ბოროტად და დაავიწყდა ღი (დებრით). გინა თუ სიგარძმასაგან ემათასა და-

ხმებინებს პეტროს ანტიოქელს (Oukhtanes. p. 331; ამაზე იხ. კიდევ Kiracos p. 23 და აგრეთვე Addit. p. 122—3; Hist. G. I, 279, n. 4); 4) თვთ ვეთიმე გრძელი იერუსალიმელი, მე-X საუკ. მწერალი, ეტყვის სომეხთა მოძღვარს სოსთენს: „მერმე (პეტროს მკაწრელი) მოვიდა ქტყანად თქტუნდა, აღავსო ბოროტითა წულებითა (წულება=განყოფა. აქი-დამ: წუელილი=განყოფილი მრავალ ნაწილად. რადგან განყოფა ცოცხლის სხეულისა ტკი-ვილს გამოიწვევს, ამის გამო წულება აღნიშნავს ტანჯვასაც) და შეატუნა ფრი იგი უსწავ-ლეელი. ვინაჲა შეტურა ღწ მიქილ კხ... (და) კტა განტუნა იგი... ნეტარმან მიქილ და, კრებულმან მისმან საღმრთომან უკეთური იგი დაქოლეს“ (ჩემი ხელნაწ. გვ. 130, Hist. G. I, 191, n. 2 „სამოთხე“ გვ. 618). 5) თვთ ამ არსენ კხის თხზულებაში პეტროს მკაწ-რელი წოდებულია „ანტიოქელად“ (იხ. ქვემო).—ამ საბუთების მიხედვით ჩვენ პეტროს მკა-წრელი პეტროს კანაფელად (Исидор) ანუ პეტრე ფულონად მიგავჩანია, წინააღმდეგ ბროსესა (Add. p. 123, n. 2, Oukhtanes, 133, n. 1), თუმცა ცხადად ეტყობა, რომ ზემოხსენე-ბულთ „უწყება“ ვილად უეტი მწერლის კალმით შესამჩნევად გადამანჩგებულაო, მაგ. მო-ხსენებულია სულთნარი, სარკინოზობა, რომელიც გაჩნდა მე-VII საუკ. ხოლო პეტროსის მიერ ოქროთი ვაჰარაყიანება წერისა მოგვაგონებს ნერსე კხის ამბავს („სამოთხე“ 630, АСОФИКЪ, стр.; Kiracos, p. 24).

²¹) ე. ი. „სამ-წმიდა არსსა“ სავალობელში ჩაუმატეს „ჩვენთვის ჯვარცმლო“ და ამით ჯვარცმა და ენება წმიდასა სამეხას მიაწერეს, ანუ თვთ ლეთაებას მიჩემეს სიკვდილი და ენე-ბა. ამ დამატებით სომეხნი აცხადებენ თვის მონოფიზიტობას, რომელსაც სიტყვითიკი უარს ჰყოფენ.

²⁸) ახალი წელთა-აღრიცხვა სომეხთა და მარხვა, „რომელი მიიღეს უღმრთოთა მანას-კერტს ტარსუნ ქალაქსა დვნს შეკრებილთა მწულებელთა“ (ჩემი ხელნაწ. გვ. 115, „სამო-თხე“ გვ. 635).

²⁹) სომეხნი ამ განყოფის ნ⁵1 წლიდამ იწყებენ თვის წელთა აღრიცხვას და ამით თითქო-ჰქადაგებენ: „ესე არს დღე პირველი სარწმუნოებისა ჩვენისა“; ე. ი. ძველი სარწმუნოება უარ-ჰყვეს და ახალი შეჰქმნეს დინელთა მწულებელთა. ქრისტეს შობის დღე ნაკლებად მიჩინეს, ვინემ საქრისტიანეთიად მათის განყოფის დღე: აქილამაც გამოშკერვალებს, რომ ტეშმარიტი მიზეზი სომეხთა განდგომისა მსოფლიო ეკლესიიად იყო პლატიტყური და არა სარწმუნოებ-რივი (იხ. Kiracos de Gandzac III S. p. 22—23, nn.).

³²) აქ ერთი სიტყვა წაბლალულია.—³¹) რამდენიმე ასო აკლია ამ სიტყვას.

³²) ყველა მონოფიზიტები თვის მოძღვრებას აფუძნებენ უმეტესად ლოგიკაზე და ფილო-სოფურ მოსაზრებაზე, ვიდრე საღმრთო წერილზე ანუ ზეგარდმო-გამოცხადებულ სწავლაზე, თითქო ჩვენს სარწმუნოება იყოს ნაყოფი კაცობრივის მსჯელობისა და ლოგიკისა და არა ზე-ცით გამოცხადებულ სწავლისა. ეს იყო მიზეზი იმისი, რომ მართლ-მადიდებელ აპოლოგეტნი იძულებულნი არიან ამავე ნიადაგზე ებრძოდნენ მონოფიზიტთა მწულებლობას.

ვიწყებულ იქმნა შორის მათსა კსენება ღ^ა (დუთისაჲ); გარნა სულგრძელე-ბითა ლუთისათა³³⁾.

ხოლო ჰურიათა და მწვალებელთა შეეჩქუტუა (sic) ბნელი სიტყვანებრ იობისა, მოეხვა ჰრული თუალთა და დაბრმა უგულისკმოჲ გული მათი, ჰხედვდეს ყოველსა დიდებასა ლუთისასა და პირისპირ მტერად აღუდგეს კეთილთა და მადლოთა მისთა მიჩიკებულთა. ზ, ფრიადსა მასა მეცნრობასა და გარდარეულსა სიბრძმესა, ვითარცა თქუა საღ^{ან} წიგ^ნ (საღუთომან წიგნმან):

ზა ვითარცა იხილეს ქართველთა და ჰერთა კათალიკოზმან კვირონ მცხეთისამან, რამეთუ კელითა აბდიბო ასურისაჲათა კრება ყვეს სომეხთა ქუტყანასა დენისა და შ^ქქ^ქქ^ქნებით³⁴⁾ განდგეს აღსარებისაგან წმინდისა კათოლიკე ეკლესიისა და განეყენნეს ოთხთა საპატრიარქოთაგან და გარდაქციეს აღთქმაჲ იგი, რომელი დაუღვა წმინდამან გრიგოლი კესარია ეკლესიისა უკუნისამდე არა განშორებად მისგან კელთდასხმაჲ ებისკოპოსობისა სომხითასაჲ: **ზ**:³⁵⁾ და რამეთუ სომხითმან ბრძანება მოილო სპარსთა მეფისაგან კელთ დასხმაჲ ებისკოპოსობისა თავით თვისით³⁶⁾. ესე რაჲ ცნეს ქეშმარიტად კვირონ კათალიკოზმან, აბაჲ ჰერთა კათალიკოზმან³⁷⁾ და იქმნა ცილობაჲ დიდი შორის სომხითისა და ქართლისა. ქართველნი ეტყუადეს, ვითარმედ წმინდამან გრიგოლი საბერძნეთით მოგუცა ჩუტნ სარწმუნოებაჲ, რომელი თქუტნ დაუტყვეთ აღსარება მისი წმინდა და დამეორჩილენით აბდიბოს ასურსა და სხუათა ბოროტად მწვალებელთა და სერაბინთა იგი სამწმინდაარსობით დიდების მეტყუტლებაჲ შუაშფოთეთ და უკორცოსა, გამოუთქმელსა წმინდასა სამებასა შორის ჰქადაგეთ ჯუარი და ვნებაჲ, ვითარცა საბელიანოზთა და იქმენით მოწაფეთ ბოროტთა მოძღუართა და არა დამეორჩილენით სარწმუნოებასა წმინდისა გრიგოლისსა და აჩემეთ ვნებაჲ უენებელსა სამებასა, ვითარცა მოგუცა განცოფებულმან მკაწრველ მან პეტროზ ანტიოქელ მან. მაშინ სომეხთა შეასმინეს ქართლი

³³⁾ აქ რაღაც უნდა აკლდეს, აზრი დაუსრულებელია.

³⁴⁾ „შეჩვენებით“? ამ სიტყვას შუა რამდენიმე ასო აკლია.

³⁵⁾ ე. ი. გრიგოლ განმანათლებელმან ანდერძად დაუღვა ოთხისავე სომხითის საეპისკოპოსოთა, რომ კესარია-ეკლესიასგან მიედოთ ხელდასხმა.

³⁶⁾ ესეც პოლიტიკურ მიზეზებით ძალად აჩვენისა სომეხთა შაჰ-ფეროზმა და ხოსრომ (იხ. ვრცლად **Асогиѣхъ**, стр. 65—70, Kirakos, p. 24—29 Add. et eidaire. a 'Hist. de la G., p. 107—125. Hist. de la Georg, I, 231, n. 2; Oukhtanes. p. 279. n. 1):

³⁷⁾ აგრეთი რომ მართლ-მადიდებელი იყო ეს სანას **Асогиѣхъ**, გ. 66—68, 70 Кага-и Катвази, **Исторія Арѡაши**, გვ. Hist. G. I, 231, n. 2; Addit p. 117—8, n. 3, 119; 481, n. a. 482. კზ^ი აბბასი მართლა თანამედროვე იყო კვირიონისა და სცხოვრებდა 551—595 წლების ახლო ხანებში (Addit. 482). როგორც სანას, 596 წლის კრების შემდეგ გარდაბანელნი (ალვანიაში), რომელნიც აგრეთის კზ^ს ექვემდებარებოდნენ, ქართველთაგან განყოფილან, მაგრამ კვისარმა ირაკლიმ მონათლა (ე. ი. მართლ-მად. გადმოიყვანა) ვარაზ გაგელი, ზევნის ქრონიკის ვარაზ-გრიგოლი (ქ.ცხ.; H. G. I, p. 228 n. 5; Addit. 483, n. a.; მე-VIII საუკ. მართლ-მადიდებელი კზ^ი ნერსე (ib. 485).

მეფესა თანა სპარსთასა, ვითარმედ ჰრომთა უპყრია სარწმუნოებამა³⁸⁾ და ესე ცილობა იყუ შორის სომეხთა და ქართველთაჲ დღეთა ნერსე კათალიკოზისა სომეხთასა³⁹⁾. და აღსრულებდას ნერსესსა, ნერსე, რომელსა ეწოდა შუაჲ, განვიდა ბოროტად ცხოურებისაგან და დაჯდა აბრაჰამ საყდარსა მისსა⁴⁰⁾. და განდევნა კვირიონ ქართლისა კათალიკოზმან და(?) მოსე ეპისკოპოსი კურტავისა საყდრისაგან თვისსა⁴¹⁾, რომელი დაედგინა წმიდასა შუშანიკს ნაწილსა თანა სომხითისასა⁴²⁾ და ითხოვა აბრაჰამ კვირიონისაგან საყდარი მისი; ხოლო იგი არა ერჩნდა მას. და განზინდა⁴³⁾ ცილობაჲ იგი შორის მათსა და მოუწოდა აბრაჰამ მღდელთა არარატისათა და ჰრქუა მათ: ანუ შეაჩუენეთ კრებამა ქალიკონისაჲ, ანუ განვედით სამკვდრებელით თქტენით⁴⁴⁾. და რომელნი დაემორჩილნეს, ვითარცა წერილ არს, დიდებმა ურთიერთას მიიღეს და დიდებამა მხოლომასა ლუთისა შეურაცხ-ყვეს და შეაჩუენეს წმინდა იგი

³⁸⁾ მართლაც ამ დროებში (575—590 წ.) მოხდა დიდი შფოთი საქართველოში სპარსთაგან (ქ-ცბა I, Hist. G. I, 191—2).—³⁹⁾ შეიძლება ეს სხვა ნერსე იყოს, რადგან ნერსე II 525—533 (თუ 553) და ამის შემდეგ კზნი იყვნენ: იოანეს (553—551), მოსე (551—593), რომელმაც ხელ-დასხა თვთ კირიონ ანუ პეტრე კათალიკოზი ქართველთა; ხოლო შემდეგ აბრაჰამი 593—616. Ciracos, p. 27, n. 1; Addit, 482, n. a, 483). ახრთა მიმდინარეობისაგან სჩანს, რომ ეს „ნერსე, რომელსა ეწოდა შუაჲ“ და სომხურად „მეჯინ“ აბრაჰამის წინა-მოადგილე ყოფილა.

⁴⁰⁾ 593—616 წ.—კვირიონ კათალიკოზად ეკურთხა 575 წ. მოსესგან, 577 გამოჩნდა მისი მონოფიზიტთა საწინააღმდეგე მოქმედება, 580 წელს დაადგინა კისსა. კურტავის ეპისკოპოსის მოსეს გადაყენებაც იქნებოდა 577—580 წ. (Oukhtanes, p. 280 და იქვე n. 2.)

⁴¹⁾ ამაზე ფრიალ ვრცელად სწერს მე-X საუკ. მწერალი Oukhtanes d'ourhta, თარგმნილი ბროსსესგან 2-e livr. აგრეთვე addit et éclaircie. a l' Hist. de la Geor. p. 109—125, სტეფანოს ორბელიანი XIII საუკ. მწერალი: Hist. de la Sionnie 1863, I, 63—79.

⁴²⁾ რადგან მოსე დაუდგენია ეპისკოპოსად თვთ წა შუშანიკს, სჩანს შუშანიკის წამებაც VI საუკ. მომხდარა და არა V-ში, წინააღმდეგ სომეხთა მისიტორიეთა და თვთ ბროსსეს ახრისა. ჩვენს ქრონიკაც მე-X საუკ. ხელნაწერში პოვნილი და თვთ ქ-ცბაც (გვ. 160) ამასავე კმოწმობს (იხ. ზემო გვ. 55—56); ისტორიულნი გარემოებანიც ამას ეთანხმებიან. მეტად საყურადღებო სხვა-და-სხვაობა სომხურ და ქართველთ საისტორიო წყაროების წა შუშანიკის შესახებ მოყვანილია ბროსსეს Addit. et Éclaircie. p. 114—117; 76—80; Oukhtanes, p. 348, 458 Hist. G. I, 214.—ანტონ კზს, სომეხთა წყაროთა ზედ-გაველნით, ბაკურის სახელი შეუცვლია ვახტანგ მეფისად („სამოთხე“, გ. 191) და სხვა მოთხრობაც შეუკეთებია. ამ კითხვას ეჭირება დაწვრილებითი გამოკვლევა, რომელიც ქართულ წყაროებს, ვგონებთ, დაამტკიცებს, გარნა უადგილობრიბისაგამო ჩვენ ვრცელს გამოკვლევას ამ კითხვისას აქვერ ვტვირთობთ.—კურტავი, აწინდელი გადზენკი, ვახუშტის გაჩიანი (ახტალას ახლო, რუსების სოფელი Каменка) მდებარეობდა გუგარკში, ტერეთის და ქართლის სამზღვარზე და ექვემდებარებოდა საქართველოს მეფეს და კათალიკოსს (იხ. ეკ. მუხ. № 170, გვ. 128, 112, „სამოთხე“ 186—191; Hist. G. 215. n. I Oukhtanes. p. 280, 296-7 ვახუშტ. გეოგრ. 142; Ciracos, p. 295—6, Асогияъ, стр. 258).

⁴³⁾ ე. ი. განდიდა.—⁴⁴⁾ ე. ი. ქალიკონის კრება უარ. ჰყავთო, თორემ თქვენს ეპარქიებს დაჰკარგავთო, განგდევნიოთ.

კრება და ჯუარი შორის წმინდასა სამებასა დააწესეს; და რომელიმე არა დემორჩილნეს და განიხსნეს სამკვდრებელით მათით და უცხოებით აღესრულნეს⁴⁵). — შემდგომად აბრაჰამისა დაჯდა კომიტოს⁴⁶), რომელი იყო მდიდარ და მოხარკე სამოსელთა და საკედართა ზედა, რომელიცა თელთაგან პატიოსანთა ბიერილთა⁴⁷) შეამკობდა თავსა კურთხისასა. ამან უფროას ყოველთასა შესძინა ცილობასა ქალკიდონისასა, და მისცა შვიდი საეპისკოპოსო კელთა ქუტსუე ჰერთა კათალიკოზისასა და შეიერთა იგი და შეჩუქნებად სცა კრება ქალკიდონისა⁴⁸). და მისცა ჯუარი სიენელთა ეპისკოპოსსა, რათა ვიდოდის ჯუართა წინაშე მისსა, ვითარცა კათალიკოზი⁴⁹) და განუფართნა ნაწელი მისნი, და კუალად სხუათაცა ეპისკოპოსთა განუფრცნა ნაწილი მათნი⁵⁰) და ესრეთ შეიერთა ყოველი სომხითი წინააღდგომად კრებასა ქალკიდონისასა. — და მაჰრე გუტმელი⁵¹) ვინმე და წყეული იოჰანე, რომელსა ეწოდა რეცა მოძღუარ, აღჭურა წიგნთა წინააღსაღდგომელთა კრებისათჳს წმიდისა ქალკიდონისა. და აღუთქუა მას შემდგომად თჳსა დაჯდომამე საყდარსა მისსა, და თარგმანებად სცნა წიგნნი მწველებელნი ტიმოთე აღექსანდრიელისანი, რომელსა ეწოდა კუტრნი⁵²) და პეტროს მკაწრკელისნი, რომელსა ეწოდა მგელი და სევერიოსისნი და სხუთა მწველებელთანი, და სახელად დაწერნა თქმულად მართლ-მადიდებელთა მოძღუართანი: წმიდისა სპაკისნი და მოსესი, და ამით ტყუილითა დააჯერა ქუტსუანა ყოველი.⁵³) სომხითისა.

მა მრავალნი საკითხავნი გამოთქუნა და სახელ-სდვა თჳსად და ეგრეთვე კანონნი და წესნი პირველნი ცვალნა და თვთ დაუსხნა მრუდნი, რომლითა აიშალა ძუტლი და ვერ დაამტკიცეს ახალი, არამედ ყოველი კაცი თჳს-თჳს სახეობს, ვიდრე მოაკამოდე.⁵⁴) და ესე ყოველი ქმნა კელითა.

⁴⁵ ბროსესს საფუძელიან გამოკვლევით ეს მოხდა 516 წელს (Hist. G. I, Oukhtanes p. 280; Kirakos p. 24; Addit. p. Асогикъ стр. 59 — 60). აქ საჭიროდ უნდაცხთ ჩავუერთოთ, რომ სურენის მოკლე ყოფილა არა 571 წ., როგორც ჰგონებს ებინი (Асогикъ, გ. 59), არამედ 572 წელს, რადგან 22 თებერვალს სამშაბათი მოდიოდა 572 წელს და არა 571-სა (იხ. აგრეთვე Stephanos, Hist. de la Sioumie, p. 62—3. Ист. Агванъ, გვ. 216).

⁴⁶ კომიტას იხდა კუნად 616—624 წ. (Асогикъ, 61; Kirakos, 27, p. 1.)—

⁴⁷ „ბერეულთა“? —⁴⁸) ე. ი. სომხითის საკათალიკოზოდამ შვიდი ეპარქია დაუთმო სერეთის კათალიკოზს და ამით მოისყდა იგი.—⁴⁹) მხოლოდ კათალიკოზებს ჰქონდათ ეს უპირატესობა.—⁵⁰) ე. ი. გააერთიანა ეპარქია მათი.—⁵¹) მაირე-გუტმელი იოანე ანუ იოანე მაირეგომელი, რომელმან მონოფიზიტური მწველებლობა შერთო სომხურ საეკლესიო წიგნებს, იმ დრომდე წმიდად თარგმნილეს. იხ. Асогикъ стр. 61, 62. ამ იოანეზე ახალი საყურადღებო ცნობები დატულია ამ არსენის წერილში.—⁵²) ტიმოთე აღექსანდრიის პატრიარქი წოდებული „მლღურად“; ხოლო ქართულად კუტრნად, იყო თანამედროვე ქალკიდონის კრებისა და განიღვნა მონოფიზიტობისათჳს; 451—457 წ. Kirakos p. 19.—⁵³) ასოლიკის თქმულებით (გ. 61) მაირე გომელის წიგნეზი თანამედროვეთა არ შეიწყნარესო. (Hist. Sioumie, 64. 73—4).

⁵⁴) არსენის დროს ერთ-გვარი წესი არ ყოფილა დამკარებელი სომეხთ ეკლესიაში. შენანიწვევია, რომ სომეხთ კათალიკოზნი და მწერალნი ჩვენს დრომდისაც კი სხვა-და-სხვაობენ,

განცოფებულისა იოანე მარე გუშმელისათა, და რომლისათჳს დაშურა ვერ მიემთხვა კორციელსაჲსა საწადელსა მისსა, რამეთუ ესე ყოველი ბოროტი საყდრისათჳს იძმაჲსა და არაა ირგო⁵⁵⁾; არამედ ქრიტიფორე ვინმე დაჯდა,⁵⁶⁾ რომელი იყო მტერ მაირე-გუშმელისა და განწმარდა სულითა იოანე და კუალად გარდაადგეს იგი მიზეზითა რაჲთმე⁵⁷⁾ და ელხინა იოანეს და აქათჲსა არა მიხუდა საყდარი. რამეთუ ვზრა დაიპყრა⁵⁸⁾ და უფროჲს შეაწუხა სული მისი მზაკვარი, რამეთუ ნება მოშიშთა მისთა ყვის უფალმან, ხოლო უკეთურნი დღედ რისხედ დაჰმარხნის. და ესე ვითართ ზაკვითა განდიდნა პირველ მოხსენებული იგი კომიტოს და ეუფლა ნაწილსა ზედა წმიდისა გრიგოლისსა და მარგვეტმელისა მიერ აღიგსო ქუტყანაჲ სომხითისა სიკუდილისა მომტყულებლითა სწავლითა.

აქა უკუპ აღესრულა ჩუენება იგი წმიდისა გრიგოლისი, რომელი აუწყა მას სულმან წმიდამან, ვითარმედ რომელნიმე ცხოვართავანი უკუნ იქცეს და მგელ იქმნეს და ზედამოეტევენეს ცხოვართა და დაბძარენეს უწყალოდ.⁵⁹⁾ ვერეთე აღესრულა ჩუენებაჲ წმიდისა საჰაკისი⁶⁰⁾, რომელ იხილა ბირთვ ოქროჲსა და ინფორი (sic) ზედა წმიდასა საკურთხეველსა. რამეთუ აკოცას თანა მეფობისა არბათაჲსა (არშაკოსა)⁶¹⁾ აელო მღვდლობაჲცა წმიდისა გრიგოლის ნათესავისა; და ეყენეს (ქეკენეს?) ქარტასა მას ოქროწერილნი იგი რადაგნი და შეკორცილმან დაიპყრა ადგილი იგი ოქროჲ ბრწყინვალთა(ჲ). ესე არს რომელნი შეუდგეს მარე-გუშმელისა მოძღურებასა.

ხოლო არა მკირედი აღთქუმა ყო ხუასრო მეფემან ნერსე კათალიკოზისა მომართ, რომელსა ეწოდა შუაჲ, ესე არს სომხურად მიჯინ⁶²⁾, რომლითა შე-

როგორც ცხადად დამტკიცებულია ანტონ კათალიკოზის „მზა-მეტყველებაში“, ერთი განკერძოებული და დათავებული სარწმუნოებრივი მოძღვრება. ვერ შეუძლებიათ. ძველ კათალიკოზთან ერთი წილი მართლმადიდებლობით სარწმუნოებას აღიარებს, მხოლოდ სიტყვითა არ აღიარებენ ქალიკდონის კრებას, ზოგნი მონოფიზიტობენ, სხვანი ნახევარ-მონოფიზიტობენ, ბევრნი იყენენ მართლ-მადიდებლობის აღმსარებელნიც. ეს არის მიზეზი იმისი, რომ მენიერნიც ვერ ვერ დიშყარებულან ერთს ჰაზრზე სომეხთ სარწმუნოების შესახებ და სხვა-დასხვებრ სჯიან ამ საგანზე. თუთ სომხურ საეკლესიო წიგნებში კი მრავალად დათესილია მაიერგომელისა და მიმღევართა მისთაჲნ ღვარძლი მონოფიზიტობისა.

⁵⁵⁾ არსენის ნათქვამს თითქმის ამტკიცებს ასოლიკი, გვ. 61.—⁵⁶⁾ 624—629 წ. იხ. Hist. Gr, I, 196, n. 5.—⁵⁷⁾ Асогикъ, 61.—⁵⁸⁾ 628—639 (Addit. et Éclairc. p. 483). ამ ეზრას და კეისრის ირაკლის დროს 628 წ. სომხითის კრებამ მიიღო მართლ-მადიდებლობა: Асогикъ, 61; Kirakos, p. 28; Stepanos, Hist. de Siounie; იხ. Ch. XXXVII.

⁵⁹⁾ ეს წინასწარმეტყველებრივი ჩვენება წრისა გრიგოლისი იპოვება ჩვენგან პოვნილს, XI საუკ. მისს ცხოვრებაში (წერა-კითხ. ხელნაწ. № 384).—⁶⁰⁾ 390—440 წ. (Kirakos. p. 12, n. 8; Асогикъ, Стр. 50).—⁶¹⁾ 428 წელს. Исторія Аванъ, გვ. 290; 369.

⁶²⁾ 524—533 წ. ? იხ. შენიშვნა № 21. აღვანნი რომ მართლ-მადიდებლობას ირჩევენ, ამაზე იხ. Асог. 74.—⁶³⁾ 639—661 (Асогикъ, 71). ოქროცხელებუბა წვერბრისა ასოლიკით (გვ. 74—75) მიეწერება კზს იოანეს (722—733 წ.);—ამ ნერსეზე იხ. Асогикъ,

არცია უგულისკმოა გული მისი. ქმნა კრებაჲ პირველი დღენს (იხ. შენ. № 72) და განეშორნეს სჯულითა ბერძენთა და იპრუსალიმსა.

ხოლო ქართლი ყოველი და მეოთხედი სომხითისა განეყენნეს კელთ-და-სხმასა მღდელობისასა სომეხთაგან; არამედ ჰერნი და სიენიელნი ეამ ერთ განეყენნეს და კულად შევირინნეს ნერსეს ვისმე, რომელი წუშ[რ]თა ოქროა-ცხებულ ჰყოფდა⁶³). ქმნა კრებაჲ სომეხთა კათალიკოზმან იოანე მანაწყეტრტს⁶⁴) და წყლისა რთვაჲ და პურისა ცომი გააშორნა წმინდასა სადღუმლოსა და ბალარჯი დაურწყოჲ, დაამტკიცა, რომელი არა ესწავა წმიდათა კრებათაგან პირველთა და წინააღუდგა საღოთთა წერილთა⁶⁵), რომელსა იტყვს წმიდა მოციქული: სამნი არიან, რომელნი წამებენ: სული, სისხლი და წყალი, რამეთუ წყლითა(?) და ვეზიარებით მოსატევებელად და საყსარდ. და სოლომან თქუა: უსხი თვისი დაკლა და განზავა ტაკუთა თვსთა ღვნოჲ და მორწმუნეთა ჰრქუა: „მოვედით და სუთ ყოველთა“;—დიდი ათანასი იტყვს, ფსალმუნსა განჰმარტებს: სასუმელი კელთა შინა უფლისათა ურწყული სავეს არს სხმულითა. ურწყოჲ ღუთაებასა მოასწავებს, და სხმული იგი—კაცებასა, ესე არს წყალი, რამეთუ პირველი სიმდაბლე ღუთაებასა თანა-შერევენა იყო უძღურისა ბუნებისა ჩუწნისა; და ესე მოასწავებს ორსა ბუნებასა ღუთაებისა და კაცებისა ქრისტესისა და ამით ჯერ არს განზავება ღვნისა. და ებიფანე ეკვრელი მასწავებს ამასვე სახესა, რომელ იტყვს: „შენ ხარ მღდელ უკუნისამდე წესსა მასზედა მელქიზედციკსა“. რამეთუ მელქიზედეკ პურსა და ღვნოსა შესწირვიდა არა უცომოსა და ურწყოსა და ამისათჳს ცვანთ მისი მღდელობისა სახე. და წმიდა ბასილი იტყვს წმიდათა(?) საიდუმლოთა მეორესა(?), ვითარმედ აღიღო პური და ამალღებული⁶⁶) მიგიპყრა⁶⁷) შენ ღწა (დმერთსა) მამასა, აკურთხა, განტეხა და მისცა მოწაფეთა. ეგრეთვე სასუმელი მოსთულღებული ვენაკისა აღიღო, განზავა და მისცა კურთხეული მოწაფეთა თვსთა.

ხოლო მრავალ-სახე იყვნეს წვალეზანი მათნი: საბელიანოსნი, იაკობნი და ტიმოთე კურნისნი, რომელთა სენი მანიქეველთა ეპყრა, განშორებულნი ყოველისა სიმართლისა და კანონისაგან. რამეთუ ამათ კელი აღიკარნელისა

გვ. 62—71. აქ ლაპარაკია იმ კრებაზე, რომელიც იქმნა 726 წელს „მანაწყეტრტს“, ხოლო ასოლიკით (გვ. 74) მანაქეტრტს, რომელშიაც სომეხებმა ახლად შემოიღეს უფუერ პურით ზიარება და სხვა ცვლილებანი, არსენის მიერ აღნიშნულნი (АСОГИКЪ, გვ. 74—5). ამ კრებამ სომხითის ეკლესია სრულიად მოსწყვიტა მსოფლიო ეკლესიიდან და შემოიღო მონოფიზიტობის ღვარძლები და ახალ-საეკლესიო წეს-წყობილებანი. ამისი მოქმედი კზი იოანე, კაცი ანგარი, ამპარტავანი და დიდების მოყვარე, მეგობარი იყო ხალიფასი, რომლის ბრძანებით მოახდინა კრება დასარღვევლად პოლიტიკურის კავშირისა ქრისტიან სამეფოთა შორის (АСОГИКЪ 74—5). მანაქეტრტის კრება ბ. პატრიარხით იყო 650—4 წ.: Гевандъ, გვ. 132.

⁶³) იოანე სოფლიდამ „ოწუნა“ 718—729 წ. (H. Sioumie, p. 72)—⁶⁴) ამას ასოლიკით ამტკიცებს, იხ. გვ. 74—75.—⁶⁵) ე. ი. ცომოვანი?—⁶⁷) აქ დედანი ძალიან დაჩრდილულია.

მომკუდარისა დაიღვეს მოწამედ თავსა, ოღეს მოყუასთა მისთა ორთა არა აქუნდა მოწაჳე; და მამათა თქუეს, ვითარმედ სამთა ჯერ არს წამება სარწმუნოთათაჲ. მათ ვიღრე არა დაეფლა ივლიანე, აღიღეს კელი მისი და დასდევს მოწამედ თავსა ზედა ე[რ]თისა მათგანისასა, რომლისათჳს სახელ ედები(ს) ვიღრე მოაქამომდე კელნამკუდრევენი⁶⁸⁾ და ესრეთ დღითი-დღე შეურაცხ იქმნნეს და მოაკლდებოდეს მწვალებელნი იგი და არა აქუნდა [ლონე საი]დამცა⁶⁹⁾ იკურთხეს ეპისკოპოსი.

და განისმა სომხითისაჲ, ვითარმედ განდგეს სარწმუნოებისაგან წ[თა მამათასა] და კელ-დასწისაგან კესარიისა, ვითარცა ესწავა მისგან. და მიუვლინეს ნერშაპუს ტარონისა ეპისკოპოსსა, რომელი დაედგინა სპარსთა მეფესა ორთა თანა მოყუასთა მისთა და ჰრქუეს, ვითარმედ ყოველნი გარდაიქცეს ერთბამად და აღიღეს ნისტორისა წვალეზა და კრება ქალკიდონისა დაამტკიცეს და ჩუქნ არა გუაქეს საყდარი, სადა კელნი დავისხნეთ და მიეჳმართ[ა]ეთ შ[ა]სა (შესსა) კეთილად მსახურებასა, რათა დაგვდგინნე ჩუქნ ეპისკოპოსნი, რამეთუ ყოველთა ცნეს გარდაქცევაჲ მათი წვალეზად.

და რამეთუ სპარსთა მეფენი აძიულებდეს სომეხთა, რათა განეშორნენ ბერძენთა სარწმუნოებასა, ვითარ პირველ ვახსენეთ. და რათა სძიულილი შთაეარდეს შორის მათსა გამოშორებითა სჯულისათა და ამათ უმეტეს მორჩილ იყვნენ სამეფოსა სპარსთასა, და ქრთამი დიდ-ძალი აღუთქუნა (sic) წინამძღუართა სომეხთა, რათამცა იქმნა ეგრე, რაჟამს აღებულ იყო მღვდელთ-მოძღურებაჲ გრიგოლის სახლისაგან⁷⁰⁾.

და აღუწა ნერშაპო ეპისკოპოსმან ნერსე კათალიკოზსა, რომელი იყო აშხარაკლი⁷¹⁾, ესე იყო ბოროტად მწვალებელი, და პ[ა]რსე (ჰეტრესი) ვისმე

⁶⁸⁾ აქ არსენი უბრუნდება იმას, თუ როგორ აყურთხეს სომეხთა თჳსი კათალიკოსი, რადგან შემდეგ მსოფლიო ეკლესიად განცარდომისა მართლმადიდებელნი პატრიარქნი და კეთარიელნი ეპისკოპოსნი არ უყურთხედნენ მათ კათალიკოზ-ეპისკოპოსთა.

⁶⁹⁾ რამდენიმე ასო წაბლალულია, ალბათ უნდა წერებულყო: [„ლონე საი]დამცა“ და სხ.

⁷⁰⁾ АСОГИКЪ, გ. 62—70.—⁷¹⁾ ე. ი. სოფლისგან იშხარაკლისა; ასოლითი Аштаракенъ (გ. 58); იხ. შენიშვნა № 21. ვგონებ ნერსე იშხარაკლი და ნერსე „მეჯინ“ ანუ „შუაჲ“ სხვა-და-სხვა პირნი უნდა იყვნენ, რადგან უკანასკნელი ცხოვრებდა 525—533 წ., ხოლო პირველი, როგორც სჩანს, 549—551 წლებში. ასოლიცი ირევა აქ ქრონოლოგიაში (გვ. 58, იხ. შენ. № 39. იხ. Исторія Агванъ, გვ. 239; 142; 269; 217—20; 93—7).

⁷²⁾ პირველი კრება ნერსე „მეჯინის“ მეოთხე წელს, ე. ი. 524+4=528 წ. (АСОГИКЪ, Kirakos, p. 23, 315—317 და გვ. 58). ხოლო ეს მეორე კრება დგინისა უნდა იყოს სხვა, რომელიც მოხდა მეოთხმეტესა (უნდა მე 24-სა) ისტვნიანე მეფისასა ე. ი. 527+24=551 წელიწადსა, მეორესა (უნდა: „მეოცესა“) ხუასრო სპარსთა მეფისასა, ე. ი. 531+20=551 (ხუასრო I ქ 578); წელიწადსა მას რომელსა ეწამა წა იზიდ-ბუზიდ, ე. ი. 552 წელს (АСОГИКЪ, გ. 316); კათალიკოზობასა ნერსე იშხარაკლისა, რომელიც ალბათ ჰმართებდა 549—551 ანუ 549—553 წლებში.—სომეხურ წყაროებშიაც არეულია ეს ქრონოლოგია და განმარტულია ემი-ნისაგან, (АСОГИКЪ, გ. 315—317),—ნერსე III ცხოვრებდა 638—661 წ. (Admit. p. 76).—იოხანეს (ნერსეს) კათალიკოზობდა 533—550 წ. (АСОГИКЪ, 58).

ქერდულსა, სხუათაცა ეპისკოპოზთა და აზნაურთა, და ბრძანეს მეორედ
კრებაჲ დიდი ყოფად, და მუნვე ღვინს მისვე ნერსესზე წელსა მეორე-
სა⁷²⁾ და მეთათხმეტესა წელსა იტსჯნიან მეფისასა, წელიწად-
სა მეორესა ხუასრო სპარსთა მეფისასა, წელიწადსა მას, რომელსა იწამა წმი-
და აზიდ-ბუზიტი; და კულად შეაწუნეს წმინდა იგი კრება ქალკილონისაჲ და
სახელს დევს⁷³⁾ ნესტორიანი, სიტყუსაებრ აბდიბო ულთოჲსა, და მასვე წელსა
განაცხადეს წიგნი იგი თარგმნილი ტიმოთეს და ფლავიონ მწვალღებელთანი,
რომელნი [იყვნეს ასურ⁷⁴⁾], რომელნი პირველვე აღწერნეს წინა-აღსაღვომე-
ლად ქალკილონისა და ორთა ბუნებათა ქრისტეს ღუთისათა, და კუტრინისა⁷⁵⁾
წერილთა მორჩილ ექმნეს სიკუდილად თავთა მათთა და ჰსთქუეს ერთი ბუ-
ნებაჲ სიტყუსა ღუთისა და კორცთა, და უკუდავითა ბუნებითა ქადაგეს ქრის-
ტე ჯუარკმულად და მომკულრად; ესე არს შეჰმატეს „წმიდაო ღმერთოსა“
რომელ არს ხაჩეცარი, სიტყუსაებრ პეტროზ ანტიოქელისასა⁷⁶⁾, რომელსა
საბელისი აქუნდა სენი. და განსაზღურეს შეჩუბნებით კიდე (sic) განდგომ[ისა] მარ-
თლისაგან სარწმუნოებისა, და პირველ მოხსენებულნი იგი მწვალღებელნი მო-
ძღუარნი წარავლინეს ყოველსა ასურეთსა ხარებად უკუნისამდე ჰყრობად ერ-
თობით წვალებაჲ მათი.

და მენტრაპოლიტად⁷⁷⁾ თჳსად დაადგინეს ალიკარნელისაჲ იგი ეკლემიკუ-
დრისაჲ და ზოგთა აბდიბოჲს კერძთა სხუაჲ ვინმე.

ხოლო ყოვლადვე არა-სადაჲთ აქუნდა წამება პირველი მამათაგან და კრე-
ბათა წინააღმდგომად (sic) კრებისა ქალკილონისასა და ო[რთა] ბუნებათა უფლისა
ჩუპნისა, იხსო ქრისტესთა და თვთ იკო[და] საღმობაჲ გულისა მათისა, რამეთუ
განშორებულ იყვნეს ქეშმარიტებისაგან, რომელი ესწავა წმიდისა გრიგოლი-
საგან მართალი.

და სამი ოდენ წელი⁷⁸⁾ გარდასრულ იყო კრებითდგენ ქალკილო-
ნისაჲთ და მათ მე(?) წა(წმიდა) საჰაკ⁷⁹⁾ და მასტოზ (მახტოკ?) შეილიშვილნი
გრიგოლისნი და ყოველნი მეფენი მათნი და მოძღუარნი მათნი, რ[ა]ლთა პირვე-
ლნი წიგნი თარგმნეს ნეტართა ლეონტი და ის[ა] (იოსებ) წინამძღუართა სომ-
ხითისათა და სხუთა ურიცხუთა წმინდათა და იეკლი წმინდა დასთესეს მათ
შეარის, ხოლო მათ ფიცხელი ეკალი ნებსით განაწონეს სულთა მათთა და
ერსა უბრალოსა და თვთ მისე ქერდულმან მიუთხრა წარწყმედაჲ მათი და
არცა მისი ისმენეს.

ამისა შემდგომად გარდაკდეს ჟამნი რაოდენნიმე, მოკულდა ეაკჰან შამ

⁷²⁾ ეს სიტყვა მქალაქა დედანში; უნდა იყოს: „სახელ-სდეგს“. — ⁷³⁾ ეს ორი სიტყვა სრულიად გადასულია, ჩვენ თვითონ ჩაუკით აზრთა მიმდინარეობის მიხედვით. — ⁷⁴⁾ ე. ი. ტი-
მოთეს: იხ. შენ. № 52. — ⁷⁵⁾ „მეწაწერელისა“ Γναφης ανθ. φυλονης“, იხ. შენ. № 36).

⁷⁷⁾ ბიტროპოლიტად? — ⁷⁸⁾ ე. ი. 453—454 წ. აქიდან არსენი ისევ უბრუნდება პოლი-
ტიკურს ისტორიას სომხეთისას, ხულო აქამდე მოკვიტობდა სომხეთ ეკლესიის მსოფლიო
ეკლესიიდან განწარდნის ამბავს. — ⁷⁹⁾ 384—434 წ. აქ დედანი მეტად გადასულია.

კუპნი⁸⁰), რომელმან სიმენითა თვისითა დაიპყრა მარზაპნობამ სპარსთაგან და ძებნა სამართალნი ქრისტიანეთანი, თრდატ მეფობითგან დადებულნი წესნი ეკლესიისანი და გლახკათანი, უკუმოიკუნა სოფელნი და უხარკოდ განათავისუფლნა.— აქაათგან სპარსთა დაიპყრეს სომხითი და შეურაცხ იქმნა წესი სა-ქრისტიანო და ეკლესიათა განგება აიკოცა (sic) და აზნაურთა კელმწიფება დაეცა სპარსთა მარზაპნთაგან⁸¹) და კათალიკოზნი და ეპისკოპოსნი განდრკეს სიმართლისაგან და კადნიერებამ მოიღეს სპარსთაგან წინააღდგომად აზნაურთა და ხარკსა სოფელთასა თვთ გარდაიკიდეს, და ეპისკოპოსთა და ქორეპისკოპოსთა მიანდვეს ქუტყანა, ვითარცა მორჩილთა მეფობისა სპარსთასა.

ბა რომელთამე კათალიკოსთა და ეპისკოპოსთა მეფენი სპარსთანი დანიშვილნეს და ძეობილად უწოდდეს კავადს,⁸²), რომლისათვისცა მსჯელობა მთავრობისა თვთ მიიტაცეს და არა სიმართლისაებრ კანონთასა, არამედ თვისისაებრ ნებისა იქცეოდეს და საკმარი ეკლესიათა არა ვითარ დაწესებულიყო ეკკლესიათათვს, არამედ საკმარად თვსა და კაცთა საჩუბნებელად განაბნევდეს, რომლისათვს ეპისკოპოსნი ყოველნი და მამასახლისნი ყოველნი მიიქცეს ღუთისა განსარისხელსა ამოასა შესაძინელსა სათნოებითა მეფეთა უღთოთათა.— და შერამე აზნაურნი და ერისგანნი მიბაძვიითა მათითა განემორჩეს ყოვლადვე კანონთა განწესებულთა წმინდისა ნერსესთა და წმიდისა საპაკისთა, რომელ(?) დღეთა ვაჰან მამკუპნისათა დაესხნეს ერთგვის წელიწადსა შინა სახლთა ყოველთა დიდებულთასა ყოფად სახსენებელი ერთისა ვისმე წმიდათაგანისა, რათა განისუპნონ გლახკათა, სნეულთა, და ჭირვეულთა, ობოლთა და უპუვართა ალაპითა სახლთა შინა მათთა სადიდებელად ღუთისა. ესე ყოველი განაქარვეს თათთა თვსთა შესაძინელებისათვს⁸³), და დაქსნდა და დაირღუა ყოვლისა სულიერისა კეთილისა ჩუტულება და წესი და დაიკვდრა ბოროტმან მოდღეინდელად დღედმდე და იქმნეს საეპისკოპოსონი, ვითარცა საკერპონი, და მივიდიან აზნაურნი კარად საეპისკოპოსოდ და არა ჰპოვიან ჟამი შესლვად და შეიქციან სირცხვლეულნი, ვითარცა კარისაგან სპარსთა მარზაპნთაჲსა და უფროჲსლა. რომლისათვს ვერლარა დათმინეს შეურაცხება იგი ფრიად ვარდან მამკუპნმან⁸⁴), რომელსაჲ ჩოქბი ეწოდა, რომელ არს ურჩ, და ნათესავთა მისთა აზნაურთა სხუთთა შერაცხილთა მოკლეს სურენ ვინმე მარზაპანი სპარსი და სახლები

⁸⁰) 482—511 წ. Асогийкь, 55—56. Hist. G. I, 189, 196.

⁸¹) Асогийкь, стр. 57—8, Kirakos, p.—⁸²) ხოსროპარეს 590—628 წ. (Addit. 476); ხოლო ხოსროვ 531—579 წწლად შუა მეფობდა.

⁸³) რომ სპარსეთთან დაახლოვება სომხების სამღვდელეობების საქმე იყო, ამას ამოწმებენ თვთ სომეხთ მესტორიენი. ამას შეუდგა გაძლიერება სპარსთა მარზაპნებისა, დამკირება სომეხთ მეფეთა და დიდებულთა. არსენი გვიჩვენებს, რომ ყოველივე ეს იყო ნაყოფი სომეხთ სამღვდელეობების ანგარებრივის ანგარიშებისა, და თვთ 551 წლის განდგომა სომეხთა მსოფლიო ეკლესიისაგან იყო ამავე ანგარიშების შედეგი.

⁸⁴) ე. ი. ვარდან მამეკონიანი (შეადარე, Steph. Hist. Siounie p: 65—7).

მათი მათი (bie) მოწუცს ცეცხლითა⁸⁵) და დედა-წულითურთ ლტოლვილნი წარვიდეს კოსტანტინოპოლის; და წარვიდეს და შეიწყნარან კეთილად შეფეშან ისტინანე⁸⁶), ხოლო ივინი არა ეზიარნეს⁸⁷) მათთანა (მოწა); და დაუკვრდა შეფესა ესე და იკითხა მიზეზი⁸⁸). ხოლო მათ უთხრეს, ვითარმედ ცილობა იქმნა კრებისათვის ქალკიდონისა და მოძღუართა ჩუქნთა არა შეიწყნარეს; და ბრძანა შეფეშან მოწოდება მოძღუართა და ეპისკოპოსთა სომხითისათა, რათა გამოიკითხონ და ცნან მართლი. — და შემოკრება კრება დიდი კოსტანტინეპოლის⁸⁹) და ფრიადი გამოწულილვითა ყვეს და განმართლდა სამართალი და აღიარეს ყოველთა ერთობით კრებაჲ ქალკიდონისა და თვით სომხითმან ყოველმან დაწყევლა და შეაჩუქნნეს მგომბარი მისი და შეერთნეს მათ თანა და ითხოვეს შეფისაგან კეთილად დასავლისა კარი სოფიამსა აღშენებად ფასითა თვისითა, რამეთუ მას ოდენ ჟამსა აშენებდეს მას. და მიანიჭა შეფეშან საწადელი მათი და მათ მისცეს ფასად შენებისა ვეცხლი წმინდა ათი ბევრი და სახელად უწოდეს „კარი სომხითისაჲ“ ვიდრე მოაქამომედ⁹⁰).

და მოიქცეს კრებისა მისგან და მოიწივნეს სომხითს და რომელთამე გულმოდგინედ შეიწყნარეს და დაემორჩილნეს ერთობასა და რომელთამე, ვითარცა გუტლთაჲ, უფროასლა შესძინეს აღძრუება ერისაჲ და შუთით ბირებითა მადრე გუტმელისაჲთა და ესე იქმნა, დღეთა იოანე კათალიკოზისათა⁹¹).

ამისა შემდგომად მავრიკ კეისარმან⁹²) წარავლინა მუშელ მამკუტნრი დიდი ზორავარი სომხითისაჲ და მისცა სამეფოჲ სომხითისა ზუასროს⁹³);

⁸⁵) სურენ მარზაპნის მოკლე (564—572) მოხდა 572 წ. და არა 571 წელს, როგორც ჰეიქრობს ევინი (Асогикъ, стр. 59), რადგან 22 ფებერვალი სამშაფთს მოდიოდა 572 წ. (იხ. ზემო შენ. № 45). ბროსე ამას გვიჩვენებს 570 წ. (Hist. Siounie, p. 62; 62).

⁸⁶) იუსტინიანე II 565—577 წ. (Hist. G. I, 220). —⁸⁷) ე. ი. მათს წირვა-ლოცვაში მონაწილეობა არ მიიღეს.

⁸⁸) ესეც საბუთი იმისი, რომ სომეხთა განდგომაგათავებულ საქმედ არ მიჩნდათ, რადგან ეს იყო რამდენისამე ეპისკოპოსის ანგარიშების შედეგი. საკართველოშიც არ სჯეროდთ, რომ სომეხნი მართლა განდგნენ და ეს იყო მიზეზი იმისი, რომ 596 წლამდე ერთობა ქართველ-სომეხთ ეკლესიათა არ შეწყვეტილა.

⁸⁹) ამასვე იტყვის Асогикъ, стр. 59. —⁹⁰) Ibid. იუსტინე II-მ განაახლა დაქცეული სოფია.

⁹¹) იანე ასოლიკით იჯდა 533—550 წელს, ხოლო აქ აღწერილ დროებაში 572—577 წლებში, იჯდა მოსე (Асогикъ, 58—9). ამის გამო აქ უნდა იგულისხმებოდეს კზი იოანე (გოგვიტელი?), რომელიც მართლ-მადიდებელი იყო და განაგებდა იმ ნაწილს სომხითისას, რომელიც ბერძნებს დარჩათ. ეს იოანე თანამედროვე იყო მოსე და აბრამისა და მოკვდა 616 წ. (იხ. ამხე ბროსეს ჰაზრი Kiracos. p. 27 და n. 1).

⁹²) მავრიკი ჰმართივდა 13 აგვისტოდამ 582 წ. 27 ნოემბრამდე 602 წ. (Hist. G. I 216, Kiracos, p. 25—26; მოსე კზი 551—594 (Каганкватвацъ, стр. 214).

⁹³) იხ. Асогикъ, стр. 60. —საკუთრადღებოა, რომ არსენი და ქ-ცხბაყ არას ამბობენ იმ 596 წლის კრებაზე, რომელმაც სამუდამოდ დაარღვია კავშირი ქართველ-სომეხთ ეკლესიათა შორის (Addit. 107—125; Kiracos. p. 23—5 და Oukhtanes, p. 277—351).

ხოლო ხუასროვ დღინითგან ყოველი დაამორჩილა კეისარსა და იქმნა მშვიდობა შორის მათსა⁹⁴⁾ და მუშელს ნიჭი დიდ-ძალი მისცა და წარავლინა იგი სამეფოდ; და ვითარ მიიწია მუშელ კოსტანტიპოლის და დაემთხვია დღესასწაული ჯუართა აღპყრობისაჲ და არა ეზიარა იგი მათთანა და ყოველნივე, რომელნი იგი მათთანა იყვნეს, და იკითხა მეფემან და აუწყეს, ვითარმედ კრებისათჳს ქალკიდონისა და ორთა ბუნებათა ქრისტესთ.

ხოლო მეფემან ჰრქუა, ვითარმედ უწინარეს შენსა ვარდან: და მისთანათ აზნაურთა ყოველთა შეიწყნარეს კელითა მოძღუართა თქუენთათჳს და მრავლითა გამოძიებითა წერილთაჲთა. ხოლო მუშელ ჰრქუა: «ნუ უკუპ უმეცრებითა, გინა შიშითა თქუენითა; არამედ უკეთუ ბრძანოს ქრისტეს მოყუარემან მეფობამან შენმან და სიმართლით შუამდგომელ იქმენ, ჰპოო ამისთჳს ჰეშმარიტი მოძღუართა ჩუენთაგანა».

და უბრძანა მეფემან კათალიკოზსა სომხითისასა მოსეს და ყოველთა ეპისკოპოზთა, რათა მოვიდენ კოსტანტიპოლის და კუალად გამოიწულილონ და დაემტკიცოს შ[ართალ]ი.

ხოლო მოსე კათალიკოზი არა დაემორჩილა, არამედ ესრეთ ჰრქუა მოციქულთა: «არა წარკვდე მდინარესა აზაცსა, რომელ არს საზღუარი სპარსთაჲ, არა ეკპო ფურნიდი ბერძენთა და არცა ესუა თერმონი მათი» და ვგრეთვე ეპისკოპოსთა ვასპურაგანისათა, რომელნი იყუნეს სახელმწიფოსა ქუეშე სპარსთასა, არა ინებეს წარსლვაჲ. ხოლო ეპისკოპოზი ტარონისა და ყოველნი ეპისკოპოსნი, რომელნი იყუნეს კელსა ქუეშე ბერძენთასა, მსწრაფლ მიიწინეს სამეფოდ და კუალად ყვეს გამოძიება და დაამტკიცეს მეორედ კრებაჲ ქალკიდონისა წინაშე მავრიკ მეფისა ერთობით ყოველთა და აღიარეს ორი ბუნება ქრისტესი ჰეშმარიტი და დაწერეს ფიცი ერთობასა ზედა უკუპ, და წარმოვიდეს, და ვითარ მოვიდეს სომხითს არა შეიწყნარა მათი მოსე კათალიკოზმან და სხუათა ეპისკოპოსთა, რომელნი იყუნეს სპარსთა კერძონი⁹⁵⁾.

6 ა განიყო სომხითი და ამათ დაიდგინეს კათალიკოზად იოანე გოგვიტელი⁹⁶⁾; და მიერთებან მრავლითა წინააღმდეგობითა ვილოდეს კრებისათჳს

⁹⁴⁾ «შორის მათსა», უნდა ჰნიშნავდეს: შორის სპარსთა და ბერძენთა. მართლაც, მავრიკ-ეპისარმა შემწეობა მისცა 590 წელს ხოსრო II-ს ვაჰრამ-ჩუბინის (ქ. ცხბის «ბარამ ჩუბინის») წინააღმდეგ და მშვიდობა ჩამოვარდა ბერძენ სპარსთ შორის (იხ. ქტ. I, 164—5, Kiraoos, p. 27, n. 2).

⁹⁵⁾ მთელი ეს მოთხრობა სრულიად ახალი და საყურადღებო ცნობაა, რომელიც უმეტესად აქეშმარიტებს ჰაზრსა, რომ სომეხთა მსოფლიო ეკლესიადამ განვრდომის მიზეზი იყო პოლიტიკური და არა სარწმუნოებრივი. ასოლიკი (გ. 333) მოგვითხრობს, რომ ტიბერის-ეპისრობაში (578—582 წ.) კოსტანტიპოლში მოხდა კრება მართლმადიდებელთა და სომეხთა, და სომეხნი იძლივნენო, მაგრამ აქ აღწერილი ამბავი მოხდა 588 წელს (იხ. ქვემო).

⁹⁶⁾ ეს უნდა იყოს იგივე იოანე «გოგვიტელი» (ე. ი. გოგვიტის კანტონიადამ; Cagvit Kirak., 27), რომელიც მოხსენებულია ზემო, შენწ. № 91.

ქალკიდონისა და ორთა ბუნებათა ქრისტეს უფლისა ღუთისა ჩუენისათა ათორმეტ წელ ვიდრე აღსრულებადმდე მავრიკი მეფისა⁹⁷⁾.

ზა პირველ მოხსენებულმან აბრაჰამ კათალიკოზმან⁹⁸⁾ ოდეს განასხნა არარატი მღღელნი იგი და იოანე კათლიკე (კათოლიკე?) წმიდისა მამასახლისი ბულკათ (sic) უკმიან წმიდა კათოლიკეს და მიტრს (sic), წმიდა როფსიმესა და უბაქნისა (sic) და ელივარდისა და არამონთა და გარნისისასა და ყოველთა მონასტერთა და ყოველთა არარატისათა მძლავრებით, რომელთამე შეჩუქნებად სცა წმიდა იგი კრებაჲ (ქალკიდონისა)⁹⁹⁾.

ზა შემდგომად სამისა წლისა¹⁰⁰⁾ იქმნა ჰომი იგი ბასიანისა, რომელსა იძლინეს იონნი სპარსთაგან და წარტყუნეს ქალაქი კთრიჯი (კითრიჯი) აშტენისა¹⁰¹⁾ და მეოთხესა წელსა¹⁰²⁾ კარნუ ქალაქი¹⁰³⁾ ფოკა ულუთოაჲსა კეისრისსა, რამეთუ დაკოცნა ძენი მავრიკ შეფისანი მახვლითა, ასპარეხსა განიყვანა.

ამას წელსა წარიტყუნა კარნუ ქალაქი აჰმადისაგან¹⁰⁴⁾ და იოანე კათალიკოზი, რომელი იყო ნაწილსა ბერძენთასა; და ამასვე წელსა განასხნა მოსე კათალიკოზმან¹⁰⁵⁾ მღღელნი თვისისა კელისაგან იოანეს კერძნი, და წარვიდეს რომელნიმე იონთა თანა, რომელნიმე ტაოს, რომელნი (ზნა?) და მათ უწოდიან შულაკა¹⁰⁶⁾.

ვითარცა იხილა წმიდამან გრიგოლი ჩუქნება იგი, ოდეს განებუნეს ცანი და ნათელი გარდამოკდა მას ადგილსა¹⁰⁷⁾. და მერვ წარკდეს რაოდენნიმე ემნი, მოვიდა ჰერაკლე მეფე სომხითს და იხილა წულაღება სომეხთა და

⁹⁷⁾ აქილამ ცხადია, რომ ზემოხსენებული მეორე კონსტანტინოპოლის კრება ყოფილა 602—12=590 წელს.—⁹⁸⁾ იხ. ზემო შენიშ. № 44. აქ არსენი ახალს ცნობებს დასძენს; სამწუხაროდ დედანი აქ რამდენადმე დაზიანებულია.

⁹⁹⁾ აქ იგულისხმება 596 წლის კრება, რომელმაც სამუდამოდ განჰყო ქართველ-სომხთის ეკლესია, და თვთ სასომხეთო ორ-ნაწილად გაიყო: მონოთეიზიტობა აღიარეს სპარსეთის ქვეშევრდომთა, ხოლო მართლ-მადიდებლობა—ბერძენების ხელ-ქვეითთა. ასოლიკი ამბობს, (გ. 60) რომ იოანე ჰუნდ მავრიკ-კეისარმა დაადგინაო. Ouchtan. p. 308, n. 2; 350.

¹⁰⁰⁾ მავრიკის სიკვდილიდამ, ე. ი. 602+3=605 წელს.—¹⁰¹⁾ ასოლიკი მოკლედ მოიხსენიებს (გვ. 60): „Царь парсийскій Хосровъ, послалъ [въ Арменію] какогo-то Ашота, который панесъ поражение грекамъ, взявъ Кетритчъ (არსენის: „კთრიჯი“), городъ въ Хаштенгъ (არსენის „აშტენისა“); равно какъ и городъ Каришъ, и каталикоса Іоанна... отвелъ въ плѣнъ“. ხოლო არსენი გვიჩვენებს კარის (Карины=კრხერუმ) აღებას 606 წელს; მაგრამ იოანეს დატყვევებას სწერს აჰმადისგან და არა აშოტის მიერ.

¹⁰²⁾ ე. ი. 606 წ.—¹⁰³⁾ კარნუ—ქალაქი, ანუ კარი, ძველი თეოდოსიოპოლისი, ეხლანდელი ერზურუმი. ფოკა კეისარი ჰმართვიდა 602—610 წ.—¹⁰⁴⁾ არ ვიცი, ვინ არის აჰმადი.—იხ. АСОГИКЪ, стр. 83—4.—¹⁰⁵⁾ მოსე † 593 წ. (ბროსსეთი), ხოლო ამ დროს (606 წელს) იჯდა აბრაამი და არა მოსე. იხ. ზემო შენიშ. № 45.

¹⁰⁶⁾ მოსეს (თუ აბრაამს?) აღბათ იმისგანო „განუსხამს“ (606 წ.) სამშობლოდამ ეს მართლ-მადიდებელნი სომეხნი, რომ მათ მონათეიზიტობა არ შეუწყნარებიათ.—¹⁰⁷⁾ ახრი აქ დამთავრებული არ არის.

ფრიად შესწუხნა წარწყმედისა მათისათვის უნებლებით მიქცევითა და ბრძანა კრებაჲ დიდი ყოფად ეპისკოპოსთა და მოძღუართა სომხთისათა და მიწე-რა წიგნი იგზრა კათალიკოსსა და აზნაურთა, რათა შემოკრბენ კარნუ ქა-ლაქს და გამოიძიონ სარწმუნოება კრების: თვის ქალკიდონისა და ცნან ჰეშ-მარიტად ორი ბუნება ქრისტესი სომეხთა¹⁰⁸).

ბა მოიწივნეს ყოველნი ერთობით ყოველნი (his) წინაშე მეფისა და გამე-იწულილეს მესამედ მრავლითა ძიებითა და დაამტკიცეს მართალი და და-ემორჩილნეს სომეხნი ფიცით, კელით-წერილითა, რათა არღარავის წინააღუდ-გენ ცილობად მისთვის; და ვითარ უკუ-მოიქცეს დვინს, მიიქცეს მასვე ვნება-სა წყმედულსა, რამეთუ მოძღურებისა ადგილი მათი იგი იყო და თქვან მუნ შინა მართალი ყოველი კულ-რყუნითი¹⁰⁹).

ხოლო იგივე მაჲრე გუშმელი აღსძრვიდა ვიეთმე მონაზონთა მწვალებელ-თა და სტეფანეს ეპისკოპოსსა გარდამანისსა და მათუსალას ქერ-დულსა სიენიელსა და სხუა ვინ პოის მღუდელი, რომელნი არა დახდომილ-იყვნეს კრებასა მას, რათა არა ეზიარნენ ეზრა კათალიკოზისგან და რომელნი მისთანა შეერთებულ იყვნეს. შემდგომად დღეთა რაოდენთამე მრ-ვიდეს სტეფანე ეპისკოპოსისა და მათუსალა იქსა (იკურსთსა) სიენისა ეპისკო-პოსად; დიდითა შეურაცხებითა აგინებდა სტეფანეს და ქერდულსა¹¹⁰) და იტყოდა: უმცირეს არს მიდრეკა ეზრაჲსი ცთომასა თქუენსა, რამეთუ იგი ანუ შიშითა მეფეთათა, ანუ მეცნიერთა კაცთა მიახლებითა მიდრეკა სჯული-საგან, ხოლო თქუენ ცუდად დებისა და სათნოებისათვის წარსწყმდით უკურ-ნებელად.

და ვითარ ცნა ესე ეზრა, მრუწოდა მას ბერსა ბოროტსა და ჰრქუა წი-ნაშე ყოველთა: გიკმე შენ სამგზის და მათუსალა სამგზის და სტეფანეს, ვითარმედ ქუცყნისა მოძღუარნი და მეცნიერნი თქუენ ხართ, მოდიით და სიტ-ყუა უგათ მეფესა, და არა მოხვედით, და აწ ჩუენსა გა[ნ]გებულსა წინააღუ-დგები კადნიერად, ჩუენ რომელი ჰეშმარიტად გამოვიძიეთ წიგნთა და მოძ-ღუართაგან მართალი, შევიწყნარეთ ორი ბუნება უფლისა ჩუენისა იესო ქრის-ტესი: სრული ღუთაებითა და სრული კაცებითა, ერთი გუამი და ერთი ხატი, განუყოფელი განგებულებითა და წიგნნი წმინდათა მამათა პირველნი, რომელნი აღმოვიკითხენით, ამას წამებდეს და ჩუენ დავემორჩილენით ბრძანებათა მათთა და შევიწყნარეთ კეთილისა მიმართ (მართ); და აწ არავე წარსრულ არს, საღუთონ-ნი წიგნნი ჩუენთანა არიან: მოვიხუნეთ და ჰეშმარიტი ვისწაოვით.

¹⁰⁸) ეს კრება იყო 628 წელს Kiracos, p. 28; Асогийъ, стр. 61—2. რადგან ეზრა კათალიკოზად იჯდა 629—639 წლებში, ამის გამო ეს კრება უნდა ყოფილიყო 629—635 წ. როდესაც ირაკლი კვისარი სპარსეთით დაბრუნდა. ჩვენის ქრონიკების ცნობებით ამ ანგარიშს ამართლებს (იხ. ზემო, გვ. 65—7). ქვემო წერილში ეს კრება აღნიშნულია 635 წ.

¹⁰⁹) Асогийъ, стр. 61—2.—¹¹⁰) ე. ი. მათუსალას. „ქერდული“ = გარამმტკიცებელი.

და ვითარ დაუკმა პირი წამებითა წიგნთაჲთა, აღმოიბოცინა სიმყარადე, მსგავსი ბოროტისაჲ წვალებისა და ჰრქუა: ღონედ არა შევიწყნარო ეგე წერილი, რამეთუ ნისტორიანთა შეჰმატეს ეგე წმიდათა წიგნთათ; და აღიძრა წუთლებად სიტყუათა მრავალთა, რომელ მოყუასთაცა მისთა ვერ შეარწყუნა და განისწავლნეს ურთიერთარს და მას უწოდდეს მამარევენლოდ თჳსნი მოყუასნი სახელად სოფლისა თჳსისა¹¹¹⁾.

ხოლო იგი წარვიდა საბერძნეთს მისვე წინააღდგომისთვის და ისწავა მცირედ ენაჲ, რათამცა მით მიზეზითა არწმუნა სომეხთა უფროასრე და მოიქცა სომხითსავე; უძვრეს პირველისა წვალებდა; და უმზირდა უბქუტლოდ შემდგომად ეზრაჲსა დაპყრობად მისსა საყდარსა შეწყვენითა დიდ-დიდთა კაცთათა და ნებითა მწველებელთათა¹¹²⁾; ქაღებითა მათითა წინააღდგომობისათჳს¹¹³⁾ (წინააღმდეგ მისთავს) ქალკიდონისა კრებისა.

ხოლო შემდგომად ეზრასა დაიპყრა საყარაი ნერსე იზნელმან¹¹⁴⁾, ღირსმან და მართლ-მორწმუნემან ნებითა ლუთისათა, და განიწირა სრულიად შუქრისაგან ბერი იგი იოანე მზაკვარი და უფროასდ ამისთვის, რამეთუ ზიარებად ეხილვა ნერსე საბერძნეთს მეფისათანა კოსტანტინე მცირისა¹¹⁵⁾ და არავე დასცხრა წინააღდგომად და სიტყუად ამას, ვითარმედ ეზრასებრევე შესცოთა ნერსეტა შემდგომად ქალკიდონისა, რომლისათჳსცა მოუწოდა ნერსე მას და წინაშე ეპისკოპოსთა და მოძღუართა მრავალთა და აზნაურთა მრავალთა და დიდი გამოძიებაჲ ყვეს ცილობისა მისთვის და დასაჯეს (sic) მათ ყოველთა განუდაჲ მისი ქუცყანით ვითარცა მატუთრისაჲ და განაძო წმიდამან კათალიკოსმან ნერსე რისხვით.

შა თეოდორე რშტონთა (უნდა: „რშტონთა“) ოწ (უფაღმან)¹¹⁶⁾. ერის-

¹¹¹⁾ ეს ახალი ცნობებია, რომელსაც მოკლედ ამოწმებს АСОГИКЪ, გვ. 62.

¹¹²⁾ აქ ხელ-ნაწერი მქარალია და გაურჩეველი. შეიძლება იყვეს: „ნებითა მომღებელთა ქრთმითათა. —¹¹³⁾ წინააღმდეგობისათჳს? —¹¹⁴⁾ ასოლიკით ნერსე Таицекии, ე. ი. ტაიკს (ტაოს?) დაბადებული: АСОГИКЪ, გ. 62, 70; იგი იჯდა 639—661 წ. (ibid. გ. 70, შენიშ. № 50, Kiracós, p. 31, note 9. ნერსე რად უნდა იწოდებოდეს იზნელად, თუ სომეხებსაც არ ჰქო. ნებოდეთ იზნაში საეპისკოპოსო? ასოლიკი სწერს ათს წელს კზობას ნერსესას (გ. 75).

¹¹⁵⁾ კოსტანტინე ანუ ტიბერ-კეისარი 578—582;—კოსტანტინე III—641 წ. 12 მარტი-დამ 23 ივნისამდე (АСОГИКЪ, გვ. 334); აქილამ სჩანს, რომ ნერსეს კათალიკოზად დაჯდომა მომხდარა 641 წლის შემდეგ და არა 639 წელს. და თვით იოანე მაიერგომელი საბერძნეთს ჰყოფილა (როგორც ზემო არსენი სწერს) 641 წლამდე; კოსტანტინევე ამის შვილი 641—668 წ. ასოლიკი სწერს, რომ ღვინში შემოსულმა კოსტანტინევე კეისარმა ბერძულად აწირვიანო და ერთად ნერსე კათალიკოსთან წა ზიარება მიიღო. აქილამაც ნერსეს „მართლ-მორწმუნეობა“ ჰმართლდება.—ამავე კოსტანტინეს დროს ღვინში მოხდა მეორე კრება, ექვსის წლის წინეთ თედორეს სიკვდილისა, ე. ი. 644 წ. ამ კრების ოქმი იხ. ასოლიკი გვ. 63—70. იხ. Kiracós, p. 29, n. 2. იხ. Гевандъ, стр. 4—5; 127;—Каганкатвацъ, стр. 237—8.

¹¹⁶⁾ თეოდორე (ანუ თეოდოროს) რშტუნელი (Рештун: АСОГИКЪ, გ. 62, 70) ჰმართვდა სომხობს 625—650 წ. АСОГИКЪ, გვ. 62, 60, 70, 89). ემიხის აზრით (Асо-

თავმან სომხითისამან, მელი სპილენძისა მკურვალის დასდვა ნიშნად შუბლსა მისსა¹¹⁷) წვალებისათჳს, ორთა თანა მონაზონთა მოყუასთა მისთა და წარვიდა ოტებული კავკასიისა მთასა და მუნით უკმოიქცა მსწრაფელ, რამეთუ არა შეწყნარეს იგი მთეულთა მათ კაცთა, რამეთუ იყვნეს იგი კერპთ მსახურ, და გარდამოვიდა კანბენჩანს და დაემკვდრა კევსა შინა მცირესა, რომელსა ჰრქვიან კევი სომხითისა და მრავალნი დამოწაუნა არა თუჲმას შინა ოდენ, არამედ ამიერ მტკურისა, არარატს, გარდემანს, ძორთორს (თორთორს?) და სომხითს და მრავალნი ქმნა მონაზონ უწყესოათა მით მოძღურებითა და აღიესო ქუცყანა წვალებისა ლუარძლითა¹¹⁸).

ბა შემდგომად სიკუდილისა ნერსე კათალიკოსისა¹¹⁹) მოვიდა არარატს და მოწაფებულთა მით მისთა თანა დღეთა ანასტას კათალიკოზისათა¹²⁰).

ბა შემდგომად ანასტასისა შემოკდა სომხითს მსგავსად მკეცისა თჳსსავე სოფელსა პირველსა ბიჯნის და მაარევანს საესე მითვე წინაღმდეგობითა და მუნ მოკუდა დაძულებული ძალი ბოროტთა დღეთა :რღგ: სა წლისა¹²¹). წარმდები და განმწრნელი სომხითისა და მოწაფენი მისნი და დაბერებით ეამ ერთ მაარევანს, ეღვარს და თეოდორე-წმიდას, და მერმე ისრაელი¹²²) კათალიკოზისაგან და გრიგოლ ერისთვისა განისხნეს¹²³) და განიზინენეს ყოველსა სომხითსა აქა და იქი ქალაქთა და სოფელთა საცთურად ყოველთა კაცთა ვიდრე დღეინდელად დღედ და მოაქამომდე¹²⁴).

გიკვ, სტრ. 71, შენიშ. № 49: თეოდორე † 637 წელს, მაგრამ ეს აზრი ეწინააღმდეგება საისტორიო წყაროებს და ამ არსენის წერილსაც, სადაც იგი მოხსენებულია ნერსეს კათალიკოზობაში; იგი ჰპირთიდა ასლიკით (გვ. 63—4) კოსტანტინე კეისრის დროს (641—668 წ.). ექვის წლის წინეთ თეოდორეს სიკვდილისა (Асогикъ, გვ. 70), ე. ი. 642 წ. იყო კრება დვინს (ibid. 63—70) კეისრის თან-დასწრებით. იხ. Kiracos, p. 29, II; 32, II. 2.

¹¹⁷) ე. ი. შუბლზე ამოუწვეს სახე მელასი გახურებულ სპილენძით, რომელზედაც გამოანდაკებული იყო მელა. მელა სიმბოლოა მცბიერებისა, მატყუარობისა (Асогикъ, 62).

¹¹⁸) ეს ძვირფასი და ახალი ცნობებია.—¹¹⁹) ე. ი. 661 წ.—¹²⁰) 661—667 წ. (Асогикъ, გ. 71 Kiracos, p. 32, II. 3).—¹²¹) ე. ი. 133 წლისა, იოანე მაიერგომელი სჩანს მოქმედ პირად კომიტოს კზის დროდამ, ე. ი. 616 წ. (Kiracos, p. 28, II. 6; იხ. შენიშ. № 46; Варданъ, სტრ. 62.—ჭერეთის გასომება იხ. Каганкатвацъ, სტრ. 337—52).

¹²²) 667—673 წ. (Kiracos, p. 33, II. 4; ხოლო ასლიკით (გვ. 71) 667—677 წ.

¹²³) 659—669. ვარდანის თქმით ეს გრიგოლ მარზაპანი მოკვდა მე-7 წელს სააკის კათალიკოზობისას, ე. ი. 682 წ. (Kiracos, II. 3), ხოლო ასლიკით (გვ. 72)—681 წ.

¹²⁴) აქ თავდება არსენის წერილი. მაგრამ შიგ ტექსტში ჩართულია მოკლე განაჩენი მანასკერტის 726 წლის კრებისა, რომელმაც უწინდელი წეს-წყობილება უარჳყო „ეთარკა შველი ცომი“ (Асогикъ, 74; Варданъ, გვ. 86—88 და შენიშ. ემინისა № № 217 და № 34) და შემოიღო ახალი დოღმატიური და ღვთის-მსახურებითი წესები, რომელნიც სამუდამოდ დარჩა სომხითში. შემდეგმა ისტორიამ ამით სხვა ახალი ცვლილებანი შეჰმატა და უმე-

დასასრულ საჭიროდ კრავსთ დაკუთრით, რომ აღმოაჩულებთ მონოფიზიტთა სომეხთა მწვალებლობის წინააღმდეგ ბევრი უწყობით წმიდა მამებს. ამ ოსურლებთანაჲს ქართულს ენაჲ იპოვება: 1) ნიკეიტა მონაზონისა და ხუცისა სტოდელთა მონასტრისა სტიოთატისაჲ სიტყუა პირველი განსაქიბებელი მგმობარისა მის წვალებისა სომეხთასა“ (კითხვა-მიკვებით); სუთ წიგნად,—2) „სახლგარი წა ქალადონას მსოფლიო კრებისა“;—3) ეპისტოლენი თათო-სასკთა ეპისკოპოსთანი, მიწერილნი პეტრეს მიმართ ეპისკოპოსისა ანტიოქელთაჲსა (იგულისხმება „პეტრე მკაწკრელი“) მმურკნელად (? „მიკვანა“=შეღება, მმურკნელი=მღებაჲ) წოდებულისა, ვითარმედ არა ჯერ არს გნებთა შერთვაჲ სამ-წმიდაობისა თასა შემატებისა მიერ ამისისა, ვითარმედ: „რომელი ჯუარს ეცუ ჩუენთჲს“, რომელი ამან პეტრე(მან), ვითარცა მწულებელმან შესინა, —ანტიკონსი (? ეპისკოპოსის არსენოჲსა პეტრეს ეპისკოპოსისა ანტიოქისისა“;—4) წა გელასი რომელთა ეპისკოპოსისა სწორებისტოლისა (ე. ო. პასუსად) ეპისკოპოსთა მიმართ მეორისა ასურეთისთა წარცემულისა;—5) ზამფილე ვიდონელ ეპისკოპოსისა პეტრეს მიმართ, ანტიოქელ ეპისკოპოსისა, გად არა ჯერ არს სამ-წმიდაობისათანა ღუთის ენებობისა თქუმაჲ, შესახების (? მის მიერ, ვითარმედ „რომელი ჯუარს ეცუ ჩუენთჲს“;—6) ასკანიადოს სტოდელთა ეპისკოპოსისა მისკე პეტრეს მიმართ (იმპოკრე);—7) ჯბურტოს ეპისკოპოსისა ანტიოქისისა ეკლესიისისა პეტრეს უფლისა მიერ გასარება“ (წერილი);—8) ეპისტოლე კეინტიანე ეპისკოპოსისა ასკულიანელთაჲს მასკე პეტრეს მიმართ, ვითარმედ არა ჯერ არს გნებულად თქუმა სამებისა;—9) ეპისტოლე ჳრომისა ეპისკოპოსისა ფლივისა, განმუუთელი პეტრესი ანტიოქელისა;—10) თჲკანი სომეხთა წვალებათანი ოცდაათნი;—11) თათო სახე სომეხთა თავთა, ესე იგი არს გამოცემით ვითხულთა აღკვნაჲ ქრისტეს მიმართისა მსასურებისათჲს და თასად მხილებაჲ და უგურღვევა ღუთებისა მიმართ და კანებისა ქრისტესისა უთაოთა, ურთაერთას წინააღმდეგობისა წულებისა, ნესტორისგან და სეკეროზისა ზოროტად მსასურთაჲსა და სიტუხებაჲ უარის მყოფელთა მიმართ წა კრებისა ხალეადონისთა მოძღურებისაგან ღუთიე მოცემულთა წმიდათა მამთა ჩუენთაჲსა:—12) იოანე დამასკელისა სიტყუა დასამსობელად ნესტორიანთა (რადგან სომეხთა მონაფიზიტურს წვალებას ეკაშირი აჭეს ნესტორიანობასთან).—13) მისივე „სიტყუა დასამსობელი ღუთისა მოძაგებულისა წულებისა იაკობიტასა“ (რადგან სომეხთაგ ამათგან მიიღეს მოძღვრება. ის. წერა-კითხ. წიგნისა. №№ 155, 401 და ჩემი აღწერა-გ. 471);—14) მისივე „ქრისტეს მოკრის ორთა ბუნებათათჲს და მოქმედებათა დასსუთა ბუნებითთა თჲსებათა“...

ტესად დაშორა მსოფლიოს ისტორიის მოძღვრებასა და ღუთის-მსაზურებითს წესებს.—მეათე საუკუნის მწერალი, სტუფანე მტებერი, აღმწერილი წის გობრონის წამებისა, ჩამოთვლის რა არაბთაგან მოაზრებულს სასომხეთთაჲ 87-ს ხევს, დასძენს: „ესე ოთხმეო-და-შვიდი აჯი მო-ღვრდა პირისაგან უფლისა, ძრვისაგან ცოდვითა მათთასა, ამისთჲს რამეთუ არა იპოვებამათ კვეთა შინა საყდარი მართლმადიდებელთა ეპისკოპოსთა, არუა მონასტერი მართლ-მადიდებელთა“ („სამოთხე“ 394).

12) მისივე იოანე დამასკელის „გარდამოცემა“ (ის. კვ. იუზ. № 24); — 16) „წინამძღუარი“ წისასატასი სინელის (მოკლე) და 17) „გარდამოცემა“ (ერთელი დარღვევა მოსოფიციტობის), 18) „წინამძღუარი“ გამოკრეფილი წისა ეთიმე მთაწმიდელისაგან (ის. ზემო გვ. 217—220). ანასტასი სინელის „წინამძღუარში“ მოქცეულია მრავალი ადგილები და წერილები წმიდათა მამათა, რომელნი ცხოვრებდნენ ხალვიდონის კრებაში, დასამოკლებად სომეხთა და იაკობითთა მოსოფიციტურის წვალბების (კვ. მუწ. № 65). ერთს უძველესს (მე. XII საუკ.) ტუავის ხელნაწერს, რომელიც შეიცავს მოხსენებულს „წინამძღუარს“, აქვს შემდეგი წარწერა, სკენის მწერლობის ისტორიასთვის გამოხატებული: „დაესრულა წინამძღუარი წა ანასტასია სინელისა... დიწკარა გოსტანტინეპოლის, მოხსატურას შისა წა გიორგისა ძახანასა... ღოცთა ბერთა ჩემთა იოანე რატეულას და გიორგი ქართველისათა (ის, ზემო გვ. 88—9) დიწს კიქმენ მე უნდო ესე, ყოველთა მდაბლთა შენთა მდაბალი მონაწილისა არსნი ბერძელისაგან ქართულად თარგმანებასა წა აძას წიგნისისა, რომელი ესე ნამდვილვე სესხად სახელისა თვისისა წინამძღუარი არს წისა კათალიკე და სამოციქულო ეკლესიისა და თუალი, რომლითა ჭხედავს და შირი, რომლითა ჭხრახავს და სასმენელი, რომლითა ესმიან დმერთ-შემოსილთა მამათა უტოროქლსი მოძღურებანი, და სახნოელი, რომლითა იფილის სუნსულებასა ღეთავ სულიერთა წერილთა ურავილისა... ღოცვა ჭყავთ... არსენისთვის მონაწილისა (კალიპოსელი-სა?)... რამეთუ ვითარ იგი მოწამე არს თავადი ჭეშმარიტება მკვლათა ჭირითა და შრომითა დამიწკარა და უნაკლულად ძალისაგან ჩემისა შემეწამება და არცარა ბერძელისაგან დამოვლია და არც რა ზეპირი დამირთავს, და თუ სიბნელე რამე სადმე ანუ სიდაუსჭირე შესდგამს, იგი ბერძელისა შედარებულობისაგან არს და არა ქართულთა სიტუთათა და შეენებას ვერ-მეცნიერობისაგან“.

წიგნში იხილება რამდენიმე ნიშნები იმისა, რომ არსენი გასული ყოფილა. ეგონება ამავე არსენის უთარგმნა საეკლესიო მატანიე გიორგი სურცისა (დასაბამითგან მე. IV საუკუნემდე), რომელიც მრავალგან შემხედრია (ის. ზემო გვ. 224).

ეფრემზე, არსენიზე და ეთიმე ათონელზე უწინ წიგნი „წინამძღუარი“ დამასკელისა უთარგმნა ეთუჟე გრძელს იერუსალიმელს (ის. ზემო გვ. 125—7), როგორც სხანს წა-კითხ. ხელნაწ. № 1147 წარწერისაგან: „დაესრულა დამასკელი... რომელსა ეწოდების წინამძღუარი... ღოცვა ესეთ ეკთიმე გრძელი სათვს, რომელმან ფრადითა მოღუწებითა დავწერე... სიმტკიცე მართლისა სარწმუნოებისა“.

უგანსკენელ საჭიროდ ვრაცნთ დაუერთთ, რომ შეეძქეს მსოფლიო კრების (680 წ.) ძეგლის წერაში სომხინიც მოხსენებულნი არიან:

თავი 1 „გუცმა თუ ქუეყანასა სომხითისასა შებათ-კვრიაკეთა წმიდათა მარხუათასა ჭამენ ყველსა და კურცხსა და სხუასა ყოველსა წუელსა. ესე უკუე უჯერო არს და სრულიად უწესო... წუელსა და ზეთსა და თევზსა და ღვინოსა ერთად შერაცხვენ და ესე ღიდი არს სიკოფე“.

თავი 32. „გუეუწყა... ვითარმედ ქუეყანასა მას სომხითისასა ღვინოსა გაუზავებელსა შესწირვენ უსისხლოსა მას შესწირავსა ჟამის-წირვისასა“.

თავი 33: „ესეცა გუესმა, ვ'დ ქუეყანასა მას სომხითისასა და სხუათა რომელთამე გალობასა მას წმინდაო ღმერთიასასა“ ამას დაურთვენ: „წმინდაო უკუდაო, რომელი ჯუარს ეცუ ჩუენთჳს, შეგვწყალენ ჩუენ“, რომელი ესე ენასა მათსა „ხაჩეცარი“ ითქუმის. რომელი ესე წმინდათა მათ მამათ: მიერ ქალკილონს შეკრებულთა მომპოვნებელისა მის და გამომეტყულებისათანა განიდევნა საღთოჲსა მის გალობისგან... და შეიჩუნენა ესე ვითარისა მის სიტყვსა მეტყუელი პეტროს მკაწრველი, რამეთუ მეოთხე პირი შემოილო და თჳსგან განყო ძე ლუთისაჲ“...

თავი 54. „... სახელის დებანი იგი საწარმართოთა კერპთანი... სრულიად მოისპენ: დიოს, ანუ აპოლონ, ანუ არტემ, ანუ ბოჩი (სხვა კარანსტიო ობუჩი) და გაცი და გა: და დაგეონ და არმაზ (სამოსაზუღი სიტყუები ქართუკელთა ღმერთების სხელუბაჲს, ის. ზემო გვ. 11—16, და აგრეთვე Brosset. Notice sur un Nomocanon georgien; p. 153).

თავი 68. „ესეცა მოიწია სასმენელთა ჩუენთა, ვ'დ ქუეყანასა მას სომხითისასა წათა და პატიოსანთა ხატთა გამოსახვასა არა შეიწყნარებენ... რამეთუ უსჯულომან მან პეტროს მკაწრველმან ვითარცა ხაჩეცარი ასწავა, ეგრეთვე ესე ბოროტი წვალემაჲ სადმე მათ შორის დასთესა“...

თავი 83. „გუესმა, თუ ქუეყანას მას სომხითისასა თჳნიორ (sic) შესამოსლისა ხუცესნი აღასრულებენ წირვასა თჳსითავე შესამოსლითა“...

ქართული სჯულის კანონი წა კეიმიასკან თარგმნილი, ბრასისმ კრცღად შეადარა სხვა კარანტებს და თჳსი გამოკლეკა დაბეჭდა ეჟინალში — *Melange asiatiques, tirés un Bullutin de l'académie imperiale des sciences...* t. VII; 11/3, Decembre, 1872.

ეს ცნობა გადმოგწერეთ წერა-კითხ. ხელნაწ. № 143, რომელიც ტუაზზე სუცურად ნაწერია ზაქარია კალაშკერტლისთვის მე-XI საუკ. დაიწერეს. ამ ხელნაწერზე და ზაქარია კალაშკერტელზე ის. ზემო გვ. 154—5. ცხადია, რომ მეექვსე კრებაზე სხვა-და-სხვა ხმა გაუგონიათ სომხებზე, რადგან იმ დროს სომხითის მონოთეოზიტობას დასრულებული სახე არ მიაღო: ზოგნი ადგენენ სრულს-მონოთეოზიტობას, როგორც იაკობიტნი, ერთი საწილად მხოლოდ ქალკიდიანის კრებას უარ-ჰყოფდა და დანარჩენში მისდევდა მსოფლიო ეკლესიას და მკელს სჯულს, წა კრიგიოლ მართლისაგან შემოღებულს; სხვანი შუათანაობდნენ ანუ სასუკარ-მონოთეოზიტობდნენ; ხოლო ბეკრნი მართლ-მადიდებლობას ადგენენ. მეექვსე კრება, ამხილებს რა სომეხთა, იგულისხმებს არა მთელს სომხთათს ეკლესიას, არამედ რამდენთამე ეპისკოპოსთა უწყობას.

დამატება II

ეს დამატება გადმოეწერეთ წერა-კითხ. სუტურ ხელ-ნაწ. № 312, რომელიც დაწერილია მსწვეკრელის თაკაიქისთვის, საფარას 1541 წელს, ცნობილის კალიგრაფის დანაკონის: კარგარეთელის სუქონის მიერ. ეს საყურადღებო მოთხრობა დაიდ საჭი-როდა ასაღ ცნობებს იძლევა. ჩვენ შევადარეთ იგი წერა-კითხ. ხელ-ნაწერს № 248 და ჩვენს ხელ-ნაწერსაც, და აღმოჩნდა, რომ ეს კანონები თითქმის აზოფერში არ განიხილა კრძმანეთისაგან.

„მოთხრობა შატოშნაბისგან.

წა გრიგოლი მნათობი წელთა :ლა: ¹⁾—წა როსტაკე :კ: წელს²⁾:—წა ორთან :გ: წელ³⁾:—გრიგოლი :იბ: წელ⁴⁾: ოსიკ :ვ: წელ⁵⁾: ფარნე-სტე აბრაქანელთა სოფლისაგან :დ: წელ⁶⁾:—წა ნერსე :დ: წელ⁷⁾, რომელიცა მოაკვლინეს წამლითა:—ასპურაკის წელთა :ზ: ⁸⁾ ესე სამნივე მთავარებისკოპოსნი იყუნეს სახელისა მხოლოდ მქონებელნი კათალაკოზისასა, ხოლო ებისკოპოსთა კელთ დასხმასა არა იკადრებდეს, ვინაჲდგან სიკუდილისათჳს წა ნერსესისა დაყენებულ იქმნეს მთავარებისკოპოსისაგან კესარიელთასა ¹⁰⁾.

ამისა შემდგომად წმიდამან საჰაკ მიიღო კელთდასხმად კემლმწიფებად ებისკოპოსთა სომხითს, რომელიცა ებისკოპოსობდა წელთა :მ: ¹¹⁾ შემდგომად ჟამთა რომელთამე შეასმინეს მეფესა სპარსთასა ვრამშაპპოს თვის მეფე არტაი-შირ ¹²⁾ და წა სააკ, ვითარ არა თანაშეერთებული განზრახვისა მათისა და გარდაადღეს იგი საყრდრისა მისგან. და შემდგომად განკლისა წა სააკისა. სა-

¹⁾ გრიგოლის კზბას გვიჩვენებენ 303—333 წ. (Асогикъ, გვ. 42). მაგრამ თუ სო-მეხთ მოქცევა ვინაგარიშეთ 311 წლითგან, მაშინ მისი სიკვდილი მოვა 312 წ.

²⁾ † 310 წ. (Асог. გვ. 42). ხოლო ამ ხელ-ნაწერით 342+20=362 წ.—³⁾ 340—356 (Асог. 42, 46), ხოლო ჩვენის ანგარიშით 362—5 წ.—⁴⁾ † 372 წ.? გრიგოლს კზად ასოლიკი არ მოიხსენებს (Асогикъ 42).—⁵⁾ 356—362 წ. (Асогикъ 46); ჩვენის ანგარი-შით 372—8?—⁶⁾ 362—6 წ. (ჩვენით 378—382):—⁷⁾ ნერსე 366—404 წ. აქ ჩვენი ხელ-ნაწერი დიდად განეჩრევა ასოლიკის ანგარიშს: ჩვენის ხელ-ნაწერით 382+4=386 წ. ნერსესს მოწამლეს თეოდოსე დიდი: დროს მოკვითხრობს ასოლიკი (გვ. 47; 49). ნერსეს დიკონი იობი ქართლის მთავარებისკოპოსად დასვეს თრდატ მეფის დროს, რომელსაც ჩვენი ანგარიში უფრო ეთანხმება (იხ. გვ. 41). შედარებ ბროსესს სია Hist. Siounie-ში, გვ. 274—5.

⁸⁾ 404—408 წ. Асог. გვ. 49). სააკის შემდეგ ასოლიკი (გვ. 49) გვიჩვენებს ზაკენს 408—12 წ. (ჩვენით შაკი 886—390 წ.).—⁹⁾ ასოლიკი ამის ქრონოლოგიაში ირევა (იხ. Асог. გვ. 50). ხოლო ემინი გვიჩვენებს 387—392 წ.? (ibid. შენიშ. № 29). ჩვენის ანგა-რიშით ასპურაკის იჯდა 390—7 წ.—¹⁰⁾ ამას ამოწმებს Асог. გვ. 49.

¹¹⁾ ასოლიკით გამოდის 392—442 წ.? (ჩვენის ანგარიშით 397—437 წ.). ემინი სააკის გადაყებას გვიჩვენებს 428 წ. (Асогикъ 52; შენიშ. 35).—¹²⁾ 422—8 წ. (Асог. 52).

ურმაგ წალკელი ბრძანებითა სპარსთა მეფისათა და თჳსითა განზრახვითა დასუჲს იგი კათალიკოზად თანაშემასმენელი წმიდისა საყვისა¹³⁾. — ხოლო მომძაგებელთა მისთა შთამოიყვანეს იგი საყდრისაგან მისისა და ითხოეს სპარსთა მეფისაგან, მეტყუელთა: მოგუჲც ჩუენ ქუტაყანისაგან შენისა და ნუ არს ჩუენ-და სომეხი. და მისცა მათ მეფემან ბარქიზო (ბარქიშო?) ასური, რომელსა ჰერკისოცა ეწოდებოდა. და შემდგომად სამთა წელთა¹⁴⁾ მომძაგებელთა მისთა გაჯადეს იგი და კუალად მისცა მათ სამოელ ასური მუსლელი; და მანცა ორთა წელთა სრულმყოფელმან¹⁵⁾ მრავალსა მწუხარებასა შინა და აღასრულა ცხოვრებაჲ:

რადგან წინა გუგუდს (იხ. ზემო გვ. 336), 9—13 სტრიქონებს რამდენიმე შეცდომები შეეპარა, ამის გამო საჭიროდ ვიჩნით ეს სტრიქონება, გადმოვუბჭოდოთ აქვე შეუცვლელად და სწორად:

წა გ რ ი გ ო ლ ი მ ნ ა თ ო ბ ი წ ე ლ თ ა : (ლ ა : 1) — წ ა რ ო ს ტ ა კ ე : (ე : წ ე ლ : 2) — წ ა ო რ თ ა ნ : (გ : წ ე ლ : 3) — გ რ ი გ ო ლ ი : (ი ბ : წ ე ლ : 4) — ო ს ი კ : (ვ : წ ე ლ : — ფ ა რ ნ ე ს ე ბ ა რ ა კ ა ნ ე ლ თ ა ს ო ფ ლ ის ა გ ა ნ : (დ : წ ე ლ : 6) — წ ა ნ ე რ ს ე : (დ : წ ე ლ 8) , რ ო მ ე ლ ც ა მ ო ა კ ე დ ე ნ ე ს წ ა მ ლ ი თ ა : — **ა მ ი ს ა შ ი მ დ გ ო მ ა დ ს ა ა კ : დ : წ ა ლ : 8** — ა ს კ უ რ ა კ ის წ ე ლ თ ა : (ბ : 9) ესე სამნივე **ხარქან სოფ:** **ღისა** ებისკოპოსნი იყვნეს, სახელისა მხოლოდ მქონებელნი კათალიკოზისასა, ხოლო“ (სხვა როგორც ზემო დავეთხვადია).

ხოლო კელთ-დასხმა უკუჲს აღმოსავლეთისა დაყენებულ იქმნა კესარიით განკლისთავს წსა სააკისსა¹⁶⁾. ამათსა შემდგომად წარსრულნი აზატნი სომეხთანი ევედრებოდეს წმიდასა სააკს არა მოკსენებად ბოროტთა მათთა და უკუნქცევად საყდარსავე მისსა. ხოლო მან არა ისმინა მათი¹⁷⁾; რომლისთავსცა მიუთხრა მათ ჩუენება, რომელი იხილა განვრდომისათვს მათისა ქმნადისა¹⁸⁾. ხოლო მისცა მათ ნაცულად მისსა სანატრელი მასტოცი დამცველად საყდრისა მისისა¹⁹⁾; და შემდგომად აღსარებისა მისისა და მასტოცისა დასუჲს საყდარსა სამღვდელთმთავროსა კიტ, რომელი იყო დაბით ატმისოთ წელთა : იზ²⁰⁾. ხოლო ამისთა დღეთა შინა ბრძანებულ იქმნეს სპარსთა მეფისა მიერ კელდასხმად სომხითისა ებისკოპოსთა, კათალიკოზთა ვიდრე დღეინ დღელად დღედმდე.

¹³⁾ საურმაგ მოვე ხორონელით 1 წ., ე. ი. 428—9? (Acop. ibid.), ხოლო ასოლიკით 7 წ. (428—435). ჩვენის ანგარით 437—8 წ.—¹⁴⁾ ბერქიშო, ანუ აბდიშო (იხ. Acop. გიკ 52, შენ. № 35. 429—432 წ. ჩვენის ანგარიშით 438—441 წ.

¹⁵⁾ შშულ იხ. Acop. გიკ 52, შენიშ. № 35; 432—4; ჩვენით 441—3.—¹⁶⁾ ამაზე იხ. Acop. გიკ 49; ბროსესს სიაში რამდენიმე კზი აკლია: Hist. Sioun. p. 274.

¹⁷⁾ იხ. Acop. გიკ. 32.—¹⁸⁾ ეს ჩვენება იხ. ამ წერილის ბოლოს.—¹⁹⁾ ეს ის მასტოცია, რომელიც მოხსენებულია ზემო, გვ. 325 და რომელიც იყო მთარგმნელი წიგნთა.

²⁰⁾ კიტ ასოლიკის ირსებ ანუ გრუტ უნდა იყოს (Acop. გიკ. 54—5), ასოლიკით 434—6; ხოლო გიუტ 434—444); ხოლო ჩვენის ანგარიშით 443—160 წ. ამ იოსების დროს შახაივანს კრება იყო 447 წელს (Acop. გიკ. 54, შენიშ.), რაიცა ჩვენს ანგარიშებს ამოწმებს. ამის დროსვე იყო სპარსეთთან ომი 455—6 წლებში, ვრცლად აღწერილი კვიშეს მიერ და ჩვენს ქრონოლოგიურს ცნობებს უმეტესად ამტკიცებს.

ხოლო ამისა შემდგომად იქმნა იოანე მანდაკუნი წელთა :ე: ²¹⁾ და ამისა შემდგომად პაპნიკე მისოსა დაბისაგან წელთა :ე: ²²⁾—სამოელ არტაშისა დაბისაგან წელთა :ია: ²³⁾—მუსლი ალბირისა დაბით წელთა :ნ: ²⁴⁾—ისაკ ავკელი წელთა :ზ: ²⁵⁾—ქრისტეფორე კურავიტელი (ტირავციელი?) წელთა :ვ: ²⁶⁾—ლეონტი არეთელი წელთა :გ: ²⁷⁾—ნერსე არპარაკელი წელთა :თ: ²⁸⁾.

ამისთა დღეთა შინა იქმნა კრება ქალაქსა შინა დენისა (ჯენისა) ²⁹⁾ ავბისტოს მიერ ასურისა იაკობინისა. და დაღაცათუ გარდამოცემათა წრისა გრიგოლისთა და სხუათა მამათასა გარდასრულ იყვნეს, არამედ სარწმუნოებისათვის და ხალკიდონისა კრებისთა და აღმსარებელთა ერთისა ბუნებისა ქრისტესისა ღუთაებისა და კაცებისასა დასძინეს ესეცა: „რომელი ჯუარს ეცუ“ სამწმიდასა ქებასა შინა „წმიდაო ღმერთოჲსასა“, ფიცით და შეწყნებით და ურთიერთარს წერით თვისით თვისითა კელითა დაამტკიცეს არა განდგომა ესე ვითარისა აღსარებისაგან უკუნისამდე. ხოლო ევტუქი, იაკობინი და ორნი სხუანი მოკუარენი მისნი ერთი ვიდრემე იულიანელი და სხუაჲ სხვსა წვალებისაგან მყოფი ებისკოპოსად კელდასხმულ ყვეს და შუამდინარეს წარავლინეს.

ამისა შემდგომად ჰეანე (sic) კაპელინელი წელთა :იზ: ³⁰⁾ მოსე ელიზარტელი წელთა :ლ: ³¹⁾ აბრაჰამ არსტანელი წელთა :კვ: ³²⁾—იოანე კაპრანაელი წელთა :კვ: ³³⁾—კომიტა არკაციელი წელთა :ღ: ³⁴⁾—ქრისტეფორე აბრამელი წელთა :იგ: ³⁵⁾—ეზრა ნიგაელი წელთა :ი: ³⁶⁾—ნერ-

²¹⁾ АСОГИКЪ, გვ. 55, 444—450 წ., ჩვენის 460—6.—²²⁾ ასოლიკის (გვ. 56) ბაბენი 450—3: ხოლო ჩვენის ანგარიშით 466—471, რაიცა უფრო ეთანხმება ისტორიულ ფაქტებს.—²³⁾ АСОГИКЪ 453—463; ჩვენით 471—482.—²⁴⁾ ასოლიკის „მუშე“ 463—471; ჩვენით 482—8 (თუ 482+50=532 წ.?).

²⁵⁾ ასოლიკის სააკ 471—6; ჩვენით 482—9.—²⁶⁾ АСОГИКЪ გვ. 56; 471—7 წ., ჩვენით 488—494 წ.—²⁷⁾ ასოლიკის (გვ. 57) „ხეონდ“ 477—498, იოანე კზის მოწმობით ლეონტი იჯდა 521—4 წ., ჩვენით 494—7. შეიძლება ჩვენი ანგარიში რამდენითაჲმე წლით უკან იყოს, რადგან ჩვენს სიაში აკლია, როგორც ვთქვით, ზაბენ და იოსებ. რადგან იოანე კზის ქრონიკა სწორედ მიგვაჩინა, ამისგანაჲ შემდეგს ჩვენს ანგარიშს ამ 524 წელს მივაყოლებთ.

²⁸⁾ 324—533 (АСОГИКЪ, 58). აქ ჩვენი ანგარიშით ამას ეთანხმება.—²⁹⁾ აქ იგულისხმება პირველი კრება დენისა, ვახუშტით 542 წ. ხოლო ჩვენის ცნობით 529 წ. ამ კრებას ასოლიკი ჰრევს 551 წლის კრებასთან (გვ. 58).

³⁰⁾ ასოლიკით 533—548. ჩვენის ანგარიშით 533—551. იოანე კზით ამ წლებს გვიჩვენებს (АСОГИКЪ 58).—³¹⁾ ასოლიკით 548—580.—³²⁾ АСОГИКЪ (გვ. 60) 580—591; ჩვენით 581—603.

³³⁾ ასოლიკი იოანეს სამართლიანად უწოდს ბერძნების მომხრე სომეხთა კზად 601—616 წ. ჩვენის ანგარიშით 603—626.—³⁴⁾ АСОГИКЪ 601—9; ჩვენით 603—611.

³⁵⁾ Асог. (გვ. 61) 609—615; ჩვენის ანგარიშით 611—625.—³⁶⁾ АСОГИКЪ 611—617; ჩვენის ანგარიშით 625—635, რაიცა სრულიად ეთანხმება ქვემო მოყვანილს ცნობას კარის 633 წლის კრებაზე, რომელსაც დავსწრო ეზრა.

სე იზნელი წელთა :ს: 37) — ან ასტასი აკორაელი წელთა :ვ: 38) — ისრაილ ატმისოელი წელთა :ი: 39).

ფურც. 66. მეფენა სომეხთანა: 1) ვალარბის მეფობითგან ვიდრე არტაშირისა დამდე 21 40), და შგომადმდე ამათსა მთავარნი კინუნის პატრიკნი წელსა 4: დავით სარონი წელსა 3; ტოტრუსი ორუსტუნი წელსა 10; ამახასპი კუროპალატი — 4; გრიგოლი ძმა მისი — 24; აშოტ ბაგრატუნი წელსა: 3; ნერსე კამსარაკანი — 3; — სუმბატ ბაგრატუნიანი წელსა 12; 41).

ხოლო შდ დღეთა მრავალთა დღინის კრებითგან 42) ვარდან ვინმე მომკლველი სვირინე მთავარ სპარსისა 43) მიივლტოდა კოსტანტინეპოლედ განდგომილი სომეხთაგან 40 წელსა ხუასროსსა 44) და 30 წელსა იოსტინიანესსა 45), რომელმან წა სოფია აღაშენა და ვითარცა ცნა მეფემან არა ზიარება ვარდანისი, ბრძანა ქნა კრებისა და მოუწოდა ებისკოპოსთა და მოძღუართა და ირწმუნეს სომეხთა და შეაჩუპნეს ორიგენი, ევაგრე, და დიდკმოს ნესტორიანი, იაკობნი, იელიანენი და გაიანტინი და ერთბამად ყოველნი მქონებელნი ევტაკის წვალებისანი. ხოლო უკუნ იქცეს რაჲ სომხითს, რომელნიმე დადგრეს გულსმოდგინედ და რომელნიმე მიდრკეს დღეთა მათ იოანე კათალიკოზისათა 46) და მიწერეს წიგნები აღეანელთა კათალიკოზისა 47) და ვორტანეს მიმართ სტოლოსა (sic) 48) ებისკოზისა და მათ ესრეთ ვითარმედ პეტრე 49) და გრიგოლი პირველ ჩუქნსა ებისკოპოსნი ვითარცა იტყოდეს, სჯულისათჳს და:

37) 635—643. ამის შემდეგ მართლ-მადიდებლობისთვის გინიღვენა ნერსე, რომელიც 650 წელს ისევ დაბრუნდა და ალბათ განაგებდა ეკლესიას 661 წლამდე.

38) ყველა ცნობით 661—7 წ. — 39) 667—687 წ. — 40) ე. ი. ვრამ შაურისგან (392—413) არტაშირისადმი, რომელზედაც დაესრულა (428 წ.) მეფობა ამ გვარეულობისა: 413+21=434 წ.

41) ასოლიკით დავით სარონი (სახარუნი) 601—625 წ., თეოდორე რეშტუნი (იგივე ტოტრუსი ორუსტუნი?) 625—650 წ. ამახასპ 654—9; გრიგოლ 659—681 წ. აშოტ 686—689 წ, ნერსე 689—693; სუმბატ † 704. აქ ჩვენის წერილის ცნობები დიდად განზრტევა ასოლიკისას (გვ. 68—7). — 42) ე. ი. 551 წ. — 43) სვირინე ანუ სურენ ჰმართავდა. 564—572 წ.

44) ე. ი. 541+40=571.

45) ე. ი. 525+30=555 წ. ეს ანგარიში არ ეთანხმება 571 წელს, ამისგამო ეკვი არ არის, რომ აქ უნდა იგულისხმებოდეს იუსტინე I-ს მეფობისა მეექვსე წელი 665+6=571. შეეცდომა წარმომდგარა იმისგამო, რომ გადამწერს აურევიას მსგავსი ასოები **И** და **Н**, ჩვენ სვირინეს მოკლე ეუჩვენეთ 572 წ. (იხ. გვ. 327, შენიშ. № 85). Melitar d'airivank p. 75.

46) იხ. ზემო გვ. 327; შენიშ. № 91—47) აქ შეიძლება იგულისხმებოდეს წერილი, დაბეჭდილი წიგნში *Исторія Арваніи, М. Каганкатваць, გვ. 93—7*. შეადარე *Hist. de la Siounie pp. 54—56* და 62.

48) სიუნელისა? ვართანეს სიუნელი იჯდა 583—606 წ. (*Hist. Siounie. p. 61*). ჩვენ მაინც გვგონია, რომ აქ ამაზე უწინდელი 572—582 წლებ შუა ყოფილი ამბავი იგულისხმება. — 49) მკაწრელი?

„წმიდაო ღმერთოა“, არცა დავაკლებ და არცა ჩაუბრათ, — და ეგრეთვე ქართველთა მიმართ, ხოლო მათ დიდიტა გულის-წყრომიტა არა შეიწყნარეს.

და კულად ჟამთა მავრიკ მეფისათა⁵⁰) კოსტანტინეპოლედ მიწვეულნი მ უსლი სომეხნი არა ეზიარა და კულად ძიება ყვეს და კვალადცა წერით დაამტკიცეს და ფიცით-აღთქმა ყვეს არა გარდასლვად. ხოლო უკუნ-ქცეულნი სომხითად არა შეწყნარებულ იქნეს მოსე კზისა მიერ და ნეშტი ებისკოპოსთა სპარსეთს-და სომხითს შინა მყოფთა. ხოლო მათ ყვეს კათალიკოზხდ თვისად თეოდორე კოკუსტელი პაპრანტის ქუცუენისა და მრავალი წინააღდგომაჲ იქნა ურთიერთას ქრისტეს შორის ორთა ბუნებათათჳს და ხალკიდონისა კრებისა წელთა :ილ: ვიდრე აღსრულებადმდე მავრიკ კეისრისა⁵¹). — და დაიპყრა ხუასრო მეფემან სომხითი და აბრაამცა კზად დაიდგინა⁵²) და აიძულა შეჩუბნებად კრება ხალკიდონისა ანუ წარსლვა მუნით; ხოლო მათ შეაჩუბნეს⁵³).

და კულად სერგელე კეისარმან :კვ: წელსა მეფობისა მხისისასა⁵⁴) მიწვეულმან დიდად სომხითად, ბრძანა დიდისა კრებისა ქნა ყოველთა ებისკოპოზთა და მოძღუართა სომხითისათა ეზრა კზის თანა⁵⁵) და ყოველთა აზატთა თეოდოსიპოლს შინა ძიებაჲ ყვეს ორთა ბუნებათათჳს და ხალკიდონისა კრებისათჳს თვისა ერთისა დღეთა და ირწმუნეს სომეხთა წმიდათა წერილთა და ფუცეს და დაწერეს თჳსითა კელითა, რათა არღარა წინააღმდგომ იყენენ ამისთჳს, და ესრეთ უკუნ იქცეს დენს. ხოლო იოანე⁵⁶) აწვევედა ებისკოპოსთა, რომელნი არა დახლომილიყენეს, რათა არა ეწამნეს ეზრას აღსარებასა: ჰგონებდა, ვითარმედ მან მიიღოს საყდარი შეწვევითა მთავართათა.

ხოლო რაჟამს ნერსე მითხუტულ იქნა საყდართა⁵⁷) და იგი არა უმეტესად შეშფოთნა და კულად მასცა აყუბდრებდა. მაშინ მოიყვანა წინაშე მრავლისა ებისკოპოზისა და მოძღუართა, ვამოძიება ყო გმობისა მისისა და ესრეთ დაღი მელის სახე დასულს შუბლსა და ესრეთ ექსორია ყო იგი კავკასიას მოყუჟათა მისთა თანა⁵⁸) და შეუწყნარებელი მათგანცა შემდგომად ანასტასიასის სიკვდილისა⁵⁹) კულად მოიწია სომხითად, აღსრულდა მოხუცებული. ხოლო მოწაფეთა მისთა შეცთუნებულთა ყოველნივე. მიღრიკნეს ქეშმარატები-საგან; და განეთესა წვალება მათი ქუცუენასა მას შინა-ვიდრე იუსტინოს კეისრისადმდე⁶⁰).

⁵⁰) მავრიკი 582—602 წ. 13 აგვისტოდამ 2 ნოემბრამდე. — ⁵¹) აქილამ ცხადია, რომ ეს კრება ყოფილა 602—14=588 წელს, როგორც ზემო ვთქვით (გვ 328, შეიშ. № 95). აქ ჩვენი წერილი ახალ ცნობებს იძლევა (შეად. Kiracos, p. 29. Sam. d'Ani, 588; Mkhit. d'Arivank p. 75).

⁵²) ეს იყო 593 წ.—⁵³) ვკონებ. იგულისხმება 596 წ. დენის შესაჲე კრება (Addit. 107). —⁵⁴) ე. ი. 610+23=633 წელს და არა 629 წელს, როგორც ჰგონებდნენ. —⁵⁵) იჯ. და 628—639 წ.

⁵⁶) ე. ა. იოანე მაიერ-გომელი (იხ. Hist. Siouanie თავი 28; Acor. 61, —⁵⁷) 640—661 წ.—⁵⁸) შეადარე ზემო გვ.

⁵⁹) † 667 წ.—⁶⁰) იუსტინ IV 685—695 წ.

მაშინ მან მოუწოდა ისაჲ კათალიკოზსა⁶¹⁾ ეპისკოპოსთა თანა კოსტანტინოპოლედ და შეაერთა იგინი აღმსარებელთა თანა ორთა ბუნებათასა უფჩრისა ისო ქრისტესთა ლუთაებისა და კაცებისათა ერთსა გუჲმასა შინა შეურყენელად და განუყოფელად და ამისთვისცა წერით ფუცეს, რათა არაღარა იქნეს მათ შორის ამისთვის წინააღმდეგობა. ხოლო კუალად უკუნ-იქცეს რა ქუტყანად თჳსად და შთომილნი სომხეთს შინა მწუხარე იყენეს მათისა ზედამდგომელობისა ბერძენთათჳს, რომლისა ძლით წინააღმდეგობთა და გამოძიებათა ისაკისთანა ჰყოფდეს და მისთანა წარსრულთა მეტყუელნი, ვითარმედ, უკეთუ არა მოიქცეთ და შეაჩუწნნეთ იგინი, არა შეგიწყნარებთ თქუენ ადგილსა ჩუწნსა. ხოლო მათ დიდებასა კაცთასა ვიდრეღა დიდებასა ლუთისასა კუალად შეაჩუწნეს თავთა მიერ თჳსთა დამტყუებულნი, ვითარ ზიარ ქწინილნი ბერძენთანი. ამისა შემდგომად ბერძენნი (?) და ესრეთ იპოვნეს უკურნებელნი ბოროტთა შინა⁶²⁾.

დაბატება III

წინასწარმეტყველება სერსე დიდისა სომეხთა ჰეშმარითისა მის მთავარ-ეპისკოპოსისა (ამოღებულია ინტონ კოსთა „მზამეტყველებიდან“, წიგნი II.—ნერსე იგდა 364—383 წ.)

დამდაბლდეს საშეფოჲ თქტნი მსგავსად საშეფოთა ისრაილისათა და ქტყანაჲ თქტნი მიეცეს კელთა უცხოთა მტერთასა, მიეცნეთ შიშოილსა, მახეილსა და ტყვეობასა მწარესა და არაღარა იყოს თავისუფლებაჲ თქტნი უღლილსაგან მძიმისა და ნათესავთა მიერ უცხოთა მოგებული ოფლითა თქტნითჲ შეიკამოს წინაშე თვალთა თქტნთა; იქნნეთ თქტნ მსგავსად ფურცელთა მიმოდანეულ და დაეწყებულ ვითარცა წყალი დათხეული; მიგელოს თქტნ მეფობაჲ და მღვდელობაჲ და უფელონი მიმოხვიდოდეთ ადგილითი ადგილად, ვითარცა ცხოვარნი უმწყემსონი; განხვიდეთ სარ წმუნოებისაგან და მამათ-მთავარნი თქტნნი არაღარა გესვას ყე ჟამთა გრძელთა; აღიფხურათ ძირისაგან თქტნისა, და კედელნი თქტნნი ძლიერნი დარღვეულ იქნნეს კელთაგან წარმართთასა: ესენი წინასწარმეტყველა დიდმან ნერსე ნათესავისათჳს სომეხთასაჲ.

მართლაც ეს წინასწარმეტყველება მსწრფელ აღსრულდა წა სერსეს საეკდელის შექმდე; 387 წელს მოისპო მეფობა სომხეთისა და მას შეუდგა მამო-დაზნეკა სომეხთა უცხო ქეეხებში; სოლო 551—726 წლების სიგარქში სომეხნი, წინასწარმეტყველებისაჲ, მართლაც განვიდენ სარწმუნოებისაგან, რომელიც ქებადაგა მათში წმიდა გრიგოლ ჰართელმან განმანათლებელმან და მიიღეს მონოთეიზით: მწკალებლობა.

⁶¹⁾ ე. ი. საჲ III-ს: 677—703 წ.—⁶²⁾ ეს ახალი ცნობებია (იხ, АСОГ. 72 და „მზამეტყველება“ წიგნი II).

მაქსიმესი სომეხთა მიმართ (წერა-წითხ. ხელ ნაწ. № 248, გ. 189).

ამ საკითხავში წა მაქსიმე აღმსარებელი ძლიერად არღვევს სომეხთა მწკალებ-
ლობას და სხვათა შორის სწერს: „კრებასა შინა დინს დასწერეს: ვინცა ვინ
არა იტყვს კორცსა ქრისტესსა სწორად მამისა ლუთაებისა, შეჩტნებულ იყავნ“
(წა მაქსიმე † 666 წ. 13 აგვისტოს). — ამ მაქსიმეს წერალიდამ ამოღებულია
ზემო დაბეჭდილი (გვ. 132 ნაწყვეტი კეფუდის შესახებ. მისს გაგრძელებას აქ კერ
ებეჭდავთ უადგილობისა გამო.

ღ ა მ ა ტ ე ბ ა IV

წა მაქსიმე აღმსარებელის ცხოვრებაში, რომელიც დაწერილია მისის თანამე-
დროეკისაგან VII საუკ. დასასრულში, ირავლის კეისრობაში (610—642) კბოულობთ
დიდად საყურადღებო ცნობას საქართველოზე. ცხოვრებაში მოსსენებულია, რომ წა
მაქსიმე ირავლის სპარსეთიდან დაბრუნების შემდეგ (629—633) წარავლინსო ექსო-
რიად „კერძოთა სამეგრელოჲსათა... და მიიწინეს რა ქუეყანასა მეგრელ-
თასა... ნეტარი მაქსიმე უძლოურებასა შინა იყო... დასდევს იგი (დასსეულებუ-
ლი) ლასტსა ზედა და ატვირთივს ჰაპრაკთა (sic) და წარიყვანეს და შეამ-
წყვდივს ციხესა, რომელსა ეწოდებოდა ჰი მ ა რ, (ჰი მ ა რ?) მახლობელად ქუეყანასა
ოვსეთ ისახს, და ძმაჲ ანასტასიოს საკედრითა წარიყვანეს და შეაყენეს ცი-
ხესა აფხაზეთისასა, რომელსა ეწოდების კოტორი (sic. კოლორი?) და მეო-
რე ანასტასიოს, რომელმან ესე ყოველი აღწერა და მომიძღუნა თევედოსი
ხუცესსა, რომელმან აღწერე ყოველივე ესე მოღუაწებაჲ წა მაქსიმესი, ესე
ანასტასიოს შეაყენეს ციხესა, სახელით ბოკელეს, საზღუართავე ოვსეთისა-
თა. მერმე, შემდგომად მკირედისა ჟამისა, გამოიყვანნეს სენხანი იგი ძმანი ცი-
ხეთა მათგან და წარიყვანეს ანასტასიოს ხუცესი ციხესა სვანთა სოფლი-
სასა და იყო იგი მახლობელ სიკუდილისა მრავალთა მათ ტანჯუათაგან და
ქირთა, რომელნი შეემთხვნეს ბიზანტიას და გზასა, და ვიდრე არა მიწევსულ
იყო, ციხესა მას, აღესრულა... თვესა იელისსა :კდ: ხოლო ანასტასიოს დიაკონი
წარიყვანეს ციხესა თაკუტრისასა აფხაზეთს (დუქსუშში, რომელიც VIII—
IX საუკუნებში აფხაზეთის ნაწილი იყო) და იყოფოდა მუნ ვიდრე სიკუდი-
ლადმე მეფისა მის მწვალებელისა († 642 წ.). ამისა შემდგომად მიეცა ფლო-
ბა და მოვიდა საბერძნეთად და ყოველიველივე გვაუწყა, რა იგი შეემთხვია
მათ“. წა მაქსიმე მიიწვალა 13 აგვისტოს, დღესა შაფათსა (13 აგვისტოს შა-
ფათი მოდიოდა 662 და არა 666 წ.). ცხოვრების აღმწერელი განაგრძობს: „იყო
მახლობლად ციხისა მის (მიმარის) მონასტერი წისა არსენისი, მუნ დამარხეს
წა იგი გუამი მისი“ იქვე მოხსენებულია, რომ თვედოსი მწვალებელი „ექსორდა
ეკეს ქერსოკეთსა და მორე მწვალებელი—ოკსეთს (იხ. ჩემი აღწ. წერა-კითხ.
წიგნთ-სადავისა, გვ. 442; ხელ-ნაწ. № 1128).

დაშაბთაა წ

კათალიკოზ ბასილისიან შეკრების წა შიოს სასწაულებში (სასწაული მეცხრე) გამოკულობთ ფრად. სეყურადღებო ცნობას არაბთა ანუ სარკინოზთა შემოსევაზე საქართველოში. ეს წერილიდამ სხანს, რომ სარკინოზნი როდესმე შემოვიდნენ ბრძანებითა ამირ-მუმინისათ და ტუტტ ყტსს ყოველი სომხითი და ქართლი ვიდრე მთადმდე არგუტისთისა, ყოველი ოხრებასა მისცეს. ხოლო იყრ წინამძღუარი სპისა მათისა აჰმად, ნათესავი ამირ-მუმინისა, კაცი მძლავრი და გულ-ფიცხელი და ანგაარი. ამან აღვლო ველი მუხნარისა; ხოლო ამიერ მდინარისა მტუტრისა წარავლინა სპასეტნი თჳსნი უმარ და ბურულ. მიიწივნეს რა სოფელსა ციხე-დიდისასა, იხილეს ჰირისპირ კლდეთა შინა სარკინისათა გამოაქმნილი იგი ქუბები; დაღვეს და თქტსს: ისი სიმაგრენი უყეთუ არა გამოვიხტნეთ სირცხულ იყოს ჩტნდა და არცა სულტანმან შეგვიწოდოს უღებ-სყოფელთა ამისთა. და ზედვე მოთხრობილთა, რამ არაბის ჟარი გავიდა მტკვარს, მაგრამ მთელი დღე ტუქილად წინა-უკანა დადიოდნო და კერძაგნეს მღვიმეს და მისევენო, რომ ეს წა შიოს სასწაულით იქმნათ. და წარვიდეს; და რატამს მიიწივნეს წინაშე აჰმადისა სადა შეკრებიან ორნი მდინარენი, მტუტარი და ლიხვი (ე. ი. გორს?), რამეთუ მუნ დიებანაკა, ჰრტტს მას, რამ იგი იხილეს სასწაული წა შიოსია. აჰმადს ხელმეორედ დიდის ჟარით გავიყანო უმარ, მაგრამ ჟარმა ისილა მღვიმე დატული გუნდთაგან ანგელოზთა. გაოცებულმა ამ სასწაულით უმარმან უარ-ტყო „სეყული სპასითა“, ნათელილო, ბერად შედგა მღვიმეში და სსკელ ეწოდა ნეოფიტად, რომელიც შემდეგ აღიღითა იძულებითა იქმნა ეპისკოპოზ საყდარსა ზედა ურზნისისასა სამეფელ კათალიკოზისა მიერ. ავან ნეტარმან ფრადი ლუაწლი თავს იღვა სამწყსოსა თჳსისათჳს და მრავლითა კადნიერებითა ჰბრძოდა ცეცხლის მსახურთა, ხოლო უკანასკნელ იწამა მათმიერ ქრისტესთჳს... ნეოფიტეს მსახურთაგანი ორნი შედგნენ ბერად შიო-მღვიმეში — სრისტოდულე და ჰრისტოფორე.

ეს წერილი ბასილი კოსისა, როგორც ზემო ვთქვით (იხ. გვ. 59—60); ბსი მ. მ. საბინისს უბოვანა შიო-მღვიმეში და თჳსს, დაღ წარჩინებულის ხელოვნებით გამოცემულს, „სამოთხეში“ ჩაურთავს (გ. 258—260).

შემოსსენებული წერილი მეტად სეყურადღებო ცნობებს იძლევა და ამის გამო დიდად საჭიროა მისი განმარტვა. როდის მომხდარა ეს შემოსევა აჰმადისა და ვის არიან მასში მოხსენებულნი ზირნი? ბროსსე (რომელსაც ეს ცნობები ხელში არ ჰქონია ნეოფიტე უზნელის ცნობრების განმარტებაში, ანტონ I კათალიკოზის მიერ ამ წერილით შედგენილში) ამბობს, რომ აქ მოხსენებული კი სამეფდ უნდა იყოსო წა აბოს ცნობრებაში მოხსენებული სამეფდ, 786 წლის ახლო ხანებისა, და მასსადამე აქ მოხსენებულთა მე-VIII საუკ. დასასრულის ამაჯიო (Addit. p. 137—8). ჩვენ ამ აზრს ბროსსესას კერ შევიწყინებთ, რადგან წერილში მოხსენებულთა ნეო-

ფიტიეს ღვაწლი წინააღმდეგ ცეცხლის მსახურთა, რომელთაგან ეწმა იგი. ხოლო ცეცხლის მსახურება მოისპო არაბთაგან; და მე-VIII საუკ. იგი არ იქნებოდა საჭარბოელოში. გაზდა ამის თვთ წერილიდამ სჩანს, რომ არაბები სასლ შემოსულნი უოფილან ქართლში, რადგან არც უმარს და არც მისს მსედრობას არ სცოდნით შიო-მღვიმის მონასტერი; ხოლო მე-VIII საუკუნეში არაბნი სრულნი მეცნიერნი იუენენ ჩვენის ჩვენის გარეობათა.

რომ აქ არაბების ზირველ შემოსევაზეა ლაშარაკი, რომელსაც ქ-ცხბით (172) სტეფანოზი II სამეგრელოში გადავიდა თვისს შვილებითურთ, ამას აგრეთვე ამოწმებენ შემდეგნი გარეობანი: 1) სომხის მწერალი ასოლიკი გვიამბობს (გვ. 92—5), რომ სალიფთაჲ კელიტიმ ზირველს წელს თვისის მწერობელობისას (698—9 წ.) წარმოგზავნაო თვისი მსედართ მთავარი მანქმედა, — რომელიც უნდა იყოს ზემოსენებულის წერილის აქმედა, — რომელიც დასწავაო სომეხთა უფროსნი კაცნი 704 წ., ხოლო სომეხთა გურობალატი სუმბატი გაიქცაო სამეგრელოში (გვ. 93). მანქმადის შემდეგ იმავე სალიფთამ წარგზავნაო სომხეთის აბდულ-კასიმ, რომელსაც ქართლნი უწოდებენ მურვან-ურუდ. აქიდამ ცხადია, რომ აქმეთის ანუ მანქმეთის შემოსევა მურვან ერუსაზე ადრე უოფილა. აქმეთი რომ ქანებს (Тчены—ჩინელინი?) დაუისრცხებიათ, ამაზე ის. Асогикъ, стр. 95; Гевондъ, стр. 25;—2) ჩვენნი წერილი და ქ-ცხბა (გვ. 173) მართლს ურთსა და იმავე სალიფთას ამირმუხის მიანწერს—ზირველი აქმეთის გამოგზავნას (ქ-ცხბაც იგულისხმებს არაბთა შემოსევას სტეფანოზი II დროს, თუმიც მსედართ მთავარს არ იხსენიებს), ხოლო მეორე მურვან-ურუსას და ამით ცხად ჭყოფს, რომ ორივე შემოსევა ზედი-ზედ უოფილა იმავე სალიფთასგან, როგორც ქ-ცხბოკრებისაგანც სჩანს (გვ. 172). ამ შემოსევის გამო სტეფანოზი და სომეხთა მთავარი ნერსესი სამეგრელოში გაიქცნენ (ქ-ცხ. 172, Асогикъ, გვ. 93;—3) კ-ში სამედილ მართლს სტეფანოზის დროს სცხოვრება, კენონის უწინ. ხოლო ჩვენ ზემო (გვ. 104—5) განკმარტეთ, რომ კენონი და სტეფანოზი II 716—717 წლებში ცოცხალნი იუენენ, ე. ი. თითქმის იმავე დროს, რომელსაც ასოლიკით აღნიშნულად მანქმადის ანუ ჩვენის წერილის აქმადის შემოსევა*). თუ წა ნოთფიტემ დიდა სხანი დაჯეო მღვიმეში ურბნელობის მიღებაჲდე, მანშინ უნდა კვიფროთ, რომ მოსესენებული კ-ში სამედილ იქნებოდა «სამედილ მეოთხე ცოლოსანი» (ის. ზემო გვ. 75), რომელიც, ჩვენის ანგარიშით, სცხოვრებდა 720—730 წლებში**);—4) უკანასკნელ, რომ ზემოსენებული ამბავი აგარიათ შემოსლისა ეკუთვნის მე-VIII საუკ. დასაწყისს, ეს უმეტესად ცხად გხდება იმ გარემოებისაგან, რომ ბასილ კათალიკოსს თვისი წერილები დაუწყეია ქრონოლოგოურს რიგზე, როგორც ზემო შენიშნეთ (გვ. 60—78), ხოლო ეს წერილია (*სასწავლი

*) ჩვენს ქრონიკებში, გვ. 75, შენიშნაში № 149 სწერია: „ეწონი სცხოვრებდა... უნდა წაიკითხოთ. „ეწონი, ვახუშტით, სცხოვრებდა“ და სხ.

**) ცხრანი „ცოლოსანი“ კათალიკონი, ჩვენის ანგარიშით, მსხდარან 717—751 წლებ შუა და როგორც შემწვინდა ამ არგე-დარევის დროს და ანტიოქელ პატრიარქებისგან კურთხევის და შენდობის არა-მკონე პირთა, ხანგრძლივ ვერ დარჩენილან თვისს კათედრაზე.

შეცნა“) იპოვება „მერვე სასწაულის“ შემდეგ, სადაც მოთხრობილია სტეფანოზ I ამბები (სტეფანოზი, ჩვენის ანტიკრონიკით, მოკვდა 632 წლის შემდეგ); ხოლო ამის ზედ მისდექს „სასწაული მკათარმეტე“, სადაც მოთხრობილია სასწაულებრივი დაბადება იოანე კწისა, რომელიც კწად დაჯდა 751 წელს. შემდეგს და უკანასკნელს მკათარმეტე სასწაულში მოხსენებულაია სარქიანე კწი, რომელიც ჩვენის ქრონიკით, სცხოვრებდა მე-VIII საუკუნის დასასრულს (იხ. ზემო გვ. 78 და „სამოთხე“ გვ. 262).

ჩვენ სხვა-დროასივს ვადაკვიდვია სრული და დაწერილებითი გიმოკვლევა იმ არკე-დარქვისა, რომელიც შემოაქვს ჩვენს ქრონიკებს აქამდე მიღებულს კასუმტის მიერ დასმულს (მეფეთა და კათალიკოზთა მე-VI—VIII საუკუნეების) ქრონონოლოგიაში.

შემთავრებითა „ქართლის მოძვენიის“ ძარაგებითა ახსნა ალფაბიტურად

ა დ=არმედ.	კ ს=კათალიკოზი	რ სი=რომელსი
არ ნ=არინ	კ ს ღ რ ს=კურთსეულ არს	რ ღ ი=რომელი
ა ნ=ინი, ამენ.	კ ც ი=კაცი	რ ა=რათა
გ ნ=განი	კ დ=კუდად	რ ლ=რომელ
გ ი=გიორგი	კ ე=კოსტანტინე	ს ხ მ=სსუამ
გ ს ღ ნ=გისაროდენ	კ თ ლ=კეთილ	ს ლ ი=სული
დ თ=დავითი	მ ფ ე=მეფე	ს დ=სრულიად
დ თ ის=დავითისა	მ ც ჭ ღ ი=მოციქული	უ კ ი=უკუნითი
ე ბ ს კ პ ს ი=ებისკოპოსი	მ კ ზ ი=მთავრებისკოპოსი	უ კ ე=უკუნისადმი
ე ბ ს კ ს ა დ=ებისკოპოსად	მ ქ ლ=მიქელ	ფ დ=ფრიად
ე . ი . =ესე ივი	მ რ=მიერ	ჭ . =ჭრისტიანე
კ დ=კითარმედ	რ ღ ი=რეული.	ჭ ა ნ ხ ი=ჭრისტიანისი
კ ა=კითარდა	რ ღ ის ა გ ა ნ=რელისაგან	ჭ ე=ჭრისტე
კ ე=კედრე	რ ღ ის ა=რელის	ჭ კ ს=ჭრისტეს
კ წ ა=კედა	პ ე=პეტრე	ჭ უ ა ნ ს ა=ჭუქანასა
თ ა=თთქესა	პ დ=პირველად	ჭ ლ ქ ს ა=ჭალქსა
თ წ ა=თანა	პ ლ=პირველ	ჭ ე ნ ი=ჭორნიკონი.
თ ე=თეოდორე	პ ლ ე=პალე	ღ ის=ღვთის
თ ს=თუს	ქ ა=რამეთუ	ღ ა=ღმერთსა
ი წ მ დ=იწმრესალიძად	რ . =რამეთუ	ღ ი=ღმერთი
ი წ მ ი თ=იკრესალიმით	რ ი=რომელი	ღ თ ა დ=ღმერთად
ი ა ს ა=იწსა	რ წ=რომელმან	ღ რ ა=ღმერთო
ი ნ ე=იონე	რ ღ ს ა=რომელსა.	ყ . ი=ყოველი

ე ^რ ლ ^ს ა ^ჲ ე ^ო კ ^ე ლ ^ს ა	ჩ ^ნ ჩ ^ე ენ	წ ^ო წ ^მ ი ^დ არ
ე ^რ ლ ^{ნი} ე ^ო კ ^ე ლ ^{ნი}	ჩ ^{ნი} ჩ ^ე ენი	ჭ ^ი ჭ ^ე შ ^ე შ ^ე რ ^ი ტი
ე ^ნ ე ^ო კ ^ე ლ ^მ ან	ჩ ^ი ჩ ^ე მი	ჩ ^ხ ს ^ო ლო
ე ^დ ე ^ო კ ^ე ლ ^დ	ჩ ^ხ ენი ^ჲ ჩ ^ი ს ^{ენ} ი	ს ^ჲ ს ^ო ლო
ე ^ქ ე ^ო კ ^ე ლ ^ქ	ჩ ^ი ჩ ^ე ო ^დ ე ^ი ლი	ჭ ^ე ჭ ^ე შ ^ე რ ^ი ს ^ა ჲ
ე ^{ნი} ე ^ო კ ^ე ლ ^{ნი}	წ ^ი ს ^წ მ ^ი დ ^ი ს	ჭ ^ე მ ^თ ა ^ჲ ჭ ^ე შ ^ე რ ^ი ს ^ა მ ^თ ა ^ს
ე ^ნ ს ^ა ე ^ო კ ^ე ლ ^ს ა	წ ^ა წ ^მ ინ ^{და}	ჭ ^ი ჭ ^ე შ ^ე რ ^ი
ე ^დ ე ^ო კ ^ე ლ ^დ გ ^ო მ ^{ად}	წ ^ე წ ^მ ინ ^ა შ ^ე	ჭ ^ი ს ^წ მ ^ი დ ^ი ს
ე ^ნ ა ^ჲ ე ^ო კ ^ე ლ ^{ნი}	წ ^დ ით ^ჲ წ ^მ ი ^დ ით	

რიცხვითი მნიშვნელობა ასოთა:

ა—1	ი—10	რ—100	ჩ—1,000	ჭ—10,000
ბ—2	კ—20	ს—200	ც—2,000	ია— 11
გ—3	ღ—30	ტ—300	ძ—3,000	იბ— 18
დ—4	მ—40	უ—400	წ—4,000	იმ— 140
ე—5	ნ—50	ფ—500	ჭ—5,000	იმე— 145
ქ—6	ჲ—60	ქ—600	ხ—6,000	ენთ— 859
ყ—7	ო—70	ღ—700	კ—7,000	ჩფვ—1506
ც—8	პ—80	უ—800	ჭ—8,000	ჭდ—5004
თ—9	ჟ—90	შ—900	ჯ—9,000	ჩეუგ—1893



შენახისი ან წიგნისა

წინასიტყვაობილამ:

- თავი I „ქართლის ცხოვრების“ ნაკულეკანებანი.
თავი II თეიმურაზ ბატონიშვილის მიერ ქცხბაში შეტანილი ცნობები.
თავი III კახტანგ მეფის და სსკუთაგან ქცხბაში შეტანილი ცნობები.
თავი IV Chronique arménienne-ის განხილვა.
თავი V სუმბატის ქრონიკის და ქცხბის შედარება.
თავი VI განხილვა სპეკესიო მატანისა მოქცევაჲ ქართლისაჲ.
თავი VII ერცელი განხილვა იმისი, თუ რომელ მატანეთაგან, რადის და კისგან შედგენილია ქცხბა.
თავი VIII მოკლე განხილვა ქცხბის ქრონოლოგიისა.
თავი IX რამდენიმე სიტყვაჲ ამ წიგნში დაბეჭდილ ისტორიულ ცნობებზე.
გვ. 302—312: წინასიტყვაობა სრსენ კუზის ისტორიულის წერილისა.

- I მითოლოგიური ცნობა ქართველთა გუბრ-ტომობაზე გვ. 1—10.
II გუგუარი სინოდ. კანტორისა № 286: გვ. 10—11; 15—16; 39; 45—6; 49.
III „მოქცევაჲ ქართლისაჲ“: გვ. 11—79 (ნაც ორ-სვეტად დაბეჭდილია).
IV მოქცევაჲ სომეხთა: გვ. 19—27.
V ეფრემ მცირის წერილი: გვ. 33—37; 47; 53—54; 75.
VI საგლეხიო მატანიდამ ამოღებული ცნობები, გვ. 50; 58; 77.
VII აფსაზო მეფეთა ქრონიკა. ის. შემდგომთა წელთა ჭეშუე: 499 (გვ. 50); 893; 908; 931; 966; 981; 991; 1028; 1019; 148; 158; 183; 1089; 1112; 1118; 1150; 1152; 1167; 1178; 1184; 1189; 1189; 1192; 1205; 1207 წ.
VIII ბასილ კუზის წერილიდამ გვ. 59—62
IX წა გურანდუხტის წამებიდამ გვ. 62—65.
X ცნობები კეისრის ერეკლეს სპარსეთს გალაშქრებაზე, გვ. 65—66.
XI სუმბატის ქრონიკიდამ, გვ. 67—69; 71; 83; 138; 149—162.
XII წრომის წარწერახი, გვ. 69—70.
XIII წა აბოს ცხოვრებიდამ და სამოელ კუზის წერილი, გვ. 72—73.
XIV სია ზედაზხელთა მამათა გვ. 73—75.
XV სია ქართლისა კათალიკოზთა X—XIII საუკ. გვ. 73—91.
XVI წა ნიკოლოზის ეგლეხიის ქრონიკა. ის. 856; 891; 907 (გვ. LX).
XVII მარტვილის ჯვარის მე-X საუკ. წარწერა, გვ. 83; ის. კიდევ გვ. 174—5.
XVIII დადიანთა ქრონიკა, ის. 908; 999; 1130; 1187 წ.
XIX სინოდ. კანტორის მე-X საუკ. გუგუარის პირი № 67, გვ. 87—88.
XX მე-X საუკ დაკითხი (გვ. მეწ. № 37), გვ. 93—94.
XXI ზარხალის მე-X საუკ. სახელების განხილვა, გვ. 94—98.
XXII შატერდის გრუბულის განხილვა, გვ. 99—107; 109—110; 117.

- XXIII ბეკლის „საგალობელის“ და სხვა მე-X საუკუნე სელ-ნაწერთა განხილვა, გვ. 111—122.
- XXIV შიო-მღვიმის სელ-ნაწერი 978 წლის, გვ. 122.
- XXV ცნობანი ეკთმე გრძელზე და არტანუჯის კრებაზე, გვ. 125—8.
- XXVI იერუსალიმის ბეკლ სელ-ნაწერების არქ. ტრანსის მიერ გადმოწერილნი წარწერანი, გვ. 128; 130; 177—181; 201.
- XXVII „ეფუთის“ წიგნზე ცნობა, გვ. 131—2.
- XXVIII ქუთათის „გლეგაქსი“, გვ. 134—5.
- XXIX ათონის აღაპები, 135—6; 173; 199; 270—5.
- XXX გელათის მთეს თაგის განმარტების სელ-ნაწერის წარწერანი, გვ. 139—140; 190—6.
- XXXI წყაროს თაგის სახარება გვ. 140—3; 234—5.
- XXXII სია მე-X—XI საუკუნე მეფეთა და დედოფალოთა, გვ. 144—148.
- XXXIII ბრეთის ჭყარის წარწერა, გვ. 151—152.
- XXXIV ათონის ივერიის მონასტრების წინამძღვარნი, გვ. 163, 172—3 209.
- XXXV სამთავისის წარწერანი, გვ. 171—2, 201—2, 259.
- XXXVI მცხეთის წარწერანი, გვ. 175—6.
- XXXVII მცხეთის გუჯარი 1040 წლის, გვ. 181—188.
- XXXVIII ალავერდის სახარება, გვ. 203—204.
- XXXIX ბაგრატ მეფის 1058 წლის გუჯარი, გვ. 204—6.
- XL ლესხუმის სახარება 1060 წლის, გვ. 207—9.
- XLI წა ბაგრატის ცხოვრება (წარწერანი) გვ. 210—212.
- XLII ცნობანი ეფრემ მცირეზე და სს. გვ. 214—228.
- XLIII ქუთათის ტყუის სამოციქულო 1083 წ. გვ. 230—2.
- XLIV დავით აღმაშენებლის ქრონიკა, გვ. 238—244.
- XLV ძილისპირის ქრონიკა, გვ. 255; 268; 275; 292; 297.
- XLVI ნაწილები მარიამ დედოფ. ქცხბიადმ, გვ. 255—8; 261—2; 266—8; 284—8; 301—2.
- XLVII გიორგი III-ის გუჯარები, გვ. 264—267.
- XLVIII თამარ-მეფის გულზე საკიდი ჭყარი, გვ. 268—9.
- XLIX თამარ-მეფის გუჯარი, გვ. 277—280.
- L თამარ-მეფის დროინდელი სახარება, გვ. 293—4.
- LI არსენ კუჩის წერილი განუოვისათვის ქართლისა და სომხისათვის, გვ. 303—5.
- LII მოთხრობა ჰატიონისთვის, გვ. 336—341;
- LIII წინასწარმეტყველება ნერსე დიდისა, გვ. 341—2.
- LIV მაქსიმე აღმსარებელის ცხოვრებიდამ ცნობები, გვ. 342.
- LV ცნობანი აჭმეთის ქართლში შემოსევაზე, გვ. 343—6.
- LVI განმარტება ქარაგმებისა, გვ. 346.
- LVII საისტორიო და სამწერლობო ცნობები სსკა-და-სსკა სელნაწერებიდამ, გვ. 38; 62—6; 72; 75—6, 88—9; 93; 134; 137; 139; 140—8; 154—5; 168—171; 176—7; 188—190; 212—3; 246—8; 249—250; 291—2.

- XXIII ძველის „საგალობლის“ და სხვა მე-X საუკ. სელ-ნაწერთა განსილაგა, გვ. 111—122.
- XXIV შიო-მღვიმის სელ-ნაწერი 978 წლისა, გვ. 122.
- XXV ცნობანი ეკთიმე გრძელზე და არტანუჯის კრებაზე, გვ. 125—8.
- XXVI იერუსალიმის ძველ სელ-ნაწერების არქ. ტარასის მიერ გადმოწერილნი წარწერანი, გვ. 128; 130; 177—181; 201.
- XXVII „ეკფუთის“ წიგნზე ცნობა, გვ. 131—2.
- XXVIII ქუთათსკეის „კელმაქსი“, გვ. 134—5.
- XXIX ათონის აღაპები, 135—6; 173; 199; 270—5.
- XXX გელათის მათეს თავის განმარტების სელ-ნაწერის წარწერანა, გვ. 139—140; 190—6.
- XXXI წყაროს თავის სახარება გვ. 140—3; 234—5.
- XXXII სია მე-X—XI საუკ. მეფეთა და დედოფალთა, გვ. 144—148.
- XXXIII ბრეთის ჭვარის წარწერა, გვ. 151—152.
- XXXIV ათონის იეკრიის მონასტრებას წინამძღვარნი, გვ. 163, 172—3; 209.
- XXXV სამთავისის წარწერანი, გვ. 171—2; 201—2, 259.
- XXXVI მცხეთის წარწერანი, გვ. 175—6.
- XXXVII მცხეთის გუჯარი 1040 წლისა, გვ. 181—188.
- XXXVIII აღაგურდის სახარება, გვ. 203—204.
- XXXIX ბაგრატ მეფის 1058 წლის გუჯარი, გვ. 204—6.
- XL ლეჩხუმის სახარება 1060 წლისა, გვ. 207—9.
- XLI წა. ბაგრატის ცხოვრება (წარწერანი) გვ. 210—212.
- XLII ცნობანი ეფრემ მცირეზე და სხ. გვ. 214—228.
- XLIII ქუთათსკეის ტყავის სამოტიქულა 1083 წ. გვ. 230—2.
- XLIV დავით აღმაშენებლის ქრონიკა, გვ. 238—244.
- XLV ძილისძირის ქრონიკა, გვ. 255; 268; 275; 292; 297.
- XLVI ნაწვეტები მარიამ დედოფ. ქ-ცხობიდაჲ, გვ. 255—8; 261—2; 266—8; 284—8; 301—2.
- XLVII გიორგი III-ის გუჯარები, გვ. 264—267.
- XLVIII თამარ-მეფის გულზე საკიდი ვჯარი, გვ. 268—9.
- XLIX თამარ-მეფის გუჯარი, გვ. 277—280.
- L ოთმარ-მეფის დროინდელი სახარება, გვ. 293—4.
- LI არსენ მეფის წერილი განუოფისათჳს ქართლისა და სომხეთისა, გვ. 303—5.
- LII მოთხრობა ჰატიმონითისკან, გვ. 336—341;
- LIII წინასწარმეტყველება ნერსე დიდისა, გვ. 341—2.
- LIV მასქიმი აღმსარებელის ცხოვრებიდაჲ ცნობები, გვ. 342.
- LV ცნობანი აჭმეთის ქართლში შემოსევაზე, გვ. 343—6.
- LVI განმარტება ჭარბებისა, გვ. 346.
- LVII საისტორიო და სამწერლობო ცნობები სხვა-და-სხვა სელნაწერებიდაჲ, გვ. 38; 62—6; 72; 75—6, 88—9; 93; 134; 137; 139; 140—8; 154—5; 168—171; 176—7; 188—190; 212—3; 246—8; 249—250; 291—2.